

# კალიბო

1992



062 /  
1992/2

რელიგიის არსის განსაზღვრებათაგან უმჯობესია ამოვიდეთ თვით ლათინური სიტყვა religio-ს ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან. ეს არსებითი სახელი ჯერ კიდევ ციცერონმა დაუკავშირა ზმნა religere-ს, რაც ნიშნავს – „რამის კვლავ და კვლავ ზედმიწევნით დაცვა, შესრულება“. იგი უპირისპირდება სიტყვა negligere-ს, რომელიც შემდეგი მნიშვნელობისაა: უგულვებელყოფა, აბუჩად აგდება, დაუღვერობა.

ამგვარად, ამ შეხედულებით, სიტყვა religere განმარტავს რელიგიის არსს როგორც გარკვეული წესების დაცვას, მათს გამუდმებით და ზედმიწევნით შესრულებას, კერძოდ ღოცვასა და მსხვერპლშეწირვას ღვთაებათა გულის მოსაგებად.

მაგრამ უკვე ადრეულმა ქრისტიანმა, ეკლესიის მამა ლაქტანციუსმა, რელიგია განმარტა სიტყვიდან religare, რაც ნიშნავს შიბშას, შეკვრას, დაკავშირებას. „რელიგია, – თქვა მან – არის ღმერთთან დაკავშირება ღვთისმოსაობის ჯაჭვით“. აქ უკვე ცნაურდება ადამიანის შინაგანი სამყაროს შიშართება აბსოლუტისადმი. ამგვარად, ციცერონის შემოსხენებულ განსაზღვრებასთან ერთად ლაქტანციუსის ეს განსაზღვრება რელიგიას ანიჭებს ირმავ ხასიათს – ობიექტურსა და სუბიექტურს.

იმანუილ კანტი რელიგიად მიიჩნევს „ჩვენს ვალდებულებათა გრძნობას იმდენად, რამდენადაც ისინი ეფუძნებიან ღვთაებრივ მცნებებს“.

შლაიერმახერი რელიგიას მთლიანად გრძნობაზე აფუძნებს – „რელიგია არის აბსოლუტური გრძნობა ჩვენიღმერთზედამოკიდებულებისა“.

ჰეგელისათვის რელიგია არის აბსოლუტური სულის თვითცნობიერება, ანუ ღვთაებრივი სულის ცოდნა თავისი თავის შესახებ სახრული ადამიანის სულის მეშვეობით.

ათეისტთა ლუდვიგ ფოიერბახს რელიგიას მიიჩნევს იმ „ლტოლვად, რომელიც ვლინდება ღოცვის, მსხვერპლშეწირვისა და რწმენის მეშვეობით“.

თანამედროვე რელიგიის მკვლევარებს იგი მიაჩნიათ „განცდით შეხვედრად წმინდასთან და ქახუსის მიმცემ მოქმედებად წმინდასაგან განსაზღვრული ადამიანისა“ (გ. მენშინგი). „რელიგია არ არის ფილოსოფია, არც მსოფლმხედველობა, არც თეოლოგია, არამედ იგი არის წმინდასთან ურთიერთობა“ (ფრიდრიხ ჰაილერი).

# რელიგია

1992. მ ა რ ტ ი

№ 3

## შინაარსი

### ეკლესიის ისტორია

ლ. პატარიძე – ქართლის გაქრისტიანება

3

### ღვთისმეტყველება

ბ. თევზაძე – იოანე პეტრიწი და ნიკოლოზ მეთონელი

15

### • მისტიკა

აღმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანული მისტიკა. გერმანელი  
მისტიკოსები

23

## მთავარი რედაქტორი ვიქტორ რცხილაძე

### ხარედაქციო კოლეგია:

მუჟე კონსტანტინე (მელიქიძე) – ხრულიად ხაქართველოს კათო-  
ლიკოს პატრიარქის ქორეპისკოპოსი, გიგლა აბლაძე (პ/მგ. მდივანი),  
ოთარ გაბიძაშვილი, ვახტანგ გოგუაძე, რისმაგ გორდეზიანი, გურამ თევზა-  
ძე, ირაკლი კალანდია (მთ. რედ. მოადგილე), ზურაბ კიკნაძე, ვახტანგ  
როლონია, ზურაბ ფორაქიშვილი (მეცნ. კონსულტანტი), ნიკო ჭავჭავაძე.

### შხატპარი – ვახტანგ რურუა

#### ნაწილი მისამართი:

380096 თბილისი, მერაბ კოსტაშას ქუჩა № 14.

#### ტელეფონები:

მთავარი რედაქტორის მოადგილის – 99-87-37; პასუხისმგებელი მდივნის –  
93-29-19; საპარტოლოს ეკლესიის ისტორიის განყოფილების – 93-49-72;  
პასუხისმგებელი მდივნის მოადგილის – 98-31-56.

გაღეცა ასანვობად 10.02.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.04.92 წ.  
ქალაქის ზომა 70×108<sup>1/16</sup> ოფსეტური ბეჭდა, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6.  
№ 90. ტირაჟი 5 000.

ლელა აბაშიანი

## ქართლის გაქრისტიანება

20363

პარიზის ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის მიერ 1991 წელს ჩატარებულ კონკურსში მერაბ მაშარდაშვილის პრემია დაიმსახურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის ლელა აბაშიანის გამოკვლევამ — „სამყაროს სურათი ადრექრისტიანულ ქართულ მწერლობაში“ („ცხოვრება წმიდისა ნინოსი“).

გუბუღავთ აღნიშნული გამოკვლევის შემოკლებულ ვარიანტს, რომელიც ავტორმა სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის მოამზადა.

\*\*\*

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება და აქ ქრისტიანული ეკლესიის დაფუძნება ძველ ქართულ და არაქართულ (ბერძნულ, სომხურ და სხვ.) წყაროებში ერთმნიშვნელოვნად უკავშირდება განმანათლებელი ქალის — წმინდა ნინოს სახელს.

თბზულება „ცხოვრება წმიდისა ნინოსი“ არის სწორედ ის უძველესი წყარო, რომლის საფუძველზეც ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ისტორია გავრცელდა მთელს საქრისტიანოში. ეს თბზულება, უფრო სწორად კი მისი უძველესი, ე. წ. „მატბერდულ-ჭელიშური“ რედაქცია, ბოლო ხანების წყაროთმცოდნეობითი კვლევა-ძიების შედეგად IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღ-

და! ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი აღნიშნული თბზულების მიმართ. თუ ადრე ისტორიკოსები ქართლის გაქრისტიანების ფაქტების გაშუქებისას უპირატესობას უცხოენოვან წყაროებს ანიჭებდნენ, სადღეისოდ უფრო დიდი ყურადღება სწორედ ქართულმა უძველესმა წყარომ მიიპყრო.

რას გვეუბნება „ნინოს ცხოვრება“ ქართლის გაქრისტიანების შესახებ? როგორ ასახავს ის ჩვენი ქვეყნის ამ უმნიშვნელოვანეს ხანის ისტორიას? როგორ ესმის თავად ძველ ისტორიკოსს გაქრისტიანების კულტურულ-რელიგიური არსი? — ეს ის კითხვებია, რომლებზედაც, შეძლებისდაგვარად, პასუხის გაცემას მიზნად ისახავს წარმოდგენილი ნაშრომი.

### მოცინიშული

ის სიმბოლური ხატი, რომელსაც ახლა განვიხილავთ, წმ. ნინოს ქართლში შემოსვლას უკავშირდება „ცხოვრებაში“.

მცნეთისაკენ მიმავალი წმ. ნინო ფარანის ტბას მიუახლოვდა. აქედან მან დაინახა ზაფხულში თოვლით დაფარული „მთები ჩრდილოისაი“, ამ სანახაობით შეპრწუნებულმა დაიძინა და იხილა ჩვენება. „ცხოვრების“ ამ ეპიზოდს მოვიყვანთ მთლიანად:

„...მოვიღე ლოდი ერთი და დავიდევს სასთუნალად თავსა, და გარდასადინელ-

საქართველოს  
მართლმადიდებელი  
ეკლესიისთვის

სა მის ტბისასა დავიძინე. და მოვიდა ჩუენებით კაცი ერთი ჰასაკითა ზომიერი, თმითა ნახევარ-თმოსანი, და მომცა მე წიგნი დაბეჭდილი და მრქუა მე: „აღდეგ და სწრაფით მიართვი ესე მცხეთას მეფესა წარმართსა“. და ვიწყე ტირილით ვედრებად მისსა და ვარქუ: „უფალო, დედაკაცი ვარ უცხოი და უმეცარი, ვითარ მივიდე მე, არცა ენაი ვიცი, თუ რაი ვთქუა უცხოთა ნათესაეთა თანა?“ მაშინ განხსნა წიგნი იგი და მომცა მე კითხვად. დაწერილი იყო პრომაელებრ და დაბეჭდილი იყო იესუსისი.

დაწერილნი იყვნენ ათნი სიტყუანი, ვითარცა იგი პირველ ფიცართა ქვისასათა.

პირველი სიტყუა: სადაცა იქადაგოს სახარებაი ესე, მუნცა ითქუმოდის დედაკაცი ესე.

ბ. „არცა მამაკაცებაი, არცა დედაკაცებაი, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ“.

გ. „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემლით სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა“.

დ. „ნაფული გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა“.

ე. „სადაცა იქადაგოს სახარებაი ესე სასუფეველისაი, ყოველსა სოფელსა ითქუმოდეს“.

ვ. „რომელმაც თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარებს, და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნარებს მომავლინებულსა ჩემსა“.

ზ. ფრიად უყუარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენ მისსა სიბრძნესა ჭეშმარიტსა.

თ. „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყდნენ ზორცნი თქუენნი, ზოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუებად“.

ი. „მრქუა მარიამ მაგდალენელსა იე-

სუ: „წარვედ, დედაკაცი, და ახარე ძმათა ჩემთა“.

ი. სადაცა ჰქადაგებდეთ სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა.

და ვითარცა ესე წაეკითხე, ვიწყე ვედრებაი ღმრთისა მიმართ და გულისკმა-ვყავ, ვითარმედ ზეცით იყო ჩუენებაი ესე. და აღვიზილენ თუალნი ჩემნი ზეცად და მაღალი იგი ვაკურთხე და მისგან ვითხოვე შეწევნაი ჩემი ჭირთა შინა. და გარდამოსადინელსა მის ტბისასა მოვჭყევე და წარმოვემართე“ (მოქცევაი ქართლისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბილისი 1964 წ. გვ. 116-117).

„ნინოს ცხოვრების“ განსახილველად იგლის სიტყვების — „დაბეჭდული იყო იესუსისი“ — მნიშვნელობა უნდა განისაზღვროს, როგორც იესოს ნიშნით აღბეჭდვა, ანუ ქრისტეს მონოგრაფიით დაბეჭდვა, რაც წერილის ღვთაებრივ წარმომავლობაზე მიუთითებს. მით უმეტეს, რომ ეს წერილი ანგელოზმა გადასცა წმიდა ნინოს. ბიბლიაში მართლაც გვხვდება ბეჭდის ისეთი მნიშვნელობა, როდესაც ის ადასტურებს, რომ ამ ბეჭდით აღბეჭდილი საგანი მისი მფლობელის კუთვნილებაა და ამ მფლობელის ხელიდანაა გამოსული (III მეფეთა, 21,8); ანდა როდესაც ბეჭედი დოკუმენტს, მაგ., გრაგნილს საიდუმლო მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც მისი წაკითხვა შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც ბეჭდის გატეხვის უფლება აქვს (ესაია, 29-11).

ახლა განვიხილოთ ის „ათნი სიტყუანი“, რომელიც ამ წიგნში ეწერა და რომელიც მოსეს ათ მცნებასთან არის შედარებული — „დაწერილი იყვნეს ათნი სიტყუანი, ვითარცა იგი პირველი ფიცართა ქვისათა“. ეს „სიტყუანი“ წარმოადგენს ციტატებს ახალი აღთქმის სხვადასხვა ადგილიდან, რომლებიც, როგორც ჩანს, გარკვეული მიზნით არიან შერჩეული და გარკვეული აზრის გა-



მომხატველები არიან. ამთვან პირველს, მეშვიდესა და უკანასკნელს სახარებაში პარალელი არ ემებნება და, შესაბამისად, გამოცემაშიც ბრჭყალებს გარეშეა წარმოდგენილი. პირველი მიმართვაა, მითითებაა ამ წიგნის მკითხველისადმი „სადაცა იქადაგოს სახარებაი ესე, მუნცა ითქუმოდეს დედაკაცი ესე“ (ხაზი ჩვენია — ლ. პ.) — ანუ წმ. ნინო, რომელიც გადასცემს მეფეს ამ წიგნს და მისთვის იქნება „დედაკაცი ესე“.

მეათე — „სადაცა ჰქადაგებდეთ სახელთა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა“ — დედასურულის ჩვეულებრივი ქრისტიანული ფორმულაა და ამასთანავე პირველი წინადადების შინაარსს აგრძელებს და ასრულებს: 1. „სადაცა იქადაგოს სახარება ესე...“; 10. „სადაცა ჰქადაგებდეთ სახელთა მამისაითა...“

რა შეიძლება ითქვას სახარებიდან გამოკრებილ ციტატებზე? რა შინაარსის მიხედვით შეარჩიეს ისინი? თავიდანვე თვალშისაცემია, რომ აქ ერთერთი წამყვანი ქალის თემაა. მეორე წინადადება: „არცა მამაკაცებაი, არცა დედაკაცებაი, არამედ თქუენ ყოველნი ერთი ხართ“, — ამოღებულია პავლეს ეპისტოლედან გალატელთა მიმართ. აქ ვკითხოვლობთ: „არა არს ჰურიანება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოსი მიერ“ (3,28). ამ მუხლიდან სწორედ დედაკაცობისა და მამაკაცობის თემა ამოღებული. ეს ბუნებრივია — აქ სწორედ წმ. ნინოს როგორც განმანათლებელი ქალის უფლებამოსილებაა განმარტებული. ეს დანარჩენი ციტატებიდანაც ჩანს, სადაც წმ. ნინოს „პროტოტიპად“ მარიამ მაგდალინელი და მარიამ ლაზარეს დაა გამოყვანილი.

მეცხრე წინადადებაში ვკითხოვლობთ: „პრქუა მარიამ მაგდალინელსა იესუ:

„წარედ, დედაკაცი, და ახარე ძმათა ჩემთა“ (აქ უნდა იგულისხმებოდეს მათე 28, 10 ან იოანე 20, 17).

მათე: „ნუ გეშინინ, წარვედით და უთხარო ძმათა ჩემთა, რაითა წარვიდენ გალილას და მუნ მიხილონ მე“.

იოანე: „პრქუა მას იესო: ნუ შემომეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა; წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა“.

სახარებაში ამ ციტატის კონტექსტი შემდეგია: მკვდრეთით აღმდგარი იესო პირველად სწორედ მარიამ მაგდალინელს გამოეცხადა. როდესაც მარიამმა და სხვა ქალებმა ნელსაცხებელი მიიტანეს ქრისტეს საფლავზე, ლოდი მათ გადაგორებული დახვდათ, ქრისტე საფლავში არ იყო. მათეს, მარკოზის და იოანეს სახარებების მიხედვით, იესო პირველად მარიამ მაგდალინელს შეხვდა და უთხრა, რომ წასულიყო გალილეაში და მისი აღდგომა ეხარებინა მისი მოწაფეებისათვის. იმ ფაქტს, რომ იესო სწორედ მარიამ მაგდალინელს გამოეცხადა პირველად და მარიამი უპირველესი მახარებელი გახდა მისი აღდგომისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქრისტიანულ თეოლოგიაში. მარიამ მაგდალინელი ამის გამო მოციქულების მოციქულად იწოდებოდა და მოციქულთა სწორად იქნა მიჩნეული.

მარიამ მაგდალინელის შესახებ სახარების განმარტებებში ასეთ მსჯელობას ვნახულობთ: „ხოლო მარიამ მაგდალინელს, რომელსაც სხვებზე უფრო მზურვალედ უყვარდა იესო და არ სცილდებოდა მის საფლავს, ყველაზე ადრე ხვდა წილად ეხილა აღმდგარი უფალი და თვით მოციქულთათვის ეხარებინა მისი აღდგომის გამოუთქმელი სიხარული... მაგდალინელმა პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი, იქცა ქრისტეს მოციქულად თვით მოციქულთათვის, რამეთუ მან პირველმა შეატვობი-

ნა მათ ქრისტეს მეკდრეთით აღდგომის შესახებ“ (Руководство к изучению священного писания Нового Завета, составил Иванов А. В. СПб, 1915, с. 679-681).

„წიგნის“ მეხუთე წინადადება ასეთია: „სადაცა იქადაგოს სახარებაი ესე სასუფეველსა, ყოველსა სოფელსა ითქუმოდეს“ — პარალელი: მათე — 26, 13; მარკოზ — 14, 9.

კონტექსტიანად ეს ადგილი მათესთან ასე იკითხება: იესო ბეთანიასი სვიმეონ კეთროვანის სახლში იყო — „მოუხდა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალაბსტრი ნელსაცხებელისაი მრავლისა სასყიდლისაი, და დასხა თავსა მისსა ინახით-მჯდომარესა“. როდესაც ამის მხედველი მოწაფეები ძლიერ შეწუხდნენ და დედაკაცის მიმართ საყვედურიც გამოთქვეს, იესომ გაამართლა ის და თქვა: „რამეთუ დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე ზორცთა ჩემთა და დასაფლველად ჩემდა ყო. ამინ ვეტყვ თქუენ: „სადაცა იქადაგოს სახარებაი ესე ყოველსა სოფელსა, ითქმოდის რომელიცა-ესე ყო მაგან სახსენებლად მაგისა“ (ხაზი ჩვენია — ლ. პ.) (მათე 26,6-13). მარკოზთან ეს სიტყვები ასეა: „სადაცა იქადაგოს სახარებაი ესე ყოველსა სოფელსა, და რომელიცა-ესე ქმნა, ითქმოდის სახსენებლად მაგისა“ (მარკოზ 14-9). „ინოს ცხოვრებაში“ ამ ციტატის პირველი ნახევარია დარჩენილი და წინადადება გაუმართავად გამოიყურება. საფიქრებელია, რომ ის მთლიანად იმეორებდა სახარების მოყვანილ ფრაზას. სიტყვა „სასუფეველსა“ აქ ზედმეტია და შინაარსსაც აბუნდოვანებს. ის, ალბათ, გადამწერის შეცდომის შედეგად მოხვდა ამ ადგილას. იოანეს სახარებიდან ვგებულობთ, რომ ის ქალი, რომელმაც უფალს ნელსაცხებელი სცხო, იყო ლაზარეს და მარიამი (იოანე 11,2; 2,1-3).

მეშვიდე წინადადება — „ფრიად უყუ-

არდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენნ მისსა სიბრძნესა ჳეშმარიტსა“ — დანარჩენებისაგან განსხვავებით პერიფრაზია. აქ დასკვნის სახით ნაჩვენებია ქრისტესა და ლაზარეს დის მარიამის ურთიერთდამოკიდებულება. შდრ: „უყუარდა იესოს მართა და დაი მისი და ლაზარე“ (იოანე 11,5); აგრეთვე, (მარიამი) „დაჯდა ფერხთა თანა იესოსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა“ (ლუკა 10, 39).

ამგვარად, „წიგნის“ მეხუთე და მეშვიდე წინადადებები ლაზარეს დის მარიამის სახელს უკავშირდება. მარიამი უფლის მოძღვრების დიდი გულისყურით მსმენელია. მან თავისი დისაგან განსხვავებით „კეთილი ნაწილი გამოიჩნია, რომელი არასადა მიეღოს მისგან“ (ლუკა 10, 42). დიდი სიყვარულის ნიშნად გადაასხა მან იესოს „ალაბასტრი ნელსაცხებელისაი“ და ამ სიყვარულის გამო დაიმსახურა მისი სახელის სამარადისოდ ზსენება მთელს საქრისტიანოში („რომელიცა ესე ქმნა, ითქმოდის სახსენებელად მაგისა“).

ახლა ვნახოთ, რაზე მიუთითებს დანარჩენი შესამე, მეოთხე, მეექვსე, მერვე „სიტყუანი“.

შესამე: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა“ (მათე 28, 19) — იესო ქრისტე, უკვე მეკდრეთით აღმდგარი, უკანასკნელად მიმართავს თერთმეტ მოწაფეს. აქ ხაზი ესმება წარმართთა მოქცევის აუცილებლობას. თავისი მიწიერი ცხოვრების დროს ქრისტემ საგანგებოდ გააფრთხილა მოწაფეები: „გზასა წარმართთასა ნუ მიხვალთ“ და მხოლოდ აღდგომის შემდეგ გაგზავნა მოციქულები წარმართებთან.

მეოთხე: „ნათელი გამობრწყინებდად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა“ (ლუკა 2,32. ხაზი ჩვენია — ლ. პ.). ეს სიტყვები, ვფიქრობ, ისევ და ისევ წარმართთა მოქცევის ხაზგასასმელადაა მოხმობილი.





მეექვსე და მერვე წინადადებები ციტირებულია იესოს სიტყვიდან „ათორმეტთა მოწაფეთა მიმართ“. სწორედ აქ დაუსახა ქრისტემ თავის მოწაფეებს მათი მოციქულებრივი მისია. აი, ეს სიტყვები: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყვიდნენ ხორციანი, ხოლო სულისა ვერ ხელ-ეწიფების მოკლვად...“ (მათე 10, 28); „რომელმაც შეგიწყნარნეს თქვენ, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი“ (მათე 10, 40).

უკანასკნელ სიტყვებს თითქმის ზუსტად იმეორებს ლუკას სახარების ერთი ადგილი (10, 16), სადაც თორმეტის ნაცვლად სამოცდაათი წარავლინა უფალმა „ორ-ორნი წინაშე მისისა“. ასე რომ, შესაძლებელია ნინოს „წიგნში“ მოყვანილი შესაბამისი „სიტყუა“ მოციქულების უფრო გაფართოებულ წრეს გულისხმობდეს.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ეს ოთხი „სიტყუა“ მოციქულების მისიის, კერძოდ წარმართთა მოქცევის გამოხატველია. თუ ამ ათ „სიტყუას“ ერთიანად გაკაიზრებთ, მათი მიზანდასახულობის გაგება მწელი არ იქნება. აქ ქალის განმანათლებლობის პრობლემაა გადაწყვეტილი. განმანათლებლობა, როგორც ცნობილია, მოციქულთა მისიაა. სწორედ ამიტომ აქ ციტირებულია ქრისტეს სიტყვები მოწაფეებისადმი. ხოლო მარიამ მაგდალინელის სახის მეშვეობით ნინოს თითქოს უფლება ეძლევა მოციქულებრივი მისია შეასრულოს. მარიამ მაგდალინელი მოციქულთა მოციქულად და მოციქულთა სწორად ითვლებოდა. ეს უდიდესი ღირსება მას მიენიჭა, როგორც ამას სახარების განმარტებებსა და სპეციალურად მარიამისადმი მიძღვნილ ქადაგებებში ვკითხულობთ, იმ დიდი სიყვარულის გამო, რომლითაც მარიამს უყვარდა იესო.

თუ მარიამ მაგდალინელი ქრისტეს სიყვარულის გამო იმსახურებს მოციქულის ღირსებას, მაშინ წმინდა ნინოც,

როგორც ქალი და როგორც ქრისტეს მხურვალედ მოყვარული, შესაძლებელია, რომ ქართველ წარმართებს როგორც მოციქულთა სწორი განმანათლებელი მოეგონოს. ასეთი ლოგოცა მართლაც შეინიშნება თხზულებაში. ზაბილონი მიმართავს ნინოს შემდეგი სიტყვებით: „შენ, მხოლოვო ასულო ჩემო, ესერა დაგიტეკებ შენ ობლად ჩემგან და მოვითუალავ შენ ღმერთსა ცათასა... ნუ გეშინინ, შვილო ჩემო! ხოლო შენ მაგდალინელისა მარიამის შური აღიღე სიყვარულისათვის ქრისტესი და დათა მათ ლაზარესთაი, და თუ შენ ესრეთ გეშინოდეს მისა, ვითარცა მათ, მან ეგრეთ მოგცეს ყოველი, რაიცა სთხოვო მას, ოდეს რაი ვინდეს მისგან“. ზაბილონი ეუბნება ნინოს: დაემსგავსე მარიამ მაგდალინელსა და ლაზარეს დებს — მარიამსა და მართას ქრისტეს სიყვარულში და მაშინ მოგცეს მან ის, რაც ვინდოდეს. გასაგებია, რომ აქ მოციქულის მისიის მოპოვებაზეა საუბარი. წმინდა ნინოს რომ მოციქული შეიძლება ეწოდოს, „მოქცევაი ქართლისაის“ სხვა ადგილიდანაც ჩანს: „მის წინაშე მისცა წიგნი იგი ჰელენე დედოფლისა მოწერილი, რომელი მოეწერა ნინოსისა, დედოფლობით და მოციქულად და მახარებელად შეემქო“ (მოქცევაი ქართლისაი, გვ. 110). ჰელინე უფრო ხელნაწერში კი გვაქვს ელენე დედოფლის წერილის ასეთი ვარიანტი: „და სანატრელი უწოდა დედოფალსა ნანას, ხოლო ნეტარსა ნინოს ელენე სურვილით უწოდა დედოფლად და თვისსა სწორად და სწორად წმიდათა მოციქულთა“ (იქვე, გვ. 90).

გარდა იმისა, რომ აქ წმინდა ნინოს მოციქულობაზე და მის საგანმანათლებლო მოღვაწეობის უფლებამოსილებაზეა საუბარი, ვფიქრობთ, მოციქულობის შესახებ მოყვანილ „სიტყუებს“ კიდევ სხვა დატვირთვაც უნდა ჰქონდეს.

ქრისტიანული ეკლესია თავისი არსით არის თვითონ უფლის მიერ დაარსებული საკრებულო, რომელიც თორმეტი

მოციქულისა და მათი შემდგომი თაობების გზით უფლის აღდგომის მოწამეა. ამიტომ არსებობს ერთიანი ქრისტიანული საეკლესიო ტრადიცია, რომელიც უშუალოდ მოციქულებამდე აღის, სწორედ ერთიანი საეკლესიო ტრადიცია უნდა იგულისხმებოდეს იმ ციტატაში, სადაც უფლის მოწამეობის შინაშემავლობითობაზეა საუბარი: „რომელმან შეგიწყნარნეს თქვენ, მე შემეწყნარა, და რომელმან მე შემეწყნარა, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი“. ამიტომაც ქრისტიანული ეკლესია არ ცნობდა ისეთ ერესულ მოძღვრებებს, რომლებიც მოციქულებრივ ტრადიციას არ ემყარებოდნენ და, შესაბამისად, არცეკლესიას ცნობდა როგორც ქრისტეს აღდგომის მოწამეობის ერთადერთ გზას. ასეთია, მაგ., გნოსტიციზმი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობის ფაქტებსა და სწავლებას ემყარებოდა, არ ცნობდა მოციქულთა ხერითო საეკლესიო ტრადიციას და თავისი მოძღვრება მიანიჭდა საკუთრივ ქრისტედან მომდინარედ, როგორც განსაკუთრებული ეზოტერიული ცოდნა – „გნოზისი“, რომელიც ცალკეული ადამიანებიდან ადამიანზე გადადიოდა. გნოსტიკოსების მტკიცებით მათი მრავალი თეორია გამომდინარეობდა მარიამ მაგდალინელისაგან, რომელსაც ქრისტემ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ თითქოს მრავალი ხაიდუმლო გაუმხილა გნოსტიკოსები, როგორც ჩანს, საბარების სწორედ იმ ადგილს ემყარებოდნენ, რომელიც ჩვენს „წიგნშია“ მოტანილი მარიამ მაგდალინელის ღვაწლის ხაზგასმელად. ამიტომაც დანარჩენი, განსაკუთრებით კი მერვე წინადადება თითქოს აბათილებს იმ ეჭვის შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება გასჩენოდა მკითხველს, ის თითქოს ხაზს უსვამს, რომ მარიამ მაგდალინელი მხოლოდ მოციქულთა ხწირობის „პროტიტიპია“ ნინოსათვის და არა გნოსტიკური ხაიდუმლოს გადმოცემი ამიტომაც

მერვე წინადადება სწორედ მოციქულებრივი ტრადიციის დამკველია და ამდენად საერთო, სამოციქულო ეკლესიის რწმენის მაღიარებელი.

ამგვარად, ის „წიგნი“, რომელიც ნინომ ანგელოზისაგან მიიღო სანამ საქართველოს საზღვარს გადმოლახავდა, წარმოადგენს ერთგვარ ნებართვას, რომ ქალმა წარმართულ ქვეყანაში ქრისტიანული სჯული იქადაგოს. ეს ნებართვა კი წმინდა ნინოს, როგორც ქალს, აქვს იმდენად, რამდენადაც უფლის მიწიერი ცხოვრების მანძილზე ქალებსაც გარკვეული ღვაწლი გაუღიათ და უფალს ისინი ამ ნიშნით გამოურჩევიან. მეორე მხრივ, ნინოს ქადაგების უფლება მისი მოციქულთა ხწირობის სტატუსით მართლდება. თვით ეს აქტი – უფლის მიერ ნინოსთვის „წიგნის“ გამოგზავნისა (წიგნი „დაბეჭდილი იყო იესუსისი“) – ნინოს მოციქულობის აღიარების ფაქტია. მოციქული ხომ იგივე წარგზავნილია. ქრისტიანობამ ამ სიტყვას უფლის მიერ წარგზავნილის მნიშვნელობა მიანიჭა. „წიგნის“ გადაცემა კი გაგზავნის აქტია ამას „წიგნის“ სიტყვებიც აღასტურებს: „წარუდით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი“ ამგვარად, ნინო თვით უფლის მიერ ყოფილა საქართველოში წარმოგზავნილი და, ამდენად, მისი მოქალეობა სხვა არაფერია, თუ არ მოციქულთა მისიის შესრულება. ეს „წიგნი“ კი, რომელიც წმინდა ნინოს საქართველოში მოაქვს, შედარებულია მოხეს სჯულის „ფიცრებს“, რომლებიც ღმერთსა და ხალხს შორის დადებული აღთქმის გამოხატულებაა. ნინოს ამ „წიგნის“ დახმარებით საქართველოში მოაქვს აღთქმა, „დაწერილი არა მელნითა, არამედ სულითა ღმრთისა ცხოველისაითა არა ფიცართა შინა ქუისათა, არამედ ფიცართა შინა გულისა ხორციელისათა“ (II კორინთელთა 3,3). ასეთია „დაბეჭდილი წიგნის“ შინაარსი, მისი დატვირთვა თხზულების იდეურ მიზანდასახულობაში.

მკვლელობა

წმინდა ნინომ მისი ქართლად მოხვედრის შემდეგ შექმნილ წელს არწმუნა ქრისტე ღმერთი ნანა დედოფალს, ხოლო მეშვიდე წელს — მირიან მეფეს. მირიანს ნადირობისას მზე დაუბნელდა და ნათელი იხილა მხოლოდ მაშინ, როცა „ნინოს ღმერთს“ — იესო ქრისტეს შეჰვედრა ხსნიხათვის. ქრისტეს რჯულის ჰეშმარიტებაში საბოლოოდ განმტკიცებული მეფე იწყებს ტაძრის მშენებლობას.

„— სადა უშენო სახლი ღმერთსა?“ — ეკითხება მეფე წმ. ნინოს.

„— სადაცა მეფეთა გონებაი მტკიცე არს“, — იყო პასუხი.

მაშინ მეფემ მიუგო: „— მიყუარან მაყუარანი, ევე შენნი და მუნ მინებს გონებითა, არამედ არა ესრეთ, არამედ არა ვპირდო სამოთხეა მას სამეფუოსა... მას შინა აღვაშენო ტაძარი სალოცველად ჩემდა, რომელი ეგოს უკუნისამდე“ (მოქცევაი ქართლისაი, გვ. 137-138).

ტაძრის აშენება მეფის ბაღში („სამოთხეი სამეფუოი“) გადაწყდა. მეფის ასეთი გადაწყვეტილება სრულიად არ არის იოულიდნელი „ცხოვრების“ მკითხველასათვის, რადგან მეფის მოქცევის აღწერამდე საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი თხზულებისა მეფის ბაღის ერთი ადგილის რაღაც განსაკუთრებული სიწმინდის შესახებ მოუთხრობს მკითხველს.

წმინდა ნინომ მცხეთაში ჩამოსვლისთანავე მეფის ბაღის მკველ ანასტოს სახლს შეაფარა თავი. ერთ დღეს სამეფო ბაღში ღოცვის დროს წმ. ნინოს ჩაეძინა და იხილა ჩვენება: „მოვიდიან მფრინველნი ცისანი, შთაიდიან მდინარესა, დაიბანნიან და მოვიდიან სამოთხესა მას, და ბაბილოსა მას მოისთუნებდიან და ყუაილსა მას მოვდიან, და მოწლედ ჩემდამო ღალადებედ, რეცა ჩემი არს სამოთხეი იგი“. მეფის ბაღი — „სამოთხე“ — ნინოს ჩვენებით, ზეცაურ

სამოთხედ გარდაიხაზა. წმ. ნინოს საზმარს ხიდონიას. მისი მოწაფის, ასეთი განმარტება მოხდევს. „უცხოვო და აქა შობილო, ტყვეო და ტყვეთა მხსნელო, უწყი, რამეთუ შენ ზეი მოიწია ახალი იგი ჟამი და შენ მიერ იმებს ჰამბავი იგი ძუელი, მამათა ჩუენთა ნაქმარი, ზეცისა მის კაცისა უბრალოისა სისხლისა უსამართლოდ დათხუვი, რომლითაცა ქმნა ღმერთმან პურათა სირცხვილი, ცის კიდეთა განბანავი, შეფობისა დაცემაი, ტაძრისა მის წმადისა მოღებაი, ერისა მის უცხოისა მოგებაი და თვიხად წოდებაი და დიდებაი მათა მიცემად. და კუალად თქუა: „იერუსალემ, იერუსალემ, ვითარ განვიმარტვან შეილნი შენნი და შეიკრებ ყოველთა ცის კიდისა ნათესავთა ფრთეთა ქუეშე შენთა“ (მოქცევაი ქართლისაი, გვ. 124).

ხიდონიას საზვიმო ტონი აშკარად მიუთითებს ნინოს ხილვის დიდ წინასწარმეტყველურ მნიშვნელობაზე. ხოლო უკანასკნელი შეძახილი: „იერუსალემ, იერუსალემ!“ სახარების ერთი ადგილის პერიფრაზს წარმოადგენს და ამავე დროს პასუხიც არის წმ. ნინოს ხილვაზე: იესო ქრისტე სახარებაში წინასწარმეტყველებს იერუსალიმის დაცემას და იხრავლის შვილთა განფანტვას: „იერუსალემ, იერუსალემ, რომელმან მოსწყვიდნენ წინასწარმეტყველნი და ქვაი დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ ზედა! რაოდენგზის ვინებე შეკრებაი შეილთა შენთა, ვითარცა სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართუენი თვისნი ქუეშე ფრთეთა თვისთა და არა ინებეთ! აჰა ესერა დაეტეოს თქუენგან სახლი თქუენი ოხრად“ (მათე 23, 37-38).

სად არის ის ახალი იერუსალიმი, რომელიც ფრთებგამლილი ფრინველის დარად დაიბრუნებს გაბნეულ შვილებს, შეიკრებს თავისად წოდებულ უცხო ერს? ხიდონია ასე ამთავრებს თავის წინასწარმეტყველებას: „ჩუენება შენი არს ესე, რამეთუ ადგილი ესე სამოთხისა (ე. ი. მეფის ბაღი მცხეთაში) შენს

მიერ იქმნეს სამოთხედ სადიდებლად ღმრთისა, რომლისა არს დიდება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“ (იქვე). ამქვეყნიური სამოთხე აქ მეფის „სამოთხეში“ იქნება. მაშასადამე, ეს ადგილი ქრისტიანული ეკლესიის დამკვიდრებისათვის ყოფილა განმზადებული, რადგან ეკლესიაა სწორედ ქრისტესთან ზიარებით განახლებული კაცობრიობის შესაკრებელი: „რამეთუ ეგულებოდა იესოს მოსიკუდიდ ნათესავისათვის, და არა ხოლო ნათესავისათვის, არამედ რაითა შვილნიცა ღმრთისანი განბნეულნი შეკრიბნეს ერთად“ (იოანე II, 51-52).

სიღონიას ნათქვამი მიუთითებს, რომ ღვთის ნებით სწორედ ამ ადგილზე იქნება ამქვეყნიური სამოთხე. სიტყვა „სამოთხე“ აქ უკვე არა ბაღის, არამედ ზეციური სამოთხის მნიშვნელობით არის ნახმარი. ქრისტიანული სიმბოლიკით კი ტაძარი, ღვთის სახლი სახეა ზეციური სამოთხისა. ეს აზრი ასეა გამოთქმული ერთ აპოკრიფულ თხზულებაში: ეკლესია „სახე არს უხილავისა მის საუკუნოისა სოფლისა და ხილულისა მის საწუთროისა სოფლისა“.

სწორედ მეფის ბაღში მდგარი ნაძვის ქვეშ დაუმარხავს ელიოზს მის მიერ მცხეთაში ჩამოტანილი უფლის კვართი. „ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში ნათქვამია: „ხოლო ელიოზ დაჰმარხა დაი იგი თვისი და ხელთა მისთა აქუნდა სამოსელი იგი. და არს ადგილი იგი, რომელი ღმერთმან იცის და იცის დედამან ჩემმან ნინო და არა იტყვის, რამეთუ, არა ჯერ არს სიტყუად აწ. არამედ ესე ხოლო კმა იყავნ ნინოს მოწაფეთათვის და ქრისტეს მორწმუნეთა, რამეთუ მახლობელ არს ადგილი იგი ნაძუსა მას ლიბანით მოსრულსა და მცხეთას დაწერგულსა“.

ლიბანის ნაძვი მირიანის „სამოთხეში“ დგას და სამოთხის ზეს, ზეციური იერუსალიმის შუაგულში აღმოცენებულ მძელი ცხოვრებისაი“-საც განასახიე-

რებს. რამდენად შესაძლებელია, რომ ლიბანის კედარი სამოთხის ხედ იქნეს წარმოდგენილი?

ეზეკიელის წიგნში ასურის სიდიადე კედარის ხესთან არის შედარებული. „აჰა ასურ-კვიპაროზი შორის ლიბანისა, და კეთილ რტოებითა, და მაღალ სიდიადითა და ხშირ ჩრდილითა და საშუალ ღრუბელთა მთავრობაი მისი“ (ეზეკ. 31. 3). ლიბანის ნაძვი სამოთხის ხეცაა: „კვიპაროზი ესე ვითარს სამოთხესა შინა ღმრთისაი სა, და პიტუნი არა მსგავს იყუნეს ბაბილოთა მისთა, და სოჭნი არა იქმნეს მსგავს მორჩთა მისთა, ყოველი ხე სამოთხესა შინა ღმრთისაი სარა ემსგავსა მას სიკეთესა შინა მისსა“ (ეზეკ. 31.8).

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ლიბანის კედარის „მოქცევისეული“ სიმბოლიკა სავსებით შეესატყვისება მის ბიბლიურ გაგებას. ამის შემდეგ სრულიად ლოგიკურად გვეჩვენება ის, რომ სამოთხის ხის ანალოგად მცხეთაში სწორედ ლიბანის კედარი იყო წარმოდგენილი. ლიბანის კედარის მნიშვნელობა ძველი აღთქმიდან ქრისტიანობას თავისებურად გადმოუღია. ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებია: „და დიდებია ლიბანისა შენდა მოვიდეს საროისსა მიერ და ფიჭვისა და ნაძვისა ერთბამად დიდებად ადგილი წმიდაი ჩემი და ადგილი ფერხთა ჩემთა ვადიდო“ (ესაია 60, 13) ზოგიერთი ეგზეგეტის მიერ დაკავშირებულია ქრისტეს ჯვარცმასთან, რადგანაც ქრისტიანული ეკლესია მიიჩნევს, რომ სწორედ ამ ხისგან იყო ქრისტეს ჯვარი შემზადებული. იგივე ტრადიცია დასტურდება ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკაში: „რაიმე უკუე იყოს უცხადეს მისსა, რომელი — იგი თქუა: საროითა ფიჭვითა და ნაძვითა ერთბამად იდიდოს ადგილი წმიდაი ჩემი? და რამეთუ სამებაჲმან წმიდამან, სწორმან ბუნებითა ერთითა, გუამითა მისითა განაგო ცხოვრებაი კაცთაი ჯუარითა და

ჭეშმარიტად საჭურველად ძლევისა მო-  
მცა ჩუენ სამთაგან ძელთა შემზადებუ-  
ლი ჯუარი, ვითარცა სამ სახელთაგან —  
საროსა, ფიჭვისა და ნაძვისა სადიდებ-  
ლად ადგილისა წმიდისა“ (ალექსანდრე  
კვაპრელის ქრონიკა, თბ., 1979, გვ. 39).

აი, რას მოგვითხრობს ძველი წარმო-  
შობის ერთი აპოკრიფული კითხვა-მო-  
გება: „ოდეს დავითს კიდობანი სჯული-  
სა მოაქუნდა სახლითა ამინადობისათა  
იერუსალიმად სამნი მორჩუნი ეპყრეს  
ხელთა. ერთი საროსა, ერთი ფიჭვისა  
და ერთი ნაძვისა... და ვითა მოიწია ად-  
გილსა რომელსამე ერთსა სამნივე ერთ-  
ბამად დაჰნერგნა და საღმრთოთა წამის-  
ყოფითა ერთად შეიერთნეს და აღიზარ-  
დეს და იქმნეს ხე მაღალ და შუენიერ.  
ოდეს სოლომონის ტაძარსა აშენებდეს,  
მამინ მოკუეთეს ხე იგი ტაძრისათვის.  
განგებულებით დარჩა ტაძარსა მას შინა  
და რაჟამს მოიწია ვნება ქრისტესი, მა-  
შინ განკუეთეს და მას ზედა ჯუარსა  
აღუეს უფალი ღმერთი ჩუენი“. სწო-  
რედ ბიბლიური და ქრისტიანული ტრა-  
დიციების შეერთებას წარმოადგენს ეს  
აპოკრიფული თხზულება, სადაც კეღარ-  
ი როგორც სოლომონის ტაძარს, ისე  
ქრისტეს ჯვარს უკავშირდება. „ნინოს  
ცხოვრება“, როგორც ჩანს, თავისებუ-  
რად იაზრებს ღიბანის კეღარის სიწმი-  
დეს. მისთვის მცხეთის წმინდათა წმინდა  
ადგილი როგორც სოლომონის ტაძრის  
ანალოგიით, ისე ქრისტეს კვართის სი-  
წმინდით არის განსაზღვრებული.

„ნინოს ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ  
მცხეთაში, მეფის „სამოთხეში“ აგებულ  
ე. წ. „ქუემოი“ ეკლესიას ერქვა „წმი-  
დაი წმიდათაი“, და აქ, ისევე როგორც  
იერუსალიმის „წმიდაი წმიდათაიში“,  
მხოლოდ მღვდელმთავარი შედიოდა. მი-  
რიანი ამბობს: „ქუემოსა ეკლესიასა ერ-  
ქუა „წმიდაი წმიდათაი“ და ყოლადვე  
ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმად  
თვინიერ ზოლო დღესა კვირიაკესა, არ-  
ცა შესდვად ვინ იკადრებდა, თვინიერ

მღვდელთასა, რომელნი გალობენ მას ში-  
ნა“. (მოქცევაი ქართლისაი, გვ. 160).

„წმიდაი წმიდათაი“ სოლომონის ტაძ-  
რის მხოლოდ ერთ, მის უწმინდეს ნა-  
წილს ერქვა, სადაც სჯულის კიდობანი  
ესვენა. მცხეთაში აგებულ ტაძარს კი  
მთლიანად ეს სახელწოდება აქვს.

ქრისტიანული ღვთისმეტყველება ძვე-  
ლი აღთქმის ტაძარს, და მის უწმი-  
დეს ადგილს — „წმიდაი წმიდათაის“  
იაზრებს როგორც ზეციური სასუფევე-  
ლის ხელქმნილ სახეს, როგორც უფ-  
ლის აღდგომით ხელთუქმნილი, ზეციუ-  
რი სამყოფლის მოპოვების წინასწარმე-  
ტყველებას. იესო ქრისტეს ჯვარცმისა  
და სიკვდილის შემდეგ „კრეტსაბმელი  
იგი ტაძრისაი მის განიბო ორად“ (მარ-  
კოზ, 15,38). კაცობრიობის ხსნისათვის  
მსხვერპლად შეწირული კრავი აუქმებს  
ტაძარში ყოველწლიური განსაწმენდელი  
მსხვერპლშეწირვის აუცილებლობას.  
„რამეთუ არა ხელით ქმნულთა სიწმი-  
დეთა შევიდა ქრისტე სახედ ჭეშმარიტ-  
თა მათ, ცათა აწვე ჩუენებად პირსა  
ღმრთისასა ჩუენთვის“ (ებრაელთა მი-  
მართ 9,24). მოციქული ამბობს, რომ  
ქრისტემ თავისი აღდგომით არათუ ხე-  
ლთქმნილი სახე ზეცისა — „წმიდაი  
წმიდათაი“ — განხსნა, არამედ ყოველი  
ჩვენთაგანისათვის ცათა სასუფეველის  
ადრე დახშული კარი გააღო. ახლა ქრი-  
სტეს სისხლითა და ხორციით გაერთიანე-  
ბული საკრებულო — ეკლესია გახდა  
„წმიდაი წმიდათაი“.

„ნინოს ცხოვრების“ სიმბოლიკა, რო-  
მელიც მეფის ბაღში ტაძრის აშენების  
ადგილს უთითებს, ასე შეიძლება გავი-  
გოთ: ეს ადგილი არის ამქვეყნიური სა-  
მოთხე, და ახალი იერუსალიმი, რომე-  
ლიც ღვთის განფანტულ შვილებს შეიკ-  
რებს. ის არის „წმიდაი წმიდათაი“ —  
ღვთის სამყოფელი ადგილი. ყველა ეს  
ცნება ეკლესიის ქრისტიანული არსის  
გამომხატველია.

## ნათლისღება

„მაშინ მოვიდეს მოციქულნი საბერძნეთით მდღელთ მოძღუარი, მდღელნი და დიაკონნი და იწყეს ნათლის-ცემად... ყოვლისა ერისა“ (მოქცევაი ქართლისაი, გვ. 144).

ამ სიტყვებით სრულდება „ნინოს ცხოვრების“ ის ნაწილი, სადაც მეფე მირიანის მოქცევა და ეკლესიის მშენებლობა აღწერილი. და იწყება თხრობა აბიათარ მღვდელისა ასეთი სათაურით: „რომელი თქუა აბიათარ, რომელი იყო პირველ მდღელი ბაგინსა შინა ჰურიათასა მცხეთას და ნათელი ილო ხელსა შინა ნინოსისა“. ეს მოთხრობა, რომელიც ძირითადად აბიათარ ჰურიაციფილისა და მისი ასულის სიდონიას ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევასა და შემდეგ მათ ნათლისღებას ეხება, ერთი შეხედვით თითქოს უკან აბრუნებს მკითხველს იმ ამბებისაკენ, რომლებიც მეფის მოქცევამდე და „უქუმი“ ეკლესიის მშენებლობამდე უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ეკლესიის მშენებლობაში აბიათარის ასული სიდონიაც მონაწილეობს და ისიც კარგად ჩანს, რომ ის წმ. ნინოს მოწაფეა და ამდენად ამ დროისთვის უკვე მოქცეულა ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ. მაგრამ აქ უბირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს ნათლისღების თემას. რადგან სწორედ ეს თემა აერთიანებს აბიათარის მონათხრობის რამდენიმე სიუჟეტურად ერთმეორისაგან დაცილებულ ეპიზოდს. „მას უამსა მე და ასული ჩემი ღირს ვიქმენით სააკურებელსა და განსაწმენდელსა ცოდვითა ემბრასსა, წყალსა მას წმიდასა“, — ამბობს აბიათარი. ნათლისღების შესახებ „ცხოვრებაში“ აქამდე არც ერთხელ არ ყოფილა საუბარი. შემდეგ ისევ აბიათარი განაგრძობს თხრობას „ელიოზის სახლისა“ და „მცირე ბაგინს“ შესახებ. ელიოზის სახლი ქალაქის მოშორებით, დასავლეთ ნაწილში ყოფილა. იქვე მდგარა მცხეთელ ებრაელთა სამლოცველო „მცირე ბაგინი“, რომელიც იმაჟღეროულად მათი „სამარხვოი“... ფოფილა. „სამარხვოი“, ანუ შესანახი ადგილი, როგორც ზ. კიკნაძე შენიშნავს, არის ებრაელთა სამლოცველოს ის ნაწილი, სადაც მათი წმინდა სამსახურე-

ბელი, ხელნაწერები თუ სხვა რამ ნივთები ინახებოდა. ებრაელთა სამლოცველო ადგილას, აბიათარის მოქცევის შემდეგ, წმ. ნინოს ჯვარი აღუმართავს და ის მთავართა შვილების სანათლავ კერად ქცეულა. ამიტომ შეერქვა ამ ადგილს „მთავართა სანათლოი“. მცხეთელ ებრაელთა იმ ნაწილს, რომელსაც ქრისტიანობა არ მიუღია, თავიანთი პროტესტი იმით გამოუხატავთ, რომ მოუჭრიათ მშვენიერი კილაძონის ხე, რომელიც იქვე ბაგინის გვერდით იზრდებოდა და აბიათარის სიტყვით, „განაშუენება ადგილსა მას“. ებრაელთა ბაგინის მთავართა სანათლოდ გადაკეთებამ ებრაელთა მცხეთიდან განფანტვა გამოიწვია. დარჩა მხოლოდ ერთი — ბარაბანთა სახლი. ისინი მოინათლნენ და ამით მეფის წყალობაც დაიმსახურეს, „და მიუბობა მირიან მეფემან დაბაი ერთი, რომელსა ჰქევან ციხედიდი“.

მცხეთაში ქრისტიანობის გავრცელების ეს ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი სურათიდანია, სადაც კარგად ჩანს მცხეთის ებრაელთა თემის, მათი მღვდელთმთავრის, მეფისა და განმანათლებლის ინტერესთა როგორც ურთიერთთანხვედრა, ასევე ურთიერთშეჯახებაც, აქედან გამომდინარე კონფლიქტური სიტუაციები და მათი შედეგები. „ნინოს ცხოვრების“ ეს ისტორიული სურათი ნათლისღების პროცესის ნაწილია და, ფიქტობ, სწორედ ამიტომ არის მოყვანილი „ცხოვრების“ ციკლის იმ ადგილას, სადაც ნათლისღების თემა უნდა გაშუქებულიყო. ეს ხდება იმ დროს, როცა მირიან მეფემ უკვე ირწმუნა ქრისტე ღმერთი, ე. ი. მოექცა, ეკლესიის მშენებლობა დაიწყო და მოციქულები გააგზავნა „საბერძნეთით“ (მთლიანად რომის იმპერია იგულისხმება). ბუნებრივია, იმპერიის რომელიმე ნაწილის საპატრიარქოში ხელდასმულ ქართლის ეკლესიის თავს უნდა მოეხდინა ნათლისღების რიტუალი. იოანე მთავარეპისკოპოსის ხელდასმის ცნობა „ნინოს ცხოვრების“ სწორედ ამ მონაკვეთში უნდა ყოფილიყო მოცემული, მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეული მოსაზრებებით ის გვიან ამოგდეს თხზულებიდან.

**ჯვარი**

„ნინოს ცხოვრებას“ ასრულებს იაკობ მღვდელის მონათხრობი „პატიოსნისა ჯუარისათვის“. თხზულების ამ ნაწილში აღწერილია ქართლის მოქცევის დამაგვირგვინებელი აქტის — მცხეთაში ჯვრის აღმართვის ცერემონიალი. იაკობის მონათხრობი ჯვრების აღმართვის შესახებ, ისევე როგორც „ცხოვრების“ სხვა ნაწილები, ადრექრისტიანული აზროვნებისათვის დამახასიათებელი სიმბოლური ენითაა გადმოცემული და მისი შინაარსის გაგება მხოლოდ ამ სიმბოლოების გაგების შემდეგ შეიძლება. ჯვრების აღმართვის ამბავი რამდენიმე ისეთ კალენდარულ მითითებას შეიცავს, რომლებიც გვეხმარება როგორც ჯვრის აღმართვის მთელი ცერემონიალის მსვლელობის აღდგენაში, ისე მისი რელიგიური არსის წედომაში.

„პატიოსნისა ჯუარისათვის“ ასე იწყება: „და იყო რაჟამს მოეკუთა ხეი იგი პატიოსნისა ჯუარისად და მოაქუნდა იგი ათსა ათეულსა კაცსა ზეი ზეი რტოითურთ“. მლოცველთა დიდ პროცესიას ხე ქალაქში შემოუტანია და ეკლესიის სამხრეთ კარიბჭესთან მიუყუდებია. ხე მოუჭრიათ 25 მარტს, პარასკევ დღეს. 37 დღის შემდეგ — 1 მაისს მისგან დაუმზადებიათ სამი ჯვარი, შეუტანიათ ეკლესიაში და იქ ერთი კვირით დაუსვენებიათ. იმ დროს, როცა ჯვრები ეკლესიაში ესვენა, ღამით ზეციდან ჩამოვიდა „ჯუარი ცეცხლისაი დაგვირგვინებული ვარსკვლავითა და დადგრის ზედა ეკლესიასა ვიდრე განთიადამდე“. განთიადისას კი გამოდიოდა მისგან ორი ვარსკვლავი და მიემართებოდა ერთი დასავლეთის, მეორე აღმოსავლეთის მიმართულებით. თავად „ჯვარი ცეცხლისაი“ დგან ბრწყინვალედ და ნელიად-ნელიად განდგის მიერ კერძო არაგუსა და დადგის ბორცუსა ზედა კლდისასა და მუნით აღმადღდის ზეცად“.

წმ. ნინოს რჩევისამებრ მეფემ გაგზავნა ხალხი იმ ადგილების მოსაძებნად, რომლებიც ცეცხლოვანი ჯვრიდან გამოსულმა ვარსკვლავებმა მიანიშნეს. 6 მაისს მთავარი ჯვარი მლოცველებმა გამოიტანეს ეკლესიიდან და ფეთაებრივი

სასწაული მინიშნებული ბორცვისაკენ გაემართნენ. ღამე ლოცვით ათივს წყაროსთან და 7 მაისს, შაბათ დღეს საზეიმოდ აღმართეს მცხეთის ჯვარი. ჯვრის აღმართვა ქართლში ქრისტიანობის გამარჯვების საყოველთაო დღესასწაულად იქცა: „და მუნ აღმართეს ჯუარი იგი დიდებით მეფეთა და მოდრკა მეფე მუხლთათვისთა ზედა და ყოველნი მთავარნი, და ყოველი სიმრაველი ერისაი და თაყუანის-სცემდეს ძლევიტ შემოსილსა ჯუარსა და აღიარეს ჯუარცმული იესო ქრისტე ჭეშმარიტად ღმრთად და ძედ ღმრთისა ცხოველისა“.

ათი დღის ძიების შემდეგ — „პარასკევს შაფათ-ლა განთენდებოდა“ — ჩამოვიდა მეფის მიერ წარგზავნილი ხალხი და თქვეს, რომ „ერთი ვარსკვლავი თხოთის მთას (მეფის მოქცევის ადგილი) დაადგრა, ხოლო მეორე დაბა ბოდს“. (აქ მიცვადა შემდეგ წმ. ნინო). ეს დღე უნდა ყოფილიყო 14 მაისი, 7 მაისის სწორი შაბათი, ვინაიდან მეფის გაგზავნილნი 1-დან 6 მაისამდე წავიდოდნენ მინიშნებული ადგილის მოსაძებნად. 10 დღის ძიების დასასრული შაბათზე მოსულა, რამაც გვაფიქრებინა, რომ მეფემ 4 მაისს გაგზავნა კაცნი და ისინი 14 მაისს დაბრუნდნენ. „ხვალსა დღესა“, ნათქვამია იაკობის მონათხრობში, ორი ჯვარი წაიღეს მცხეთიდან და აღმართეს დანიშნულ ადგილას. „ხვალის დღე“ მაშასადამე იქნებოდა 15 მაისის კვირა დღე.

25 მარტი გაზაფხულის ბუნიობის (დღელამსწორების) დღე, წარმართულ რწმენა-წარმოდგენებში მიჩნეული იყო ცოცხალი ბუნების საგაზაფხულო აღორძინებისა და მცენარეული ღვთაების მკვდრეთით აღდგომის დღედ. ქრისტიანულ ტრადიციაში არსებობს რწმენა იმისა, რომ იესო ქრისტე ჯვარს ეცვა 25 მარტს, პარასკევ დღეს. სწორედ ეს შეხედულება 25 მარტს ქრისტეს ჯვარცმის შესახებ საფუძვლად დაედო ადრექრისტიანულ ქრონოლოგიურ გამოთვლებს (ჯვარცმის თარიღის გაანგარიშებისას) და საღვთისმშახურო კრებულებს. 25 მარტს პარასკევს საჯვარე ხის მოჭრა, ჩვენი ვარაუდით, უფლის ჯვარცმის სიმბოლურ გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს. იაკობის მონათხრობში საგანგებო-

და აღნიშნული, რომ ხის მშენებელი სიმჭვანე მისი მოქმედების შემდეგაც არ დაშვებულა: „და არა შეიცვალა ფურცელი მისი, ვითარცა ძირსა ზედა მდგომარისა თავსა წყაროსასა“. აქ უთუოდ სიცოცხლის, მკვდრებით აღდგომის მოტივი უნდა დაინახოთ.

27 მარტის კვირა დღიდან 15 მაისის კვირა დღემდე ორმოცდაათმა დღემ გაიარა.

50-დღიანი ანუ შეიდგვირიანი დროის მონაკვეთი აღდგომიდან მარტივლამდე, ქრისტიანული ღვთისმსახურების იერუსალიმური ტრადიციის მიხედვით, უძველესი სადღესასწაულო ხანაა. გაზაფხულის ეს შეიდგვირიანი დღესასწაული, რომელიც იერუსალიმში ჯერ კიდევ IV ს-მდე იყო გავრცელებული, საფუძველად დაედო მთელი წლის ღვთისმსახურების მოძრავე სადღესასწაულო ციკლს, რომელიც ასევე 50-დღიან პერიოდებად იყო დაყოფილი. წლის ლიტურგიული ციკლის ასეთი დაყოფა დაადასტურა კ. კეკელიძემ იერუსალიმური წარმომართის ქართულ და სომხურ საეკლესიო კალენდრებში (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ეორტალოგიური წელიწადი, ეტიმოლოგი, წ. I, გვ. 127).

ჩვენი აზრით, „ნინოს ცხოვრების“ იაკობის მიერ აღწერილ თავის სწორედ ასეთი 50-დღიანი სადღესასწაულო პერიოდის ანარეკლი მოჩანს. „პატოსნისა ჯუარისათვის“, ჩვენი ვარაუდით, ამ ტრადიციას ასახავს მისი განვითარების შედეგებით ადრეულ ფაზაში, როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო აღდგომიდან მარტივლამდე 50-დღიანი დღესასწაულის აღქმა როგორც ერთიანი სადღესასწაულო ფაზისა.

ამგვარად, 25 მარტიდან 15 მაისამდე დროის მონაკვეთი ერთიან სადღესასწაულო პერიოდად უნდა ჩათვალოს, რომლის დროსაც მთელი მოსახლეობა ჩართულია საკრალურ დროში და საერთო სახალხო ჯვრის თავგანისცემა მიმდინარეობს. ეს პერიოდი ღვთისმსახურებაში აღქმულია როგორც ქრისტეს მკვდრებით აღდგომის, მისი ამაღლებისა და სულიწმიდის გარდამოსვლის სადღესასწაულო ციკლი. ეს ციკლი ქრისტიანობის ყველაზე მნიშვნელოვან და იმავე

დროულად ყველაზე ადრეულ დღესასწაულებს შეიცავს. ეს დღესასწაულები წამოადგენს იმ დღეთა ხსოვნას, რომლებიც ფაქტობრივად ქრისტეს მრწამსის ქვაკუთხედი. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ახლადმოქცეულები სწორედ ამ პერიოდში ინათლებოდნენ, რადგან ნათლობა ქრისტესთან თანადაფლვისა და მისით აღდგომის სიმბოლო და ნიშანი იყო, ჯვრის აღმართვაც, როგორც ჯვარცმულის აღიარება, ქრისტესთან ზიარების და მასში აღდგომის, ანუ სიცოცხლისა და დიდების მოპოვებას ნიშნავს. სწორედ ამიტომ ჯვრის აღმართვა მცხეთაში ერთგვარი გამეორება, შესრულება იქნებოდა იმ გზისა, რომელიც მაცხოვარმა განვლო ჯვარცმიდან ამაღლებამდე.

ებრაული პასექის 50-ე დღის პენეტკოსტის დღესასწაულის აღსანიშნავად შეკრებილ მოციქულებზე გადმოვიდა სულიწმიდა, რომლის ძალით მოციქულებს „ენამეცნიერება“ მიენიჭათ (იხილეთ სხვადასხვა ენაზე ამტკყველდნენ), რათა მათ ქრისტეს აღდგომა აუწყონ ქვეყნიერებას და ნათლისღებითა და ზიარებით ხსნა მოუპოვონ მას (საქმე მოციქულთა, II). მოციქულთა საკრებულოზე სულიწმიდის გადმოსვლა ქრისტიანულ აზროვნებაში გაიანურება როგორც მკვდრებით აღდგომის საიდუმლოს მოწამლობრივი მისიის მქონე საკრებულოს დასაწყისი. უნდა ვიფიქროთ, იგივე იდეა უფევს საფუძვლად მცხეთაში ქრისტიანული ეკლესიის დასაბამს, ზეციდან „ჯუარი ცეცხლისაის“ გადმოსვლითა და შემდგომ ჯვრის აღმართვით რომ აღინიშნა.

ამგვარად, მცხეთის ჯვრის აღმართვით თხზულებაში სიმბოლიზებულია ქრისტიანული ეკლესიის დასაწყისი, ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვება საქართველოში.

„ნინოს ცხოვრების“ იაკობის მიერ აღწერილი თავის „პატოსნისა ჯუარისათვის“ განხილვამ დაგვანახა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს თვითმზილველის მიერ აღწერილ ჯვრის აღმართვის რიტუალთან. ეს რიტუალი პენეტკოსტის 50 დღიანი დღესასწაულის ქარგაზეა აგებული. ის გააზრებულია როგორც სიმბოლო ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებისა და ქრისტიანული დრო-ფაზის დასაწყისისა საქართველოში.



პურაბ თეგზაპი

## იოანე კეკელიძე და ნიკოლოზ მეთონელი

ათენის ნეოპლატონური სკოლის მეთაურის, პროკლე დიადოხოსის მთარგმნელი, კომენტატორი და აპოლოგეტი, ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი (XI-XII სს.) და პროკლეს შეურიგებელი მოწინააღმდეგე, მანუელ I კომნენოსის ნდობით აღჭურვილი პირი, ორთოდოქსი თეოლოგი ნიკოლოზ მეთონელი (გარდ. დაახლ. 1165 წ.) წარმოადგენენ XII ს. კულტურის ორ საპირისპირო ნაკადს. პეტრიწი მაღალ სქოლასტიკაში რენესანსული ჰუმანიზმის ფილოსოფიური საფუძვლების მომზადებისაკენ მიმართულ ნაკადს განეკუთვნება, ხოლო ნიკოლოზ მეთონელი — „პლატონური ფილოსოფიის“, როგორც ქრისტიანობისათვის მიუღებელის, აღორძინების მოწინააღმდეგის.

წერილის მიზანია ამ ორი მოაზროვნის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ პოზიციათა შედარებით გაარკვიოს ქართველი ნეოპლატონიკოსის ადგილი აღმოსავლეთის ქრისტიანულ ფილოსოფიაში, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ სინათლეს შეიტანს ნიკოლოზ მეთონელის ირგვლივ ხელახლა ატეხილ დავაში. ამ კამათში მკვლევარები ძირითად ყურადღებას მიმართავენ მეთონელის მთავარ ნაშრომზე — „განმარტება პლატონური ფილოსოფიის პროკლე ლიკიელის კავშირნი ღმრთისმეტყველებითნისა“<sup>1</sup>. (1.) პეტრიწისათვისაც მთავარი პროკლეს ამავე ნაშრომის „განმარტებაი“ არის. ნაშრომის სათაურს იგი ასე კითხულობს — „პროკლე დიადოხოსი პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ (2.). მეთონელი და პეტრიწი კომენტირების ერთნაირ მეთოდს მისდევენ. ორივე ბოკლე შესავალში ვგამცნობენ მათი საქმის აქტუალობას, მიზანს და შეხედულებას პროკლეზე, მაგრამ პეტრიწი ყველაფერში ეთანხმება პროკლეს, მეორე კი ციოქმის ყველაფერს უარყოფს, რაც საკუთრივ პროკლესეულად მიაჩნია. ამ მიზნით ისინი ერთნაირად დაწერილებით განიხილავენ პროკლეს „კავშირის“ თავებს, ნათლად განასხვავებენ ტექსტის თარგმანს და საკუთარ კომენტარებს. მეთონელი პროკლეს ტექსტის მხოლოდ 198 თავს განიხილავს, პეტრიწი კი — ყველას (ე. ი. 211). მეთონელს ალბათ არ გააჩნდა ის სრული ტექსტი, რომელიც დაახლოებით 50 წლით ადრე პეტრიწის თარგმანს დაედო საფუძვლად. ნაკლებ სარწმუნოა ის მოსაზრება, რომ მეთონელი დიდხანს წერდა თავის შრომას და დაუმთავრებელი დარჩა (1.XIII). ეს საქმე მას მეტად აქტუალურად მიაჩნდა შინაგანი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად (გარეგან მტრად იგი ლათინურ რწმენას თვლიდა). ამასთანავე, დარჩენილი თავებიც მისი კრიტიკისათვის ისეთსავე მასალას იძლეოდნენ, როგორც მის მიერ განხილულნი.

<sup>1</sup> ამ ნაშრომის სათაურის გაურცვლებული ლათინური და ინგლისური თარგმანი — „კონტრა“ და „რეფუტაციო“ არაა ზუსტი. ვარდა წიგნის შინაარსისა, ამას ადასტურებს „ანაპტიკუსუს“ ბე. ქართული თარგმანი (ეფრემ მცირესი) და რუსული (ეპიკლოვიჩისეული) თარგმანი „საღმთისთა სახელთათვის“-ისა.

ნიკოლოზ მეთონელი ტიპური სქოლასტიკოსია, რომელიც ფილოსოფიას მხოლოდ თეოლოგიის მსახურის ფუნქციას უთმობს და არისტოტელეს იყენებს პლატონის წინააღმდეგ. პლატონი მას ესმის ნეოპლატონური ინტერპრეტაციით, ნეოპლატონიზმის კი, როგორც ცნობილია, შეგნებულად აიგივებდნენ ფილოსოფიას და თეოლოგიას (3, X XV). ამასთანავე მეთონელი ებრძოდა იმ უკიდურეს სქოლასტიკოსებს, ვინც ცდილობდა ლოგიკურად გაერკვია სახარების ყველა ღოგმა, ვინც არ ემყარებოდა იმით, რომ ადამიანი მოეშალებინა მათი შეუძლებლობის მისაღებად. მაგალითად, სოტირის პანტევეენოსს სურდა გაერკვია თუ რას ნიშნავდა ქრისტეს მიერ თავის შეწირვა მამისათვის, იმ დროს როცა ის და მამა ერთი და იგივეა. გამოდის, რომ ქრისტე არის თავის თავის თავის თავისადმი მსხვერპლად მიმტანი ლოგოსი (4.330). ამავე პოზიციას იცავს მეთონელი მეორე შრომაშიც, რომელსაც „თეოლოგიური კითხვები და პასუხები“ ეწოდება. აქ საკითხი იმის თაობაზე, არის თუ არა ღმერთი ბოროტების მიზეზი, განხილულია ხაში მეთოდით; ფილოსოფიურით, მამათა ავტორიტეტის მოშველიებით და აბსურდამდე დაყვანით. პროკლე აქაც გაკრიტიკებულია და ამ ნაშრომსაც ბიზანტიაში პროკლეს ტრადიციის შესასწავლად გარკვეული მნიშვნელობა აქვს (5.256). მისი მნიშვნელოვანი ნაწილი აღებულია VII ს. თეოლოგის თეოდორე რედუენსის შრომიდან (4.331). ზოგი მკვლევრის აზრით, ამ ნაშრომს შევდომით მიაწერდნენ მეთონელს (1, XI). პლაგიატად ითვლებოდა მისი მთავარი ნაშრომიც (განმარტება პლატონური ფილოსოფოსის...). საერთოდ უკანასკნელ დრომდე მეთონელს ბიზანტიური აზრის დაცემის ნიმუშად, დაბალი დონის თეოლოგიად და პროფესიონალ პლაგიატორად თვლიდნენ<sup>2</sup>. ამ აზრს იზიარებდნენ ქართველი მკვლევრებიც (2, I, XLVII). უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ვაუგებრობის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, გადამწერის მიერ მეთონელის უსათაუროდ დარჩენილი ხელნაწერის პროკოპი დაზელისათვის მიწერა და, მეორე მხრივ, XII ს. ბიზანტიური კულტურის ფაქტობრივი ვითარებას შეუსწავლბლობა. ამიტომ იყო, რომ ისეთი მაღალი დონის მკვლევარები, როგორც დ. რუსოს და ი. დრესეკეა, მეთონელის „განმარტების...“ აღრესატს ვერ ნახულობდნენ მისი დროის ბიზანტიაში და ესეც საბუთი იყო მეთონელის პრაქტიკულად დასაბუთებისათვის. დღეს საქმე სულ სხვაგვარად გამოიყურება. მართალი გამოდგა ი. შტიგლმაირის თვალსაზრისი. (კრუმბახერის წინააღმდეგ), რომელიც ცნობილი ვახდა პროკოპი დაზელის სიკვდილის შემდეგ, ე. ი. 529 წლის შემდეგ (6.208). შემდეგ ისიც დადგინდა, რომ მეთონელის ტრაქტატში მოხსენებულია ევსტრატე ნიკეელი, იტალოსის ყოფილი მოწაფე (1, LXI)<sup>3</sup>.

ისეთმა მკვლევარებმა, როგორც არიან გ. პოდსკალსკი, ა. ანგელუ, ლ. ბენაკსი და სხვები, უჩვენეს, რომ მეთონელი ეპისკოპოსი აწრდილებს კი არ ებრძოდა, არამედ „პასუხობდა გამოწვევას“ (1, LXI). პასუხობდა პროკლეს რენე-

<sup>2</sup> მ. გოგიბერიძე მეთონელს პროფესიონალ პლაგიატორს უწოდებდა. მან არა მარტო პროკოპი დაზელი გადმოწერა, არამედ 10 სხვისი ნაშრომიც თავისად მიახალა იმპერატორსო („პრე-ლუდები“, 168). მ. გოგიბერიძე ემყარებოდა კრუმბახერის დასკვნებს, ასევე სხვებიც წყნში. მთავარი ისაა, რომ მეთონელი კი არ გვიჩვენებს ბიზანტიური კულტურის დეგრადაციას (გოგიბერიძე და სხვ.), არამედ ესაა რეაქცია სწორედ გაძლიერებულ ნეოპლატონიზმზე.

<sup>3</sup> რუსული მართლმადიდებლური ეკლესია განსაკუთრებით უმაღლეს მეთონელს „ლათინთა“ რაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და მას XII ს. თეოლოგთა შორის პირველ ადგილს აკეთებებს (20, 108).

სახსს, რომელიც ბიზანტიაში „კაპადოკიელთა რენესანსს“ მოჰყვა და დიდი გავლენა მოახდინა ფსელოსის შემდეგ (5.249-257). ეს იყო ნამდვილი აღორძინება ათენელა სკოლარქისა, რომელსაც VI ს-ში ისეთი მოწინააღმდეგეები ჰყავდა ქრისტიანთაგან, როგორც იყვნენ პროკოპი დაზელი და იოანე ფილოსოფოსი. მხოლოდ ამ ასპექტით თუ ვიმსჯელებთ, ქრისტიანობის მოძულე პროკლეს ყველაზე დიდი დარტყმა „არეოპატიკის“ ავტორმა მიაყენა, როცა მისი აზრები მასწავრა პავლე მოციქულის მიერ მოქცეულ ათენელ დიონისე არეოპაგელს. მაქსიმე აღმსარებლის მცდელობით ამ წიგნმა და შემდეგ „მიზეზთა წიგნმაც“ პროკლეს ადგილი დაიკავეს თეოლოგიაში. ამიტომ პროკლეს ხსენება ისე ქრება .VII ს-დან XI-მდე“, რომ მას მხოლოდ ორიოდე ენციკლოპედისტმა თუ მოიხსენიებს და ისიც შემთხვევით (8.516). სულ სხვა ვითარებაა XI ს. მეორე ნახევარში. ალექსი კომნენოსის კარზე პროკლე ოფიციალურად იყო აკრძალული, ფაქტობრივად კი სულ სხვა სურათს ვხვდავთ: ალექსი კომნენოსის მესამე ვაჟი – ისააკ სებასტიკრატიორი პროკლეთი იყო გატაცებული (1.LIX). იტალოსის და მისი სკოლის დარბევის შემდეგაც, ცხადია, ეს აკრძალვა დიდხანს გრძელდებოდა. მაგრამ აკრძალვა ხომ ასაკრძალავს გულისხმობს? აკრძალვა საყოველთაო ყურადღებას უნებურად მიმართავს აკრძალულზე. ნიკოლოზ მეთონელის წიგნიც ამის დასტურია. იტალოსის პროცესიდან მეთონელის წიგნამდე ითქმის 80 წელი გავიდა და კომნენოსები კვლავ მის წინააღმდეგ იბრძვიან. მანუელ პირველის ახლობელი თეოლოგი ყველაზე რადიკალურ და დაწვრილებით ცდას მიმართავს პროკლეს ქრისტიანული თეოლოგიიდან განსაღვენად. ორთოდოქსი თეოლოგები დიდხანს იყენებდნენ მეთონელს ახალი აზროვნების წინააღმდეგ<sup>4</sup>. მეთონელი ფილოსოფიის ისტორიაში ამ წარუმატებელი შეტევის წყალობით დარჩა არა მარტო თეორიულად, არამედ თუ შეიძლება ასე ითქვას, ფიზიკურადაც. საქმე ისაა, რომ ხშირად მეთონელის „განმარტებას“ მასში მოცემულ პროკლეს „კავშირის“ ტექსტისათვის იწერდნენ (8.513).

20363


ნიკოლოზ მეთონელის ორი ანტილათინური თხზულება ნიკეტა ზონიატის მიერ შეტანილ იქნა კრებულში – „ორთოდოქსიის საგანძური“ (1.XLV). „ფილოსოფიურად, თეოლოგიურად და დიალექტიკურად მძალეანათლებული ეპისკოპოსის“ (8.522) შემკვიდრობის შესწავლას მიეძღვნა 1984 წ. სპეციალური ფილოსოფიური სიმპოზიუმი (5.256).

ფსელოსის მიერ დაწვებული აღორძინება ბერძნული ფილოსოფიისა თანდათან ძლიერდებოდა. მიუხედავად ხელისუფლებისა და ორთოდოქსიის წინააღმდეგობისა, გეორგ გემისტოს პლეთონამდე იგი აღმავალი ხაზით მიდიოდა. მეთონელი მოწინააღმდეგე ბანაკის იდეოლოგი იყო, თანაც ისე მიღებული, რომ მის არგუმენტებს ხშირად დაუსაზღვრებლად იყენებდნენ.

მთელი დაპირისპირების მიუხედავად, პეტრიწი და მეთონელი ერთნაირად მიიჩნევენ, რომ მთავარი მნიშვნელობა იმდროინდელი ფილოსოფიისა და თეოლოგიისათვის აქვს პროკლეს ნაშრომს – „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“. მეთონელი მხოლოდ მას იხილავს. ქართველი ნეოპლატონიკოსი უფრო ფართოდ უდგება საკითხს. იგი ამ შრომის შინაარსის გასარკვევად იყენებს პროკლეს სხვა სეროიულ შრომებსაც, თუმცა არავითარ ყურადღებას არ აქცევს დიადოხოსის

<sup>4</sup> ნიკეფორე ბლემიდემ ლექსი მიუძღვნა მის მოღვაწეობას 1157 წ. კონსტანტინეპოლის კრებაზე, სადაც ქრისტეს მიერ საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის გავება აღინიშნებოდა (20. 91); მსხვერპლიც თავად იყო და იხიც, ვისაც შეეწირათ.

2. „რელიგია“ № 3.



მოძღვრებას ქალდეელებზე, ასევე მის გატაცებას თურგითა და მაგიით, რასაც პროკლეს მოწაფე და ბიოგრაფი მარინი (VI ს.) სპეციალურ ყურადღებას უთმობს. (9.489).

მეთონელის მიერ პროკლეს მკაცრი და დაწერილებითი კრიტიკა ცოცხალ და თანაც მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებს გულისხმობდა. ამავეს იგი ნათლად ლაბარაკოს თავისი შრომის წინასიტყვაობაში. ი. შტივლმაირი, ე. დოდსი, ი. პოდსკალსკი, ა. ანგელუ და ლ. ბენაკისი ჭეშმარიტად მიიჩნევენ ამ ცნობას. პროკლეს ქართული თარგმანი პეტრიწის მიერ და განსაკუთრებით მისი ვრცელი კომენტარები აძლიერებენ ამ პოზიციას. ის ფაქტი, რომ მეთონელის სიკვდილიდან თითქმის 70 წლის შემდეგ, კერძოდ 1248 წ. სიმეონ ფხინბაძანქელმა ქართულიდან სომხურად თარგმნა „კავშირნი“ (12.113), არ არის უმნიშვნელო იმის დასადგენად გრძელდებოდა თუ არა პროკლეს გაულენა. საქართველო, ისევე როგორც სომხეთი, ბიზანტიური კულტურის გავლენას განიცდიდა და მთელი სპეციფიკის მიუხედავად პერიფერიის „მოლა“ გარკვეულად ასახავდა მეტროპოლიის განწყობას.

როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში არსებობდნენ პროკლეს მაზის მოწინააღმდეგეები. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ასეთები იყვნენ არა წარტო არისტოტელიკოსები არსენ ივალთოელის მეთაურობით ანდა „არეოპაგიტული“ მიმდინარეობის წარმომადგენლები ეფრემ მცირის სახით, არამედ „უბრალო“ გადამწერნიც. მაგალითად, პროკლეს „კავშირნის“ ქართული თარგმანის და კომენტარების გადამწერი XIII ს. აღნიშნავს, რომ სახიფათო საქმეს შეუდგა, მაგრამ თავს იმით იმართლებს, რომ დიდი თეოლოგებიც იყენებდნენ ფილოსოფიას თეოლოგიის სასარგებლოდ. რაგინდ არ უნდა შევეჩვიდეთ ამ გადამწერის ფილოსოფიურ კომპეტენტურობაში (რაც „უდავოა“ თუ ტექსტში „ამის წიგნისგან“ გამოირიცხულია წაკითხული იქნას როგორც „ამგვარ წიგნისგან“) ის მაინც ფაქტია, რომ იგი საქართველოში გარკვეულ დანიტერესებულ პირთათვის ასრულებდა ამ სამუშაოს და იმასაც კარგად ხედავდა, რომ ეს საქმე მთლად უსაფრთხო არ იყო (2.11.9).

ა. ანგელუს იმ ფაქტიდან, რომ მეთონელი პროკლეს მთელი შემოქმედებიდან სწორედ ამ ტრაქტატს უარყოფს და თანაც ყოველ თავს და ყოველ ძირითად დებულებას, გამოჰყავს დასკვნა, რომ „ეს ბერძნული ტექსტი უბრალოდ კი არ იკითხებოდა, არამედ დეტალურად შეისწავლებოდა“. მაგრამ ისწავლებოდა თუ არა იგი სასწავლებლებში მთელი XII ს. ამის თაობაზე ცნობები არაა (იტალიოსის მეძვიდრე თეოდორე სმირნელიდან, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ „იბატოსად“ მიქაელ ანხილუს დანიშვნამდე (1.LVIII) : 170 წელს. სწორედ ამ პერიოდზე ამბობდა მიქელ ხონიატე, რომ ფილოსოფია გამოირიცხა ადამიანთა ცხოვრებიდან; ხოლო გეომეტრიას მხოლოდ ობობები თუ იყენებდნენო (1.LIV).

პეტრიწის კომენტარები უფლებას გვაძლევს უდავოდ მივიჩნიოთ, რომ სწორედ ამ პერიოდში საქართველოში ისწავლებოდა „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ (2.11.6). პეტრიწი სპეციალურად ეხება საკითხს „თუ ვითარ ჯერ არს

<sup>5</sup> რაც შეეხება ისტორიულ პირთა თანამიმდევრობის აღრევას, საქმე არც აქ არის მარტივი. თანამიმდევრობას ყოველთვის წლები არ განსაზღვრავდა, მაგ., მაქსიმუს მიერ აღწერილ „დვთის-შრობის ცხოვრებაში“ (ეფრემის თარგმანი) ამ თემაზე სხვა ავტორები ასეა აღწერილი: გრიგოლ ნეოკესარიელი სასწაულმოქმედი, ათანასე აღექსანდრიელი, გრაგოლ ნოსელი, დიონისე არეოპაგელი (21. 86).

ამათ სასწავლოთა წიგნთა კითხვა“ (იქვე) და მთელი ტექსტის მანძილზე არ ავიწყდება შრომის პედაგოგიური ასპექტი.

როგორც ჩანს ნიკოლოზ მეთონელი კარგად ხედავდა საფრთხეს, ფიზიკლად იცავდა თავის პოზიციას. იგი ხედავდა, რომ ფსელოსის ხაზი ოფიციალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებული, პერიოდული დამარცხებების მიუხედავად, თანდათან ძლიერდებოდა. იგი გრძნობდა რომ „ელინებისადმი“ დათმობა აქ არ შეჩერდებოდა. ამ ხაზმა მართლაც პლეთონის (1355-1452) ნეოპლატონიზმამდე და ჰუმანიზმამდე მიგვიყვანა, რომელიც ელინური თეოლოგიის სახით უპირობოდ აღადგენდა ქრისტიანობაში მითოლოგიას. პლეთონის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც მის სიცოცხლეშივე დაიწყო, დიდხანს გრძელდებოდა. პლეთონის „კანონები“ 1460 წ. საჯაროდ დაწვეს, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ ცნობილი ორატორი მანუელ კორინთოსი (გარდ. დაახლ. 1551) სპეციალურ ნაშრომს ქმნის პლეთონის და მისი მოწაფის ბესარიონის წინააღმდეგ, სადაც უხვად იყენებს მეთონელს, მაგრამ არ ასახელებს (I.XLV).

პლეთონმა დიდი საქმე გააკეთა იტალიური რენესანსისათვის. რენესანსის წევრეარებს სრული უფლება ჰქონდათ ეთქვათ, რომ ფიჩინოს მიერ პლატონის ბიუსტის წინაშე დანთებული ლამპრისათვის ზეთი ბიზანტიიდან იყო მიტანილი“ (1.3.72). მაგრამ მიუხედავად პლეთონისადმი დიდი პატივისცემისა იტალიაში ფილოსოფიური რენესანსის მესვეურებს, ნიკოლოზ კუზანელსა და მარსილიო ფიჩინოს, ასევე უნივერსალური სინთეზის თავგამოდებულ დამცველს პიკო დელა მირანდოლას მითოლოგიით ასეთი გატაცება არ გაუზიარებიათ. მათ ისევ არეოპაგელის გზა აირჩიეს, როგორც საკუთრივ პროკლეზე გადასასვლელი. არც ბერძენ ბასილემ ბესარიონს, შემდეგ კარდინალად ნაკურთხს, არ მიუღია მასწავლებლის „წარმართული პლატონიზმი“, მასში ქრისტიანობისაგან დამოუკიდებელ ღირებულებას კი არ ხედავდა, არამედ პროკლეს თვალთ დაწახულ პლატონს უთანხმებდა ქრისტიანობას (13.72).

პეტრიწი ხედავს განსხვავებას ტრადიციულ პლატონსა და პროკლეს მიერ მის ინტერპრეტაციას შორის. მისი აზრით, ჭეშმარიტი პლატონიზმი სწორედ ეს არის. თავად პლატონისათვის სასურველი (2.11.5). ინდუქციური დასკვნის უფლებით შეიძლება ვთქვათ, რომ პეტრიწი, ალბათ, ერთადერთია შუა საუკუნეებში, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის და შეფარვის გარეშე იღებს პროკლეს „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნისა“ და პლატონზე პროკლეს სხვა კომენტარების შინაარსს.

ელინური პოლიტიკიზმის პროპაგანდას პეტრიწამდე და პეტრიწის შემდეგაც აბრალებდნენ მოაზროვნეებს. ზოგი ამას ითვალისწინებდა და შეფარვით იყენებდა პროკლეს. როგორც ცნობილია, „არეოპაგეტიკის“ ავტორმა პროკლე ყერთოთოსის სახელს ამოაფარა, თანაც არსებითად შეცვალა მისი მსოფლმხედველობა. ფსელოსი, იქაც კი სადაც პროკლეს შეუდარებელს უწოდებს (იმ კაცად მიაჩნია, ვინც დაასრულა პლატონის თეორია), იქაც ამტკიცებს, რომ პროკლეს შესწავლის შემდეგ საჭიროა უფრო მაღალ სიბრძნეზე ავიდეთ, სახელდობრ, „პირველ ფილოსოფიაზე“, რომელიც საბოლოო მიზანია, როგორც ზეარსისა და ზეაზრითის შემსწავლელი. გაუგებარია თუ რატომ არ თვლიდა ფსელოსი, პეტრიწისაგან განსხვავებით, ამგვარად ნეოპლატონურ ერთს. შეიძლება მას სავალდებულოდ მიაჩნდა ბერძნული ფილოსოფიის პავლე მოციქულისეული შეფასება გამართლებია და ამიტომ სიკეთისა და ერთის გაიგივება პლატონის, პლოტინის

და პროკლეს მიერ ჩათვალა იდეათა სამყაროში როგორც ჭეშმარიტი ღმერთის შექმნილის სფეროში დარჩენად? ამდენად პროკლეც ვერ გადის შექმნილის სფეროს მიღმა, ვერ მიდის ჭეშმარიტ შემოქმედამდე (14, 80-81). იტალონიც, მიუხედავად მისი ვაბედულებებისა, მუდამ დისტანციას ინარჩუნებს „ბერძნებთან“. ამიტომ აღნიშნავენ, რომ პროკლეს ამ დროის ბიზანტიაში „თავშეკავებით აქებდნენ“ (1.LVIII). პეტრიწისათვის ამგვარი რამ გამორიცხულია. იგი ეკლესიის მამების დონეზე აყენებს პროკლეს. ეს მით უმეტეს საყურადღებოა, რომ საქართველოს თვითმპყრობელი და პეტრიწის მწყობრებული დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისა“-ში იზიარებს (აღბათ არსენ იყალთოელის გავლენით) ტრადიციულ ბრალდებას „ბერძნების“ მიმართ: „ელლინთა მიერ ვერ ცნობაი სიბრძნითა ღმრთისათა ღმრთისაი და შემოქმედისაგან შექმნილთა მიმართ ცვალებაი თაყვანისცემისაი სრულყვაჲ“. ამგვარი მრწამსის კაცის მეფობისას პეტრიწის მოღვაწეობის ფაქტი კიდევ ერთი საბუთია დავითის შემწყნარებლობის და მაღალი კულტურისა.

პეტრიწი აშკარად ებრძვის ყველა მათ, ვინც პროკლეს მიერ გაგებულ პლატონში მრავალღმერთიანობას ხედავს. ქართველი ნეოპლატონიკოსი მათ პირდაპირ უფიცობას აბრალდებს: „სად არიან რომელინი შეასმენდნენ ბრძენთა, ვითარ მრავალღმერთეებისა მეტყუელთა და დანანარდებიან თვსთა უმცერებითა ტყუილ დაღუქვათა ზედა“ (2.11.155). ამით პეტრიწი უპირისპირდება არისტოტელურ მიმართულებას სქოლასტიკაში, რომელიც ფილოსოფიაში მხოლოდ იარაღს, ორგანონს ხედავდა თეოლოგიისათვის და ამ მიზნით ყველაზე წინ არისტოტელეს აყენებდა. პეტრიწი უპირისპირდება ამგვარ მიმართულებას და არა არისტოტელეს, რომელსაც იგი პლატონს უკვემდებარებს და დიდად აფასებს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ პეტრიწი უპირისპირდება „არეოპაგიტის“ მიმდევრებსაც. შეიძლება ითქვას, რომ პეტრიწი პროკლეს „არეოპაგიტის“ ავტორისაგან აშკარად განსხვავებული გზით ითვისებს. მეთონელიისათვის კი პროკლე მხოლოდ იმდენადაა მისაღები, რამდენადაც არეოპაგელს ეთანხმება. მეთონელისა და პეტრიწის პოზიციათა განსხვავების ეს ასპექტი მნიშვნელოვანია როგორც შუა საუკუნეებიდან რენესანსისაკენ სვლის გასარკვევად, ისე აღმოსავლეთის ქრისტიანობაში „არეოპაგიტის“ როლის სპეციფიკის დასადგენად.

მეთონელი პროკლეს წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ თვლის „არეოპაგიტის“ ის გარემოება, რომ მან შეამჩნია მსგავსება პროკლეს „კავშირისა“ და „არეოპაგიტის“ შორის, მეთონელი ეპისკოპოსის განსწავლულობასა და დაკვირვების უნარზე მეტყველებს. პროკლე მას „არეოპაგიტის“ ავტორის არაერთოდ მოწაფედ მიიჩნია. მსგავსება თომა აკვინელმა და ნიკოლოზ კუზანელმაც შეამჩნიეს, მაგრამ მეთონელმა ეს გაცილებით ადრე გააკეთა. მანამდე ბევრი კითხულობდა ორივე ამ ავტორს, მაგრამ მსგავსებას ვერ ხედავდნენ. საერთოდ მიღებული იყო, რომ „არეოპაგიტის“ ქრისტიანული სიბრძნის უპირატეგოტიკისა“ გავრცელებული იყო, მაგალითად, გეორგე თორნიკე ანა კონსტანტინის დროსაც აღნიშნავს, რომ იგი პროკლეზე მეტად დიონისეს და იეროთეოსს აფასებდაო (1.LVII).

პეტრიწი არ ახსენებს „არეოპაგიტის“, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას დავუშვათ, რომ იგი არ იცნობდა ამ საყოველთაოდ ცნობილ ნაშრომს, რომელიც უკვე ქართულადაც იყო თარგმნილი ეფრემ მცირეს მიერ. პეტრიწის კო-

სენტარების და „არეოპატიკის“ ქართული თარგმანის შედარება, ჩემი აზრით, ეჭვს არ ტოვებს, რომ პეტრიწი კარგად იცნობდა ამ ტექსტს და შეგნებულად ემიჯნებოდა „არეოპატიკის“ ავტორის პოზიციას. ამ მოციქულის ტოლი ავტორიტეტის მქონე კაცს პეტრიწი ანონიმურად აკრიტიკებს. ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დაგვესახელებია ფილოსოფოსის დანიშნულების განსაზღვრა პეტრიწთან, როგორც შესაქმის მესაიდუმლესი (2.11.78). „არეოპატიკა“ ამ როლს თეოლოგს ანიჭებს, ხოლო ფილოსოფოსისათვის სხვა დანიშნულება შეცოუნახავს, რომელიც არაა საკმარისი ამგვარი საიდუმლოს გასაგებად. მეშვიდე ნაისტოლე აპოლოფანის (18.50) როგორც ფილოსოფოსის გავების საზღვრად თვლის არსებულის შემცენების საფუძველზე ხედვის ღვთისკენ წარმართვას, ხოლო ამ ხედვის მიზანი, „დიდისა პავლესა მიერ სიბრძნედ საღმრთოდ წოდებული“, რწმენის საქმეა (15.237).

პეტრიწის მიერ პროკლეს ინტერპრეტაცია არსებითად განსხვავდება „არეოპატიკისაგან“. იგი მრავალი ასპექტით ჰგავს XV ს. იტალიაში გაშლილ პროკლეს რენესანსს, რაც იტალიელების მიერ პლატონის რენესანსად იყო მიჩნეული. პეტრიწის პოზიცია იტალიურისაგან განსხვავდებოდა „არეოპატიკისაგან“ ცნობიერი გამიჯვნით. ცნობილია, რომ მარსილიო ფიჩინო „არეოპატიკის“ ავტორს „უდიდეს პლატონიკოსს“ უწოდებდა (16.16) ჩანს, მას არ უნდოდა დაენახა ის უდიდესი ცვლილება, რაც ქრისტიანმა ავტორმა შეიტანა ნეოპლატონიზმში. „არეოპატიკაში“ ღმერთი პიროვნებაა, აქვს თავისუფალი ნება, ჯვარს ეცვა და აღდგა. მას შეუძლია მის მიერ შეცვლილი სამყაროს წესრიგის შეცვლა. მისი ღმერთი პრინციპულად განსხვავდება საერთოდ „ელენთა“ ღმერთისაგან. მას სწამს, რომ პავლე მოციქული მესამე ცაზე აიყვანა ღმერთმა და მან „საიდუმლო იხილა“ (15.136). უცნობი ავტორი სქოლასტიკური მეთოდის წინამორბედაა. იგი უარს ამბობს ახლის ძიებაზე (15.26) და სხვ. ყოველივე ამას პეტრიწი უარყოფს. იგი პავლე მოციქულის საქმესაც ახლებურად გაიაზრებს, ხოლო ფილოსოფიას და თეოლოგიას ერთმანეთს გაუიგივებს.

საქართველოში „კაპადოკიელთა რენესანსს“ მოჰყვა „არეოპატიკის“ თარგმნა, რაც წინ უსწრებდა და ამზადებდა პროკლეს რენესანსს. ბიზანტიაში კი — „არეოპატიკამ“ და მაქსიმე აღმსარებლის კომენტარებმა მოამზადეს „კაპადოკიური რენესანსი“, რომელიც უფრო მეტს უფლებებს აძლევდა ანტიკურ ფილოსოფიას. პეტრიწმა პროკლეს „კავშირის“ თარგმნითა და კომენტარებით უშუალოდ პირველწყაროებს დაამყარა ქართული კულტურა. მან ქრისტიანობის წიაღში ანტიკური ფილოსოფიის როგორც მსოფლმხედველობის შემოტანით აღორძინების საჭიროების ცნობიერება მოამზადა, XII ს. ქართული კულტურის დიდი აღმავლობის ფილოსოფიური საფუძველი შექმნა.

მეთონელის მთელი საქმიანობა ამგვარი ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის ხელის შეშლას ისახავდა მიზნად. პეტრიწი და მეთონელი პარადიგმულად გამოხატავენ ორ მიმართულებას მაშინდელ კულტურაში. არა მარტო საერთო განწყობით, არამედ ფორმითაც და არგუმენტების მოშველიების წესითაც მეთონელის შრომა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს იგი პეტრიწის კომენტარების წინააღმდეგ იყოს დაწერილი. მეთონელისათვის პროკლესი ყველაფერი მიუღებელია, რაც მას „არეოპატიკიდან“ „შობარული არ ჰქონია“ (1.117). ორივენი, პეტრიწიცა და მეთონელიც, რეალურ მოწინააღმდეგეებს ებრძვიან. ერთი ახლის საფუძველებს ადგენს, მეორე — ძველის შენარჩუნებას ცდილობს. მათი შეპირისპირებული ანალიზით უკეთ ჩანს ეპოქის კულტურის სახე და თითოეუ-

ლის ადგილი ამ კულტურაში. ერთი მხრივ, პეტრიწი გვეხმარება, რომ მე-  
ოთხეულ ეპისკოპოსს უმისამართო კრიტიკოსის და ფანტომებთან მეტროპოლის  
პრალდება ავაცილოთ, მეორე მხრივ, მეთონელის მოღვაწეობის გათვალისწი-  
ნება საშუალებას გვაძლევს ბიზანტიური კულტურის ფონზე უფრო ზუსტად  
დავადგინოთ პეტრიწის მოღვაწეობის მნიშვნელობა. და მისი ჩივილიც ბერმენ-  
თა და ქართველთა მიმართ უკეთ გავიგოთ.

### მეოთხეული ლიტერატურა

1. Nicholas of Methone, Refutation of Proclus' Elements of Theology, by A. D. Angelou. Athens, 1984.
2. იოანე პეტრიწის შრომები. ტ. I. თბილისი 1941, ტ. II, ტფილისი 1937.
3. Die Philosophie des Neoplatonismus, Hrsg. C. Zintzen. Darmstadt, 1977.
4. Kirchenlexikon oder Enzyklopedie der katholischen Theologie... B. IX. Freiburg im Brisgau, 1895.
5. Benakis L., Neues zur Proklos-Tradition in Byzanz./in-„Proclus et son Influence“. Ed. du Grand Midi, 1985.
6. პროკოფი დაზული პეტრე იბერის ბიოგრაფის — ზაქარია რიტორის შმა იყო (Культура Византии, I У первая половина V, II в. М., 1984, 223). პონიგმანი ფსევდო-არქეპაგელის წიგნების „ითომის ვეფლავან ერთბაშად“ გამოჩენის თარიღს ცოტას ცვლის და მას 520-530 წლებში აქცევს (თ. ს. უ. შრომები, ტ. 59, 1955, გვ. 63).
7. ეგვტრატე წიგნების (1050-1120), იტალიის ამ გაბეღული მოწაფის ხსენება მეთონელის ტექსტში საკამათო იყო. ი. დრეზუცეს აზრით, აქ ეგვტრატე წამებული იგულისხმება. ა. ანგელუმ დაასაბუთა, რომ აქ ფილოსოფოსზეა ლაპარაკი და განსხვავებული დაშვება ტექსტის გაუგებრობას ემყარება. (I. IX). ეგვტრატეს კომენტარებს არისტოტელეზე ჟურნალდება ემცეოლა არა მართო ბი-  
წანტიაში, არამედ დასაუღეთშიც. (იხ. შუა ხაუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები. ნაწ. 1. თბილისი 1981, გვ. 208). ეგვტრატე ენება დიონისე არქეპაგელს, მაგრამ არაფერს ამ-  
ბნის პროკლესთან მის მიმართებაზე.
8. Podskalsky G. Nikolaos von Methone und die Proklosrenaissance in Byzanz (in-Orientalia Christiana periodica, 42, 1976).
9. Диоген Лаэртский, О жизни, учениях и изречениях знаменитых философов, М. 1979.
10. John Philoponus, De Aeternitate Mundi contra Proclum. (Ed. H. Rabe. Leipzig, Teubner, 1899).
11. ვეკლაძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ., 1980.
12. Марр Н. Я., Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века СПб., 1909.
13. Медведев И. П., Византийский гуманизм, XIV—XV вв. Л. 1977.  
გორგი სეოლარი (შემდგომში პატრიარქი გენადიოსი) პროკლესგან პლაგიატს აბრალებდა პლეთონს (იხ.—Klibansky R., Ein proklos Fund. Heidelberg, 1929).
14. Михаил Пселл, Хронография, М. 1978.
15. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არქეპაგელი). შრომები. თბ., 1980.
16. Lupton J. H., A Life of John Colet, London, 1909, p. 16.
17. თუზაძე გ., პავლე მოციქული პეტრიწის კომენტარებში (საღვთისმეტყველო კრებული, № 12, თბ., 1981).
18. Э. Хонигман, Петр Ивер и сочинения Пс. Дионисия - Ареопагита (Труды Тбилисского государственного университета, т. 59, 1955).  
პონიგმანის აზრით, „არქეპაგეტიკაში“ ნახსენები ფილოსოფოსი — აბოლოლოფანი ფარაკს ამო-  
ნაუს ერმისის, ანდა მისი ძმის კელიდიდორეს სახელს, ე. ი. პროკლეს შემდგომი ნეობლატონური  
ფილოსოფიის უმაღლესი დონის წარმომადგენლებს (აქვე გვ. 60).
19. აღექვიძე ლ., პროკლეს „საქმინის“ 122-ე თავის ნიკოლოზ მეთონელისეული ინტერპრე-  
ტაცია, „მაგნე“ ფ. ფ. სერია 1990, № 3.
20. Иеромонах Павел (Черемухин), Константинопольский Собор 1157 г. и Николай, епископ Меффонский.
21. „არქეპაგეტიკული კრებული“ (ი. ლოლაშვილის გამოცემა) თბ., 1983.



# ადმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანული მისტოკა

ჩვენი მკითხველისათვის, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მისტიკური ლიტერატურის გაცნობა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა ადმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანულ ეკლესიათა წიაღში, მით უმეტეს, რომ ჩვენ, ქართველებს, ამის მდიდარი ტრადიცია გავაჩინია: არსებობს ჯერ კიდევ მე-7 საუკუნეში შექმნილი ქართული ორიგინალური ასკეტურ-მისტიკური ხასიათის თხზულება და განსაკუთრებით მდიდარი თარგმნილი ლიტერატურა ამავე ხასიათისა.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ დასავლური ქრისტიანული მისტიკის ნიმუშებს, სოლო შემდეგ ნომერში გამოვაქვეყნებთ ჩვენი, მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში შექმნილ მისტიკური ლიტერატურის ძეგლებს.

რ ე ლ ა ქ ტ ო რ ი

## გერმანული მისტიკოსები\*

რ ჩ ე უ ლ ი ტ ე მ ს ტ ა ე ბ ი

ა ა მ ს ზ ა მ ა ბ ი

დავით აუგსბურგელისა, დიონისე კარტიოზურისა, მაისტერ ეკპარტიხა, ელიზაბეთ შიონაუელისა, გერტრუდ დიდისა, გიზელჰერ ზლატჰაიმელისა, კილდეგარდ ბინგენელისა, იორდან საქსონელისა, მესტილდ პაკებორნელისა, მესტილდ მაგდეურგელისა, თომა ჭემფიელისა, ნიკოლოზ კუნანელისა, იოანე რუისბრუკისა, ჰაინრიხ სუზოსი, იოანე ფონ შტერნგახისა, იოანე ტაულერისა.

გამოცემა და შესავალი გუნდოლუზ გიერათისა

ციურიხი - კიოლნი, 1977

გერმანულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ\*\*.

\* პირველად დაიბეჭდა „საღვთისმეტყველო კრებულში“, № 13, 1983, ფართო მკითხველამდე არ მისულა, რადგან ჟურნალის ტირაჟი სულ 200 იყო და ზევიდან ეწერა „სამსახურეობრივი მოხმარებისათვის“. რედ.  
\*\* იბეჭდება შემოკლებით. რედ.



შინაარსი

შერღვენილი წინასიტყვაობა	25
შესავალი I. მისტიკა, როგორც ელემენტი ღვთისმოსაობისა	27
1. ჭეშმარიტი და ვაღბი მისტიკა	27
2. მიზანი და გზები მისტიკისა	30
3. მისტიკური ფენომენები	32
4. მისტიკისადმი მოწოდება	35
11. გერმანული მისტიკა	37
1. გერმანული მისტიკის აღმოცენება	38
2. გერმანული მისტიკის ნიშან-თვისებანი	40
ა. სქოლასტიკური დაფუძნება	40
ბ. ნეოპლატონიკური ელემენტი	41
გ. გერმანული ენა	42
დ. განმცდელი სული	44
3. გერმანული მისტიკის ისტორია	46
ა. მიმოხილვა	46
ბ. ბიოგრაფიული ცნობები	47
სიტყვათა განმარტება	53

რჩეული ტემატები

1. ღმერთი ვეველაფერი - ვოველეუჟი	54
1. ღვთის გამოცხადება, ღვთის ვეველან სუფევა	55
ღვთის სიღვინდე და მშვენიერება	56
ღვთის სიყვარული	57
ღვთის მოწოდება	61
ღმერთი ჩვენში	62
2. აღაძიანის პასუხი	64
სიხარული ბუნების მიმართ	64
მოთხოვნილება ღვთისა	65
ღმერთზე მინდობა	67
ღვთის ნების აღსრულება	69
მადლიერება და ქების შესხმა	71
3. მისტიკოსები თავიანთი თავის შესახებ	74
პილდევარდ ბინგენელი	74
ელიზაბეთ შიინაუელი	75
მეხტილდ მაგლებურჯელი	77
პაინრის სუზო	78
11. განწმენდილი ცხოვრება	79
1. აღაძიანი ღვთის ნების შესაბამისად	80
ჭეშმარიტი აღაძიანის შესახებ	80
სიმშვიდე თვითუარყოფისა	82
შინაგანი მშვიდობა	84
ცხოვრების წესები	87
2. კოთილისმყოფელობა	88
არწმენა	88
სიყვარული	90
მორწინდება	92
თავმდაბლობა	93
3. ღმერთი ვოველღვთისობაში	94
შრომა ჭ პროფესია	94
იგადმყოფობა	96



## შედეგების წინასიტყვაობა

წინსვლითა და აშქვეყნიური კულტურით, რაციონალიზმითა და მატერიალიზმით ძალუმაღ შეპყრობილ ჩვენს დროში მისტიკაზე საუბარი, პირველი შესედეითა და ზედაპირული დაკვირვებით, მოსჩანს როგორც ცხოვრებისაგან განდგომა, არათანადროულობა და არააქტუალურობა. შესაძლოა გვისაყვედურონ, რომ ჩვენს ფხიზელ აწმყოში, რომელიც თითქმის მთლიანადაა დაკავებული საქმიანობით და არა არსებითით, რომელიც თაუქუდმოგლეჯილი ილტვის ზიანლეუბისაუენ და ძველის დამსობისაუენ და რომელიც შეპყრობილია ეგრეთწოდებული მენეჯერული ავადმყოფობით — თემა „მისტიკით“ საუკუნეებით გარდასულ სამუაროს გაუადვიებთ, რომელსაც დღეს აღარავითარი უფლება არა აქვს არსებობისა. ზშირად მისტიკაზე აქუთ ბუნდოვანი და ამით არაბწორი წარმოდგენა და მას თვლიან ქვეყნიდან დაშორებად, ცხოვრებისათვის გამოუხადგვრობად და აგრეთვე რელიგიურ ფანტაზიორობად, რომელსაც თან ხდევს გარკვეული ელფერი რომანტიზმისა და რომელიც აგრეთვე ზოგჯერ დაკავშირებულია ოკულტურ ლტოლეუბთან. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მას დღეს?! რაიმე ამდგავარისათვის ჩვენ არ გავგაჩნია არც დრო და არც ინტერესი. ჩვენ იბულებულნი ვართ დღეთა სიდუსჭირისა და ცხოვრების სიმწელის გამო აწმყო თავისი კონკრეტული პრობლეუბებით ისე მივიდოთ, როგორც იგი არის; ჩვენ დღევანდელი სიტუაცია უნდა მივიდოთ და დაუძლიოთ, თუკი საერთოდ გვსურს თანამედროვენი ვიყოთ და სხვებს არ წამოვრწეთ.

მიუხედავად ამისა, შეიძლება სწორედ მისტიკოსებმა და განსაკუთრებით გერმანელმა მისტიკოსებმა რაიმე გვაუწყონ. ამით არ მტკიცდება და არც მინიშნებულია, რომ ჩვენ ყველანი მისტიკოსები უნდა ვიყოთ ან გავხდეთ. მაგრამ ჩვენი ცხოვრების წესისათვის და აწმყოს პრობლეუბებთან ჩვენი მიმართებისათვის მაინც შეგვიძლია ზოგიერთი რამ მისტიკოსებისაგან, პირველ ყოვლისა ჩვენი გერმანელი მისტიკოსებისაგან, ვისწავლოთ. ჰარმონიული შინაგანი ცხოვრების იმ ეპოქას შეეძლო დიდად შეეწყო ხელი სულთა სიცხადის, გამაგრებისა და მათი შერიგებისათვის. ჩვენი კულტურის ახალი ორიენტირება, რომელზედაც ამდენს მსჯელობენ, უნდა დაუკავშირდეს ჩვენი წარსულის კეთილ სიძველეს. იგი გვიჩვენებს, რომ რელიგია ადამიანებში უდრმესი და შინაგანად აუცილებელია და იგი უნდა წარმოადგენდეს მთელი ჩვენი სიცოცხლის საყრდენს საფუძველს, ანდრე მარი ამპერმა, ერთ-ერთმა უდიდესმა ბუნებისმეცლევარმა მე-19 საუკუნისა, ორმოცდასამი წლის ასაკში, სამი წლით ადრე თავისი ელექ-



ტროღინამიკური თეორიის გამოქვეყნებამდე, ასეთი რამ დაწერა: წმინ-  
წავლე ამ საშყაროს საგნები, ეს შენი პროფესიის მოვალეობაა, მაგრამ მიაპ-  
ყარ მათ მხოლოდ ცალი თვალი, ხოლო მეორე მუდმივ გქონდეს მიმართუ-  
ლი მარადიულ სინათლეზე! უსმინე სწავლელებს, მაგრამ მხოლოდ ცალი  
ყურით! წერე მხოლოდ ერთი ხელით, მეორე კი ჩახჭიდე ღვთის სამო-  
ხელს, ისევე, როგორც ბავშვი ებლაუჭება მამის ტანსაცმელს! ამ წინდა-  
ხელულების გარეშე შენ ნამდვილად კლდიდან გადაიჩეხები! ღმერთთან და-  
კავშირებული სიცოცხლე, როგორც ეს განსაკუთრებული გამომსახველო-  
ბით მისტიკოსებმა გვიჩვენეს, გვაძლევს ხსნის საშუალებას ჩვენი დრო-  
ის უმთავრეს ვნებათაგან; მატერიალისტური აზროვნების მანერისა და გა-  
რე საშყაროზე უსაზღვრო მინდობისაგან. ისინი ამავე დროს გვეხმარებიან,  
რათა გულის სიღრმეში ადგილი დავუთმოთ ცოცხალი ღმერთის საუნჯეთ.



*[Faint, illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page]*



## შესავალი

### I. მისტიკა როგორც ელემენტი

#### ღმთისმოსაზრებისა

„მისტიკა“ მომდინარეობს ბერძნული ზმნიდან „მიეინ“. ეს ზმნა ნიშნავს „დახურვას“, „თვალთა დახუჭვას“. ზოგადად კი — გრძობათა დასშობას. სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით, მისტიკოსად მიიჩნეულია ადამიანი, რომელიც ყოველგვარ გარეგან შთაბეჭდილებათაგან თავისუფლდება, რომელიც გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ ყველა ბიძს ამსხვრევს, რათა შინაგან კონცენტრაციას მიაღწიოს, მთლიანად უსასრულო ღმერთში ჩაიძიროს და მასთან ინტიმური, განმარტობებული დიალოგი აწარმოოს. აქ პოეზებს ძაძიებელი გული სიმშვიდეს ღმერთზე დანდობით, რომელიც მის მოყვარულთ ყოველივეს საუკეთესოდ წარუმართავს (შდრ. რომ. 8,28).

რადგან ის ნეტარების მომნიჭებელი სიმშვიდე, რომელიც მომდინარეობს ღვთის კეთილმოსურნე განგების ნდობიდან, მხოლოდ ჭეშმარიტ ქრისტიანულ მისტიკაში მოიპოვება და არა რომელიმე მისტიციზმში, პირველყოვლისა უნდა გაეცეს პასუხი კითხვას თუ რა გვესმის ჭეშმარიტ მისტიკად.

#### 1. ჭეშმარიტი და ყალბი მისტიკა

მისტიციზმი და მისტიკა იმაში თანხმდებიან, რომ ორივეს სურს ინტიმური ურთიერთობის დამყარება უსასრულოსთან. ყველას, ვინც საუკუნეთა მანძილზე მისტიკური საკითხებით იყო დაკავებული, როდი სწამდა უსასრულო ღვთისა, რომელმაც ყოველივე უწყის და ყოველივეს წარმართავს. და მაინც ილტვოდნენ ისინი ურთიერთობის დამყარებისაკენ რაღაცასთან, უსასრულოსთან, რომელიც ყოველივე სასრულს აღემატება. სხვაგვარად ფიქრობდნენ ამასთან დაკავშირებით ხალხები შორეული აღმოსავლეთისა, სადაც ბუდა ნირვანაზე მეტყველებდა. აქ, ევროპაში, დიდი ხნის განმავლობაში არად მიიჩნდათ ის, რასაც ჯუდისტებისათვის განუსაზღვრელი უსასრულოს მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. სხვაგვარად ფიქრობდნენ წინა აზიისა და ევროპის მკვიდრნი, რომელნიც მკვეთრად გამოხატულ ღვთაებრივ ფორმებს — გაღმერთებულ ადამიანებს მიაპყრობდნენ მზერას. მათ სწამდათ, რომ მათი ღმერთები მათზე უსასრულოდ მაღლა იმყოფებოდნენ თავიანთი სიძლიერისა და ზემოქმედების უნარის წყალობით. ამიტომაც ისინი განსაცვიფრებლად ირჯებოდნენ, რათა ღმერთების წყალობა ელოებოვნენ. მათ სწამდათ, რომ ინტიმურ ურთიერთობას მისტერიებით, იღუბალი კულტის მეშვეობით მიაღწევდნენ. თუ რა ზეგავლენა ჰქონდა წინაქრისტიანული დროის კაცობრიობაზე მისტიკური შეერთების სურვილით გამოწვეული წესების აღსრულებას, ყველაზე ნათლად რჩეული ხალხის ისტორიიდან ჩანს. მიუხედავად იაპვეს დიდი საქმეებისა, მოსეს მოწოდებებისა, წინასწარ-ბეტყველთა გაფრთხილებისა, მას კვლავ და კვლავ წასძლედა ცდუნება ამ წარ-

მართული კულტის მსახურებაში მონაწილეობის მიღებისა. იდუმალებით აღსავსე, მისტიკური, უზარმაზარ ზეგავლენას ახდენდა არა მხოლოდ უბრალო ხალხზე, არამედ აგრეთვე ქურუმთა ფენასა და მეფეებზე. მხოლოდ ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებული ებრაელები ამალდნენ ამაზე.

ამის საპირისპიროდ, ჭეშმარიტი მისტიკა ნიშნავს ადამიანის განსაკუთრებულ ურთიერთობას ჭეშმარიტ ღმერთთან, რომელიცაა მარტოოდენ უსასრულო. ეს განსაკუთრებული ურთიერთობა მდგომარეობს იმაში, რომ სხეულს მიჯაჭვული სული როგორღაც თავის საზღვრებს წყდება და უსასრულო ღმერთთან შეერთებისაკენ წარტაცებულად ვრძნობს თავს. შესაძლოა, მისტიკის ამოსავალი ყველგან ერთი და იგივე იყოს. შესაძლოა, თვით მედიტაციის, ანუ საკუთარ თავში ჩაღრმავების, ასკეტობის, მარტოობის და ამდაგვარი სხვა გზები დიდ ძანძილზე იგივეობდეს კიდევ, მიზანი კი ძალზე განსხვავებოდა იმისდა მიხედვით, თუ რა შეხედულებისაა მისტიკოსი სამყაროსა და მის პირველ მიზეზზე, ღმერთსა და ადამიანებზე. ტოტაპური, რამა კრიშნას გვიანდელი მასწავლებელი, დასცინოდა თავისი მოწაფის „გულუბრყვილო“ შეხედულებას და ფიქრობდა, რომ იგი კვლავ შეაქცევდა ზურგს პიროვნული ღმერთის ცრურწმენას, რაც მოწაფემ მართლაც აღასრულა თავისი მასწავლებლის დაუნდობელი, ჩაგონებითი შემოქმედების წყალობით და რასაც წინ უძღოდა მძიმე ბრძოლა საკუთარ სინდისთან. მაგრამ ქრისტიან მისტიკოსს მიზნად ესახება უშუალო კონტაქტი არა პანთეისტურად გააზრებულ ღმერთთან, არამედ გამოცხადების პიროვნული ღმერთის „შენ“-თან, რომელიც მისთვის მამა, ძმა და მეგობარია. ამაში ძვეს ფუნდამენტური სხვაობა ქრისტიანულ მისტიკასა და ყველა სხვა დანარჩენ არაქრისტიანულ მისტიკას შორის, რადგან ქრისტიანული მისტიკა არის წყალობით მინიჭებული წილი, ანუ განცდა ღმერთთან სულის შეერთებისა. როდესაც სულის უნართა, განსაკუთრებით — გაგებისა და სიბრძნის უნართა მეშვეობით ხდება გაღრმავება და განწმენდა ღვთაებრივ ჭეშმარიტებათა შემეცნებისა ჭეშმარიტების უბრალო აღქმად ან ჭკრეტად, სიყვარული ღვთისა და ადამიანებისადმი საოცრად მრავლდება, აღიგზნება და ღმერთში სულის სიზარული ძლიერდება ზეციური ნეტარების წინასწარე ტკობამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა უკვე ამქვეყნად მაქსიმალურად ამალღებული, იდუმალებით აღსავსე შეერთება ადამიანისა ღმერთთან ყოფიერებით, შემეცნებით, შვერძნებით და ქმედობით როგორც წინა საფეხური და წინასწარ შემზადება მომავალი იმქვეყნიური სრულყოფისა უსასრულო ღმერთთან ერთიანობაში. ყველა მისტიკოსისათვის საერთო არის ვნებით აღსავსე ძიება ღვთისა.

თუკი უსასრულო ყალბადაა გაგებული, მაშინ საქმე გვაქვს არა ჭეშმარიტ მისტიკასთან, არამედ მის კარიკატურასთან, მისტიციზმთან. მაგრამ თუ უსასრულო სწორადაა აღქმული და თუ სწორი საშუალებები მოიძიება, მაშინ შეგვიძლია ჭეშმარიტ მისტიკაზე ვისაუბროთ. ეს შესაძლებელია აგრეთვე ბუნებრივ წყობაში. ღმერთს უდავოდ ძალუძს ისეთი ხილვა მიანიჭოს ადამიანს ან იმდაგვარი შემოქმედება მოახდინოს მასზე<sup>6</sup>, რომელსაც იგი წმინდა ბუნებრივ ყოფაში ამკვიდრებდა, რათა მან იმის ნათელ, ცდისმიერ შემეცნებას მიადწინოს, რომ ღმერთია შემოქმედი, რომ, მამასადაძე, ღმერთი განსაკუთრებული ვზით

<sup>6</sup> იგულისხმება „ბუნებრივი ადამიანები“ ქრისტეს გამოცხადებამდე (მთარგმნ.)

იმყოფება მასში და მოქმედებს მასზე. შთელი ეს განცდა ბუნებრივი წყობის სფეროში მოგვეცემოდა, რადგან ღმერთი როგორც ბუნების შემოქმედი იქნებოდა მისი მომნიჭებელი, რადგან მიზანი ბუნებრივია და აგრეთვე მისა მიმღვიც განეკუთვნებოდა მხოლოდ ბუნებრივ წყობას.

(თვით აბლანდელ წყობაში, სადაც ადამიანი ზებუნებრივისაკენაა მოწოდებული, ღმერთს ძალუმს ცოდვილსაც მიანიჭოს მისტიკური განცდა. ეს მაღლი ის მიმღებს ბუნებრივად უნდა ჩათვალოს, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ ზებუნებრივისაკენ იყო მოწოდებული, ნამდვილად მაინც აკლდა იგი. მაგრამ ეს მაღლი მაინც ზებუნებრივი იქნებოდა, რადგან ღმერთი, როგორც შემოქმედი წყალობათა სისტემისა, ანიჭებს მას ადამიანს, რათა ამ უკანასკნელმა ქრისტეს ღვაწლისა გამო მარადიულ ხსნას მიადწიოს.) ჯამრთო სიახლის ასეთი გამოცდილება ისტორიულად დადასტურებულია. წმიდა აგვისტინე, სანამ ქრისტიანი გახდებოდა, გატაცებული იყო ნეოპლატონიკოსთა მისტიკური მოძღვრებით, მაგრამ როდესაც იგი საკუთარ თავში ჩაღრმავდა, ჭეშმარიტი მისტიკური განცდა მიიღო, თავის აღსარებაში (1/7) იგი წერს: „მე ჯერ კიდევ უსუსური სულიერი თვალთ ვუმზერდი ჩემი სულის მიღმა უცვლელ სინათლეს. იგი არ იყო ჩვეულებრივი, ყველა ძეხორციელის მიერ ხილული სინათლე და არც იმავე ბუნების, მხოლოდ უფრო მეტად და ნათლად გამოზრწყინებული, რომელიც თავისი სიღიადით ყოველგვებს აღავსებდა. ასეთი არ იყო იგი. იგი იყო უმაღლესი ბუნების, რადგან მან თვით მე შექმნა და მე ვარ მდაბალი ბუნების, რადგან მე მასი შექმნილი ვარ. ვინც უწყის ჭეშმარიტება, მან იგი უწყის; და ვინც იგი უწყის, მან უწყის მარადისობა. სიყვარულმა უწყის იგი. ო, მარადიულო ჭეშმარიტება, ჭეშმარიტო სიყვარულო და საყვარელო მარადისობავ, შენ ხარ ღმერთი ჩემი. შენ მოგიხმობ დღისითა და ღამით, რაწამსაც შეგიმეცნე — შენ ამამადლე, რათა მეხილა, რომ ნამდვილად არსებობს იგი, რასაც მე ვუმზერ, ოღონდ მე ჯერ არ ძალმიძს მისი დანახვა“.

თუ მისტიკური განცდა ნამდვილად არსებობს მოუნათლავებში (და ეს ებუბა ნრავალ წარმართს, პირველ ყოვლისა სამ კეთილშობილ ბერძენს: სოკრატეს, პლატონსა და არისტოტელეს, რომელთაც მაღალ რელიგიურ შემეცნებას მიადწიეს), მაშინ, პირველ რიგში, იგი უნდა ვაღიაროთ ზოგად ქრისტიანულ სფეროში, იქნება ეს კათოლიკური ეკლესია თუ სხვა ქრისტიანული განშტოება და საზოგადოება, რადგან Catholica-ს წევრობის გარეშეც შესაძლებელია წყალობის შინაგანი განცდა. ჭეშმარიტი მისტიკური განცდა ჰქონდა ნეტარ ღომინიკანელ მონაზონს ოსანა კატაროელს იმ ღროს, როდესაც იგი ჯერ კიდევ ორთოდოქსი ქრისტიანი იყო, იგი იყო შვილი ღვთისმოსავი, მაგრამ სქიზმაში მყოფი მშობლებისა. ოსანა გაბედნიერდა ყრმა იესოს გამოცხადებით მონტენეგროს მთებში, სადაც მამამისის ცხვრებს მწყემსავდა. ამის მერე იგი შეიბყრო დაუოკებელმა წყურვილმა სოფლიდან ქალაქ კატაროში წასულიყო, რათა იქ საფუძვლიანად ზიარებოდა რწმენის ჭეშმარიტებებს. იგი მივიდა როგორც მსახური გოგონა და იქვე აღესრულა როგორც კათოლიკე განდევნილი, განვლო რა გრძელი ცხოვრების გზა, აღსავსე მისტიკური წყალობებით და სიწმინდით. მისტიკური განცდა ისევე ჭეშმარიტი დარჩებოდა, ოსანა კატაროში რომ არც მისულიყო ან იქ კათოლიკური ეკლესიის წიაღში რომ არც დამკვიდრებულიყო.

ვინ ისურვებდა სიცრუე ეწოდებინა კეთილშობილ, ღვთისმოსავ ორთოდოქსთა და პროტესტანტთა შინათხრობათათვის თავიანთ რელიგიურ ალტაცებაზე სულში ღვთის დამკვიდრების გამო? გრაფინია შტოლბერგ-შტოლბერგის წერილებადან მისი ვაჟის, შემდგომში დიდი კონვერტიტის ფრიდრიხ ლეოპოლდისადმი ცნაურდება ისეთი ღრმა სიყვარული მაცხოვრისა, რომ ამ მანდილოსნის ალტაცებას წმინდა წერილის კითხვისას ნამდვილად შეიძლება ეწოდოს ღვთის მისტიკური შემეცნება. იგივე შეიძლება ითქვას ღვთისმოსავ კლოპშტოკზე, როდესაც იგი „მესიას“ წერდა და ნოვალისზე, როდესაც იგი თავის „თუ მხოლოდ ის მეყოლება“-ს გალობდა.

## 2. მიზანი და გზები მისტიკისა

მისტიკაში წინა პლანზე დგას მაღლით აღსავსე სულში დამკვიდრებული ღმერთი. სრული შეერთება, რა თქმა უნდა, ხდება იმ ქვეყნად ღვთის ნეტარი ჭკრეტისას. მაგრამ უკვე აქ, დედამიწაზე, ადამიანი მოწოდებულია ღმერთთან უმაღლეს ხარისხში გაერთიანებისათვის შემეცნებასა და სიყვარულში: „და ესე არს ცხოვრებაჲ საუკუნოდ რამათა გიცოდინა შენ მხოლოდ ჭკმშარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესო ქრისტე“ (იოანე 17,3). მისტიკოსები დარწმუნებული არიან, რომ ღმერთი სულის სიღრმეში შემოდის და იქ ქმედობს. ღვთის მოპოვებაა ის ნამდვილი ამოცანა, რომელსაც ისახავს მისტიკოსი. აქ შესაძლებელია ორი გზა: ღმერთს შეუძლია სულთან უშუალოდ მისვლა ან სულს თავად ძალუმს ღმერთს მიეახლოს.

პირველ შემთხვევაში ღმერთი თავის ყოფნას გამოაცხადებდა განსაკუთრებული წყალობით. ამის შესახებ ჩვენ ვიგებთ უფლის გამოსათხოვარი სიტყვებიდან: „რომელსა უყუარდე მე, საყვარელ იყოს მამისა ჩემისა მიერ, და მეცა შეიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი... უკეთუ ვინმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგრეთ... მას დღესა შინა სცნათ თქვენ, რამეთუ მე მამისა ჩემისა თანა, და თქვენ ჩემ თანა, და მე თქვენ შორის“ (იოანე 14, 20 და შემდეგ). პავლემ აუწყა რომაელთ: „იგივე სული ეწამების სულსა ამას ჩუენსა, რამეთუ ვართ შეილნი ღმერთისანი“ (8,16), და კორინთელთ მანვე მისწერა: „ხოლო რომელი შეეყოს უფალსა, ერთ სულ არს უფლისა თანა... არა უწყითა, რამეთუ ხორცინი ეგვ თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან?“ (1 კორ. 6,17 და შემდეგ). ასეთი და მსგავსი სიტყვებით წმინდა წერილისა ჩუენი კავშირი ღმერთთან და კერძოდ სამპიროვნულ ღმერთთან, რომელიც ასეთად გამოეცხადა კაცობრიობას, ხავესებით ნათლადაა გამოთქმული. წმიდა წერილში თითოეულისათვის პერსპექტივაა დასახული, რომ იგი ღვთის ამ სიახლოვეს შეიტყობს: „გამოუცხადო მას თავი ჩემი“. ეს უნდა იყოს რაღაც პიროვნული, რომელიც თავისი შინაარსით არ განსხვავდება იმ გამოცხადებისაგან, რომელიც ყველამ მიიღო. მაგრამ იგი განსხვავდება კიდევაც მისგან ახალი უწყების შესაბამისად. ამას დასტურებენ სიტყვები: „მას დღესა შინა სცნათ თქვენ, რამეთუ თქვენ ჩემ თანა, და მე თქვენ შორის“. მოწაფენი იმ დროს მასში იმყოფებოდნენ განმარწმინდებელი წყალობის მეშვეობით, მაგრამ მაშინ მათ გამოცდილება აკლდათ. სწორედ ეს დაუსახა მაცხოვარმა მათ იმედად: სწორედ ესაა მისტიკური გამოცდილება. იგი გამოწვეული იყო და გამოწვეული იქნება სუ-



ლიწმინდის მეშვეობით, რომელიც მართალთა შორისაა დასადგურებული და მათ ახსენებს ყოველივეს, რაც ქრისტემ თქვა, რომელიც მათ უდასტურებს, რომ ისინი ღვთის შვილი არიან და ცის მეგვიდრენი. ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ მოციქულებს როდი შეეხება, მას აქვს საყოველთაო მნიშვნელობა, როგორც ამას გვაუწყებს გამოცხადება იოანესი: „აჰა ესერა ვდგა კარსა ზედა და ვპრეკ. უკეთუ ვინ ისმინოს ხმისა ჩემისა და განალოს კარი, და შევიდეს მის თანა და ვჭამო მის თანა სერი“ (3,20).

მეორე გზა ითხოვს, რომ მადლმინიჭებულმა თავის სულში ყოველი დაბრკოლება გადალახოს, რათა თავის თავში დავანებული ღმერთი აღმოაჩინოს) გამოძინარე იმ ფაქტიდან, რომ ჩვენი მიწიერი სიცოცხლე წარმოადგენს მგზავრობას, მოგზაურობას უცხოეთიდან სამშობლოსაკენ, მისტიკური ცხოვრების პროგრამაში ხელდავდენ ყოველგვარი ამქვეყნიურიდან განდგომას (ლუკა 14,33), სრულ თვითუარყოფას, ჯვრის მოთმინებით ზიდვას და ქრისტეს მიმდევრობას (მათე 16,24), რათა საბოლოოდ იმ ადგილისათვის მიედწიათ, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ღვთის პირისპირ ზილვა ისე, როგორც არის იგი (1 კორ. 13, 12; 1 იოანე 3,2). ეკლესიის მამათა მიხედვით, ჭეშმარიტი სამშობლოსაკენ ძიმართულ ამ გზას სამ სტადიად ჰყოფენ. ესაა გზა განწმენდისა, ნათლის მოღვინისა და შეერთებისა. განწმენდის გზად მიიწვევდნენ ყოველივე მიწიერის ჩამოშორებას; გზა ნათლის მოღვინისა არის სიბრძნის წყალობით მონიჭებული კონტემპლაცია; და გზა შეერთებისა სხვა არა არის რა, თუ არა შემეცნების-მიერი და ნებისეული შეერთება ღმერთთან სულის სიდრმეში) მისტიკური გზის მოკლე და კლასიკურ ფორმულირებას იძლევა პაინრიხ სუზო (სიცოცხლე, თავი 49-ე) ცნობილ გამონათქვამში: „მშვიდი ადამიანი უნდა ჩამოშორდეს ქმნილებისეულს (გზა განწმენდისა), წარმოიქმნას ქრისტესთან ერთად (გზა ნათლის მოღვინისა) და გარდაიქმნას ღვთაებაში (გზა შეერთებისა)“. სხვა ადგილას (მე-3 ქადაგება) სუზო ამბობს: „სხვა არაფერი არ უნდა ისურვო, გარდა იმისა, რომ სავყარელმა ღმერთმა შენ ყოველი დაბრკოლება ჩამოგაცილოს და დაბრკოლების გარეშე მთლიანად შეგეიროს“. აღსანიშნავია აგრეთვე, თუ როგორ განაწვავადებს მაისტერ ეკპარტი (58-ე ქადაგება) მისტიკური ცხოვრების გარჯასა და მიზანს: „თუ ღმერთი უნდა შემოვიდეს, ქმნილება უნდა გავიდეს“. უამრავი ასეთი გამოთქმის მოყვანა შეიძლება. კვლავ და კვლავ აყენებენ მისტიკოსები ასეთ მოთხოვნას: გულიდან ამოგდება ყოველგვარი ქაოსური სიყვარულისა ამქვეყნიურისაღმი, უარყოფა და აღუშფოთველობა წინაშე ყოველივე მიწიერისა ასე, რომ სული თავისუფალი და ხსნილი იყოს ღვთისათვის.

ბრწყინვალე ფერებით აღწერენ მისტიკოსები ღვთაებრივი სიყვარულის ზემოქმედებას და სურათს სულის იმ ილუმინაციებით აღსავსე მდგომარეობისას, როდესაც ადამიანი ჩვეულებრივ მადლზე გაცილებით მაღალი ზნეობრივი სიცოცხლითაა აღსავსე, ღმერთს უშუალოდ თავის თავში განიცდის და მასთან იმდაგვარ გაერთიანებას აღწევს, რომ ღვთის მსგავსება სულში უმაღლეს სრულყოფას იძებულობს. ეს განღმრთობა იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ სული ქრისტეს მეშვეობით ეზიარება მადლის ზებუნებრივ სამეუფოს. ამის შემდგომ იგი იძირება მარტოოდენ ღვთის ჭვრეტაში, აზროვნების გარეშე, შესაძლოა, თვით წარმოსახვითი სურათის გარეშეც. მაგრამ ეს სულის პასიური მდგომარეობა კი არ არის, არამედ წმინდა სულიერში აყვანილი ყურადღება, გულის უდიდესი

დატვირთვა, ინტენსიურზე ინტენსიური სიცოცხლეა. ნათელა შემეცნება და ზნეობრივი პასუხისმგებლობა დაცულია, მაღლის შემოქმედებით სული ინარჩუნებს აქტივობას მაისტერ ეკარტის დევიზის მიხედვით (58-ე ქადაგება): „უფალო, შენი მიღება შენი უმაღლესი მოღვაწეობაა“; ან სხვა ადგილას (აფორიზმები, 33-ე): „თუკი ადამიანი მჭვრეტელობაში იძირება, სისასვე აღარ მისცემს საშულებას არ გადმოსჩქვდეს; იგი უნდა დაიღვაროს და დაიდად გაისარჯოს ქმედით ცხოვრებაში“.

ჭეშმარიტი მისტიკა ყველა დროში სულის არა მხოლოდ აუცილებელ შინაგან ცხოვრებაზე იყო დამოკიდებული, არამედ იმავე დროს მან ცოცხალი, ქმედითი ქრისტიანობა აღმოაცენა. ამას ადასტურებს ბევრი მისტიკოსი ქალის მაგალითი. თუმცა ეს მონაზვნები მთელი თავიანთი ვნებით ღვთისაკენ იყვნენ მიქცეულნი, მაგრამ ამის გამო მათი გულმოდგინება ამა ქვეყნის საქმეთა მიზართ არ შენელებულა. ქრონიკები გვიჩვენებენ დვაწლით აღსავსე ყოველდღიურობას, მოგვითხრობენ ზოგიერთ სამეურნეო წარმატებაზე, მათ ღრმა კავშირზე ქვეყნის ბედ-იღბალთან და ქრისტიანობასთან. წმინდა ჰილდეგარდ ბინგენელი ქალაქად და სოფლად მოგზაურობდა, სამღვდულოების, ბერთა თუ ერისკაცთა ზნეობის სრულყოფისათვის იღვწოდა; ებისკოპოსები, მონასტრის წინამძღვრნი, მეფენი და თავადნი მისგან ლამობდნენ რჩევა-დარიგების მიღებას და მასთან მიმოწერა ჰქონდათ. მარგარეტა ებნერი შეესახებ ჩვენ ვიცით, რომ მას სულიერად ძალზე ტანჯავდა იმპერატორსა და პაპს შორის ამტყდარი დავა. დინგენის საიხლოვეს მდებარე მედინგენის მონასტერი დიდი მაღლიერებით და ერთგულებით იყო აღსავსე ლუდვიგ ბავარიელის მიმართ, რადგან მან მრავალი წყალობა მიაგო მას. 1350 წელს კარლ IV დიდი ამალით გაემგზავრა ნიურნბერგიდან შორეულ ენგელტალის მონასტერში, რათა იქ ქრისტიან ებნერი მოენახულებინა და მისგან ლოცვა-კურთხევა გამოეთხოვა თავისთვის და სახელმწიფოს სასიკეთოდ.

### 3. მისტიკური ფენოქენები

გვიანდელ შუა საუკუნეებში მგზნებარე მისტიკის განსაკუთრებულ ცენტრებად და თავშესაფრებად გვეკლინებიან დომინიკანელ მონაზონთა გერმანული მონასტრები. საამისოდ მრავლისმეტყველი საბუთი მოგვემოვება ცალკეულ გამოჩენილ, მისტიკურად დაჯილდოებულ ისეთ ქალთა ჩანაწერებში, როგორებიც იყვნენ მედინგენელი მარგარეტა ებნერი, ენგელტალელები ქრისტიანა ებნერი და ადელაიდა ლანგმანი. მარგარეტა ებნერმა დაგვიტოვა „გამოცხადებანი“. ქრისტიანა ებნერმა, რომელიც იმავე გვარს ატარებდა, მაგრამ მისი ნათესავი არ იყო, თავისი მოძღვრის, დომინიკანელი კონრად ფიუსენის მითითებით ჩაიწერა საკუთარი ზილგები; ამის შემდგომ დაწერა პატარა წიგნი გარდაცვლილი მონაზვნების მისტიკურ ცხოვრებაზე სათაურით — „წყალობათა სიმძიმის შესახებ“. ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს ქრონიკები: სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის დომინიკანელ დედათა მონასტრებისა მედინგენიდან, უნტერლინდიდან (კატარინა გეზაილერი), ადელჰაუზენიდან (ბრაისგაუ), კიხბერგიდან, ტიოხიდან (ელზბეტ შტაგელი), ოეტენაზიდან, კათარინენტალიდან, ენგელტალიდან, ვაილერიდან. ამ ქრონიკებში თავმოყრილია ამა თუ იმ განსაკუთრებით ხაზნო მისტიკოსი მო-

ნაზნის ცხოვრების სურათები. სხვა მონასტრებში მსგავსი ჩანაწერების არარსებობის გამო არ უნდა დავასკვნათ, რომ თითქოს იქ მისტიკური ცხოვრება წაკლებად ცხოველყოფილი იყო. ზოგიერთი ძვირფასი ჩანაწერი შესაძლოა ასევე დაკარგული იყოს, როგორც როზენჰაიმთან მდებარე ჰენაუს მონასტერში.

ქრონიკების მონაზონ ავტორთაგან ბევრი დიდად განათლებული მჭევრმეტყველი და სულიერ ცხოვრებაში კარგად გათვითცნობიერებული ჩანს. იქ მოხსენიებულია უმშვენიერესი კეთილი საქმენი, მაგრამ იქვეა საუბარი ხილვებსა და სულის შეძვრაზე, ექსტაზებსა და ხილვებზე, გულის საიდუმლოებათა ჭკერტაზე, წინასწარმეტყველებებზე, სხეულისა და სულის მიმართ მოვლენილ სასწაულებზე, გმირულ მიღწევებზეა იქ საუბარი და მაინც ვერ იშორებ ზოგჯერ ფიქრს იმის შესახებ, რომ მათში სუფევს გარკვეული ავადმყოფური მიღრეკილება არაჩვეულებრივი საგნებისადმი, მოთხოვნილება განსაკუთრებული ხუგემისცემისადმი. ავტორები თითქოს ნადირობენ ღვთაებრივი მაღლის იმ მონვენებით ნიშნებზე, დაეძებენ იმის დადასტურებას, რომ ყოველადღიერს მათი ცხოვრება, მათი ღვთისმოსაობა მოსწონს, რომ ისინი მას სწორი გზით სცემენ თავიანთს. ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ გვინდა, რომ მისტიკური ცხოვრების ფენომენები მე-14 საუკუნის დედათა მონასტრებში მთლიანად ფანტაზიას ემყარებოდნენ. ზოგიერთ ცნობაში შეიძლება შეცდომა და გადამეტება დავინახოთ, თუნდაც ეს ცნობები ტრადიციული ფორმით თავიანთ მისტიკურ და ისტორიულ ღირებულებას ინარჩუნებდნენ. მაინც დასაშვებია, რომ რომელიმე შემოხვევის ასახსნელად დღეს ექიმისათვის მიგვემართა ან ამა თუ იმ შემთხვევისას ისტერიის დიაგნოზი დასმულიყო. ისინი სრულყოფილებისაკენ წრფელი ლტოლვის მხოლოდ იმჟამინდელი გამოხატულებაა. მრავალი ეს ხილვა იმით უნდა აიხსნას, რომ მისტიკოსი მთელ სულიერ ცხოვრებას, განსაკუთრებით — გულისა და ფანტაზიის მომცველ რელიგიურ შემეცნებებსა და განცდებს მის გარეთ უკლებს პროეცირებას. რაც მისტიკოსმა ჭკერტისას მზურვალე აფექტებით გაიაზრა, რაც მას მისმა ფანტაზიამ ნათელი საღებავებით დაუსხატა, მისთვის ადვილად იქცა სინამდვილედ დამის სიჩუმეში. უმრავლეს შემთხვევაში ხილვები ეძლევა დილაადრიან, ღოცვის შემდეგ, კლიროსთან ან თავის სამლოცველოში დაჩოქილ მისტიკოსს, რომელიც მთლიანად ზებუნებრივის სფეროში ცხოვრობს და არაჩვეულებრივ მოვლენებს ელოდება. წმინდა შინაგანი პროცესი ერთქონს დიალოგად განიყოფა და დრამატულად განწყობილ პოეტურ სულში აისახება როგორც გარეგანი შემთხვევა, როგორც საუბარი და ურთიერთობა ზეციურთან. მაგრამ მონაზვნების მხრივ წინასწარგანზრახულ ტყუილზე ან შეგნებულ გადაჭარბებაზე არ შეიძლება ლაპარაკი. აქამდე არ დაუშვებოდნენ ელზბეტ შტაველი, კატარინა გებვილიერი ან ქრისტინა ებნერი. ღმერთს რომ ამდაგვარ ნუგეშისცემათა მინიჭება ძალუძს, იგი ნუგეშს დროდადრო რომ ანიჭებს კიდევ, ეს ყველა კათოლიკესათვის ეჭვს გარეშეა. ამდაგვარი მოვლენით გატაცება, გადაჭარბება და მათი არასწორი შეფასება დღეს ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ უფრო ფიზიკური, კრიტიკული და სკეპტიკური გავხდით.

ექსტაზები შეიძლება გავითვალისწინოთ არა როგორც წინაპირობა, არამედ როგორც დანამატი მოვლენები ან როგორც შედეგი, რადგან სული მისტიკური მაღლის მინიჭებისას იმდენად არის მოცული უმაღლესი ჭეშმარიტებით, რომ გრძნობანი წყვეტენ ყოველგვარ ქმედობას და ზშირად სხეული მჩაფრებ განრთხმულია, როგორც უსიცოცხლო; ასევე არ შეიძლება წინაპირობად მივიჩნი-

ნიოთ ხილვა, რითაც ახალი ჭეშმარიტებანი უმეტესად განსაკუთრებული შე-  
მეცნებისეული ხატების მეშვეობით მიენიჭებათ. ამგვარივე ბუნებისაა მომავლის  
ჭვრეტა, გულის საიდუმლოთა წვდომა, ჭეშმარიტ და ყალბ რელიკვიათა განსხ-  
ჯავების უნარი და ცოდნა გარდაცვლილთა სუფევის შესახებ. შესაძლოა აგრეთ-  
ვე ისეთი სასწაულბერივი მომენტები, როგორცაა ჰაერში გაჩერება ანდა არა-  
ბუნებრივ პოზაში გახევება. რადგან უმრავლეს მისტიკოსებთან ვხვდებით ამ  
მოვლენებს, ისინი, ჩვეულებრივ, მისტიკურად მიიჩნევიან. მაგრამ არც წინაპი-  
რობებში, არც ამ დანამატ მოვლენებში და არც შედეგებში არა ძვეს არსი მის-  
ტიკური გამოცდილებისა. ისინი უფრო ღვთისმოსაობის მოჩუქურთმებულ ორ-  
ნამენტს განეკუთვნებიან.

მაშინ როდესაც ექსტაზი ადამიანს მისი ბუნებრივი მდგომარეობისგან გა-  
ნაშორებს და ერთ ხანს ნეტართა რიგში დააყენებს, როდესაც სამშვიველ-სუ-  
ლის მოღვაწეობად გაგებული მჭვრეტელობა იმისთვის, რომ ნეტარების მინი-  
ჭება შეძლოს, შემეცნების ძალის განსაკუთრებულ განმტკიცებასა და გამოკვე-  
თილ შემეცნებისეულ სურათებს ითხოვს მისტიკური ჭვრეტისათვის, ე. წ.  
Cognitia affectiva experimentalis-თვის (ცდისეული სიყვარულით აღსავსე  
შემეცნება ჩვენში მყოფი ღვთისა და მისი ქმედობისა ჩვენს სულში) არ არის  
საჭირო არავითარი ხილვა, არაა აუცილებელი, რომ ღმერთმა მადლმინიჭებულს  
საამისოდ მისთვის არა ჩვეული შემეცნებისეული რომელიმე ხატი უბოძოს. ამას-  
თანავე წარმოუდგენელია მადლმინიჭებულს გამოეცხადოს ახალი, მანამდე მის-  
თვის უცნობი ჭეშმარიტება, რომელიც ქრისტეს მიერ სასიხარულო უწყების  
საგანძურს მიღმა დარჩებოდა. იგულისხმება მხოლოდ უფრო ღრმა წვდომა უკ-  
ვე ცნობილი და, შესაძლოა, ათასჯერ გაგონილი ჭეშმარიტებისა, მეუდაბნოე  
პაპა ანტონიუსს რომ მიეცა. „უკუეთუ ვნებაეს, რაჟთა სრულ იყო, წარვედ და  
განვიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკათა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და  
ზოვედ და შემომიდეგ მე“ (მათე, 19-21). ამასთანავე ექსტაზი საჭიროა არა  
სხეულებრივი უძლურების ან გრძნობათა გამოვლენის შესაბოჭავად, არამედ  
წინ ნელინელ მიმავალი შემეცნების ჩვეულებრივ ხერხზე ასამაღლებლად.

რელიგიურ ექსტაზთან აგრეთვე არსებითად არაა დაკავშირებული არავითარ-  
ი წინასწარმეტყველება, გულის საიდუმლოთა არავითარი შემეცნება, არავითარ-  
ი გადაწყვეტილების მიღება რელიკვიათა სინამდვილის თაობაზე, არავითარი  
ცოდნა გარდაცვლილთა მდგომარეობისა, არავითარი ცნობა დაკარგულ საგნებ-  
ზე ან დაკარგული ადამიანის ბედზე. ამას არც ის უკავშირდება, რომ მადლმი-  
ნიჭებული ჰაერში გაჩერდეს ან არაბუნებრივ პოზაში გახევდეს. ექსტაზის დროს  
შეიძლება ყველა ამ მოვლენამ თავი ერთად მოიყაროს და ბევრ დიდ მისტი-  
კოსთან ასეც იყო. და ცოტასთან როდი დაგვირგვინდა იგი ამ ტანჯვაში მონა-  
წილეთით, რომელიც ქრისტეს გარდახდა თავს კაცობრიობის გამოსახსნელად,  
მაგრამ არსებითად იგი მაინც არაა დაკავშირებული ჭეშმარიტ მისტიკურ გან-  
ცდასთან, აგრეთვე არც უმაღლეს, გამოკვეთილ მჭვრეტელობასთან. შესაძლებე-  
ლია მკვეთრი გამოიჯვნას კი საკუთრივ მისტიკური განცდისა და მისი დანამატი  
მოვლენებისა, რადგან ესენი არიან „თავისუფლად ბოძებული წყალობანი“  
(*gratiae gratis datae*). პირველ რიგში სხვათა კეთილდღეობისათვის  
მინიჭებული. მისტიკური განცდა კი, როგორც „განმანმინდანებელი წყალობა“  
(*gratia gratum faciens*) თვით ამ განცდის მიძღვრების პიროვნულ სრულ-  
ყოფას ემსახურება.

## 4. მისტიკის აღმაშენებელი მოწოდება

თუმცა ეს დანამატები მისტიკისათვის არაარსებითია, მათ მაინც დიდი მნიშვნელობა აქვთ. განსხვავება *gratia gratis datae*-სა და *gratia gratum facien*-ს შორის ისე არ უნდა გავივოთ, რომ პირველი თითქოს მხოლოდ და მხოლოდ სხვათა კეთილდღეობისათვის, მეორე კი მხოლოდ მიმღებების სრულყოფისათვისაა ბოძებული. განსხვავება მხოლოდ იმის მაუწყებელია, რომ ორივე პირველ ყოვლისა ამა თუ იმ მიზანს ემსახურება. ამასთან ერთად სხვასთან მიმართებაში ისინი თავიანთ მნიშვნელობას არ კარგავენ, რადგან მისტიკური საიდუმლო წარმართება სულის სიღრმეში, ღმერთსა და კაცს შორის. იგი ჩვენთვის ცხადდება აგრეთვე ამ კუთხით, როგორც *gratia gratum faciens*. იგი ემსახურება წყალობათა მიმღებების შეერთებას ღმერთთან. იგი ამრავლებს მასში განმაწმინდანებელ წყალობასა და სიყვარულს. ეს მატება სხვებისათვისაც სარგებლობის მომტანი რომ იყოს, სწორედ ამიტომაც საჭირო მისტიკური სტიმული გმირულ საქმეთათვის; ის დანამატი მოვლენები, რომლებიც ადამიანთა ყურადღებას იზიარებენ, იმიტომაც თვალში საცემი, რომ მას, ვისაც მისტიკური შეერთების მიღწევის იმედი გადაეწურა, მადლმინიჭებულთა მეშვეობით ღმერთთან უფრო ახლო კავშირის დამყარების და მათივე შუამდგომლობით მისგან რჩევისა და დახმარების იმედი ჩაეხსნოს. სამწუხაროდ, შემდეგ ყველა მათგანი მიჯაჭვულია ამ გარეგან მოვლენებზე და წინ აღარ მიიწევს იმ უმათავრესისაკენ, რისთვისაც ეს დანამატი მოვლენები პირველ რიგში არიან გამიზნულნი—ჭრეშმარიტი მისტიკური ცხოვრებისაკენ, ღმერთთან ახლო პიროვნული კავშირისაკენ, სულში მისი სუფიერისა და ქმედობის იდუმალებით აღსავსე გამოცდილებებისაკენ, რომელიც შეხარის მისთვის ბოძებულ განმაწმინდანებელ წყალობას. ყოველივე ეს არსებითი, ფასეული ყველასათვის. თანმხლები მოვლენები მხოლოდ მასზე მიანიშნებენ. კორინთის უძველეს ეკლესიაში ამ ხარიზმატული საბოძების შესახებ საუბარს წმინდა პავლე ასე აგრძელებს: „მერმე აღმატებული ნება გიჩუენო თქვენ“ და აღუვლენს ქებათა-ქებას სიყვარულს (I კორ. 13), რომელიც მისტიკურ განცდაში იფურჩქნება. სიყვარულის ერთი ქმედობა გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე სასწაულებით აღსავსე არაჩვეულებრივი მოვლენები. ამას იტყვის წმიდა თომა აკვინელი (*summa theol*—II-II, 182, 13); „დროდადრო ზოგიერთს არსებული ცხოვრების აუცილებლობისა გამო მჭვრეტელობიდან ამა სოფლისა საქმენი უზმობენ, მაგრამ არა ისე, რომ იძულებული გახდეს მჭვრეტელობას თავი სრულიად დაანებოს. თუკი ვინმე მჭვრეტელობიდან გამოსმობილი არის და ხელითა თვისითა იქმს, ეს ხდება არა როგორც კლება, არამედ როგორც მატება“.

რადგან ყოველი ადამიანი მოწოდებულია ღვთის სიყვარული გააღვივოს, რადგან არავის ძალუძს თქვას, რომ მან მოპოვებული მადლის რანგით უკვე თავის მიზანს მიაღწია, რადგან ყველას ვაღია, შემატოს სიყვარულს და გააღრმავოს თავისი პიროვნული დამოკიდებულება ზეციურ მამასთან, ამიტომ ყველა მოწოდებულია მისტიკური განცდისათვის: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათაა სრულ არს“ (მათე 5, 48).

და მაინც არის მისტიკურ მადლში ფაქტობრივად რაღაც არაჩვეულებრივი: იგი თავს გასაოცრად მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში იჩენს ხოლმე. ამ იშვიათობას როდი იწვევს ღვთის მხრივ მოწოდების ნაკლებობა ან მისი ნაკლები

მზადყოფნა სრულყოფილებამდე ადამაღლოს ადამიანები. ყველას, ვინც კი კეთილი ნებისაა, ღმერთი გამაწმიდანებელი წყალობითა და სიკეთით ანიჭებს სულიწმიდის საბოძვართ — მისტიკური განცდისათვის განსაკუთრებულ სამკაულს. ვისაც საჭურველი სურს, იგი იყენებს კიდევ მას და მიზნად ისახავს წარმატებას. დიდი წმიდანი ტერეზია გამოღმებით ცდილობდა თავისი ასულნი განემსჭვალა წადილითა და მისწრაფებით მიედღიათ მისტიკური ცხოვრების მწვერვალისათვის. მისი სიტყვები მიმართულია ყველასადმი: „ძალზე ადვილად შეიძლება მოხდეს, როდესაც წარმოთქვამთ „მამაო ჩვენო“ ან სხვა ლოცვას, რომ უფალმა აგამაღლოთ სრულყოფილ მჭვრეტელობამდე“. მისტიკური უნარის იშვიათი გამოვლინების მიუზი ფაქტობრივად ძვეს მხოლოდ და მხოლოდ სიდატაკეში, უგულისყურობასა და დაუდევრობაში მრავალთა, რომელნიც კმაყოფილდებიან მარტოოდენ ყველაზე უფრო აუცილებელით.

ღვთის ჭეშმარიტი, სრულყოფილი მისტიკური განცდისათვის, როგორც წინაპირობას, მნიშვნელობა აქვს გამაწმიდანებელი მადლის დონეს, შემდგომ, სიკეთისაკენ სერიოზულ ლტოლვას (პირველ ყოვლისა, დაჟინებით მეცადინეობას თავმდაბლობაში და მზადყოფნას თავგანწირვისათვის, რათა შევისწავლოთ ღვთის ყოველი ნება და სურვილი; ასევე მეცადინეობას მჭვრეტელობით ლოცვაში და მარტოობის სიყვარულს). ყველაზე უახლოეს და უმთავრეს წინაპირობად ითვლება სიკეთე, რომელიც გამაწმიდანებელ წყალობასთან ყველაზე უფრო ღრმად დააკეშირებული, რომელიც ყველა სხვა დანარჩენ სიკეთეთ თავისი გავლენის სფეროში იზიდავს და მათ ახალ სახეს აძლევს. ეს სიკეთეა ღვთის სიყვარული. იგი მნიშვნელოვნად უნდა განვითარდეს, რათა როგორც საფუძველი ემსახუროს სრულყოფილ მისტიკურ განცდას.

შემდგომი მოთხოვნა მისტიკური მადლის მისაღებად არის ქრისტიანულ რწმენასა და ზნეობრივ მოძღვრებასთან განჭვრეტილის შესატყვისობა. სწორედ საეკლესიო მოძღვრებაა „საცდელი ქვა“ ჭეშმარიტი მისტიკისა. მასზე წაიბორძიკვს გერმანიაში ბეგარდებმა და ბეგინებმა\*. ისინი ქადაგებდნენ, რომ ადამიანს იალუმს ამაღლდეს იმგვარ მადლამდე ისე, რომ მისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება ეკლესიის კანონებსა და მცნებებს. ეკლესიას უნდა უარეყო ეს შეცდომა, რადგან უფრო მაღალ მადლს უფრო ერთგული შესრულება უნდა გამოეწვია ყველა წესისა. მრავალი ბეგარდის ურჩობამ დაამტკიცა, რომ მათი მადლი ან არ იყო ჭეშმარიტი, ან მათ იგი დაკარგეს. ეს ითქმის აფრიკის ეკლესიის დიდ მანათობელზე — ტერტულიანზეც, ჭეშმარიტების დამცველი მებრძოლიდან, ყალბი მისტიკის ზეგავლენით, იგი ერეტიკოსად იქცა.

მართალთ მისტიკურ მოძღვრებათა გამო აგრეთვე ძნელი გამოცდები უნდა გაეგლოთ. მაისტერ ეკარტი, მე-13-14 საუკუნეების ერთ-ერთი საუკეთესო და დაუცხრომელი მქადაგებელი, თავის მისტიკურ მოძღვრებაში სახიფათო ზღვრულ ფორმულირებებს შეეხო, როდესაც ამის გამო ბრალდება წაუყენეს, იგი თავის მართლებას შეეცადა, კიოლნის მახლობლად მდებარე დომინიკანელთა ეკლესიაში საჯარო ახსნა-განმარტებით გამოვიდა, რითაც წინასწარვე უარყო ყველაფერი, რაც ეკლესიის მოძღვრებას ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად ამისა, მისი სიკვდილის შემდეგ პაპმა იოანე XXII-მ საჭიროდ მიიჩნია მისი 28 თეზისი და-

\* ბეგარდები — მამათა ნახევარდომონსტრული გაერთიანების წევრები შუა საუკუნეების დას. ევროპაში, ბეგინები — ქალთა ასეთივე გაერთიანების წევრები (მთარგმნ. შენიშვნა).

ეგმო, ამათგან 17 — როგორც ერეტიკული, 11 — როგორც ერეტიკოსობაში ექ-  
 ვმიტანილი. ნეტარ ჰაინრიხ სუხოხათვის ეკპარტი მაინც წმინდა მაისტერად  
 დარჩა. დღეს ეკპარტი რეაბილიტირებულია, დადგენილია, რომ, მიუხედავად  
 ზოგიერთი წინადადების სახიფათო ჟღერადობისა, მას ყოველთვის სურდა  
 იავესი მოძღვრების დოგმასთან შეთანხმება. მსგავსი ბედი ეწია წმინდანთა  
 სწორ-ეპისკოპოს ფენელონს (მისი თავგანწირვა თვითგანადგურებას უახლოვდე-  
 ბა, როცა სიყვარულის სიწმინდის ზედმეტ აქცენტირებას ახდენს). მის წინააღ-  
 მდეგ აღიმაღლა ხმა რომმა და ფენელონმა, ისევე როგორც მაისტერ ეკპარტმა,  
 თავმდაბალი მორჩილებით თავისი ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა დაამტკიცა.

ჭეშმარიტი მისტიკური განცდა ეკლესიაში არასოდეს არ ჩამკვდარა და ის-  
 ტორიამ კარგად უწყის მისტიკურ მადლთა დღესასწაულნი, ამგვარი აყვავების  
 პერიოდია გვიანდელი შუა საუკუნეები.

## II. გერმანული მისტიკა

ქრისტიანული მისტიკა თეორიასა და ცხოვრებაში ცდილობს იმის გამოკ-  
 ელევას, თუ როგორ იშინავენს უშუალოდ ღმერთს მონათლული ადამიანი.  
 ლათინური მისტიკის გამოცდილების ისტორიაში ვლადიმერ ბენედიქტის „გერმანუ-  
 ლი მისტიკის“ შესახებ. მასში ჩვენ გვეხვებით მისტიკური ცხოვრების მოვლენები  
 და მისტიკური საეკლესიო ცხოვრების აღწერილობას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა  
 გერმანულ მიწაზე, განსაკუთრებით მათი აყვავების უამს მე-14 საუკუნეში. გერ-  
 მანული მისტიკა არის ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიო-ისტორიული კულტუ-  
 რული ქმნილება გერმანული ხალხისა, იგი არის ლიტერატურული გამოხატუ-  
 ლეობა სულიერი მიმდინარეობისა, ძირითადად ესაა ფილოსოფიურ-ასკეტურ-პო-  
 ეტიკური ლიტერატურა გერმანულ ენაზე, შექმნილი მონაზონთა და მათთან და-  
 კავრებული წრეების მიერ თავიანთთვის, დომინიკანელთა ზეღმძღვანელობით,  
 ეს პირველ რიგში ეხება აყვავების პერიოდს. გერმანული მისტიკის ერთიან გა-  
 მოვლინებას წამყვან დომინიკანელთა გვერდით აგრეთვე სხვა ორდენებისა და  
 ერთი სამღვდლოების ბევრი წევრი განეკუთვნება. მაგ. ბენედიქტელთა ორ-  
 დენის წევრი იოანე კასტელელი, ავგუსტინელთა მონასტრის კოლეჯის წევრი  
 იოანე რუისბრუკი, მღვდელი ჰაინრიხ ნიორდლინგენელი. გამოთქმა „გერმანული  
 მისტიკა“ არავითარ შემთხვევაში არ არის იმის აღმნიშვნელი, რომ აქ საქმე  
 ეკაქვს განსაკუთრებულ, სრულიად დამოუკიდებელ, გერმანული სულის  
 ერთადერთ ქმნილებასთან. ასევე ნაკლებად შეგვიძლია დავინახოთ მასში მხო-  
 ლოდ ნაწილი შუა საუკუნეების საერთო ევროპული კათოლიკური მისტიკისა.  
 ალბათ გერმანული მისტიკა, ისევე როგორც ყოველი მისტიკა, ძველი ქრისტიან-  
 ული მისტიკიდან გამოვიდა და მისი ზეგავლენა განიცადა. მიუხედავად ამისა,  
 შუა საუკუნეების მისტიკა გერმანულ მიწაზე, განსაკუთრებით მის მთავარ ცენ-  
 ტრებში რაინზე (კიოლნი, სტრასბურგი, ბაზელი, კონსტანცა), გერმანული  
 სულისა და გერმანული ენის ატმოსფეროში განვითარდა ერთადერთ განსა-  
 კუთრებულ კულტურულ მოვლენად, რომელსაც თავისებური ფორმითა და ნიუან-  
 სით დანარჩენ ევროპაში ბადალი არ ჰყავს.

## 1. გერმანული მისტიკის აღმოცენება

დიდხანს სჯეროდათ, რომ მე-14 საუკუნის მისტიკური ცხოვრების აყვავების საფუძველი უნდა ეძიათ პირველ ყოვლისა ეპოქის თავისებურ სტრუქტურაში მისი მკვეთრი წინააღმდეგობებით, პოლიტიკური და სულიერი კრიზისებით, მიწიერი გაჭირვებითა და დიდი შევიწროებებით. ამბობენ, რომ საბედისწერო დავამ პაპისა და იმპერატორის ხელისუფლებას შორის ლუდვიგ ბავარიელის (1314-47) დროს და სხვა პოლიტიკურმა არეულობებმა, ისევე როგორც შემადრწუნებელმა სტიქიურმა მოვლენებმა (მიწისძვრები, წყალდიდობები, შიმშილი, შავი ჭირი) სერიოზული პიროვნებები საიმისოდ განაწყვეს, რომ მათ ზურგი აქციეს ყოველგვარ მიწიერს, თავიანთი სულის უდრმეს საგანძურში განპარტოვდნენ, რათა იქ დაენთოთ მისტიკური მადლის ცხოვრების ცეცხლი და მით გამოთარიყვნენ. განსაკუთრებული მდგომარეობანი საერთოდ თუმცა კარგი მახაზრდობელი ნიადაგია მისტიკისათვის, მაგრამ ეს ნაკლებად ეხება ჩვენთვის საინტერესო ეპოქას. პოლიტიკური არეულობანი და გაჭირვება, რომლებზედაც ყოველთვის მიუთითებენ, ნაწილობრივ დაიწყო ამ მისტიკური აყვავების პერიოდის ბოლოს. მე-13 და მე-14 საუკუნეები გერმანული ბურჟუაზიისათვის ბრწყინვალე ხანას წარმოადგენდა. აღნიშნული იყო, თუ როგორი დიდი აღმავლობის მომტანი გახდა მე-13 საუკუნე საკუთრივ რაინის მხარისათვის ტექნიკისა და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, რომელმაც 1300 წლის ბოლოს ადგილი დაუთმო მეშჩანური მყუდროებით, მატერიალური ცხოვრებით ტკბობას.

წინაპირობად ბრწყინვალე მისტიკური ცხოვრებისათვის ეჭვგარეშეა იყვნენ მრავალრიცხოვანი და აყვავებული ქალთა მონასტრები. აქ იმყოფებოდა მისტიკის უმთავრესი ცენტრები, მაგრამ ქალთა ეს დიდი მოზღვაგება მონასტრებში არ შეიძლება მხოლოდ იმით დასაბუთდეს, რომ დედაკაცი ეკონომიკური სივიწროვისა თუ მძიმე დროების გამო იმჟამად უფრო ხშირად მიაშურებდა ხოლმე მონასტერს. ხალისით იხსენებენ ქალთა სიჭარბეს, რომელიც გამოიწვია ბევრმა ომმა, შინაბრძოლებმა და პირველ რიგში ჯვაროსანთა ლაშქრობებმა. რასაკვირველია, ეკონომიკურ სიდუხჭირეს ან სულიერ განმარტობას შესაძლოა ზოგიერთი ქალი მონასტერში მიეყვანა, მაგრამ ისტორიული ჭეშმარიტების მიმართ შევცოდებდით თუ მთავარ მიზეზს ან გადამწყვეტ მოტივს ქალთა მონასტრების აყვავებისას ზემოხსენებულში დაეინახავდით. სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის დომინიკანელთა მონასტრების მონაზონთა უმრავლესობა აყვავებული ქალაქების მდიდარი და შეძლებული ოჯახებიდან იყო, და, მამასადამე, ისინი ნამდვილად არ ყოფილან ეკონომიკური გაჭირვების გამო მონასტერში მისულნი.

მისტიკურ ცხოვრებას მე-14 საუკუნეში უფრო ღრმა საფუძველი აქვს. გერმანული მისტიკა რომ გავივით, მე-12 საუკუნის რელიგიური მიმდინარეობებიდან უნდა ამოვიდეთ. იმ დროს ადგილი ჰქონდა მძლავრ რელიგიურ მოძრაობებს, რაც გახლდათ რეაქცია ეკლესიის ფეოდალური სისტემისა და სასულიერო წოდების ზნედაცემულობის წინააღმდეგ. ისინი მოუწოდებდნენ ახალი ქრისტიანული ცხოვრების ფორმის შექმნისაკენ ნებაყოფლობითი სიღარიბითა და უმანკოებით, მოციქულთადარი უბრალოებითა და სახარების უწყებით. ნაწილი ამ მოძრაობისა ოფიციალური ინსტანციებისადმი გვერდის ავლით, ან მათი უარყოფით, ან მანიქველურ-დუალისტურ მოძღვრებათა მიმართ სიმპათიე-



ბის გამო ეკლესიას დაუპირისპირდა. სხვებმა საქმე მიიყვანეს ახალი ორდენის დაარსებამდე და ამით იმდროინდელ რელიგიურ მოძრაობას ორგანიზატორული მხარდაჭერა აღმოუჩინეს. ამ ისტორიულ ფონზე უნდა აიხსნას ორდენთა დაარსებანი, როგორცაა "რობერტ არბრსელისა", ნორბერტ ქსანტენისა და, პირველ ყოვლისა, ორივე წმინდანს — ფრანცისკისა და დომინიკისა. სწორედ ეს გლახაკთა ორდენები გავრცელდა გერმანიაში უკვე მე-13 საუკუნის დასაწყისში.

ამისაგან დამოუკიდებლად იმ დროს, როდესაც არ შეიძლება გლახაკთა ორდენთა მხრიდან ზეგავლენაზე ლაპარაკი, მე-12 საუკუნის ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში, პირველ რიგში ბრაბანტსა და ფლანდრიაში, თავი იჩინა მსგავსმა რელიგიურმა მისწრაფებებმა. მაგრამ თავიანთი არსითა და მიზანსწრაფვით ეს მოძრაობანი ძალზე უახლოვდებოდნენ თანადროულ მიმდინარეობებს რომანულ ქვეყნებში; აქაც უარყოფა ამქვეყნიური პატივისა და სიმდიდრისა, უარყოფა საზოგადოებიდან თუ ოჯახიდან მონიჭებული სიხარულისა, ნებაყოფლობითი სიღარიბე და უბიწობა. მხოლოდ, ამ მოძრაობის დროს, გერმანიაში უპირატესად ქალები იყვნენ ახალი იდეების მატარებელნი და პირველ ყოვლისა ქალები არისტოკრატიული წრიდან, რაინდულ გვართაგან და ქალაქის პატრიციებიდან. შემდგომ, როდესაც ეს მოძრაობა იტალიიდან და სამხრეთ საფრანგეთიდან გავრცელებულ გლახაკთა ორდენებს შეხვდა, ნაწილი ქალებისა შეეცადა ამ ორდენებზე დაყრდნობას და იქ თავიანთი იდეების განხორციელებას. მეორე ნაწილმა კი არჩია ქალთა საზოგადოება ორდენთან კავშირის გარეშე: ბ ე გ ი ნ ე ბ ი.

ამგვარად, ქალთა რელიგიური მოძრაობა, ისევე, როგორც მე-12 საუკუნის რელიგიური მიმდინარეობანი, არ წარმოადგენს პროლეტარულ მოძრაობას, იგი არ არის მატერიალური ვაჭირებით გამოწვეული, არამედ აღმოცენდა რელიგიური მოტივებისაგან, ქრისტიანული თავანწირვით ცხოვრებისა და რწმენის შეერთების მოთხოვნისაგან. რომ თანამედროვეებმა ქალთა სამყაროში ეს ცვლილება შენიშნეს, ამას ვხედავთ მაგ. 1257 წლით დათარიღებული ულრიხ ფონ ლინტენშტაინის „ქალთა წიგნიდან“, სადაც ის ჩივის: „მაინც როგორ შევძლებთ ჩვენ რაინდობის ნამდვილი ცხოვრებისეული სტილის შენარჩუნებას, იუკი ქალები უეცრად მონაზვნებავით იქცნენ, რიდე მოსხმულნი და კრიალოსნით ხელში დღედაღამ ეკლესიაში დადიან და ჩვენ არავითარ მხერას, სიტყვას ან სიხარულს აღარ გვანიჭებენ“.

ხელმძღვანელობა ამ ქალებისა, რომელთა ნაწილი მონასტრებში, ნაწილი კი როგორც ბეგინები ცხოვრობდა, გლახაკთა ორდენთა მხრიდან თავდაპირველი წინააღმდეგობის შემდეგ, პირველ ყოვლისა დომინიკანელებმა იკისრეს. რა ქმა უნდა, ორდენის მძებს აღარ სჭირდებოდა ამ ქალებში მისტიკური ლტოლვის გაღვიძება — იგი მათ უკვე დახვდათ, მდიდარმა რელიგიურმა ცხოვრებამ ღვთის სიყვარულითა და ზეციური სასძლოობით მაშინ ათასობით ქალი მოიცვა და გამოიწვია ხილვები, ექსტაზები, სასწაულებრივი გამოცხადებანი. დომინიკანელებს უნდა გაედრმავებინათ ეს მისტიკური ცხოვრება, რამაც მათ წინაშე დასახა ამოცანა, რათა თანხმობებაში მოეყვანათ და შეერწყათ ქრისტიანული მისტიკის ტრადიციული სიკეთე ამ ახლად გაღვიძებული რელიგიური ჯანცდის სურვილთან და განწყობასთან, რომლებიც მათ ქალებში პოვეს, და გადაეღოთ იგი ცოცხალ მშობლიურ ენაზე. ეს მდგომარეობა ორდენის მძებს

ხელსაყრელ შემთხვევას უქმნიდა, რათა თეოლოგიური სპეკულაცია ასკეტური ცხოვრებისათვის გამოხადეგად გაეხადათ, თეოლოგიაში მისტიკური ელემენტებისათვის ყურადღება მიექციათ და, ამგვარად, ის, რაც მათთვის სწავლისა და დაკვირვების შედეგად სულიერ შენახუნად და ცხოვრების შინაგან სისავსედ იქცა, პირველ ყოვლისა დებისათვის უწყებინათ, რომელნიც მათთან იმავე იდეალისა და იმავე წესთა მიმართ ვალდებულების მხრივ უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებულნი. ამ მისტიკურმა დარიგებებმა ორდენის ქალებში კარგი ნააღვანი პოვეს. ამგვარად იქცნენ სწორედ დომინიკანელთა ქალთა მონასტრები ცენტრებად დიდი მისტიკური ტალღისა.

## 2. გერმანული მისტიკის ნიშან-თვისებანი

გერმანული მისტიკა არსებითად იმით ხასიათდება, რომ მასში განსაკუთრებული პარმონით სუფევს ოთხი ელემენტი: სქოლასტიკური დაფუძნება, ნეოპლატონიკური ელემენტი, გამოხატვა გერმანული ენით, განმცდელი სული.

### ა. სქოლასტიკური დაფუძნება

სქოლასტიკა და მისტიკა თავისთავად არ წარმოადგენენ კონტრასტებს. დიდ სქოლასტიკოსებთან, როგორცაა ალბერტი, თომა აკვინელი და ბონავენტურა აშკარად ჩანს იდეალური სინთეზი ნათელ, ცნებისეულ აზროვნებასა და გულმხურვალე დვთისმოსაობას შორის. ეს კავშირი სქოლასტიკასა და მისტიკას შორის ტიპურია აგრეთვე გერმანული მისტიკისათვის: მისი გაგება შეუძლებელია სქოლასტიკის გარეშე. ვისაც გერმანული მისტიკის გაგება სურს, იგი საფუძვლიანად უნდა იყოს გათვითცნობიერებული სქოლასტიკაში და განსაკუთრებით წმიდა თომას თხზულებებში, სხვაგვარად იგი იმ ისტორიულ ნადავს გამოაცლის გერმანულ მისტიკას, სადაც ამ უკანასკნელს ღრმად აქვს ფესვები გამდგარი; იგი აუცილებლად მის ყოველგვარ განვითარებას უარყოფს, მაშინ როდესაც ამას ადგილი აქვს, და არასოდეს თვით მისი ტერმინოლოგიის სწორ გაგებასაც ვერ მიაღწევს, რომ აღარაფერი ვთქვათ საკუთრივ მოძღვრებაზე.

როგორ მოხდა სქოლასტიკისა და მისტიკის ეს შეკავშირება გერმანულ მისტიკაში? — გერმანულ დომინიკანელთა წინაშე განსაკუთრებული ამოცანა დანახა. ორდენის მოვალეობაში შედიოდა მის მფარველობაში მყოფი ქალთა მონასტრების სულიერი მეურვეობა. თუმცა ამის გამო ორდენის საუვეთესო ძალები ზშირად მოსცდებოდნენ ზოლმე თავიანთ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ კვლევა-ძიებათ და ეს იყო მიზეზი, რომ ორდენი ერთხანს გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა ზემოხსენებულის აღსრულებას. პაპებმა გრიგოლ IX (1227-41) და ინოკენტი IV (1243-54) დომინიკანელები აგრეთვე ამ სულიერი მეურვეობის აღსრულებისაგან გაათავისუფლეს. კლემენტ IV (1265-68) მათ 1267 წელს დების სულიერი მეურვეობა კვლავ დააკისრა, ამჯერად საბოლოოდ. მას შემდეგ ორდენის ძმები მთელი გულმოდგინებით მოეკიდნენ ამ საქმეს. ჩვეულებრივ, ამ ამოცანას თეოლოგიის მაგისტრებსა და ლექტორებს ანდობდნენ ზოლმე.

გასაკებია, რომ ეს მთლიანად სქოლასტიკურად განათლებული თეოლოგები თავიანთ ქადაგებებსა და მოხსენებებში უპირველესად იმ მასალით სარგებლობდნენ, რომელიც მათ სკოლაში შეითვისეს და რომელსაც სკოლაში თვითვე ასწავლიდნენ. ამ გზით ისინი სქოლასტიკურ დოქტრინას უფრო ფართო წრეებსა და სხვათა ხელმისაწვდომად ხდიდნენ; რადგან ისინი ამ მოძღვრებათ დედა ენაზე გადმოსცემდნენ. ესაა მთავარი დამსახურება გერმანელი დომინიკანელი მისტიკოსებისა. იყო რა სქოლასტიკური მოძღვრებანი აქამდე მეტად თუნაკლებად პრივილეგია გარკვეული კლასებისა, ახლა სქოლასტიკა მიტანილი იქნა უფრო ფართო აუდიტორიაში. ამით მათ წინ გადაიხსნა სრულიად ახალი სამყარო. მაღალი სულიერი დონე, რომელიც იმჟამად ბევრ ქალთა მონასტერში სუფევდა, გასაგებს ხდის, რომ მისტიკური ქადაგება ზოგჯერ ძალზე დიდ ინტერესს იჩენდა სპეკულაციისადმი, ღვთაებრივ საიდუმლოებათა ცოდნისადმი. სქოლასტიკურ იდეათა სფეროდან ზოგიერთი მოძღვრება განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობდა. ასე მაგალითად, მოძღვრებანი ღვთის არსის შესახებ, სამებაზე, ღვთაებრივ იდეებზე, ღვთაებრივ სიტყვაზე, ღმერთთან ქმნილებისა და კერძოდ ადამიანის დამოკიდებულებაზე, ადამიანურ შემეცნებაზე, ზადლის ზეგავლენაზე. ამაზე ამეწებდნენ შემდეგ ისინი მოძღვრებებს სულის საფუძველზე, ადამიანში ღვთის დაბადებაზე და ა. შ.

### ბ. ნეოპლატონიკური ელემენტი

არაა გასაკვირი, რომ ამ დარიგებების დროს ძველი თეოლოგიის „მისტიკური“ ელემენტები, განსაკუთრებით ავგუსტინედან და ფსევდო-დონისედან, უფრო და უფრო თვალში საცემი ხდებოდა. სწორედ ამით გაიკვალა გზა ნეოპლატონურ იდეათა განძამდე, როგორც ეს პირველ ყოვლისა ალბერტ დიდის, ულრიხ ენგებერტ სტრასბურგელისა და დიტრიხ ფრაიბურგელის მეშვეობით შესრულდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ნეოპლატონიზმი გადმოღებულ იქნა არა წმინდა ფორმით. ემანაციის იდეა ნეოპლატონური ყოვლად-ერთის სპეკულაციისა უფრო ქრისტიანული მნიშვნელობით განიმარტა. სამყარო, ადამიანური სულის ჩათვლით, ყოვლად-ერთიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ იგი მის მიერ შეიქმნება. მაგრამ ამ ყოვლად-ერთით არ შეიძლება ნაგულისხმევი იყოს უსასრულო პანთეისტური სამყარო-სულის გაგებით, არამედ მხოლოდ უსასრულო ღვთის კათოლიკური ცნების გაგებით. ადამიანი ჩართულია დინამიკურად გაგებულ ღვთისა და სამყაროს პროცესში. დიას, ყველაფერი მიმართულია ადამიანური სამშენიველ-სულის გადმერთებისაკენ იმ მიზნით, რომ ღმერთი დაიბადოს სულში, რათა სული იშვას ღმერთში. მისტიკოსებს საქმე აქვთ „არსებით“ ღმერთთან, როგორც ისინი უწოდებენ ამას, ესე იგი ნამდვილ ღმერთთან, რომელიც არა მხოლოდ ობიექტურად მყოფია ქმნილებებში, ადამიანის აზროვნებისა და შემეცნებისაგან დამოუკიდებლად, არამედ იგი მისტიკოსისათვის აგრეთვე სუბიექტურადაა ნამდვილი იმით, რომ მისტიკოსი მის ყოფნას, მის არსებას და ქმედობას უშუალოდ თავის თავში და ყველა საგანში გრძნობს.

მაგრამ თუკი მისტიკოსთა გამონათქვამებში ზოგჯერ ისე ჩანს, თითქოს ზღვარი ღმერთსა და ქმნილებათა შორის წაშლილი იყოს, თუკი უფსკრული

უსასრულო ღმერთსა და სასრულ ადამიანის სულს შორის ამოვსებულად გვეჩვენება, თუკი მისტიკოსის სული ღმერთში იჭირება, ღმერთში განქარდება, თუ იგი პირდაპირ ლაპარაკობს „გალმრთობაზე“ და „გალმრთობილ“ ადამიანებზე, მიუხედავად ამისა, თვით მაშინაც, აქ არ უნდა გავივით იგი ყალბად, არ უნდა აღვხსნათ ეს პანთეისტურად ამ ქველმარებაში სულს, მართლაც ავიწყდება ხშირად შეგნება არსის განსხვავებულობისა ღმერთსა და თავად მას შორის, მაგრამ ამით ეს განსხვავება არ წვევტს თავის არსებობას. აქცენტი აღარ კეთდება შემოქმედსა და ქმნილებას შორის დაპირისპირებულობაზე, ესაა გაერთიანება შემოქმედთან. „ამგვარი წვა-დაგვიით განწმენდილი, ფერცვლილი ადამიანის სული იძირება ღვთაებრივ წყვდიადში, მღუშარებაში და შეუცნობელ, ერთ გამოუთქმელ ღმერთთან ერთიანობაში. ამ ჩაძირვაში იშლება ყოველი თანასწორობა და უთანასწორობა, ამ უფსკრულში ადამიანური სული ჰკარგავს თავის თავს და არა უწყის არც ღვთისა და არც საკუთარი თავის, არც თანასწორობისა და უთანასწორობის ან სხვა რაიმეს შესახებ“ რადგან იგი ჩაძირულია ღმერთთან ერთიანობაში და მან გავება დაკარგა ყოველგვარი განსხვავებისა“\*. მაგრამ ამ გაღმრთობას, ამ მონაწილეობას ღვთის შემქმნელ სიცოცხლეში — იდეებში, რომელთაც საბედისწერო შეცდომების გამოწვევა ძალუძთ და გამოიწვიეს კიდევ, არაფერი საერთო არა აქვთ არსთა პანთეისტურ შერწყმასთან. „რადგან სულის გაქრობა, მისი გაუჩინარება სადა ღვთაებაში და მთელი კეთილშობილება და ყოველი სრულყოფილება — წერს სუბო გარკვევით (სიცოცხლე, 48-ე ქადაგება), — არ უნდა გავივით როგორც მის საკუთარ თვისებათა გარდაქმნა სწორედ მასში (ესე იგი სწორედ ამ ღვთაებაში), ისე, რომ ის, რაც თვითონ არის, თითქოს ღმერთი იყოს...“ განცდა მადლის მიერ გამოწვეული ღმერთთან სულის გაერთიანებისა არ წარმოადგენს ღმერთთან შერწყმას, არამედ ესაა მასთან საქორწინო გაერთიანება სიყვარულსა და მადლში.

ყოველ შემთხვევაში, არ არის გასაკვირი, რომ სულის სიღრმე და ხალისიანი სიწრფელე გერმანელი ადამიანისა ამ სიცოცხლით აღსავსე აზრთა წყობისადმი განეწყობა და მასში განსაკუთრებული სიაბოვნება პოვა.

## გ. გერმანული ენა

მთავარი გერმანულ მისტიკაში არის ის, რომ ეს მოძღვრებები პირველად გაღმობიდა დედა ენაზე, რადგან ამ გარემოებამ განაპირობა გამოხატვის სრულიად ახალი საშუალება. ახლა მოცემული იყო ამოცანა, ძალზე მიმზიდველი ამოცანა, გამოეყოთ საგნები ადრინდელ უფრო უპიროვნო ფორმულირებათაგან და შევემოსათ ისინი მსმენელის შემკრეტელობითი და გამოთქმითი საშუალებებით. ამგვარად იქნა ჩაყენებული დედა ენა ნაშედილი, ღრმა რელიგიური ცხოვრების სამსახურში.

მისტიკოსთა ლიტერატურა ეროვნულ ენაზე მთელ ევროპაშიც იყო გავრცელებული. გავიხსენოთ თუნდაც თხზულებანი ფრანცისკ ასიზელისა და ფრანცისკ ასიზელზე, თხზულებანი ვაკობონე და ტოდისა, კატარინა სიენელისა, ბირგიტა შვედელისა, რიხარდ როლესისა, იულიანა ნორვიხისა. მაგრამ იმჟამინ-

\* იოანე ტაულერი: 28-ე ქადაგება.

დელ მისტიკოსთა გერმანულ და არა გერმანულ ლიტერატურას შორის დიდი სხვაობა სუფევს. შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს აგრეთვე იტალიურ ენაზე შექმნილი მისტიკური თხზულებები, მაგრამ ეს ლიტერატურა უფრო ხალხისთვის იყო გამოიზნული და — რამდენადაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქ ავტორები ქალები არიან, — მასში არ შეიძლება იმაზე მეტის დანახვა, ვიდრე არის ლიტერატურული გამოხატულება საკუთარი ღვთისმოსიში განცდისა; ეს ეხება, მაგალითად, წმიდა ბირვიტას დამრიგებლურ მოსაზრებებს.

ამის საპირისპიროდ გერმანული მისტიკის შემთხვევაში საქმე გვაქვს არა პოპულარულ ლიტერატურასთან ან ზებუნებრივ შემეცნებათა და გამოცდილებათა უბრალო ჩანაწერებთან, არამედ აქ საქმე გვაქვს სერიოზულ ცდასთან, რათა უმაღლესი და იღუმალებით აღსავსე რწმენის ჭეშმარიტებანი მოიცვან კონკრეტულ-გასაგები ფორმით, დედა ენით, და შემდგომ ამით შეიჭრან გერმანელი ადამიანის სულში. გამოხატვის მთელ საშუალებას ამ გზით შეეძლო და უნდა შესძლებოდა გაცილებით ცოცხალი და პიროვნული გამზდარიყო. იგი უფრო მეტის მასუწყებელი გახდა და ამგვარად მსმენელთა გულში უფრო დიდი გამოძახილი პოვა. აქედან აიხსნება, რომ ეროვნულ ენაზე შექმნილმა მისტიკურმა ლიტერატურამ გერმანულ მიწაზე ესოდენ უმაღლეს წერტილს მიაღწია. არც ერთ სხვა ქვეყანაში ასე დიდი ადგილი არ უკავია მისტიკას როგორც დროის დიდ მიმდინარეობას, რომელმაც ფართო მასები მოიცვა, პირველ ყოვლისა მონასტერში, რომელმაც ლიტერატურის ისტორიის ეპოქას თავისი განსაკუთრებული ხასიათი მიანიჭა და თავის გამოხატულება პოვა მრავალგვარ ლიტერატურულ ფორმებში: ქადაგებებში, სასულიერო სხდომებსა და საუბრებში, სტატიებში, ბიოგრაფიებში, ლეგენდებში, სენტენციებში, ლოცვებსა და წერილებში.

სქოლასტიკურ მომდგრებათა პირველა გადმოცემა გერმანულ ენაზე და ხანგრძლივი ძიება იმის შესაბამისი გამოთქმისათვის, რაც უკვე თავისთავად გამოუთქმელია და რის განცდა ადამიანს ძალუძს მხოლოდ ღვთის წყალობით, ზრდიდა საიდუმლოს მიწიხველობას, რომლითაც ყოველი მისტიკა გარემოწული. ამგვარად, თუკი გერმანული ენა იდეურ-ზეგრძნობადი სამყაროსათვის შემზადდა და მეცნიერულ-ფილოსოფიური ტერმინოლოგიით გამდიდრდა, სხვა მხრივ, აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, თუ რა სიმწიფეებთან იყო ეს დაკავშირებული. სკოლის სწავლულთა ენაზე — ლათინურზე დიდი ხანია რაც დადგენილი იყო სპეციალური ტერმინები, გერმანულ ფილოსოფიაში კი, რომელიც ახლა სპეკულაციური მისტიკიდან აღმოცენდა, ისინი ჯერ კიდევ უნდა ჩამოეყალიბებინათ.

ადრინდელ გერმანულ მოქადაგეთ აქ არ შეეძლოთ რაიმე მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანა, რადგან მათ არავითარი ფილოსოფიური თემა არ ჰქონდათ დამუშავებული. გზა არავის გაუკვალავს, ყველაფერი თავიდან იყო შესაქმნიელი. არსებული ენობრივი საგანძური არ იყო საკმარისი, რათა ახალი და ღრმა აზრებისათვის შესაბამისი გამოხატულება მიენიჭებინა. უკვე თავისთავად ამ გაბედულ სისტემა-ნაგებობათა აღმართვისას შეიძლებოდა საეჭვო დაახლოება პანთეისტურ ცთომილებებთან. ასევე არ მცირდებოდა საშიშროება შეცდომისა, თუ არ მოხდებოდა სწორი და ფაქიზი დაზუსტება ახალი სიტყვების შექმნისას და ენობრივი გარდაქმნების დროს, ან თუ ეს გამოთქმები, თუნდაც ისინი სწორი ყოფილიყვნენ, მსმენელთა მიერ არასწორად იქნებოდნენ გაგებულნი, ანდა თუკი მისტიკური მოქადაგენი თავიანთ აღფრთოვანებაში გამოთ-

ქმებს ძალზე გადაჭარბებდნენ, რაც გაუგებრობათა საბაბი იქნებოდა და იყო კიდეც. ეკპარტის ქადაგებანი, მაგალითად, მონაზვნების მიერაა ჩაწერილი, რომ ბელნიც ალბათ თვით ესწრებოდნენ ამ ქადაგებებს. მაგრამ ამ მონაზონთა განათლების დიდ დონეს ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ ეს ჩანაწერები არასრულყოფილი და ზოგჯერ აგრეთვე უზუსტო, აზრდამაბნეველიც ყოფილიყო. ამასთანავე ქადაგებათა მასალა დამუშავებულთა მხრიდან ხშირად გარდაქმნილა.

ყველა ეს თვალსაზრისი გასათვალისწინებელია. ამგვარად, ადვილი ასახსნელია, რომ მისტიკური ლიტერატურა უცხოელ თეოლოგებთან მიჩნეული იყო საიქვო ხასიათის განსაკუთრებულ გამოვლინებად და ამიტომ მას აღმაცერად უყურებდნენ, მით უმეტეს, რომ საზღვარგარეთ მიმოდოდა არა ორიგინალური ტექსტები, არამედ მათი გაუგებარი ლათინური თარგმანები.

მიუხედავად ამ სახიფათო მომენტებისა და მოძღვრებასა და ფორმულირებებში აქა თუ იქ ფაქტობრივად არსებული უზუსტობებისა, გერმანულმა მისტიკამ დიდი როლი შეასრულა მათ გაღრმავებასა თუ გასულიერებაში და იგი წარმოადგენს განსაკუთრებულ მოვლენას კათოლიკური ღვთისმოსაობის ისტორიაში. აგრეთვე გერმანელ მისტიკოსთა დამსახურებას მიეწერება ის ფაქტი, რომ მათ დიდი ღვაწლი დასდეს გერმანული ენის განვითარებას და განსაკუთრებით გერმანული პროზის გამდიდრებას.

#### დ. განმცდელი სული

გერმანული მისტიკა შინაარსობრივი მხრივაც იჩენს განსაკუთრებულობას: მასში ცოცხლობს გერმანული სული. თეოლოგიური დემონსტრირების გვერდით გერმანული სული აღიარებას პოულობს თავისი ძლიერი ლტოლვით მჭვრეტელობისა და შინაგანი ცხოვრებისაკენ. მაშინ როდესაც რომანულ ზრთა წყობისაგან განპირობებული მისტიკოსები თავიანთ ნაწერებში დიდაქტიკურ, დამასისტემებელ თეოლოგებად დარჩნენ და ღვთაებრივს, რომლის მიღწევასაც ისინი ელტვოდნენ, უფრო აბსტრაქტულ სიმაღლეში სამყაროს მიღმა იაზრებდნენ, გერმანული მისტიკის სურვილია, დაახლოებით მე-14 საუკუნის დასაწყისიდან, რომ უფრო მეტად ადამიანთა გულს მიმართოს, რომ სულში შეაღწიოს და აგვუსტინეს კვალდაკვალ ღვთაება, პირველ ყოვლისა, თვით სულში, მის იღუმალ ნაწილში, სულის ფსკერზე მოიძიოს, ღმერთი არ არის სადღაც ჩვენს გარეთ, არამედ ჩვენშივე მოიძოვება, იქ, სადაც იგი ყველაზე უფრო ახლოსაა ჩვენთან, სამმაგად ჭეშმარიტი, სულის უმაღლეს სფეროში, მიმადლებული სულის საძირკველში. სულის ამ საძირკველში, ამ „ნათელ წერტილში სულისა“, სრულდება მისტიკური შეერთება ადამიანისა ღმერთთან.

ამგვარად მიიღება სისტემა, რომელშიაც გერმანული და საყოველთაო მისტიკის ავლადიდება ერთმანეთს უკავშირდება და რომელიც შეიძლება დაახლოებით შემდეგი სიტყვებით აღინიშნოს:

ღმერთთან შეერთების უმაღლეს საფეხურს სული აღწევს მხოლოდ თავის თავში ჩაღრმავებით, ისევე, როგორც მისი ქვენა ნაწილისაგან ზურგშეკცევით, რომელსაც იგი უნდა „გაპოეოს“ და ასევე — ქვეყანას. მაგრამ ეს მიიღწევა

ზოლოდ ტანჯვით. „ქვეყნისადმი ზურგშექცევა, პირველი საფეხური ყოველი მისტიკოსისა, არის — ყოველ შემთხვევაში მას ასეთი ზემოქმედება აქვს — ქვეყნისადმი მტრული დამოკიდებულება. წამყვანი შუასაუკუნეობრივი მისტიკა სხეული — სულის საკითხს წყვეტს ძალზე მკაცრად. მკაცრია მისი შეხედულება აფექტურ ცხოვრებაზე, მკაცრია სიყვარულს „ტანჯვისადმი“. ზემომოყვანილი მოსაზრებისათვის უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მისტიკოსები მხოლოდ იმ ადამიანებს მიმართავენ, რომელთაც სძაგთ შუა გზაზე გაჩერება და, მაღლის შეწევნის პირობით, მაღალი იდეალიზმითა და სრული მზადყოფნით, ძთელი სერიოზულობით ეკიდებიან სიტყვას: „იყვნით თქვენ სრულ, ვითარცა მამია თქუენი ზეცათაი სრულ არს“ (მათე 5,48). მისტიკოსები არ არიან პესიმისტები და ქვეყნის მოშუღენი, მაგრამ მათ უწყიან, რომ პირველცოდვის გამო საფრთხე ღრმადაა ადამიანის გულში დამარხული: აფექტური ცხოვრება და მასთან დაკავშირებული სულის ამღვრევა ცდილობს გამოსტაცოს ადამიანი ღმერთში არსებულ მის ადგილსამყოფელს. სულისადმი მათი მზრუნველობა ამიტომ ატარებს ძლიერ ასკეტურ ხასიათს.

სხვადასხვა ელემენტი მოქმედებდა ერთობლივად, რათა სწორედ იმ ეპოქის დომინიკანელ ქალებში ასე ღრმა მისტიკური ცხოვრება გაფურჩქნილიყო. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ძლიერი მოზღვავება ქალთა მონასტრებში. მე-14 საუკუნის დასაწყისში ორდენის მარტო გერმანული პროვინციის ფარგლებში არსებობდა დაახლოებით სამოცდაათი დომინიკანელ ქალთა მონასტერი. ამის შემდეგ გასათვალისწინებელია განათლების ის დიდი ღონე, რომელიც შუა საუკუნეების საზოგადოების ქალს თავისთავად უკვე აზნაიათებდა. იმ დროს ქალებს უმეტესწილად წერა-კითხვისა გაეგებოდათ ისევე კარგად, როგორც მანაკაცებს სასულიერო წრიდან, მაშინ როდესაც ერისკაცებს მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევაში შეეძლოთ კითხვა. მაგრამ ქალები და მონაზვნები არ იფარგლებოდნენ, როგორც განათლებული მამაკაცები სასულიერო წრიდან, ლათინური და სასულიერო ლიტერატურის კითხვით. ისინი ითვისებდნენ ლიტერატურას მშობლიურ ენაზე და ფლობდნენ საერო პოეზიასაც. ამასთან კავშირში საინტერესო იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ იმ დროის დომინიკანელ ქალთა მონასტრებში უკვე ბევრი რამ გააკეთეს ბიბლიის გერმანულ ენაზე სათარგმნელად. უმეტესწილად მონასტერში შესვლისათვის მოითხოვებოდა მაღალი განათლების ღონე. მისტიკური ქადაგებანი ორდენის წევრებში გულისხმობდნენ ისეთი მაღალი განათლების ღონეს, რომლის წარმოდგენაც ჩვენ მხოლოდ გაჭირვებით აუ შეგვიძლია. მონასტერში მისაღებად არ კმაროდა მარტოოდენ ღვთისმოსაური მიდრეკილება და სიმარჯვე რომელიმე პრაქტიკულ საქმიანობაში; მისგან მოითხოვებოდა აგრეთვე გარკვეული და, როგორც ჩანს, არამცირედი ინტელექტი და განათლება. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე მონაზონთა მოთხოვნილება რელიგიური ჩაღრმავების ცხოვრებისადმი. ყოველივე ამას უნდა მივეყვანოთ რელიგიური ცხოვრების დიდ კულტურამდე, რითაც გერმანულმა მისტიკამ ღვთისმოსაობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა.

### 3. გერმანული მისტიკის ისტორია

გერმანული მისტიკის ისტორია ისე მრავალმხრივია და ისე ნაზღაართული, რომ აქ მხოლოდ ზოგად მიმოხილვასა და მთავარ წარმომადგენელთა დახასიათებაზე შეიძლება ლაპარაკი. გერმანულ მისტიკაში ძირითადად შეიძლება სამი ფაზა განვასხვაოთ, რომელთაც ჩვენ აღვნიშნავთ აღმავლობად, აყვავების ხანად და დასასრულად\*.

#### ა. მიმოხილვა

პირველ პერიოდს განეკუთვნებიან (სხვებთან ერთად) ნათელმზილველი ქალები ჰილდეგარდ ბინგენელი, ელიზაბეთ შიონაუელი, ქრისტიანა შტომელნელი; ასევე სამი კეთილშობილი ქალის პიროვნება — მეხტილდ ჰაკებორნელი, გერტრუდ დიდი და მეხტილდ მაგდებურგელი, სამივე — ცისტერციენზენელთა\*\* ქალთა მონასტრიდან (ჰელფტას მონასტრიდან — აისლებენთან), მე-13 საუკუნის მეორე ნახევრის ქალთა ჰეშმარიტი განათლებისა და ამადლებული ნჭურეტილობის სამყოფელიდან.

ახალი ორდენის მიერ გერმანულმა მისტიკამ თავის აყვავების ხანას ქალთა სულიერი ხელმძღვანელობის დროს მიაღწია. განსაკუთრებით გამოირჩევიან ფრანცისკანელი დავით აუგსბურგელი და ბერტჰოლდ რეგენსბურგელი, ასევე კარტოიზერი\*\*\* რუდოლფ საქსონიელი — მათ, სამთავემ, დიდი ზეგავლენა იქონიეს. მაგრამ წამყვანი როლი, ეჭვგარეშეა, დომინიკანელთა ორდენს განეკუთვნებოდა. აქ მოსახსენებელია იორდან საქსონიელი, ულრიხ სტრასბურგელი, იოანე ფონ შტერნგასესე და სამთა თანაგარსკვლავედი — მაისტერ ეკპარტი, იოანე ტაუელერი და ნეტარი ჰაინრიხ სეუზო (სუზო). მათი მონათესავეა ფლამანდიელი იოანე რუისბრუკი, რომლის ზეგავლენამ მოიცვა ნიდერლანდები. ამ წრეს განეკუთვნება აგრეთვე ერთი ფრანკფურტელი მღვდელი, რომელმაც თავის „გერმანულ თეოლოგიაში“ („Theologia Deutch“) (დაახლოებით 1400 წელი) გერმანული მისტიკის მთავარი მოტივები შეაჯამა.

მე-14 საუკუნის გერმანელი მისტიკოსები და მისტიკოსი ქალები არ იდგნენ იზოლირებულად. ისინი ერთურთთან შეკავშირებულად გრძნობდნენ თავს საერთო ლტოლვით დმერთთან შეერთებისაკენ და თავს უწოდებდნენ „ღვთის მეგობრებს“ სახარების მიხედვით — იოანე, 15, 14 („თქვენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა ესე გამცნებ თქვენ“). ღვთის ამ მეგობრებს, რომელნიც არა მხოლოდ მონასტრებში, არამედ ერისკაცებშიც პოულობდნენ მიმდევრებს, არ სურდათ ფარული კავშირის დაარსება ეკლესიისაგან დამოუკიდებელი ტენდენციებით, არამედ სურდათ ყველა თანამზრახველის გაერთიანება ურთიერთ დახმარებისა და დარიგებისათვის. მათი დამსახურებაა, რომ მისტიკური იდეები და მისტიკური ცხოვრება აგრეთვე სხვა ორდენებსა და საერო წრეებში იქნა გატანილი.

მისტიკოსთა ზეგავლენით, განსაკუთრებით დომინიკანელთა ორდენიდან,

\* მოკლე შემაჯამებელ გადმოცემას იძლევა.

\*\* ცისტერციენზენელები — ბენედიქტელთა რეფორმატორული ორდენის წევრები. დაარსდა 1098 წელს. მთარგმნ. შენიშვნა.

\*\*\* კარტოიზერება — განდევნილთა კათოლიკური ორდენის წევრები. მთარგმნ. შენიშვნა.



გერმანული ქალთა დომინიკანური მონასტრები ქალთა ჭეშმარიტი მისტიკის ცენტრებად იქცნენ. ამას ადასტურებენ ცალკეულ მისტიკურად დაჯილდოებულ მონაზონთა ჩანაწერები. ამასთანავე, ჩვენ მოგვეპოვება ქრონიკებიც სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა ქალთა დომინიკანური მონასტრიდან: მედინ-გენიდან (მარგარეტა ებნერი), უნტერლინდენიდან, ადელჰაუზენიდან, კირხბერ-გიდან, ტიოსიდან (ელზბეთ შტაგელი), ოეტენბახიდან, კათარინენტალიდან, ენ-გელტალიდან (ქრისტინა ებნერი), ვაილერიდან.

გერმანული მისტიკის ბოლო ფაზას თუკი „დასასრულს“ ვუწოდებთ, ამით არაა ნათქვამი, რომ ამ დროისათვის აღარ არსებობდნენ გამოჩენილი მისტიკოსები; საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი დიონისე კარტოიზერი. მაგრამ ძირითადად მისტიკური ელემენტი უკან იხევს; რელიგიურ ცხოვრებაში უფრო მეტად პრაქტიკულ თვალსაზრისს ენიჭება უპირატესობა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიაღწია მე-15 საუკუნეში გერმანიაში ნიდერლანდებიდან გამოჟონილმა ღვთისმოსაურმა მიმდინარეობამ „ზიარი ცხოვრების ძმებისამ“ (ასევე ფრატერებს უწოდებდნენ მათ; დამაარსებელი გერპარდ გროტი, რუის-ბრუკის შეგობარი), რომელიც „Devotio moderna“-ს\* სახელითაა ცნობილი. რომ ეს სახეობა მოსწონდათ, ჩანს იქიდან, რომ იგი უკვე მაშინ, და არა გვიანდელ თაობათაგან, „ახლად“ იყო მიჩნეული. ამასთანავე, საქმე ეხება გამოყენებით მისტიკას — მჭვრეტელობიდან ცხოვრებისაკენ. მას ზურს, რომ რაც სამონასტრო ღვთისმოსაობის ბირთვის შეადგენს, აგრეთვე მონასტრის გარეთ განახორციელოს და ისწავლოს „ორდენის გარეშე ცხოვრება და ამავე დროს რჩებოდეს ორდენის წევრად“. მაშასადამე, მონასტრულ სულს ქვეყანა უნდა გაესხი-ეოსნებინა. მისი მიზანია ცხოვრების კურთხევა ქვეყნისაგან ზურგშეუქცეველად. ტიპური ამ სახეობისათვის არის „ქრისტეს მიბაძვა“. ღვთისმოსაობის ამ მიმდინარეობის წარმომადგენლად ითვლება აგრეთვე ფრანცისკანელი ჰაინრიხ აერაი. Devotio moderna-ს მონათესავეა რიგი ჩრდილო გერმანული, ბავარიული და ავსტრიული ბენედიქტელთა მონასტრებისა: ბურსფელდი, მელკი, კასტლი (იოანე კასტლერი), ტეგერნზეე.

მაშინ როდესაც მისტიკა სამხრეთ გერმანიაში თანდათანობით მინელდა და „ღვთის მეგობრების“ ღვთისმოსაობამ დროდადრო ლაიცისტური\*\* ტენდენციები შეიძინა, კიდევ ერთხელ აღსდგა ნამდვილი მისტიკოსი წმიდა განდევილნიკოლოზ ფლუელის სახით. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ნიკოლოზ კუზანელი, უნივერსალური გენიოსი ფილოსოფიური მისტიკის შერწყმით ეკლესიის პოლიტიკასთან, პიროვნულ შინაგან არსთან და სულიერი მამის თავგამოღებასთან.

## ბ. ბიოგრაფიული ცნობები

აქ დასახელებულია მხოლოდ ის მისტიკოსები, რომელთა ტექსტებიც ქვემოთაა მოყვანილი. მათი პოვნა რომ გაადვილდეს, სახელები დალაგებულია არა ქრონოლოგიური პრინციპის, არამედ ალფაბეტის მიხედვით\*\*\*.

\* Devotio moderna ლათ. — ახალი (თანამედროვე) ღვთისმოსაობა. მთარგმნ. შენიშვნა.

\*\* ლაიცოზმი — მიმართულება, რომელიც სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორებას მოიხიბს, მთარგმნ. შენიშვნა.

\*\*\* იგულისხმება ლათინური ალფაბეტი და ჩვენ ეს რიგი თარგმნისას არ დაგვირღვევია. მთარგმნ. შენიშვნა.

### ქრისტინა შტომელნელი (1242-1312)

იგი იყო ბეგინი და მოღვაწეობდა კიოლნში. 1267 წლიდან იმყოფებოდა მისი მოძღვრის, დომინიკანელი ჰეტრე დაციელის მზრუნველობის ქვეშ, რომელმაც აღწერა აგრეთვე მისი ცხოვრება. ახალგაზრდობიდანვე ჰქონდა ხილვები, მისი სტიგმატიზაცია\* დადასტურებულია. პიუს X 1908 წელს მოახდინა მისი კულტის აპრობირება.

### დავით აუგსბურგელი (დაახლ. 1200-1272)

პირველი გერმანულენოვანი მისტიკოსი და ერთ-ერთი პირველი გერმანელი ფრანცისკანელი, მეგობარი და თანამგზავრი ბერტჰოლდ რევენსბურგელისა; მოღვაწეობდა აგრეთვე როგორც ინკვიზიტორი. მისგან დარჩენილია ლათინური დარიგებები მორჩილთათვის, ასევე ასკეტურ-მისტიკური ტრაქტატები გერმანულ ენაზე (სათნოების შვიდი შინაგანაწესი, სარკე სათნოებისა), რომლებშიაც იგი აკავშირებს მაღალ იდეალიზმს პრაქტიკული ცხოვრების ფხიზელ გაგებასთან.

### დიონისე კარტოიზერი (1402/03-1471)

თავისი, პირველი განათლება მიიღო ფრატერებთან დევენტერში და იყო რუისბრუკის აზროვნების ზეგაელენის ქვეშ. თვრამეტი წლისა გახდა კარტოიზერი; თეოლოგიის ყველა სფეროში შექმნილი აქვს ნაწარმოები. თავისი კონტემპლაციური აზროვნების უნარის, თავისი ზშირი ექსტაზური მდგომარეობის (მან სხვათა შორის, კონსტანტინეპოლის დაცემა ვიზიონურად განჭვრიტა) და თავისი მისტიკური ნაწერების გამო მან მიიღო სახელწოდება „Doctor ecstaticus“.

### ეკჰარტი, მაისტერი\*\* (დაახლ. 1260-1327)

განეკუთვნებოდა რაინდულ გვარს ჰოხენჰაიმში. 1304 წელს იგი გახდა პირველი წინამძღვარი საქსონურ დომინიკანელთა ორდენისა. იგი გარდაიცვალა როგორც მასწავლებელი და მოქადაგე კიოლნში, მას შემდეგ, რაც იმოღვაწა როგორც რეფორმატორმა ბოჰემიაში დომინიკანელთა მონასტერში, როგორც პროფესორმა პარიზში და როგორც მოქადაგემ სტრასბურგში. ეკჰარტმა დატოვა მდიდარი ლიტერატურა (Opus tripartium, Quaestiones; გერმანული ქადაგებანი და ტრაქტატები). რადგანაც იგი თავის ქადაგებებსა და ლექციებში უფრო მეტად მისტიკოსი იყო, ვიდრე დოგმატიკოსი, ხოლო თავის მისტიკაში კი მაღალი თეოსოფიური და სპირიტუალისტური მჭკვრეტელობისაკენ ისწრაფვოდა, ამასთანავე, მისი გამოთქმის მანერა (მის მიერ ნაწილობრივ პირველად წამოწ-

\* სტიგმატიზაცია (ბერძნ. „სტიგმა“ — ჩხვლეტა, დამლა) — უჩვეულო მოვლენა ადამიანის სხეულზე, როდესაც ჩნდება სისხლჩაქცევები ან სისხლის გამონაქონები იმ ადგილებზე, რომლებითაც ქრისტე იყო მილურსმული ჭვარზე და სადაც ედგა მკლის გაირკვინი. მთარგმნ. შენიშვნა.

\*\* მაისტერი — ისტატი, მასწავლებელი, დამრიგებელი, მეტრი, მთარგმნ, შენიშვნა.



ცებული ფორმულირებები გერმანულ ენაზე) თეოლოგიურად ზოგჯერ არაზუსტი იყო და, იმავე დროს, უყვარდა რა სახიფათო ზღვრული ფორმულირებანი, აგრეთვე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მისი ქადაგებანი და ლექციები ყოველთვის როდი იყვნენ ზუსტად ჩაწერილნი, მაშინ ვასაგები ვახდება ის ვარაუზობა, რომ მისი მოძღვრება მრავალგზის იქნა ეჭვმიტანილი და მკაცრად შემოწმებული. საბოლოოდ, კიოლნში, ინკვიზიტორებმა მის წინააღმდეგ პროცესი გამართეს. ეკპარტმა არაერთხელ დაიცვა თავი, ხოლო 1327 წლის 13 თებერვალს უსიტყვოდ უარყო ყველა თეზისი, რომელთაც მიახლოებითაც კი საეჭვო შინაარსი ჰქონდათ, და დაუმორჩილა უწმიდესი პაპის განაჩენს მას შემდეგ, რაც მან, წინდაწინ, პაპის კურიას ავინიონში თავდასაცავი წერილი გადასცა. იგი გარდაიცვალა იმავე წელს, სანამ ჯერ კიდევ რაიმე გადაწყვეტილება იქნებოდა გამოტანილი. დიდი გამოკვლევის შემდეგ, 1329 წელს, იოანე XXII-მ დაემო მისი 28 თეზისი, ამათგან 17 როგორც ერეტიკული, 11 როგორც კალნიერებასა და ერეტიკოსობაში ეჭვმიტანილი. მხოლოდ მთლიანი კრიტიკული გამოცემა ეკპარტის თხზულებებისა შეგვაცნობინებს ამ თეზისების ურთიერთკავშირსა და მათ ნამდვილ აზრს. ყოველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ეკპარტს ყოველთვის სურდა თავისი მოძღვრების შეთანხმება დოგმასთან.

**ელიზაბეთ შიონაუელი (დაახლ. 1129-1164)**

ბენედიქტელი შიონაუს მონასტერში (პესენი). 1152 წლიდან მას ხშირად ჰქონდა ხილვები, რომელნიც „ხილვათა“ 3 წიგნსა და წმ. პილდეგარდის scivias მაგალითით შექმნილ Liber viarum Dei-შია (წიგნი ღვთის გზებისა) გადმოცემული (ორივე თხზულება მისი ძმის — აბატ ეკბერტის მიერაა რედაქტირებული). მისმა გამოცხადებებმა წმ. ურსულაზე გადამწვევტი ზეგავლენა იქონიეს ლეგენდის ფორმირებაზე.

**გერტრუდ დიდი (1256-1302)**

წმიდანი. მოწაფე მეხტილდ ჰაკებორნელისა. ხუთი წლის ბავშვი იყო, როდესაც ჰელფტაში მივიდა; თავისუფალ ხელოვნებებსა\* და თეოლოგიაში კარგად განსწავლული. ოცდახუთი წლის ასაკში პირველი გამოცხადება ჰქონდა მაცხოვრისა, რომელიც მას თითქმის ყოველდღე სიკვდილამდე შინაგანი ვახივოსნებით სწყალობდა. მისი უდიდესი ბედნიერება იყო იესოს ღვთაებრივი გულის სიყვარულში ჩაპირვა. მისი გამოცხადებანი, რომლებიც მან უფლის ბრძანებით ჩაიწერა, ატარებენ სათაურს — „ღესპანი ღვთაებრივი სიყვარულისა“. ვარდა ამისა, არსებობს კრებული მისი ლოცვებისა და სულიერი ვარჯიშებისა Exercitia spiritualia.

\* შუა საუკუნეებში თავისუფალ ხელოვნებებს უწოდებდნენ გრამატიკას, დიალექტიკას, რიტორიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, მუსიკასა და ასტრონომიას, მთარგმნ. შენიშვნა.

### გიზელჰერ ზლატჰაიმელი (მე-14 საუკუნე)

დომინიკანელი. ზუსტი ცნობები მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე არ გავაჩნია. იგი, საფიქრებელია, იყო მკითხველი კიოლნისა და ერფურტის მონასტრებში. გამორიცხული არ არის დროებითი სიახლოვე მაისტერ ეკპარტთან. თავის ქადაგებებში დამოძღვრის სახით ამუშავებს თეოლოგიურ საკითხებს.

### პილდგარდ ბინგენელი (1098-1179)

წმიდანი. წინამძღვარი ბენედიქტელთა ქალთა მონასტრისა რუპერტის მთაზე ბინგენტან. უკვე მის თანამედროვეებზე ახდენდა იგი დიდ შთაბეჭდილებას თავისი ხილვებით, რომელნიც მან ჩაიწერა „Liber scivias“-ში (scivias Domini: შეიმეცნე გზანი ღვთისა), რა თქმა უნდა, სხვათა დახმარებით. ახლანდელ დროში კვლავ ყურადღება მიაქციეს მის მედიცინურ და საბუნებისმეტყველო თხზულებებს და მას მიიჩნევენ პირველ გერმანელ ბუნების მკვლევარად და ექიმად.

### იორდან საქსონელი (მე-12 საუკუნის ბოლო – 1237)

ნეტარი, დომინიკანელი. როგორც პირველმა შემკვიდრემ წმ. დომინიკის გენერლის რანგში (1222 წლიდან), მან ჩამოაყალიბა ორდენის ორგანიზაცია. თავისი წარმტაცი ქადაგებებით ორდენს შესძინა ბევრი სპეციალისტი, განსაკუთრებით პროფესორთა და სტუდენტთა შორის პარიზში (აქ ალბერტ დიდი), ოქსფორდში, ბოლონიაში, ვერჩელისა და მონპელიეში. მის ვრცელ კორესპონდენციებს, განსაკუთრებით ნეტარი დიანა ანდალოელის მისამართით ვაგზავნილთ ბოლონიაში, წმ. აგნესას მონასტერში, რომლითაც იგი წარმოგვიდგება როგორც სულიერი მოძღვარი, ღირებულება აქვთ „როგორც უძველეს დომინიკანურ დოკუმენტებს მისტიკური ღვთისმოსაობისა“ (ბ. ალტანერი).

### მონასტერთა ქრონიკები (მე-14 საუკუნე)

სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის მრავალ დომინიკანურ ქალთა მონასტერში, სულიერი და რელიგიური აღმავლობისაკენ მოსწრაფე მონაზვნებში განსაკუთრებულად აფავადა მისტიკა და აისახა იგი ლოცვის შინაგან ცხოვრებაში, ასევე, თავლმისაცემ ექსტატიურ მდგომარეობებსა, ხილვებსა და გამოცხადებებში. აქ გათვალისწინებული იქნება ამ ქრონიკებიდან მხოლოდ სამი: ტიოსი, ენგელტალი, კატარინენტალი.

### მეხტილდ ჰაკებორნელი (1241-1299)

წმიდანი. და გერტრუდ ჰაკებორნელისა, პელფტას აბატისასი, თავისი თავბღაბლობითა და ღვთისმოსაობით, თავისი თვითგვემითა და მრავალი ტანჯვის დიდი მოთმინებით გადატანით იგი აცვიფრებდა ირგვლივ მყოფთ და დიდი თავ-

ვანისცემა მოიპოვა. მისდამი განსაკუთრებულ წყალობათა ფაქტი მან გაუზიარა მონასტრის ორ დას, რომელთაც ეს ჩაიწერეს „განსაკუთრებულ წყალობის წიგნში“.

### მეხტილდ მაგდებურგელი (დაახლ. 1210-1290)

მას შემდეგ, რაც მეხტილდმა რამდენიმე ათეული წელიწადი მაგდებურგის ზეგინთა ერთ-ერთ სახლში სრულ სიჩუმესა და მკაცრ სინანულში გაატარა, იგი, უკვე ასაკოვანი, ცისტერციენზერინებთან მივიდა ჰელფტაში, სადაც მან თავისი ცხოვრების ბოლო თორმეტი წელი დაყო. ორმოც წელზე მეტ ხანს იმყოფებოდა იგი დომინიკანელთა ხელმძღვანელობის ქვეშ. მისი ხილვები შემოგვრჩა თხზულებაში „ნარნარი შუქი ღვთაებისა“, სადაც მას ღვთაების საიდუმლოებათა გამოცხადება სურს.

### ქრისტეს მიბაძვა

ეს მთლიანად Devotio moderna-ს სულით გამსჭვალული, წმ. წერილის შემდეგ ყველაზე ხშირად დაბეჭდილი და ნაკითხი, ყველა კულტურულ ენაზე თარგმნილი დაპრიგებლური ხასიათის წიგნი მთელი ქრისტიანობისათვის საყვარელ წიგნად იქცა. მისი ავტორობის საკითხი დღევანდლამდე ჯერ კიდევ არაა გარკვეული. მნიშვნელოვანი მოსაზრებანი მეტყველებენ გერჰარდ გროტის (გარდაიც. 1384) ავტორობის ხასარებლოდ, რომელიც იყო მეგობარი რუისბრუკისა და დამაარსებელი ფრატერობისა. ერთსულოვნება სუფევს მხოლოდ იმ საკითხში, რომ ადრე ყველასაგან ავტორად მიჩნეულმა თომა კემპიელმა (გარდაიც. 1471) ეს ქმნილება დაასრულა.

### ნიკოლოზ კუნანელი (1401-1464)

სწავლობდა ზიარი ცხოვრების ძმებთან. მონასტრის დეკანი კობლენცში. 1448 წელს — კარდინალი, 1450 წელს — ბრიქსენის ეპისკოპოსი. თავამოღებული მფარველი საეკლესიო რეფორმისა. იგი ფლობდა მთელ თეოლოგიურ და საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ ცოდნას მისი დროისას. ღმერთში სამყაროს წინააღმდეგობათა დამთხვევა და გაერთიანება მისთვის ამოსავალი წერტილი იყო მისტიკური მწვერვალებისაკენ ასამაღლებლად, ამაღლებად ღვთის მჭვრეტელობისაკენ, სადაც შემეცნება სიყვარულია და სიყვარული — შემეცნება.

### რუისბრუკი, იოანე (1293-1381)

უწარჩინებულესი ფლამანდიელი მეგობარი ღვთისა, „გასაცრად“ წოდებული. ჯერ იყო მღვდელი, მოგვიანებით შეუერთდა მეგობრებს. ამ ჰატარა საწოგადობამ მიიღო ავგუსტინელთა ორდენის წესები და დააარსა მონასტერი ეროენენდაელი. თავის მისტიკურ თხზულებებში — „სულიერი ქორწინების ძორთულობა“, „სარკე მარადიული ბედნიერებისა“, „სიყვარულის შვიდი საფესური“, „წიგნი თორმეტი ბეგინის შესახებ“ — რუისბრუკმა გვიჩვენა გზა ქმედითი ცხოვრებიდან ღვთის მჭვრეტელურ ცხოვრებამდე.

## სეუზო (სეზო), პაინრიხ (დაახლ. 1295-1366)

ნეტარი. უკვე ცამეტი წლისა აღიკვეცა თავის მშობლიურ ქალაქ კონსტანციის დომინიკანელთა მონასტერში. კიოლნში მიღებული ფილოსოფიურ-თეოლოგიური განათლების შემდგომ იგი დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა როგორც მოძღვარი კონსტანცასა და მეზობლად მყოფ ქალთა მონასტრებში. 1349 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე იგი მოღვაწეობდა ულმში. სეზო იყო სპეკულაციური ნიჭით, პოეტური შეგრძნების უნარითა და გრძნობათა სიმდიდრით დაჯილდოებული ადამიანი, მისი „სიცოცხლე“, „წიგნი ჰეშმარიტებისა“ და „წიგნი მარადიული სიბრძნისა“, „Horologium sapientiae“ (წიგნი სიბრძნის საათისა) და მისი წერილები წარმოგვიდგენენ მას, როგორც ყველაზე უფრო გულისხმიერსა და თავაზიანს მისტიკოსთა შორის.

## შტერნგასენი, იოანე ფონ (გარდაიც. 1327 წლის შემდეგ)

დომინიკანელი, პროფესორი ორდენის უნივერსიტეტში სტრასბურგსა და კიოლნში. იგი ამუშავებს მისტიკის დიდ საკითხებს მთლიანად წმ. თომა აკვინელის სულისკვეთებით, რომლის სენტენციათა კომენტარში განვითარებული სპეკულაციები მას თავის გერმანულ ქადაგებებსა და გამოთქმებში ხალხამდე დაჰყავს.

## ტაულერი, იოანე (დაახლ. 1300-1361)

მასზე ყველაზე მეტად ეკჰარტმა მოახდინა ზეგავლენა. ამ დომინიკანელის მთავარ მისწრაფებას არ შეადგენს სპეკულაცია, არამედ მისტიკური დოქტრინის გამოყენება ცხოვრებაში. იგი პირველ ყოვლისა ზრუნავს ზნეობის გაუმჯობესებათათვის და ღვთის სიყვარულის ყოველდღიურობაში გამოვლინებისათვის. ამიტომაც იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაყოფიერი სულიერი მოძღვარი ცხოვრების პრაქტიკულად მოწყობისათვის ღმერთთან მისტიკური შეერთების სულისკვეთებიდან გამომდინარე. ამის დამადასტურებელია მისი ქადაგებანი, რომლითაც იგი გამოდიოდა კიოლნში, ბაზელსა და სტრასბურგში.

## გერმანული თეოლოგია (Theologia Deutsch)

(მე-14 საუკუნის დასასრული)

Devotio moderna-ს სფეროს განეკუთვნება ანონიმი ავტორი, რომლის პიროვნება დღემდე არაა დადგენილი, მაგრამ რომელიც ნამდვილად მოღვაწეობდა ტევტონური ორდენის ეკლესიაში საქსენჰაუზენში – ფრანკფურტ-მაინთან. მე-14 საუკუნის ბოლოს მან შექმნა „წიგნი სრულყოფილი ცხოვრების შესახებ“, რომელიც ლუთერმა პირველად გამოსცა როგორც „გერმანული თეოლოგია“, უბრალო სახელმძღვანელო ღმერთთან შეკავშირების მიღწევისა და მისი ნამდვილი გაღრმავებისათვის განწმენდის, ნათლის მოყენისა და შეერთების გზით.

## სიტყვათა განმარტებანი

გერმანულ მისტიკოსთა მიერ ხშირად ხმარებული გამოთქმების მნიშვნელობა: განმარტობა (Abgeschiedenheit): მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი ყოველგვარ ქმნილებასა და საკუთარ ნება-სურვილს ზურგს აქცევს და მთლიანად ღვთისკენაა მიმართული.

გამოსვლა (Auskehr): მიბრუნება გარე სამყაროსადმი, გარეშე საგნებით დაკავება.

გამოსახულება, სურათი (Bild): ხშირად გამოთქმისას „გამოსახულების გარეშე“, ე. ი. გრძნობისმიერი დასურათხატების გარეშე, ფანტაზიის მონაწილეობის გარეშე, წმიდა სულიერი ჭვრეტა.

სიმარტივე, უბრალოება, უბრალო (Einfältigkeit, Einfalt, einfältig): საწინააღმდეგო სხვადასხვაობისა (Mannigfaltigkeit) განუსხვავებელი (ununterschieden) (აგრეთვე ერთი), როდესაც შინაგანი და გარეშე მოღვაწეობანი ერთ სწორ აზრში არიან გაერთიანებულნი.

ჩაღრმავება (Einkehr): თავის თავში ჩაღრმავება, შინაგანი კონცენტრაცია. სიმშვიდე (Gelassenheit): მისტიკური სიქველე სრული თვითუარყოფისა, დვთისადმი გმირული ერთგულებისა, რომელიც აქტივობას მაინც არ გამორიცხავს; მშფოთვარე არის ის, ვინც მოუწესრიგებელ ტრფიალს ატარებს საკუთარი თავისა და ამქვეყნიურის მიმართ.

საფუძველი, საძირკველი, ფსკერი (Grund): სულის უშინაგანესი, სულის საძირკველი, სადაც ადამიანმა გაითავისუფლა თავი ყოველგვარი საკუთარი ნება-სურვილისაგან და ქმნილების ყოველნაირი ტრფიალისაგან.

უსაფუძველო, უსაძირკველო, უფსკერო (grundlos): საფუძველის, საძირკვლის გარეშე — უძიროს, უღრმესის, უსაზომოს გაგებით.

დაბრკოლება (Hindernis): რაც გამთიშველად აღმართულა ღმერთსა და სულს შორის; დაბრკოლების გარეშე, უშუალოდ.

შინაგანი ცხოვრება, შინაგანობა, შიდა არსი (Innerlichkeit, Inwendigkeit): მდგომარეობა სულისა, როდესაც იგი სავსებით თავისუფალია წარმოღვენათაგან, სურათთაგან, გონების ქმედობათაგან და მისწრაფებათაგან.

დატოვება, დათმობა (lassen, sich lassen): საკუთარ ნებაზე უარის თქმა, მინდობა.

სიწმინდე, გამჭვირვალობა (Lauterkeit, lauter): როგორც ღღვეანდელი გაგებით წმინდა, შეურეველი, აუღვრეველი, აგრეთვე შემდეგი მნიშვნელობით: საშუალების გარეშე, სურათის გარეშე (იხ. სურათი).

სხვადასხვაობა (Mannigfaltigkeit): საკუთრივ მრავალფეროვანი, მრავალფეროვნება; უმრავლეს შემთხვევაში აღმნიშვნელია მოუწესრიგებელი მდგომარეობისა, რომლის დროსაც შინაგანი ცხოვრება მთლიანად არაა ღვთისაკენ მიმართული; აქედან, გამრავალფეროვნება: შინაგანად მოუწესრიგებლად, დაბნეულად ყოფნა. სხვადასხვაობა უპირისპირდება სიმარტივეს (იხ. ზემოთ).

ფიქრი (meinen): რაიმეს განზრახვა, რაიმესაკენ თავისი თავის ან განზრახვის მიმართვა.

საშუალება (Mittel): რაც გამთიშველად შუაში აღმართულა, განსაკუთრებით ღმერთსა და სულს შორის; უმეტეს შემთხვევაში, საშუალების გარეშე, უშუალო: დაბრკოლების გარეშე.

არმგავსება, უთანასწორობა (Ungleichheit): ხშირად ღვთისაგან დაშორება, ღვთის სიშორე.

საშუალება — გზა (Weise): ღმერთთან მიმართებაში: გამოცხადების ფორმა, რაიმე, რაც არსს უახლოვდება, აქედან უმეტეს შემთხვევაში.

უგზო (Weiselos): გზის (საშუალების) გარეშე (უგზოობა), მოწყვეტა ყოველგვარი ცდისეულისაგან, მხოლოდ წმინდა არსის მიხედვით.

## რჩეული ტექსტები

### 1. ღმერთი ყველაფერი — ყოველივეში

ქრისტიანი ადამიანი, როგორც მან მისტიკაში განსაკუთრებული გამოხატულება პოვა, არ არის ყრუ ღვთის მოწოდების მიმართ ამ ქვეყნად. ღმერთში სწორედ თავის ადგილმდებარეობის მეშვეობით იგი აღწევს იმისი რეალობის დანახვასა და შეგრძნებას, რომელიც ყოველივეზე მაღლა დგას, რომლისგანაც ყველაფერი თავის საწყისს ღებულობს და რომლისკენაც ყოველივე უკანვე მიიღტვის. იგი ბუნებაში ხედავს ღმერთს ისე, რომ არ ეცემა პანთეისტურ არსთა შერწყმამდე: ბუნება მისთვის არის სიმბოლო და ქმნილება შემოქმედის ძალისა, სიდიადე და მშვენიერება ღვთისა. იგი ხედავს ღმერთს ადამიანში; ადამიანი ზომ იმის მსგავსია, ვინც იგი შექმნა, იგი ღვთის სიყვარულს პირველ ყოვლისა ხედავს ქმნილებაში, რომელიც ზებუნებრივ წყობაში შედის და წყალობის უკვდავ ენერგიათაგან ფორმირდება და აღინთება, რადგან წმიდა თომა აკვინელის მიხედვით (ცალკეული ადამიანის მაღლის ავლადიდება გაცატლებით უფრო დიდია, ვიდრე მთელი სამყაროს ავლადიდება) (Summa theol., I-II 113, 9-2). ამგვარად, მისტიკოსისათვის ყველაფერი შექმნილი გამოსხივებაა სამგზის წმიდა ღვთისა, ხატია უმაღლესისა, გამოხატულებაა მამის სიყვითისა, ძღვენია და საბოძვარი ზემოდან.

ეს ნათელხილვა, ეს ხედვა შემოქმედის მართვისა და სამყაროში დანატოვარი მისი კვალისა მისტიკოსს აიძულებს განცვიფრებით აღსავსემ თვალნი აღაპყროს ზევით და დაიჩოქოს წინაშე ღვთის დიდებულებისა და ჰქონდეს მხოლოდ ერთი სურვილი — მიღიანად არსებობდეს ამ ღმერთისათვის. იგი ღვთის დასტურით შემოდის ბუნებაში, შეპყრობილია შეუცნობელი წყურვილით ღვთისადმი და სრული მინდობით თავს აფარებს ღვთის კალთას. მას აქვს მხოლოდ ერთი აუცილებელი საზრუნავი — ღვთის ნების აღსრულება და გადმოსჩქეფს მაღლიერების აღსავსე ყველა იმ წყალობათა და საბოძვართა გამო, რითაც ჩვენ ღმერთი გამუდმებით გვასაჩუქრებს.

მისტიკოსები გვამცნობენ და ადასტურებენ მათთან ღვთის განსაკუთრებული სიახლოვის ნიშნებს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ამ ნიშნებს ჩვენც რომ აუცილებლად დავლოდებოდით ან საერთოდ რომ მოგვეთხოვა ისინი. ღმერთი უგზავნის თავის განსაკუთრებულ წყალობას — როდესაც, როგორც და ვისაც მას სურს. ჩვენ კმაყოფილი უნდა ვიყოთ იმით, რაც ჩვენთვისაა განსაზღვრული. არავის ერგება ძალზე მცირე. მისტიკოსთა ჩანაწერები შესაძლებლობას





გვაძლევენ ვიზილთ ღვთის სიმდიდრე, რომლის გასაცემად, თუკი მას სურს, იგი მზადაა მისთვის, ვინც მას ეძიებს და გულის ხილრმიდან აღავლენს მისდამი სიყვარულს.

1. ღვთის გამოცხადება, ღვთის ყველგან სუფევა

შენ ხარ ყოველ საგანზე, ყოველ მხარეს, ყველა დროში... შენ იმყოფები ყველა საგნებზე მაღლა მეფური ძალმოსილებით და შენი ბუნებრივი ღირსებით. შენ ხარ ყველა საგანთა შორის, ყოველი საგანი შენზეა დაფუძნებული... შენ იმყოფები უშინაგანეს ყოველ საგანთა, რადგან შენა ხარ ყოველი საგნის უშინაგანესი გული და ფარული ძალა და შენ ანიჭებ მათ მათსავე არსს. შენ იმყოფები საგანთა მიღმა, რადგან არც ერთ საგანს არ ძალუძს აღქმა შენი და არც ერთი ქმნილება არ შეგიცავს შენ; შენ შეიცავ ყოველ საგანს, რადგან შენა ხარ ყველა საგნის პირველსახე და ცოცხალი მოქანდაკე, რომელშიაც ყოველივე ცხოვრობდა, რაც არის, რაც იყო ან იქნება... შენ ხარ მათი უფალი, შენ ხარ მათი მსახური, ხარ მათი მამა, ხარ მათი დედა, შენ ხარ ბავშვი მათი, მათი ძმა ხარ შენ, შენ ხარ უუმანკოესი და უტკბილესი მოსიყვარულე ქმარი მათი.

ღავით აუგსბურგელი: ჭეშმარიტების შემეცნების შესახებ. ღვთის ჭვრეტის შესახებ.

მაისტერ ეკჰარტი ამბობს, რომ ღმერთი არამარტო მამაა ყველა კეთილი საგნისა, იგი აგრეთვე დედაა მათი. მამა იმიტომაა იგი, რომ მიზეზია ის ყველა საგნისა და შემოქმედი, და აგრეთვე დედაა იგი ყველა საგნისა, რადგან თუკი ქმნილება მისგან დებულობს თავის არსს, მაშინ იგი რჩება ქმნილებასთან და ანარჩუნებს მას შესაბამისად მისი არსისა. დიახ, ღმერთი თუ არ ღარჩა ქმნილებასთან და ქმნილებაში, მაშინ მისგან მიღებული არსი მას, გაჭირვების წინაშე, მალევე უნდა დაეკარგა. რადგან რაც ღვთისაგან ამოვარდება, იგი ამოვარდება საკუთარი არსიდანაც არარობაში. აგრერიგად არაა საქმე სხვა ნივთებთან, რომელნიც, აღწევენ რა თავიანთ არსს, მაინც მხოლოდ სხვა რაიმესაკან გამოდიან, რომელიც თავად სხვისაგან გამოწვეული საგანია. როდესაც სახლი სავსებით აღწევს თავის არსს, მაშინ ზურო მას ტოვებს და ეს იმიტომაა ასე, რადგან ზურო ნაწილობრივი მიზეზია მისი შექმნისა, იგი მასალას ბუნებისაგან დებულობს. ასე არაა ღმერთთან. მგი ქმნილებას ანიჭებს ყოველივეს, რასაც წარმოადგენს: ფორმას და მატერიას. ამიტომაც უნდა ღარჩეს იგი მასთან ან არადა ქმნილება მყის ჩამოსცილდება თავის არსს.

მაისტერ ეკჰარტი: აფორიზმები 41

მონასტერ ტიოსში მყოფი ნეტარი დისიუცი შულტჰაზინის შესახებ მოგვითხრობენ: მან შეიმეცნა განსაკუთრებული გზით თუ როგორ იმყოფება ღმერთი ყველა საგანში და ყოველ ქმნილებაში, და რომ არ შეიძლება გასრულდეს საგანი, თუ საზეზე არაა ღმერთი თავისი ძალით, აგრეთვე ცოცხალ საგნებში. მან შეიმეცნა ასევე, თუ როგორაა ღმერთი ყოველ ბალახში და ყოველ ვეაველში და ფოთოლში და როგორაა

იგი ყოველგან ჩვენს ირგვლივ და ჩვენში... შემდგომ მან შეიმეცნა, რომ ღმერთს არაფერი არ დაემალება, და რომ უპატარავეს კოლოსაც არ ძალუძს თავისი პატარა ფეხის გადადგმა ისე, რომ ღმერთმა ეს ნათლად არ დაინახოს. და როგორც ეს შეუძლებელი იქნებოდა, რომ ერთმა ადამიანმა მეორეს თვალში უჩვევლიტოს და იგი ამოუღოს და მეორემ ამის შესახებ არაფერი იცოდეს, ასევე, ათასჯერ უფრო შეუძლებელი იქნებოდა, რომ ღმერთს არ სცოდნოდა ყველა საგანი... იგი ღმერთში ხედავდა ყველა საგანს. იგი ჭკრეტდა და ხედავდა აგრეთვე იმას, რომ ღმერთში ახალი სასწაულები განუწყვეტლივ მოსჩანან და რომ სასწაულნი მუდმივნი და მარადიულნი არიან.

ტიოსის ქრონიკა

### ღვთის სიღიაღე და მშვენიერება

შენა ხარ უფსკრული შეუქმნელი სიბრძნისა, შენა ხარ ნავსაყუდელი განუზომელი ძალისა, შენ განძი ხარ უმდიდრესი, რომელსაც ვერავინ აღნუსხავს სრულად, შენა ხარ უმაღლესი და უსრულყოფილესი საუნჯე, რომელსაც ვერავინ ისურვებს, რადგან რასაც კარგად ყოფნა ძალუძს და უკეთესად და საუკეთესოდ, ესა ხარ შენ უკეთესზე საუკეთესო გზით.

ღვთით აუგბურგელი: ღვთის ჭკრეტის შესახებ

სიღრმე ღმერთში ისეთი უფსკრულია, რომ ყოველივე შექმნილ შემეცნების ძალას არც მისი მიღწევა და არც მასში შეღწევა არ ძალუძს. ეს სიღრმე მიღწევა ან მისი წვდომა შესაძლებელია მარტოოდენ ღვთისაგან. ეს სიღრმე ადამიანებმა იმ გზით უნდა იძიონ, რომ მას ისინი საკუთარი სიღრმით შეეგებონ, ესე იგი უძირო სიღრმით მიუწვდომელ თვითგანადგურებისა. მათ რომ შესძლებოდათ, სხვაგვარად თუ ვიტყვი, წმინდა არარაობად გახდომა, ისინი ამას სამართლიანად ჩასთვლიდნენ. ეს მომდინარეობს მათი სიღრმისა და მათი საკუთარი არარაობის შემეცნებიდან. ისინი მიემართებიან დაბრმავებულ, გაბრწინილ ცოდვილთა შორის, განიცდიან მწარე ტკივილს, ტანჯვა-წამებას და სიბრძნულით აღსავსენი არიან მათი სიბრძნისადმი. იმდენად მიუწვდომელია მათი სიღრმე, რომ მათ ჩაითრევდნენ ჯოჯოხეთის ფსკერზე — ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო და ღმერთს რომ ასე განესაზღვრა, მაგრამ რაც მან არ გააკეთა — და ყველას, ვინც ჯოჯოხეთში იმყოფება, მისი დატოვება შეეძლებოდა, ნოლო ისინი კი მათ აღვილს დაიკაუებდნენ: ისინი ამას ხალისით იქმოდნენ სიყვარულის გამო. მაგრამ არავის არ აქვს უფლება ამის გაკეთებისა ან საერთოდ ამაზე ფიქრისა, რადგან მაშინ ეს იქნებოდა ღვთაებრივი წესრიგის საპირისპირო. მაგრამ სიყვარულისა და თავმდაბლობის გამო ისინი ისე მოიქცეოდნენ, როგორც სიყვარულით აღსავსე პაეღი, როდესაც მან ეს სურვილი გამოთქვა: „უფალო, აღმზოცე შე ცოცხალთა წიგნიდან, რათა ხსნილ იყვენ ისინი“ (მდრ. რომ. 9,3). ეს სიღრმე ჩვენში იშვება ღვთის მიუწვდომელი სიღრმის უფსკრულიდან, რომლის მიღწევა და ჩაწვდომა არავითარ გონებას ადამიანისას ან ანგელოსისას არ ძალუძს. როგორ შეიძლებოდა მასზე რაიმეს თქმა, თუ რას წარმოადგენს ის? ეს ჩვენთვის უცნობია, ამაში არაფერია გასაკვირი.

ამის შემდეგ გისაუბროთ ღვთის სიმაღლის შესახებ. მსგავსი ამისა არ არსებობს. იგი იმდაგვარია, რომ ღმერთი, რომელსაც ყოველივე ძალუძს, ვერ შეძლებდა ისეთი კეთილშობილი, ამადლებული, ქერუბიმებსა და სერაფიმებზე მაღლა მდგომი არსების შექმნას, რომელსაც საკუთარი არსიდან გამომდინარეს შეეძლებოდა ღვთის სიმაღლის მიღწევა ან შემეცნება. მაგრამ თვით ამ შემთხვევაშიც კი ასეთი სიმაღლე იქნებოდა არარაობა წინაშე ღვთის სიმაღლისა, რადგან იგი შექმნილი იქნებოდა. ეს ადამიანები იმდაგვარად ისწრაფვიან ღვთის სიმაღლისაკენ, რომ მათი სულის საძირკველი ყველაფერზე მაღლდება და გადმოსჩქეფს ისეთი დიდი მაღლიერებითა და აზრთა ისეთი ზეაღმაფრენით, რომ მსგავსი არ არსებობს. ასეთ ადამიანებს ისე დიდი ეჩვენებათ შემდეგ ღმერთი, რომ ყველაფერი, რაც ღმერთი არაა, მათთვის მცირეა და უმნიშვნელო. რადგან ღმერთი არასოდეს მაღალი და დიდი არაა ადამიანისათვის, რომელიც ღმერთთან შედარებით რაიმე მცირეს მაღლად და დიდად მიიჩნევს.

მაგრამ ვინაც იგემა ღვთის სიმაღლე, მისი სულის საძირკველი ისე მაღლდება სიყვარულში, მაღლიერებასა და ღვთის მაღალი ღირსების გრძნობაში, რომ მას აღარაფერი მოსწონს, რაც ღვთის ქვეშე იმყოფება, რადგან ყოველი ქმნილი ისე წარმოუდგენლად დაბლა დგას ღმერთთან შედარებით, როგორც წმინდა არარაობა სრულყოფილი არსებობის წინაშე. ეს სიმაღლე ყველა არსზე მაღლა მდგომი ყოფიერებისა ადამიანის სულის საძირკველზე აღიტაცებს სიყვარულში, მაღლიერებასა და აღფრთოვანებაში.

ამ აღმაფრენისას ისე შორს მაღლდებიან ისინი თავიანთ თავზე, რომ ყოველი მათი ქება, აგრეთვე ქმნილებათა, ანგელოსთა და წმინდანთა მათ უკან რჩება. შეეყრებიან რა ერთმანეთს სიყვარულით აღსავსე ნდომით, მაშინ ისწრაფვის მათი დიდება ყოველივე ამის ზევით — ღვთისაკენ.

იოანე ტაულერი: 63-ე ქადაგება.

ღიე მუტ ებნერიინს ნიურნბერგიდან ესმა საუბარი გარდაცვლილი დისა: ჩვენი უფლის მშვენიერების შესახებ კი მსურს შედარება მოვიყვანო — რასაკვირველია, იგი ისეთსავე მიმართებაშია სინამდვილესთან, როგორც თეთრი შავთან — რომ ყოფილიყო ეკლესია წმიდა ოქროს პრილა ზოდებით ნაკები და მასზე ამოსულიყო ასი მზე, ხოლო თითოეული შვიდეურ უფრო მშვენიერი და კაშკაშა, ვიდრე ის, რომელიც ეხლა ცაშია, ეს ექნებოდა დიდებული ბრწყინვალება, მაგრამ ეს არ იქნებოდა უმცირესი მშვენიერების მსგავსიც კი, რაც ღმერთს აქვს.

ენგელტალის ქრონიკა

ღვთის სიყვარული

ერთხელ, დაკვირვებისას, განსაკუთრებით ნათლად შევიმეცნე ჩემი შინაგანი სიმახინჯე და აღმეძრა იმდაგვარი ზიზღი საკუთარი თავისადმი, რომ შეშინებულმა ჩემივე თავს ვკითხე მოვეწონებოდი თუ არა ოდესმე ღმერთს, რომელიც ამდენ ლაქებს ხედავს ჩემზე, რადგან სადაც მე მხოლოდ ერთადერთი აღმო-

უჩინე, იქ ღვთის ყოვლის გამსჭვალავი თვალი უამრავს შეამჩნევდა. მაშინ მონესმა სანუგეშო პასუხი: (სიყვარული იწვევს სიმპათიას. და აქედან დავასკვნებ: თუკი მიწიერ ადამიანებში სიყვარულს იმდენი ძალუძს, რომ მიუხედავად სხეულებრივი სიმახინჯისა, მათ სიყვარულის უნარი მოეპოვებათ, მაშინ როგორ არ უნდა ვენდოთ ღმერთს, რომელიც მთლიანად სიყვარულია, რომ მას არ შესწევდეს საკუთარი სიყვარულის ძალით სიმპათიური გახადოს სულნი თავისთვის, რომელთა სიყვარულსაც იგი მოისურვებს.

გერტრუდ დიდი: დესპანი ღვთაებრივი სიყვარულისა III.28.

მსახური: უფალო, დიდნანს ვიფიქრე სიყვარულის მიმზიდველობაზე, რადგან სიბრძნის წიგნში (24, 24-27; 40, 20) თავად შენ თავზე სთქვი: „მოვედით ჩემდა, რომელთა გსურისთ ჩემდა, დანაყოფთაგან ჩემთა განძლეთ. მე დედა ვარ მშვენიერი სიყვარულისა, სული ჩემი უტკბილესი უფროს თაფლისა, და სამკვიდრებელი ჩემი უფროს გოლეული თაფლისა. ღვინო და ჰანგი ახარებს გულსა, მაგრამ უფროს ორთავე სიყვარული სიბრძნისა“.

ნახო უფალო, შენ ძალგიძს შემოთავაზება თავისა შენისა ისე სათუთად და სიყვარულით, რომ ყველას გული შენკენ სწრაფვას ლამობს და არ ერიდება დიდ გასაჭირს შენი სიყვარულისათვის. მაშ, მარტვი ჩემო ერთადერთო, ნუგეშო გამორჩეულო, აუწყე ჩემს სულს რაიმე, შენს საწყალ მსახურს! რაკი შენს ჩრდილქვეშ ტკბილად ჩავთვლიმე, მაგრამ გული ჩემი ფხიზლობს.

მარადიული სიბრძნის პასუხი: ისმინე, ახულო, და იხილე, და მოყავ ფური შენი (ფსლ. 44, 11), მძლავრად ჩაღრმავდი და დაივიწყე თავი შენი და ყოველი საგანი. მე თავად ჩემშივე ვარ მიუწევდომელი ავლადიდება, რომელიც მუდამ იყო და არის, რომელიც არასოდეს გამოთქმულა და არასოდეს გამოითქმება. მე კარგად ძალგიძს გულთა სიღრმეს თავი ვაგრძნობინო, მაგრამ რარა ენას არ ძალუძს მე საკუთრივ სიტყვაში მომაქციოს ანდა გამოთქვას, მაგრამ თუკი მე, ზებუნებრივი, უცვლელი ავლადიდება, ყოველ ქმნილებას შესაბამისად მისი შეძლებისა და ათვისების უნარისა ვეძლევი, მაშინ ვფარავ საბურველით მზის ბრწყინვალეობას და გაუწყებ შენ სულიერ აზრს ზორცშესხმული სიტყვებით ჩემსა და ჩემი ტკბილი სიყვარულის შესახებ ამდაგვარად:

მე ნახად წარვსდგები წინაშე შენი გულთახედვისა და შენ მომრთე და შემაძქე სულიერი გაგებით და მომანიჭე ყოველივე, რასაც ძალუძს შენი გულის შემგრა განსაკუთრებული სიყვარულით, ტრფიალითა და აღტაცებით: ეს დე ყოველივე, რაც შენ და ყველას ძალგიძთ გაიაზროთ ფორმით, მორთულდობისა და წყალობის მხრივ, ჩემში სუფევს კიდევ უფრო უნეტარესად, ვიდრე ამის გამოთქმა ვინმეს შეუძლია... მე ვარ მაღალი წარმოშობის, კეთილშობილი მოდგმის; მე ვარ უსაყვარლესი სიტყვა მამობრივი გულისა, რომელზედაც თვალნი მისნი სიამეს პოვებენ ტკბილ, ანთებულ სიყვარულში წმიდა სულისა. მე ისე გულმზურვალედ სატრფიალო ვარ, ისე სასიყვარულო შემოსახვევი და ისე სათუთი საკოცნელი წმიდა მოტრფიალე სულისა, რომ ყოველი გული ჩემკენ უნდა ილტვოდეს. მე ისე მცირე ვარ და ერთგული და განწმენდილი სულისთვის ყველა დროს მყოფი. მე ვესწრებო მას მაგიდასთან და სასთუმალზე, ყველგან და ყოველთვის. მე მივიტყევი, მე მოვიტყევი. ჩემში არაფერია არმოსაწონი; ჩემშია ყოველივე ის, რაც ნეტარებას აღძრავს გულის წადილისამებრ, სულის ნდო-

მის შესაბამისად. ისინი, რომელთაც უყვართ, გარემოიკვებიან ჩემი ტკბილი ტრფილისაგან და ჩაიძირებიან ერთში (ღმერთი), სატრფილო გამოსახულუბათა და წარმოთქმულ სიტყვათა გარეშე, და თავისუფლდებიან და მიიყვანებიან იმ სამკვიდრებელში, საიდანაც ისინი წარმოსდინდნენ.

მსახური: სასწაულო, ო, სასწაულო, სად მიიყვანეს მე? რანაირად ავირიე, როგორ სულ დადნა სული ჩემი საყვარლის ტკბილი სიტყვებით! ამარიდე შენი ნათელი თვალნი, რადგან მათ სავსებით გამაქრეს. ვაი მას, სასწაულთა სასწაულო, რომლის გული მთლიანად არ ღნება სიყვარულისგან, ვინაც შენ გიჭვრეტს თვის გულის მზერით, თქვენ, მეგობარო ღვთისა ყოველნი და ზეციური მხედრობაჲ სრულო, დამეზმარეთ, რათა შევსთხოვო მას! რადგან არას-ჯროს მე ნამდვილად არა ვუწყვდი, თუ რა იყო სიყვარული მისი. ნაზო, მშვენიერო, სიბრძნევე რჩეულო, ვითარ ძალგიძს შენ ესოდენ საუკეთესო სამიჯნურო ტრფილი იყო უმეტეს ყველა ტრფილისა ამა ქვეყნისა! რა უთანასწოროა შენი და ქმნილებათა სიყვარული! რა ცრუა ყველა სურათი — რაც ამქვეყნად სამიჯნუროდ მოჩანს და რასაც თავი მოაქვს — როდესაც სიახლოვედან მის ნამდვილ შემეცნებას იწყებენ! შენ, მშვენიერებაჲ მიუწვდომელო ნეტარებისა, წყალობაჲ კეთილსახოვანო, სიტყვაც აღსავსე მელოდით, კეთილშობილო სავსე სათნოებით, ავლადიდებაჲ აღსავსე ძლევა მოსილებით, სვანო, რომელიც ვერასოდეს ვერ ვპოვე დროში: დანაყრებაჲ შესაბამისად სრული კმაყოფილებისა, შესაბამისად შეძლებისა და უნარისა და უმინაგანეს ნდომისა ნამდვილად მონიჯნურე გულისათვის! რაც უფრო კარგად შეგიმეცნებენ, მით უკეთესად მოგიპოვებენ. რაც უფრო მოგენდობიან, მით უფრო გპოვებენ სასიყვარულოდ. სასწაულო, ო, სასწაულო, ვითა ხარ ესოდენ მიუწვდომელი, მთლიანი, წმინდა სამკვიდრებელი!

მარადიული სიბრძნის პასუხი: (მე მათკენ ვილტვი, ვინც მეძიებს და ვღებულობ მათ სიყვარულით აღსავსე სიხარულში, რომელთაც აქვთ მოთხოვნილება ჩემი.) ყოველივე, რისი შეგრძნება ძალგიძს ჩემი ტკბილი სიყვარულიდან დროში, არის ვითარცა წვეთი წინაშე ზღვისა მარადიულ სიყვარულიან შედარებით.

პაინრის სუზო: წიგნი მარადიული სიბრძნისა, თავი მე-7.

უფალო, ამ ზატში („ყოვლის მხედველისა“) მე ვხედავ შენს განგებას, ასე ვთქვათ, ზელშესახებად. შენ იმყოფები ყველასა და ყოველში, შენ ყველასათვის და ყოველისთვის ის ყოფიერება ხარ, ურომლისოდაც არაფერს არ შეეძლო ყოფნა. შენ იმდაგვარად ხარ ყოველივეში, თითქოს სხვათა მზრუნველობა შენ არ გეხებოდეს.

(შენი ზედვა სიყვარულია. და როგორც შენი მზერა, მზრუნველობით აღსავსე, ჩემკენაა მოპყრობილი და არასოდეს არ მომცილდება, ასევე — შენი სიყვარულიც.) და რადგან შენი სიყვარული ყოველთვის ჩემთანაა და შენი სიყვარული კი, უფალო, სხვა არაფერი და არაფინაა, თუ არა ისევე თავად შენ, მოსიყვარულე, მაშინ შენ ყოველთვის ჩემთან ხარ და არასოდეს არ მტოვებ და მიფარავ მე გამუდმებით. შენ უდიდეს მზრუნველობას იჩენ ჩემდამი.

შენი ყოფიერება, უფალო, არასოდეს არ ტოვებს ჩემსას. მე იმდენად მაქვს ყოფიერება, რამდენადაც შენა ხარ ჩემთან. და რადგან შენი ზედვა იგივე შენი ყოფიერებაა, ამიტომ მეც იმდენად ვარსებობ, რამდენადაც შენ მიმზერ. და თუ

ბომაცილებდი შენს მზერას, მაშინ აღარ ვიარსებებდი. (მაგრამ მე ვიცი, რომ შენი მზერა სხვა არა არის რა, თუ არა ის დიდი სიკეთე, რომელიც ყველას ეუწყება, ვისაც შესწევს უნარი მის მისაღებად.) მაშასადამე, ეს უკვე ჩემი საქმეა, რომ ყოველთვის შემწევდეს უნარი შენს მისაღებად. მე რომ გზედავ უფალო, სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ შენ თავად უმზერ მხედველს.

ეს ხატი მიჩვენებს აგრეთვე, თუ რა ხალისით უჩვენებ შენს სახეს ყველას. ვინაც შენ გეძიებს, უფალო. (რადგან არასოდეს შენ თვალთ არ ხუჭავ და არასოდეს არ მიიქცევი პირით სხვა მხარეს. მე თუნდაც შენგან მოკტრიალდე და სხვისკენ მოვიქცე, შენ არასოდეს არ ამალბებ შენს თვალთა და მზერას. შენი გულმონწყალება თან დამყვება იმის ბოლოდინში, დაებრუნდები თუ არა კვლავ ოდესმე შენთან და ვიქნები თუ არა მზად მადლის მისაღებად. და თუკი ცოდვილი დაგებრუნდება, შენ დაუყოვნებლივ შეეგებები მას და სანამ ის შემოგზედავს, შენ უკვე მიაპყრობ მას მოწყალებით: აღსავსე შენს თვალებს. შენი გულმონწყალება, უფალო, თან დაკვეება ადამიანს მთელი მისი ცხოვრების მანძილზე, მის ყოველ ნაბიჯზე, ისევე როგორც შენი მზერა არავის არ შორდება. სანამ იგი ამ ცხოვრებაშია, შენ აგულიანებ მას ტკბილი, შინაგანი მოწოდებით, რომ მან თავისი ცთომილება დაუტევოს და შენ შემოგიდგეს, რათა იყოს ბედნიერი.)

უფალო, შენა ხარ ჩემი თანამგზავრი ჩემს მგზავრობაში. შენ არ დამტოვებ აგრეთვე ჩემი მწუხარების ჟამს. რა წამსაც უნდა გიხმო, შენ ჩემს გვერდით ხარ. რადგან შენი ხმობა ნიშნავს შენდამი მომართვას, და ვინც შენ მოგმართავს, მისი დატოვება შენ აღარ ძალგიძს, და არავის ძალუმს შენდამი მომართვა, თუ შენ წინდაწინ უკვე მასთან არ იმყოფები.

როგორც ეს ხატი, რომელიც თვალს მადვენებს ყველგან, საითაც არ უნდა მივბრუნდე, ასევე (შენი სახეა ყველა იმათკენ მიმართული, ვინც კი თავისი სახე შენკენ მოაქცია. ვინც მოსიყვარულე სახით შემოგზედავს, შენს სახეს პოვებს აგრეთვე სიყვარულით აღსავსეს და რაც უფრო დიდია სიყვარული, რომლითაც ის შენ შემოგყურებს, მით უფრო მოსიყვარულეს პოვებს იგი მას) თუ გულისწყრომით გიმზერს ვინმე, ასეთად პოვებს იგი აგრეთვე შენს სახეს. ვინც სიხარულით შემოგცქერის შენ, მას შენი მზერა ასევე სიხარულით შეეგებება. ო, სახეე ზემშვენიერო, რომლის სრული მშვენიერებით აღფრთოვანება არავის ძალუმს, თვით იმათაც კი, რომელთაც აქვთ ბედნიერება მისი ჭკვრებისა. (ყოველ სახეში მოჩანს ის, ამოუცნობი და საიდუმლოებით აღსავსე — საბურველს იცილებს მხოლოდ მაშინ, თუკი ჩვენ აუმაღლდებით ყოველ ხედვაზე და შევალთ იდუმალ-ფარულ სიჩუმეში, სადაც აღარაფერი მოიპოვება სახის ცნებისა და ცოდნის შესახებ. რადგან ჩვენ მხოლოდ ამდაგვარი წყვილია და უცოდინარობა გვიმჟღავნებს სახეს ყოველ საბურველთ მიღმა.)

(უფალო, შენ დაბლა ეშვები ჩვენთან, რომ ნება დაგვართო შენი წვდომისა, და მაინც რჩები შენ მიუწვდომელი, უსასრულო. და რომ არ რჩებოდე უსასრულოდ, მაშინ არც მიზანი იქნებოდი ჩვენი ნატვრისა. უფალო, შენ თავად უსასრულობა ხარ, საწადელი ყველა ჩემი გულისთქმისა.)

## ღვთის მოწოდება

იმ სიტყვაში, რომლითაც წმიდა პაულე გვთხოვს, რომ ღირსეულად ვიქცეოდეთ, შესაბამისად იმ მოწოდებისა და გამოჩინებისა, რომელიც წილად გვერგო (შდრ. ეფეს. 4, 1-4), ოთხი რამაა ყურადსაღები. პირველ ყოვლისა: ვინ არის იგი, რომელიც ჩვენ აქ გვიხმობს და მოგვიწოდებს; შემდეგ: რისკენ მოგვიწოდებს იგი, რისთვის ვუნდივართ მას ჩვენ; საბოლოოდ: როგორ და რა გზით უნდა ავეყვით ამ მოწოდებას ღირსეულად.

პირველს რაც შეეხება: ვინც ჩვენ გვიხმობს — ზეციური მამაა. იგი ჩვენ გვიხმობს ყოველივეთი — რასაც იგი წარმოადგენს, რაც მას მოეპოვება და ძალუძს. ჩვენ გვიხმობს და გვიზიდავს მისი სიკეთე, მისი სიყვარული, მისი კეთილშობილი არსება; ეს ყველაფერი გვიწვევს ჩვენ მისკენ და მასში ჭეშმარიტად, ისე ძლიერ ვჭირდებით ჩვენ ღმერთს, თითქოს მთელი მისი ნეტარება ჩვენზე იყოს დამოკიდებული. და მისი არსი, ყველაფერი, რაც მამამღერთმა გააკეთა და შექმნა ცაში და დედამიწაზე მთელი მისი სიბრძნითა და სიკეთით, მან ეს უმნა, რათა ამით ჩვენ კვლავ ვეხმეთ და მივეწვიეთ, რომ ჩვენ ისევე ჩვენს საწყისს დავბრუნებოდით და რომ მას ჩვენი თავი კვლავ თავის თავში დაეკულებინა.

მეორე: რისკენ გვიხმობს ღმერთი (მისი საყვარელი ძისკენ გვიხმობს იგი, რომ ჩვენ მისი მშანი და თანამემკვიდრენი გაუხდეთ. იგი არის პირველი და უმაღლესი მამათა შორის და აქვს თანდაყოლილი მემკვიდრეობა ბუნებიდან, ჩვენ კი უსდა ვიყოთ თანამემკვიდრენი წყალობის მეშვეობით. და ამისათვის გვიხმობს იგი ჩვენ, რომ მის მგავლითს მივეყვით. რადგან იგია გზა, რომელიც ჩვენ უნდა გავიაროთ; იგია ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენ ამ გზაზე მიმართულებას გვაძლევს; იგია სიცოცხლე, რომელიც ჩვენი მიზანი უნდა იყოს და რომელსაც ჩვენ არა მხოლოდ აზროვნებითა და მადლიერებით უნდა მივებამოთ, არამედ, რაც უფრო მეტად ეს ძალგვიძს, სათნო ცხოვრებითა და ტანჯვათა მოთმინებით.

მესამე: რა მოწოდებაა ეს და რა დროს გვიხმობს იგი. ღვთის მოწოდება ადამიანისადმი სხვადასხვაგვარი სახისაა; სულის უღრმეს საფუძველში უხმობს ღმერთი ადამიანს შეუწყვეტილ სხვადასხვაგვარი მოწოდებებითა და გაფრთხილებებით დღისითა და ღამით — და აგრეთვე გარედან: მკაცრი სასჯელებით, ყველა იმ საბედისწერო დარტყმით, რომლებიც მან განგების ძალით ჩვენ თავს მოაწია და რომელნიც სხვადასხვაგვარი გზით მოდიან — ახლა სიზარული, შემდეგ ტანჯვა; ყველა ესენი წარმოადგენენ მკაფიო ზმებს, რომლებიც იმ ღმერთი ადამიანს მოუხმობს. ადამიანი რომ მიპყლოდა ამ სიყვარულით აღსავსე ნაზ მოწოდებათ, მაშინ მას აღარ დასჭირდებოდა მკაცრი ზმები, სხვადასხვა ტანჯვა და ბედის დარტყმები.

მეოთხე: თუ როგორ უნდა ვიდოდეთ ახლა ღირსეულად მოთმინებით, თავმდაბლობითა და მშვიდობით აღჭურვილნი.

ამჟამად გვესურს იმაზე ვიფიქროთ, თუ ვის უხმობს ღმერთი. ეს სამდაგვარი ადამიანებია. პირველ ყოვლისა, დაწყებითნი: ისინი მოიხმობიან უმდაბლეს საფეხურზე. შემდეგ სრულყოფილებაში წინ წასულნი; ისინი მოიხმობიან მეორე საფეხურზე. მესამენი, სრულყოფილი ადამიანები სრულყოფილების უმაღლეს საფეხურზე მოიხმობიან. ამის გამო ღმერთს არაფერ არ უნდა გაუნაწყენ-

დეს, რადგან იგია უფალი და ძალუძს გააკეთოს, რაც მას სურს, რათა ამით ჩვენ მისი მხოლოდშობილი, ბუნებით მისი თანასწორი ძის მსგავსნი და საყვარელი მისი საყვარელი შვილები გავხდეთ.

იოანე ტაულერი: 65-ე ქადაგება.

### ღმერთი ჩვენში

ერთ დღეს, ეს იყო დრო აღდგომასა და ამაღლებას შორის, დილის ღოცვის წინ გავედი ეზოში, დავეჯექი თევზებისათვის შეტბორებულ ნაკადულთან და ვაფიქსირებდი იმ ადგილის სილამაზეს. გამჭვირვალემა გვერდით ჩამავალი წყლისა, სიმწვანე ირგვლივ მდგარი ხეებისა, თავისუფალი ფრენა ფრინველთა და განსაკუთრებით მტრედებისა, პირველ ყოვლისა კი ზეციური სიმშვიდე კმაყოფილებით აღმავსებდა. მე დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ ასეთ ყოფას კიდეც რა უნდა დამატებოდა, რომ აღნიშნული კმაყოფილება კიდეც უფრო სრულყოფილი გამხდარიყო. მე გავიფიქრე, რომ ამისათვის უნდა მყოლოდა მეგობარი, რომელიც იქნებოდა ჩემი ახლობელი, ერთგული და რომელიც ჩემს სიმარტოვეს დაატკობდა. და ეს იყავ შენ, ღმერთო ჩემო, მიზეზო უსაზომო ნეტარებისავე, რომელმაც აზრნი ჩემნი შენსკენ წარმიმართე და შეჭველია ეს ისევე შენ იყავი, ვინც ეს აზრნი ჩამინერგა. შენ მაჩვენე, თუ როგორ შეეძლო ჩემს გულს შენთვის სასიამოვნო განსასვენებელი გამხდარიყო. ამისათვის, როგორც ამას ეს წყალი მიკარნახებს, ღირსეული, დაუშრეტელი მაღლიერებით წყალობათა ნაკადი უკანვე შენსკენ უნდა მოვმართო; ასევე, ამ ხეების მსგავსად, კეთილ საქმეთა სიმწვანით უნდა შევიმოსო, ძალა შევიმატო და კეთილ საქმეებში გავიფურჩქნო; მსგავსად მტრედებისა, მიწიერს სიმალიდან უნდა გადმოვხედო და თავისუფალ ფრენაში ზეციურს მივალწიო, სადაც ჩემი სული ამქვეყნიურ მისწრაფებათაგან თავისუფალი მთლიანად მხოლოდ შენით იქნება დაკავებული. ამგვარად, ჩენი გული მოვიჩენს შენ ადგილსამყოფელს, რომელიც უფრო ძვირფასია, ვიდრე ყველანაირი სილამაზე.

მთელი დღე ჩემი გონება ამ ფიქრებით იყო დაკავებული, საღამოს ძილად მისვლის წინ, როდესაც სალოცავად დავიჩოქე, უეცრად გამიელვა თავში სახარების სიტყვებმა: „უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეო მისა და მისთანა დავადგრეთ“ (იოანე 14,23). აქ იგრძნო ჩემმა მდაბალმა გულმა, რომ შენ ამჟამად მოსული იყავი...

ეს მოხდა ცხრა წლის წინ, და მას შემდეგ, რამდენჯერაც ჩემს სიღრმეში ჩაეპირულვარ, ყოველთვის აღმომიჩენიხარ იქ.

გერტრუდ დიდი: დესპანი ღვთაებრივი სიყვარულისა III/3.

პირველი (ჩა) ღრმავება [(Ein)Kehr] მდგომარეობს ღვთის უფორმო და ყოველგვარი ცდისულისგან მოწყვეტილი თანდასწრების შინაგან განცდაში, შექმნილი სულის დანერგვაში ყველა ყოფიერების მიღმა ღვთის შეუქმნელ სულში. ადამიანს რომ შესძლებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასეთი



ჩაღრმავება განეცადა, იგი ბედნიერი იქნებოდა. ადამიანს, რომელიც ღვთის ასეთი მორჩილია და ამ გასაჭირში მისი ერთგული დარჩა, ღმერთი იმით გადაუხდის, რომ იგი მას თვით თავის თავს მიუძღვნის და მას ასე მიუწვდომლად თავის თავსა და საკუთარ ნეტარებაში შეიყვანს. მასში ადამიანური სული ისე რწმენიერად მიიზიდება, ღვთაებისაგან და ღვთაებაში ისე სავსებით განიმსჭვავლება, შთაინთქმება და ჩაიძირება, რომ იგი ღვთაებრივ ერთიანობაში ყოველ ადამიანურ მრავალგვარობას კარგავს. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც ღმერთი უკვე ამ საწუთროში მთელი მათი გაჭირვებისათვის ასაწუქრებს, და მათ აქვე უკვე ჭეშმარიტი ჭაშნიკი იმისა, რითაც ისინი საუკუნოდ დატკეპიან. მათ ემყარება წმიდა ეკლესია, და რომ არ ყოფილიყვნენ ისინი კურთხეულ ქრისტიანობაში, მაშინ ესეც ვერ იარსებებდა ვერც ერთ წამს. რადგან მხოლოდ მათი არსებობა, მარტოოდენი ფაქტი, რომ ისინი არიან, არის რაღაც უფრო მეტად ძვირფასი და სასარგებლო, ვიდრე სამყაროს მთელი ქმედობა.

იოანე ტაულერი: 43-ე ქადაგება.

ვარაფერია ისე სამართლიანი და ისე საყოველთაო, ისე ახლოს ჩვენს უშინაგანეს საფუძველთან, როგორც ღმერთი. ვისაც ამ საფუძველში მისი ძებნა სურს, პოვნებს კიდევაც მას იქ, ასევე ვბოვებთ მას ჩვენ ყოველდღე წმიდა ზიარებაში, ღვთის ყველა მეგობარსა და ყოველ ქმნილებაში. ამ საყოველთაობას უნდა მივყვეთ თავგამოდებული შინაგანი და თავისუფალი გულით, დაუბრკოლებლივ ყველა სხვათაგან, და სახეზე მყოფ ღმერთს მთლიანად უნდა მივცეთ, მაშინ მიიღებს ადამიანი სულის თავისუფლებას და ყოველ ყოფიერებაზე აღმატებულ წყალობას. და სული მადლდება ყველა გამოსასულებაზე და ფორმანზე და ზე აღმოჩნდება ყველა შექმნილ საგანზე.

იოანე ტაულერი: 57-ე ქადაგება.

შინაგანმა ხმამ აუწყა და ეღუბეტი კათარინენტალელს: ღმერთი არის საწყისი ყველა სიკეთისა და უსასომო შეწყალება და უსასრულო სიკეთე და მოეპოვება სამართალი თავის თავად, რომ მას არ შეუძლია და არც სურს თავის წყალობაზე ვინმეს უარი უთხრას, ვინც ამას მთელი გულით ისურვებს. ✓

კათარინენტალის ქრონიკა.

და მეხტილდ ტიოსელმა გულის სიღრმიდან წარმოსთქვა: ო, უფალო, ღმერთო ჩემო, აწ შენი სიყვარულის გამო მე დავთმე მთელი ეს ქვეყანა და ყველაფერა, რასაც ჩემთვის სასიყვარულოდ და სანუგეშოდ გახდომა შეეძლებოდა, ახლა შეგთხოვ, რომ შენი ღვთაებრივი შეწყალებათა და გამოუთქმელი სიკეთით ინებო და გახდე ჩემი ნუგეში, რადგან შენ კარგად უწყი, რომ სხვა სასოება ამ ქვეყნად მე არ გამაჩნია, და უფალმა ჩვენმარქუა მას: „არავითარი ნუგეში არ გსურს შენ გარდა ჩემისა?“ მან უპასუხა: „შემიწყალო, უფალო, არა!“ მაშინ უფალმა რქუა ძალზე მეგობრულად: „რადგან შენ არავითარი ნუგეში არა გსურს, გარდა ჩემისა და ყველა სხვა დანარჩენ ნუგეშს თმობ, მაშინ მე თვით განუგეშებ შენ ჩემი წმიდა სხეულით და ჩემი წმიდა სისხლით და ჩემი წმიდა სულით და ჩემი წმიდა ღვთაებრივობით... და უნდა უწყოდე, რომ ჩემი ნუგეში შენ არასოდეს მოგაკლდება, რადგან რა უკუღ-

მართობაც უნდა შევემთხვეს, ჩაღრმავდი მხოლოდ შენს გულში, იქ მპოვებ მე ყოველნაირი ნუგეშითა და ყოველნაირი სიხარულით“.

ტიოსის ქრონიკა

## 2. ადამიანის პასუხი

### სიხარული ბუნების მიმართ

ქმნილებანი არიან ვითარცა სარკე, რომელშიაც ღმერთი ირეკლება, ამბობს წმ. პავლე (შდრ. რომ. 1,20). და ამ შემეცნებას ჰქვია სპეკულირება\*.

ესლა დავეოთ აქ რამდენიმე ხანი და მაღალი, ღირსეული. ოსტატტი დაე სპეკულირებდეს თავის ქმნილებაში. მიმოიხედე შენს ზევით და ქვეყნის ოთხივე მხარეს, რა შორი, რა მაღალია ცა თავისი სწრაფი სრბოლით და რა დიდებულად შეამკო იგი მისმა ოსტატმა პლანეტებით, რომელთაგან ყოველი, მარტოდენ მთვარის გამოკლებით, უფრო დიდია, ვიდრე მთელი დედამიწა, და როგორ მორთო იგი უთვალავი ოდენობის მანათობელი ვარსკვლავებით. ო, ზაფხულის დროს უღრუბლო ცაში როდესაც მშვენიერი მზე მხიარულად გამოანათებს, ასევე ანიჭებს ხოლმე იგი დედამიწას ნაყოფსა და სიკეთეს! როგორ აღმოცენდებიან ხოლმე ფოთლები და ბალახები და როგორ იცინიან ლამაზი ყვავილები! ტყეში, მინდორსა და მდელოზე ტკბილად გაისმის ბუღბუღლისა და პატარა ჩიტების გალობა. პატარა ცხოველები, მკაცრი ზამთრისაგან თავშესაფარში შეყუჩულნი, ზევით ამოდიან და ხარობენ და ერთად ჯგუფდებიან: ადამიანები, ახალგაზრდები და ხანში შესულნი, მხიარულად ანცობენ ნეტარ ბუნებაში სიხარულისა! ო, ნაზო ღმერთო, თუკი შენ შენს ქმნილებაში აგრერიგად სასიყვარულო ხარ, რამდენად უნდა იყო მამინ თვით თავად შენში საეხებით მშვენიერი და მომხიბვლელი!

და შემდეგ, გთხოვ, დააქტერდე ოთხ ელემენტს — მიწას, წყალს, ჰაერსა და ცეცხლს, და ყველა სასწაულს, რომელიც მათშია სხვადასხვაგვარ კაცთაგან, ცხოველთა და ფრინველთაგან, თევზთა და ზღვის საკვირველებათაგან. ეს ყოველივე გაიძაზის და დაღაღებს: პატვი და დიდება მიუწოდომელ, გასათვარ უსაზომობას, რომელიც შენშია! უფალო, ვინ ინახავს ყველაფერ ამას, ვინ ასაზრდოებს ყოველივეს? შენა ხარ ეს, რომელიც ყოველივესთვის წინდაწინ ზრუნავ, თითოეულისათვის მის შესაბამისად, დიდისა და მცირესთვის, მდიდრისა და ღარიბისთვის. შენ, ღმერთო, შენა ხარ ამის ჩამდენი! შენ, ღმერთო, ჭეშმარიტად ღმერთი ხარ შენ!

მამ კარგი, შენ პოვე ღმერთი შენი, რომელსაც გული შენი დიდხანს ეძიებდა. ასე რომ, ზე აიხედე გასხივოსნებული თვალებით, მომღიმარი პირისახით და მოშეიმიე გულით. შეხედე მას და მოეხვიე შენი სულისა და გულის ფართოდ გაშლილი მკლავებით და მიუძღვენი მას მაღლობა და დიდება, ყველა ქმნილებათა კეთილშობილ თავადს! იხილე, ამ სპეკულირებისაგან ამთვისებულ ადამიანში ნაღვე თავს იჩენს გულითადი ზეიმი. რადგან ზეიმი არის სასიხარულო, რომლის გამოთქმა ვნას არ ძალუძს და რომელიც მაინც სულსა და გულს მთლიანად გამსჭვალავს!

ჰაინრიხ სუზო: სიცოცხლე, თავი 50-ე.

\* შდრ. თომა აკინელი Summa theol, II-II 180,3: „სპეკულირება გამომდინარეობს speculum-დან (ე. ი. სარკე). რაიმეს დანახვა სარკეში ნიშნავს მიზნის დანახვას შედეგის მეშვეობით, რომელშიაც მისი მსგავსება გაბრწყინდება“. გუნდოლფ ვიეკრათის შენიშვნა.

## მოთხოვნილება ღვთისა

უფალო იესო ქრისტე, ცოცხალი ღმერთის ძეო, მომეც ძალი იმისა, რათა შენთვის ვიხრავდე სრულყოფილი მოთხოვნილებით და მწყურვალე სულით, შენსკენ, უტკბილესისა და უსაყვარლესისაკენ, სევდამოსილი ვისწრაფვოდე, შენდაში, ჭეშმარიტი ბედნიერებისადმი, ნდობით განვიმსჭვალო მთელი ჩემი შინაგანი არსით. შენი ძვირფასი სისხლით, გულმონყაღე უფალო, გულზე დაძაწერე შენი იარები, რათა მათში ამოვიკითხო შენი ტკივილი და შენი სიყვარული. დაე, მუდამ ცოცხლობდეს ჩემს გულში მოგონება შენი ჭრილობებისა და თანაგრძნობა შენი ტანჯვისადმი და მუდამ ენთოს ჩემში შენი სიყვარულის ცეცხლი! და ყოველივე შექმნილ მე არარაობად წარმომიდგინე, რათა მარტო აღენ შენ იყო უტკბილესი სიყვარული ჩემს გულში!

## გერტრუდ დილი: დესპანი ღვთაებრივი სიყვარულისა II/4

უფალო, გიყვარდე ძლიერ და გიყვარდე ხშირად და დიდხანს; რაც უფრო ხშირად გეყვარები; მით უფრო განვიწმინდები; რაც უფრო მძაფრად გეყვარები, მით უფრო მშვენიერი გავხდები; რაც უფრო დიდხანს გეყვარები, მით უფრო წმიდა ვიქნები აქ, ამქვეყნად... ო, რომ შემძლებოდა შენი მოხიბვლა და მოპოვება ისე, რომ უჩემოდ მოსვენება დაგეკარგა! დიახ, დაიწყებოდა რა სიყვარული, მაშინ უნდა გეთხოვა ჩემთვის, რომ ჩემი გრძნობებით ავთებუდიყავ. უფალო, ნეტავ ეს იმ დროს შემთხვეოდა, როდესაც შენს ხილვას ვისურვებდი ჩემი გულის წადილისამებრ და შენს შემოხვევას ჩემი მკლავებით — შენი ღვთაებრივი სიყვარულის სიამოვნებას ჩემი სული უნდა განემსჭვალა, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია ადამიანისათვის აქ, ამქვეყნად... იესო, დიდად მოყვარული მეგობარო, დაბრთე ნება ჭეშმარიტ სიმშვიდესა და გულითად სიყვარულში შენსკენ ვისწრაფვოდე და არასოდეს გაეციოდე შენდა მიმართ. თუკი შენს სიყვარულს ჩემს გულში და ჩემს სულში და ჩემს ხუთ გრძნობაში და ჩემი სხეულის ყოველ ნაწილში განუწყვეტლივ შევიგრძნობ, მაშინ აღარ ძალმიძს მე გასიყვება. შენ კარგად უწყვი, თუ როგორ უნდა აღძრა სიმები ჩემს სულში. ჰქმენ ეს ახლავე, რათა შენ მარად ნეტარი იყო. მე ვარ უღირსი სასძლო, შენ კი ზარ ჩემი კეთილშობილი მეუღლე, რის გამოც ყოველთვის მსურს რომ გავიხარო. გაიხსენე, თუ წმიდა სულის როგორი აღერსი ძალგამს შენს კალთაში, უფალო, დასრულე ეს ჩემზედაც. აღმიყვანე შენთან, უფალო, რათა გავხდე მე ნათელი და წმიდა. თუკი დამტოვებდი მე ჩემს თავშივე, დაერჩებოდი მე სიდუხჭირესა და წყვდიადში.

მესტილდ მაგლებურგელი: ნარნარი შუქი ღვთაებისა  
I/23, III/23, V/17, VII/38.

ჩაიძირე ჩემში და გარდამქმენ შენში, რადგან არ ძალმიძს და არც მსურს სხვაგვარად გულდამშვიდება აღარასოდეს.

დავით აუგსბურგელი: ღვთის მიუწვდომელ სისხავის შესახებ.

მიშველუ, რათა მოვიდე შენთან, სადაც მიმიღებ სიყვარულითა და მარადიულ სიხიბრულში მამყოფებ და სადაც მაზიარებ უღრმეს საიდუმლოს, რომელიც კაქქს მარადიულ მამასთან ერთად მარადიულ სულში, რომლითაც ცოცხლობ და რისაც განაგებ ყველა შენს რჩეულს დიდებისათვის და სასიხარულოდ დაუსრულებლივ.

დავით აუგსბურგელი: მოსაზრებანი და ლოცვანი 9.

უფალო და მეუფეო სამყაროსაჲ! იხილე, ჩვენს გონიერ სულს, ჩაძირულს ამქვეყნიურ არარაობაში და ლანდებით გარშემორტყმულს, შუქის დანახვა არ ძალუძს და მის საკუთარ წარმოსობაზე არა უწყის რა. შენ მხოლოდ იმის უნარი მიანიჭე მას, რომ მან, განცვიფრებულმა იმის გამო, რასაც იგი ზედავს, შეძლოს თვისი სულის შესწევნა ამაღლება, სამყაროს შემოქმედისაჲ, რათა გაერთიანდეს შენთან უმაღლეს სიყვარულში. შენ უწყი, რომ ადამიანთა დიდზე დიდ რაოდენობას მხოლოდ სხვადასხვაგვარად ყოფნა ძალუძს და თითქმის ყველამ ჯაფით, სიმწრითა და ტანჯვით აღსავე ცხოვრება უნდა განვლოს. მრავალი ამქვეყნიური ზრუნვითა და გარჯით დაკავებული, მათ არ ძალუძთ შენი, ფარული ღმერთის, ძიება. ამიტომაც მიეც შენ შენს ერს მეფენი და წინასწარმეტყველნი, რომელთაგან უმრავლესმა შენი დავალებით ღვთის მსახურება და კანონნი დააწესა და უმეცარი ხალხი დამოძღვრა. თითქოს პირისპირ კვით შენ ვეუწყოს მათთვის, ისე მიიღო ხალხმა შენი კანონნი და შენს მსახურთა ზმაში შენი ზმა ესმა. მაგრამ არსებობენ სხვადასხვაგვარი ერნი, და შენ სხვადასხვაგვართ სხვადასხვაგვარნი წინასწარმეტყველნი და მოძღვარნი სხვადასხვა დროს მოუვლინე. ადამიანის არსში ძევს ის, რომ მის მეორე ბუნებად გამხდარ ჩვევას იგი საბოლოო ჭეშმარიტებად მიიჩნევს. აქედან აღმოცენდება დიდი სხვადასხვაობა და ყოველი რელიგიური საზოგადოება თავის რწმენას უპირატესობას ანიჭებს სხვასთან შედარებით. და მაინც, თითოეული თავის სწრაფვაში იმისკენ, რაც მას თავისი ძიების მიზნად მიაჩნია, ისწრაფვის მხოლოდ ერთადერთი ავლადიდებისაჲ, რომელიც ხარ შენ. რა სურს ცოცხალს, თუ არ სიცოცხლე? რა სურს არსებულს, თუ არ არსებობა? მაშასადამე, შენ, მომწიჭებულო არსებობისა და სიცოცხლისა, შენ გეძიებენ რელიგიის სხვადასხვაგვარ ფორმებში სხვადასხვაგვარი გზით და იწოდები სხვადასხვა სახელით. რადგან საკუთრად შენს ყოფიერებაში ყველასათვის შეუცნობელი ხარ შენ და გამოუთქმელი, ნეტავ შეეძლოს ყველას იმის შეცნობა, რომ რელიგიის მრავალგვარ ფორმებში მხოლოდ ერთი რელიგია ცხადდება. არასოდეს არ ძალუძთ ქმნილებათ უსასრულო არსების შესახებ ცნება ჩამოაყალიბონ, რადგან არაერთი თანაფარდობა არ არსებობს სასრულსა და უსასრულოს შორის, მაგრამ შენ, ყოვლისშემძლე ღმერთო, ძალგიძს ყოველ სულს ნათლად გამოეცხადო... ღმერთო, რომელიც ყველა ცნებას აღემატები, შენ აღგვიტყვი შენი გამაბედნიერებელი ჭვრეტა რწმენაში თვით ჭეშმარიტების, შენი ძის მეშვეობით, თუკი არ გადავმორდებით გზას, რომელიც მან სიტყვითა და საქმით დაგვისახა

ნიკოლოზ კუზანელი: მშვიდიობა რელიგიისა I, ღვთის ხელვა (დაბოლოება)

რაც უნდა ვისურვო ან რისი მოფიქრებაც უნდა შემეძლოს ჭეშმარიტ, სრულყოფილ ნუგეშისცემისთვის, მას არ ველოდები მე აქ, ამ ცხოვრებაში, არა-ნელ — მომავლისადმი, თუნდაც გამაჩნდეს მთელი სიამენი ამა ქვეყნისა, ამ

ცხოვრების ყველა სიხარულითაც რომ ვტკბებოდე, მაინც მეცოდინებოდა მე ჯანამდელილებით, რომ ეს ტკბობა დროებითია და იგი ვერ შეძლებდა მწყურვალე სულის დაცხრომას. ამიტომ, სულო ჩემო, შენ არ ძალგამს პოვო სრულყოფილი ნუგეშისცემა, არც სრულყოფილი ღზენა, თუ არ მარტოოდენ ღმერთში, რომელიც საწყალთ ანუგეშებს და მორჩილთ ალზენს. ცოტაც მოიცადე, სულო ჩემო, სულ მცირე ხანი დაელოდე ღვთაებრივ აღთქმათა შესრულებას და ჭეშმარიტ საუნჯეთა მთელი სისავსე შენი იქნება ზეცაში. მაგრამ თუკი შენ აწმყოს საუნჯეთ გზნებით აღსავსე და მოუწესრიგებელი სიყვარულით დაედევნები, ამქვეყნიურ, წარმავალ ავლადიდებაზე ნადირობისას შენ დაკარგავ ზეციურს, მარადიულს. რაც დროს ექვემდებარება, ის გამოიყენე; რაც მარადიულია, მისკენ ილტვოდე. შენი დანაყრება არ ძალუძს არავითარ დროებით სარჩოს, რადგან შენ ხარ შექმნილი, რომ დასტკბე დროებითით.

და თუნდაც გქონდეს მთელი შექმნილი ავლადიდება, მასში მაინც ვერ პოელები სრულ სიმშვიდესა და ვერაერთარ ნეტარებას. რადგან ღმერთი, რომელმაც ყველა საგანი შექმნა, უკეთესია, ვიდრე ყოველი მისი ქმნილება. მხოლოდ ღმერთში მოიპოვება სრული სიმშვიდე და მთელი ნეტარება. ეს ნეტარება სულ სხვაგვარია, ვიდრე ის, რომელსაც სცნობენ და ქებას ასხამენ უგუნური მგვობარნი ამა ქვეყნისა. ეს ნეტარება არის სწორედ ის, რომელსაც ელიან ქრისტეს კეთილშობილი მეგობრები და რომლისგანაც ღებულობენ ჭაშნიკს დროდადრო მხოლოდ განწმენდილნი გულით, სულის მიხედვით მცხოვრებნი, რადგან მათ თავიანთი სამკვიდრებელი და მთელი იმედი ზეცაში აქვთ (შდრ. ფილიპ. 3,20). ყოველივე, რაც ადამიანურ ნუგეშისცემად იწოდება, დიდხანს არ გრძელდება და საფუძველშივე ამაოა; ამაოა, რადგან კვლავ ქრება იგი, როგორც ის ადამიანები, რომელნიც მას იძლევიან; ამაოა, რადგან იგი ნუგეშის მაძიებელი გულის საჭიროებას ვერასდროს ვერ დააკმაყოფილებდა, თუნდაც რომ დარწმენილიყო მასთან. ჭეშმარიტი და ნეტარია მხოლოდ ის ნუგეშისცემა, რომელსაც ღებულობთ ჩვენს სულის სიღრმეში თვით ჭეშმარიტებისაგან. ვისაც ნამდვილი მოწიწება მოეპოვება, იგი ყოველთვის და ყველგან თან ატარებს მის მანუგეშებელ იესოს და მიმართავს მას: შემეწიე, უფალო იესო, ყველა დროს და ყოველ მხარეს; დაე, ეს იყოს ჩემი ნუგეში, რომ არ ვისურვო არავითარი ნუგეში, რასაც ადამიანური ნუგეშისცემა ჰქვია. და თუ აგრეთვე ღვთაებრივი ნუგეშისცემა ჩამომცილდება, იყოს უმაღლესი ნუგეში ჩემი ნება შენი და შენი ნებიდან გამომდინარე სამართლიანი განცდა! რადგან შენ „არა სრულიად განრისხნე და არცა უკუნისამდე ძვირი იხსენო!“ (ფსალმ. 102,9).

ქრისტეს მიბაძვა III/16

### ღმერთზე მინდობა

შენმა გამჭრიახობამ საკმაოდ უწყის, რომ სანამ ჩვენ ამქვეყნად გამოპევებულნი ვართ, ყველანი ძალზე ვიტანჯებით ნაკლთაგან და ჯერ კიდევ არ ძალგამს იმ სიმტკიცეს მივაღწიოთ, რომელიც მომავალში მოგვენიჭება. და ესაა მიზეზი, თუ რატომ არა ვართ ჩვენ აუშფოთველნი ყოველივე იმის მიმართ, რაც

ჩვენს ირგვლივ ხდება, არამედ დროდადრო უბედური შემთხვევების გამო ძალზე ვითარუნებით. ვისაც გვსურს მომავალი უკვდავების მიღწევა, უნდა ვიცოდეთ, რომ ამ მომავალ ცხოვრებას ცოტათი მივესადაგოთ უკვე აწმყოში. ამისათვის, რამდენადაც შეგვიძლია, იქით უნდა ვილტვოდეთ, რომ მთელი ჩვენი იმედი, ნდობა და ძალა ღმერთს დავაფუძნოთ. ღმერთი კი თავისთავში მარად უცვლელია და მშვიდი და ჩვენიც, რამდენადაც ძალგვიძს, მას ამაში უნდა მივბაძოთ. იგია საიმედო თავშესაფარი, რომელიც მარად იქნება, და სადაც მას უფრო დანამდვილებით შეუძლია დარჩენა, ვინც უფრო მეტს ეძიებს ამ თავშესაფარს. ამიტომაც ძალუძდათ წმინდანებს, რომელნიც ასე დიდ იმედებს ამყარებდნენ უფალზე, ყველა იმ უკუღმართობის ასე ადვილად არარად ჩაგდება, რაც კი მათ ამ ცხოვრებაში შესევდრიათ.

ფორდან საქსონიელი: წერილები, 9.

✓ ჭეშმარიტი და სრულყოფილი სიყვარული იმით შეიცნობა, რომ უდიდესი იმედი და რწმენა აქვთ ღვთისა. სხვა უკეთესი არა არის რა გარდა ნდობისა, რაზედაც შეიძლება შემოწმდეს, აქვთ თუ არა სრული სიყვარული. რადგან ერთს თუ მეორე მთელი გულით უყვარს, მაშინ მას ნდობაც თან ახლავს. რასაც მოელღიან ღვთისაგან, მასში ნამდვილად პოუბენ კიდევ მას და ათასჯერ უფრო მეტს. და როგორც ადამიანისათვის არასოდეს ზედმეტი არ იქნება, რაც უფრო მეტად შეიყვარებს მას ღმერთი, ასევე არც ის იქნება მისთვის ზედმეტი, რაც უფრო მეტად დაენდობა იგი ღმერთს. არაფერი არაა ისეთი ღირსებით აღსავსე, რისი გაკეთებაც კი საერთოდ შესაძლებელია, როგორც ღვთის დიდი ნდობა. ვინც კი მიადრია მასთან დიდი რწმენით, მას იგი უპასუხოდ არასდროს დაუტოვებია და მასში დიდნი საქმენი აღუსრულებია. რადგან ყოველი მათგანის შესახებ მან კარგად უწყოდა, რომ მათი ნდობა სიყვარულიდან მომდინარეობდა. მაგრამ სიყვარულს არა მარტო ნდობა გააჩნია, მას აქვს აგრეთვე ნათელი ცოდნა და ყოველგვარ ეჭვს მოცილებული დარწმუნებულობა.

ორგვარი ცოდნა არსებობს ამ ცხოვრებაში მარადიული სიცოცხლის შესახებ. პირველი მომდინარეობს იქიდან, რომ ღმერთი ადამიანს ამას თვით აუწყებს: ან ანგელოზს უგზავნის, ან განსაკუთრებული ნათლისფენით შთააგონებს მას. მაგრამ ეს ხდება იშვიათად და მხოლოდ მცირეოდენ ადამიანებთან. მეორე ცოდნა შეუდარებლად უკეთესია და სასარგებლო და კუთვნილებაა ნიადაგ სრულყოფილად მოყვარული ადამიანებისა. ეს ეფუძნება იმას, რომ ადამიანი სიყვარულისა და ურთიერთობის ძალით, რომელიც მას თავის ღმერთთან აქვს, მას იმდენად ენდობა და მასში ისეა დარწმუნებული, რომ ადამიანს იგი თანაბრად უყვარს ყველა ქმნილებაში. და თუნდაც უარყოფი იგი ყველა ქმნილებას და თვით ღმერთსაც უარი რომ ეთქვა მასზე: იგი ამით არ დაიბნეოდა და არ შეცდებოდა. რადგან სიყვარულს არ ძალუძს, რომ შეცდეს, მას სწამს მხოლოდ სიკეთე და არაა აუცილებელი, რომ მოყვარულთ და შეყვარებულთ რჩევას აძლევენ, რადგან იმის შეგრძნებით, რომ იგი ღვთის მეგობარია, მან იმავე დროს ყველაფერი ის კარგად იცის, თუ მისთვის რა არის კარგი და რა განეკუთვნება მის ბედნიერ ყოფნას. და როგორადაც არ უნდა გიზიდავდეს იგი, იმაში შევიძლია იყო დარწმუნებული, რომ მას უსაზომოდ უფრო მეტად იზიდავს შენსკენ და რომ მას შეუდარებლად უფრო დიდი რწმენა აქვს შენდამი — რადგან იგი თავად

ერთგულებაა, და ამ მხრივ მასში შეიძლება ვიყო დარწმუნებული და აგრეთვე ყველანიც არიან დარწმუნებულნი, რომელთაც იგი უყვართ.

მაისტერ ეკპარტი: სიტყვანი დარიგებისა 14/15.

### ღვთის ნების აღსრულება

იმაზე საუკეთესო არაფერი არ არსებობს, როდესაც აღამიანები მთლიანად ღმერთს მიანდობენ თავს და რაც უნდა გამოუცხადოს მათ ღმერთმა, მხოლოდ მისი ნების განხორციელებას დაეძებენ მთელი გულმოდგინებით; იყავი ამაში ისე დარწმუნებული, როგორც მასში, რომ ღმერთი არსებობს, რომ უცილობდად ესაა საუკეთესო და არ შეიძლება სხვა გზამ იარსებოს, რომელიც უკეთესი იქნებოდა. და თუ რაიმე სხვა მანინც უკეთესად გამოჩნდებოდა, იგი მანინც არ იქნებოდა შენთვის ასე კარგი, რადგან ღმერთს სურს სწორედ ეს გზა და არა სხვა, და ეს გზა შენთვის აუცილებლად საუკეთესო უნდა იყოს. არის ეს ავადმყოფობა თუ სიღარიბე, შიმშილი თუ წყურვილი ან სხვა რაიმე, რასაც შენ ღმერთი გიგზავნის თუ არ გიგზავნის, ან რასაც შენ ღმერთი გაძლევს თუ არ გაძლევს, ყველაფერი ეს შენთვის საუკეთესოა. გაქვს შენ მოწიწება ან გულითადობა, თუ არცერთი არ გაგაჩნია, საერთოდ გაქვს რაიმე, თუ არა გაქვს, განეწყვე მხოლოდ იქითკენ, რომ ღვთის დიდება და პატივი ყველა საგანში შეინიშნოს, და რაც უნდა დაგიწყისოს მან, იცოდე, ეს საუკეთესოა.

შენ შეიძლება ახლა სთქვა: როგორ უნდა გავიგო მე, ღვთის ნებაა ეს თუ არა? უწყოდეთ: რომ არ ყოფილიყო ამაზე ნება ღვთისა, იგი არც იქნებოდა. შენ არ დაგეშართება არც ავადმყოფობა და არც სხვა რამ, თუ ამაზე არ იქნება ღვთის ნება-სურვილი. და რადგან შენ გეცოდინება, რომ ასეთია ღვთის ნება, მაშინ მასში უნდა პოვო ისეთი კმაყოფილება და სიამე, რომ შენ არავითარი ტკივილი ტკივილად არ უნდა მიიჩნიო, თვით უკიდურესობამდისაც რომ მიადწიოს ტკივილმა და შენ ამისგან რაიმე ტკივილსა და ტანჯვას გრძნობდე, თვით მაშინაც კი იქნება ეს საესებთ არასწორი, რადგან შენ იგი უნდა მიიღო ღვთისაგან როგორც ყოვლად საუკეთესო, რადგან იგი აუცილებლად უნდა გახდეს შენთვის საუკეთესო, რადგან ღვთის ყოფიერება იმაზეა დამოკიდებული, რომ მას საუკეთესო სურს. ამიტომაც ეს მეც უნდა ვისურვო და არაფერი არ უნდა მომწონდეს ამაზე მეტად. მთელი გულით რომ მსურდეს ერთ აღამიანს მოვეწონო და დანამდილებით ვიცოდე, რომ ამ აღამიანს ნატრისფერ ტანსაცმელში უფრო მეტად მოეწონება, ვიდრე სხვაში, თუნდაც უკეთესში, ეჭვგარეშეა, რომ ეს ნატრისფერი ტანისამოსი ჩემთვის უფრო სასიამოვნო და მისაზიდი გახდებოდა, ვიდრე სხვა დანარჩენი, თუნდაც უფრო კარგი. თუ მსურს მოვეწონდე ყველას და ვიცოდე რა სურთ მათ, სიტყვითა და საქმით, სწორედ მას ვიქმობი და არა სხვა რამეს. კეთილი, ახლა შეამოწმეთ თვით თქვენი თავი, თუ როგორი არის თქვენი სიყვარული! თუ თქვენ ღმერთი გიყვართ, მაშინ თქვენთვის იმაზე მეტად არაფერი არ უნდა იყოს სასიხარულო, რაც მას ყველაზე მეტად მოსწონს და რომ მისი ნება ყველა ჩვენთაგანის უმეტესობაზე აღსრულდეს. როგორ საშინლადაც უნდა ჩანდეს ტკივილი ან უბედურება, თუ მას შენთვის შესაბამისი კმაყოფილება თან არ ახლავს, იცოდე, რომ მაშინ აქ ჭეშმარიტებას შორდები.

მე ჩვეულებაა მაქვს ხშირად ერთი სიტყვის თქმა, რომელიც აგრეთვე ჭეშ-

ნარიტიცაა: ჩვენ ელოცულობთ ყოველდღე და ხმამაღლა შეეძახებთ „მამაო ჩვენოში“, „უფალო, იყავნ ნებაი შენი!“ (მათე 6, 10). და როდესაც მისი ნება აღსრულდება, მაშინ ჩვენ ვჯავრობთ ხოლმე და მისი ნება უკმაყოფილოს გვხდის. სინამდვილეში, რაც მან უნდა ქმნას, ჩვენთვის ყველაფერზე მეტად უნდა იყოს ხელსაყრელი. ვინც მას ყველაფერზე საუკეთესოდ მიიჩნევს, ისინი ყოველ საგანთან და მოვლენასთან სრულ სიმშვიდეს პოუბენ, ზოგჯერ—თქვენ გერვენებათ და გაიძახით: ეხ, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ უკეთესი იქნებოდა, ან: ეს რომ ასე წარმართულიყო, მაშინ შესაძლოა იგი უკეთესად წარმართებოდა. სანამ შენ ასე გეჩვენება, ვერასდროს ვერ პოუბ სიმშვიდეს. შენ უნდა მიიღო იგი, როგორც ყოველივეზე საუკეთესო.

მაისტერ ეკპარტი: მე-4 ქადაგება.

თუკი ადამიანი წყალობის მეშვეობით თავის თავისუფალ ნებას დაიმორჩილებს და მას საესებით ღვთის ნებას შეურწყავს, ისე, რომ ეს ორი ნება ერთ ნებად წარმოგვიდგება, მაშინ სხვა აღარაფერია აუცილებელი, გარდა იმისა, რომ მან ამ ქალივით წართქვას, უფალო, მასწავლე, სად უნდა ვილოცო და რა უნდა ექმნა, რომ შენს წინაშე ეს ჭეშმარიტად საუკეთესო იყოს? (მდრ. იოანე 4, 20) — და იესო პასუხობს, ესე იგი, თავისთავს უცხადებს მას ჭეშმარიტად და საესებით ისე, როგორც იგი არის და ამდიდრებს ადამიანს ისეთი სიუხვით, რომ იგი გადმოდის და გადმოსჩქეფს ღვთის ზესრული სისავსიდან, როგორც ეს იმ ქალმა ქმნა მოკლე დროში, რომელიც უწინ სრულიად გამოუსადეგარი იყო საამისოდ. და ამიტომ ვამბობ განმეორებით, როგორც უკვე ვთქვი: არც ერთი ადამიანი არ არის აქ (ეკლესიაში) ისე ტლანქი, გაუგებარი და უუნარო, რომ ღვთის წყალობის მეშვეობით ვერ შესძლოს თავისი ნების სრულიად და საესებით ღვთის ნებასთან გაერთიანება. ამისათვის მას, თავისი სურვილის შესაბამისად, სჭირდება მხოლოდ თქმა: „უფალო, დამანახვე შენი უძვირფასესი ნება და გამაზარე, რათა აღვასრულო იგი! და ღმერთი იქმს ამას ისევე დანამდვილებით, რამდენადაც თვით არსებობს ნამდვილად, და ღმერთი მიანიჭებს მას იმდაგვარი სიუხვითა და ყოველმხრივი სისავსით, როგორც მან ეს ამ ქალს მიანიჭა. უწყოდეთ, ეს შეუძლია ღვთისაგან მიიღოს თქვენ შორის ყველაზე ტლანქმა და უმცირესმაც მანამ, სანამ დღეს ჯერ კიდევ ამ ეკლესიას დატოვებდეს. სანამ დღეს ჯერ კიდევ ჩემი ქადაგება არ დამისრულებია, და ამას მიიღებს იგი ისეთ სრულ ჭეშმარიტებაში და ისე დანამდვილებით, როგორც ღმერთი ცოცხლობს და მე ვარ ადამიანი! და ამიტომ გეტყვით თქვენ: ნუ გეშინით! ეს სიხარული თქვენგან შორს არაა, თუკი მის ძიებას გონიერად მოისურვებთ.

მაისტერ ეკპარტი: 27-ე ქადაგება.

(წინაზედულება გამოიჩინეთ და აღიქვით ღმერთი და მისი ძვირფასი ნება და მოწოდება, რითაც ღმერთი თქვენ მოგიწოდებთ, რათა მას გაჰყვეთ. და თუ თქვენ არ უწყით, თუ რა არის ნება ღვთისა, მაშინ მიჰყევით მათ, რომელნიც სული წმიდისაგან უფრო მეტად არიან ნათლითმოსილნი და თუ არა გყავთ თქვენ ამდაგვარი ადამიანები, მაშინ ღმერთს მიმართეთ.) ეჭვგარეშეა, რომ იგი თქვენ მოგანიჭებთ ამ შემეცნებას, თუკი თქვენ უდრეკნი იქნებით, ამანაც თუ არ დაგა-



კმაყოფილა, მაშინ საეჭვო შემთხვევებში დააკვირდი იმას, თუ ყველაზე ნაკლებად რა სურს შენს ბუნებას და სწორედ ისა ქმენ; რადგან ბუნების ყოველ კვლოდამი ღმერთი (სულის) სიღრმეში უჭეშმარიტესად ცოცხალი და ნამდვილი ხდება.

იოანე ტაულერი: მე-16 ქადაგება.

როდესაც ლაპარაკობენ და აგრეთვე თვით ქრისტეც ამბობს, რომ ყველა სავანი უნდა დაეთმოთ და დაუტევიოთ (შდრ. მათე 19, 21), ეს იმდაგვარად არ უნდა გავიგოთ, რომ ადამიანს არაფერი არ აქვს საქმნელი ან გასაკეთებელი რადგან ადამიანმა, სანამ იგი ცოცხალია, რაღაც უნდა გააკეთოს და რაიმეს მოუაროს. ამრიგად, ზემოთქმული შემდგენიერად უნდა გავიგოთ: მთელი შესაძლებლობა, მოქმედება, შექმნება და ცოდნა ადამიანისა და ყოველი ქმნილებისა ის არაა, რაზედაც შეერთება ძვეს. მაშ რა არის შეერთება? სხვა არაფერი, თუ არა ის, რომ მთლიანად და სავსებით ჭეშმარიტებაში არიან უბრალოდ ღვთის უბრალო, მარადიულ ნებასთან ერთად, ანდა ის, რომ თავისის ნებისგარეშე არიან და შექმნილი ნება გარდასდინდა და აითქვიფა და გაქრა მარადიულ ნებაში იმდაგვარად, რომ მარტოოდენ მარადიულ ნებას სურს მოქმედება. ენლა იმას მიაქციე ყურადღება, თუ რას შეუძლია მოემსახუროს და დაეხმაროს ადამიანს საამისოდ, უწყოდე, ეს არ შეუძლია არც საშუალებას, არც სიტყვასა და საქმეს ცალკეული ქმნილებებისას და არც ყველა ქმნილების საერთო საქმეს, ცოდნას, შესაძლებლობასა და მოქმედებას. ამგვარად, ყველა სავანი უნდა დაეკარგოს და შეეწიროთ. ეს ნ.შნავს, რომ მცდარად არ ვიფიქროთ და არ წარმოვიდგინოთ, რომ რომელიღაც საქმით, სიტყვით და საშუალებათ, ხელოვნებასა და ოსტატობას, მოკლედ, ყველაფერს, რაც შექმნილია, საამისოდ მომსახურება და დახმარება შეძლებოდა. არანედ ყველაფერი ეს უნდა დავტოვოთ, რაც არის, და გარდავიღეთ შეერთებაში. მაგრამ, ამავე დროს, საგნები უნდა იყვნენ და უნდა ემოქმედებდეთ. კერძოდ: ადამიანმა უნდა იძინოს და იფხიზლოს, იაროს და იღვეს, ილაპარაკოს და ღუმდეს და კვლავ მრავალი რამ უნდა იყოს, სანამ ცოცხლობს ადამიანი.

გერმანული თეოლოგია, თავი 25-ე.

### მადლიერება და ქების შესხმა

შენდამი მადლობა რომ აღვაკვინო, ჩავიძირები შენი თავმდაბლობის უღრმეს უფსკრულში და გადიდებ და ვლოცულობ შენზე შენი უზარმაზარი სათნოებისა და შენი გულითადი სიკეთისათვის; მაძაო სათნოებისავე, ჩემთვის, რომელიც ასე უკუღმართად ვცხოვრობდი, შენ მშვიდობის მოსაწყლენად ფიქრობდი და არა ტანჯვის. შენ ისე ძალზე ამამაღლე შენი კეთილისყოფათა სიუხვით და სიდიდით, თითქოს მე უკეთესი ვყოფილიყავი ყველა დანარჩენ მოკვდავზე და ამქვეყნიად ანგელოზის მსგავსი ცხოვრებით მეცხოვროს. შენ ეს დააწყე მაშინ, აღვერტის\* დროს, სანამ მე... ჩემს ოცდახუთი წლისთავს შეგასრულებდი. შენ გრიგული გამოაგზავნე, რომლისგანაც გული ჩემი ისე აფორიაქდა, რომ ყოველგვარი ახალგაზრდული სიხარული ჩემთვის შესაზიზზი გახდა. ასე შეამზადე შენ წუნთვის ცოტათი ჩემი გული. შემდგომ, როდესაც ოცდამეექვსე წელში გადავაბი-

\* აღვერტი (adventus - ლათ.) „მოსვლა“ (ქრისტესი) - შობის წინა ოთხი კვირის მომცველი დრო. მთარგმნ. შენიშვნა.

ვე, — ეს იყო ორშაბათს, განწმენდის დღესასწაულის წინ იმ დღის დაისში, სადა-ბოს ლოცვის შემდეგ, — შენ, ჩემი დაბნეულობის ღამის შემდეგ, როგორც წყვილი-ღის გამანათებელმა ჭეშმარიტმა ნათელმა აგრეთვე დღე ჩემი ახალგაზრდულ უკუნურებისა აღკვეთე და სულიერი უმეცრების წყვილად დასასრული მიუჩინე... შენ შენთან შემაკავშირე შენი შერიგებით, რათა შევიძლო შენი შეცნობა და სიყვარული და მაზიარე ჩემს უშინაგანეს სიღრმეს, რომელიც აქამდის ჩემთვის სრულიად უცნობი იყო. იმავე დროს, იმ ჟამიდან მოყოლებული, სასწაულებრივი და იღუმალებით აღსავსე გზით შენ დაიწყე ჩემზე ზემოქმედება; როგორც საკუთარ სახლში მეგობარს მეგობართან, უფრო მეტიც, როგორც საქმროს თავის საცოლესთან, ასე გუსურდა შენ ჩემს გულში დაეანება და მუდმივი სიხარულის ქონა ჩემს სულთან.

გერტრუდ დიდი: ღესპანი ღვთაებრივი სიყვარულისა II/23.

ღმერთო, ღმერთო ჩემო, რადგან შენა ხარ ჩემი, არაფერი მაკლია მე. და რადგან მე ვარ შენი, მსურს ჩემს ღმერთსა და მაცხოვარში თავი ჩემი მარადის ვიქო. მთელ ჩემს მწუხარებაში შენა ხარ, რომელიც შენში მიმზადებ ნადიმს სადღესასწაულოს. სად იქნებოდა კარგად სული ჩემი თუ არ შენში, ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო? და თუ უკვე ამქვეყნიურ სიღატაკეში ფიქრი შენს ქებაზე ასე ტკბილია, როგორი იქნებოდა იგი, ღმერთო ჩემო, როდესაც შენს ღვთაებრივ ბრწყინვალეებაში დიდებულება შენი გამოჩნდებოდა! თუკი შენი ნეტარების წინასწარ ნაგემი წვეთები ასეთი სიამის მომგვრელნია, როგორი იქნება ის მაშინ, ო, წმინდაო ნეტარებაჲ, როდესაც მთელ მათ სისავსეს მომავლი! თუ შენი ნუგეში კეთილ საბოძვართა უკვე აქ მოთხოვნილებას ჩემსას აყუჩებს, როგორი იქნება ეს მაშინ, ო, ღმერთო სიკეთისა ჩემისაო, როდესაც შენ ჩემს სულს მთლიანად შენში ჩაძირავ... ღმერთო, ღმერთო ჩემო, თუ ჩემს სულს შენსკენ მიმართავ, მაშინ არაფერს არ მაფიქრებინებ და არ მაგრძნობინებ მარტოოდენ შენისა, მაშინ წარიღებ ჩემ თავს ჩემგან და შენ თავს მისცემ მას, რომ არ ძალმიძდეს ფიქრი ჩემ თავზე, რადგან წარიღე შენთვის თავი ჩემი, რათა დამფარო შენში... შენში, სიცოცხლეზე მძლავრო სიყვარულო, ჩემი სული კვლავ პოვებს თავის სიყრმეს და განახლებული, შენი უმშვენიერესი პირისახის ხილვისას არწივის მსგავსად შიშვივლებს და შეჰხარის მას, რადგან ახლა პოვა და უკვე ხელთა აქვს მას უსასრულო სიხარული მარადიული სიცოცხლისა, რათა შენში ფლობდეს იგი მას სამარადისოდ, ო ღმერთო სიყვარულისაო, ამინ.

გერტრუდ დიდი: სულიერი ვარჯიშები 6.

ერთხელ ასე მეტყოდა ოსტატი ჩემი, მოძღვართა შორის უმაღლესი: მსურს სამი რამ გასწავლო, რასაც ყოველდღიურად გულში უნდა ჩაუკვირდე და ბერი სარგებელი გექნება მისგან. პირველი, მადლიერებით დაუკვირდი, თუ რა დიდი საუნჯე მოგანიჭე შექმნითა და ხსნით, რომ შენ, როგორც ადამიანი, შეგქმენ ჩემი ზატისა და მსგავსების მიხედვით და შენს გამო უმწარესი სიკვდილი და-ვითმინე. შემდეგ: დაუკვირდი მადლიერებით, თუ რამდენი სიკეთე მოგანიჭე პირადად შენ დაბადებიდან დღევანდლამდე, რომ შენ განსაკუთრებული ამორჩევით

გიხმე სამყაროდან, შენს სულზე ხშირად დახრილი აღვაკესბდი და აღვაფრთოვანებდი მას ჩემი ღვთაებრივი მადლის სიტკბოთი, შემეცნებით ნათელი მოვფინე და სიყვარულით აღვანთე იგი, რომ წირვა-ლოცვის დროს ყოველდღიურად შენთან მოვიდვარ და მზად ვარ ყველა სურვილი და მოთხოვნა შეგისრულო. მესამე: დაუკვირდი ქების შესხმითა და მადლიერებით, თუ ზეცაში რაოდენ ამალღებულ ნიეთთა მონიჭება მსურს შენთვის სამარადისოდ, სიუხვე ყველა საუნჯეთა. და გაცილებით მეტი სიკეთით აღვაკესბ შენ, ვიდრე ამის დაჯერება ან წარმოდგენა შეგიძლია. მე გეტყვი შენ: ეს ძალზე მომწონს, როდესაც ადამიანები, გულდამშვიდებულნი, დიდ საჩუქარს მოელიან ჩემგან. ადამიანს, რომელსაც სწამს, რომ მე მას ამ ცხოვრების მერე მისი დამსახურებისამებრ დავასაჩუქრებ და ამის გამო მაქებს და ამ ცხოვრებაში ჩემდამი მადლობას აღაქვს, ამით ჩემდამი ისეთ მადლიერებას ამჟღავნებს, რომ მას მსურს მივეზღო მის რწმენა-იმედზე და დამსახურებაზე გაცილებით მეტი. ადამიანს არ ძალუძს იმის გაგება, თუ რა სწამს და რისი იმედი აქვს მას, მაგრამ ეს მისთვის სასარგებლოა, რომ სრულიად უდიდესი სწამდეს და მოელოდეს მას ჩემგან.

აქ სულმა წარსთქვა: ყოველივე უსაყვარლესო, ამრიგად, თუ შენთვის სასიამოვნოა, რომ ადამიანები ასე ღრმად გენდობიან, მაშინ მიუწყე, თუ როგორ უნდა ვენდო შენს უსასრულო სიკეთეს.

და თქვა მან: ჭეშმარიტი იმედით უნდა მომენდო, რომ შენი სიკვდილის შემდეგ მსურს ავიყვანო როგორც მამამ თავისი საყვარელი შვილი და გაგინაწილო ყოველი ჩემი საუნჯე და მსურს მოგცე თვით თავი ჩემი, როგორც მამა თავის ერთადერთ შვილს ერთგულად აძლევს მემკვიდრეობას; მსურს მივიღო ისე, როგორც მეგობარი თავის უსაყვარლეს მეგობარს ღებულობს და გაგიწიო ისეთი დიდი მეგობრობა, როგორც არავეის არასდროს თავისი მეგობრისგან არ ღირსება; რადგან ჯერ არ ყოფილა ისეთი ერთგული მეგობარი, რომელსაც ზოგჯერ გული არ გაუტენია ანდა თავისი მეგობრის მოტყუება არ სურვებია. მხოლოდ მე ვარ უკიდურესად ერთგული და ვარ თავად ერთგულება და არასოდეს არ ძალმიძს ვიცურო წინაშე მეგობართა ჩემთა. დაბოლოს, მსურს შენი აყვანა, როგორც საქმროს თავისი ერთადერთი საყვარელი საცოლის, სიხარულის ისეთი სიუხვითა და ნეტარების ისეთი სისავსით, როგორც აროდეს არც ერთ საქმროს თავისი საცოლე ასე ძლიერ არ მიუზიდავს. მსურს ნეტარებით შენი დატკობა და ჩემი ღვთაებრივი სიხარულის ნაკადით შენი აღტაცება. აქ წარმოსთქვა სულმა: რას მიანიჭებ შენ მათ, ვისაც სწამთ შენი? და მან უბასუბა: მადლიერი გულის მინიჭება მსურს მათთვის, რომ ყველა ჩემი საბოძვარი მათ მადლიერებით აღიღონ. მოსიყვარულე გულის მინიჭება მსურს მათთვის, რათა ერთგულებით ვუყვარდე მე მათ; ქების შემსხმელი გულის მინიჭება მსურს მათთვის, რათა ნიადგ საყვარულში მადიდებდნენ, როგორც ზეციურნი, რომელნიც მარად სიყვარულში მაქებენ და მადიდებენ მე!

**მეხტილდ ჰაკებორნელი:** წიგნი განსაკუთრებული წყალობისა III/5.

პირველ ყოვლისა, საჭიროა ქმედით სიყვარულში გაწაფვა. ესაა ზედმიწევნით სასარგებლო და კურთხეული რამ. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი მადლიერია მრავალი სიკეთისა, რომელიც ღმერთმა მას, ყველა ადამიანსა და ანგელოზს აღმოუჩინა, რომ იგი მთელი ძალებით იძირება სიყვარულის დიად საქმეებში, რომლებიც ღმერთმა სხვადასხვა გზით მიანიჭა მას. და ყოველ მის ქმნილებას საყო-

ველთაოდ და მას — განსაკუთრებით, და ეს შიანიჭა სახელდობრ თვით თავისე თავით — მთელი თავისი ცხოვრებითა და ტანჯვით. ამას შეუდაროს ადამიანმა თავისი სიპატარავე, უღირსობა და თავისი არარობა; ზეცას, ღვთაბუნების და ყველა ქმნილებათ უხმობს იგი, რათა დაეხმარონ მას ღვთისადმი მადლობის აღვლენაში, რადგან მას მარტოს არ ძალუძს ეს.

ამ სამადლობელში წმიდა მშერით ჩართოს მან მთელი ქრისტიანობა, ცოცხალი და გარდაცვლილი და განსაკუთრებით ისინი, ვისთვისაც სურს მას ღოცვა. და ყველა ამათი სახელით, მათი მომცველი მშერითა და სიყვარულით აღსავსე შინაგანი მოთხოვნილებით მიმართოს მან ღმერთს და მიიტანოს მასთან თავისი განსაკუთრებული სიყვარული ჩვენი უფალი იესო ქრისტეს ცხოვრებისა და ტანჯვისადმი. ეს ყველაფერი მოხდეს ერთადერთი მშერით, როგორც ათას კაცს გადახედავენ ხოლმე თვალის ერთი გადავლებით. და ღვთისაკენ სულის ეს ამადლება რაც შეიძლება ხშირად უნდა განმეორდეს. სულ რამდენიმე წამის განმავლობაში, კვლავ და კვლავ. და ყოველივე ამით ღვთისაკენ უკანვე უნდა მივიქცეთ, მთელი ძალით, გონებითა და ქმედითი სიყვარულით.

მაგრამ რაც კი ოდესმე ღვთისაგან მივიღიათ, იგი თქვენსავე თავს არ უნდა მიაწეროთ, როგორც თქვენი საკუთრება; ღვთისაგან ბოძებული ისევ და ისევ უნდა ვასცეთ და არაფერი დაიტოვოთ, ნიადაგ გახსოვდეთ თქვენი სრული არარობა და სიღარიბე. და მეტი აღარ უნდა იკითხოთ და იკამათოთ იმაზე, რომ ღმერთია ეს თუ არა, რომელიც თქვენ შინაგანად გეჩვენებათ და გეძღვეათ. იფიქრეთ მხოლოდ თქვენს სიპატარავეზე, სიღარიბეზე, არარობაზე, რაც ჭეშმარიტად ასეა. მიუცით ღმერთს, რაც ღვთისაა; იღვწოდეთ თქვენს საწყისში დასაბრუნებლად, როგორადაც ეს ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ ჰქმნა, რომელიც მთელი თავისი ძალებით, მაღალი და მდაბალით, ყველა დროს სიმადლისაკენ ისწრაფვოდა. ვინც მას უზუსტესად მიჰყვება, იგია საუკეთესო.

იოანე ტაულერი: 48-ე ქადაგება.

### 3. მისტიკოსები თავიანთი თავის შესახებ

#### პილდევარდ ბინგენელი

ერთგულო მსახურო, მე, ლატაკი ქალი, ჭეშმარიტ ხილვაში გეუბნები ამ სიტყვებს. თუკი ღმერთს მოსწონს, რომ ამ ზედვაში ჩემი სხეული და სული ადამადლოს, ამისდა მიუხედავად, შიში მაინც არ დაუტყვევებს ჩემს აზრსა და გულს, რადგან ვიცი, რომ მე მხოლოდ ადამიანი ვარ. უკვე მრავალი ბრძენი დაიბნა სასწაულებრივ საბოძვართა მადლებით. ისინი ავლენდნენ ზოგ საიდუმლოებას, მაგრამ ქედმადლური განდიდების ჟინით შეპყრობილნი ამას საკუთარ თავს ნიაწერდნენ და ამრიგად განიცადეს დაცემა. მაგრამ რომელნიც თავიანთი სულის აღმავლობისას საბრძენს ღვთისაგან იღებდნენ და საკუთარ თავს არარად მიიჩნევდნენ — ასეთნი ცის ბურკეტებად იქცნენ ღვთაბუნებაზე.

რა იქნებოდა, თუ მე ლატაკი საკუთარ თავს ვერ შევიცნობდი? ღმერთი იქ მოქმედებს, სადაც მას სურს, თავისი სახელის დიდებისათვის და არა მიწიერი ადამიანის განდიდებისთვის. მუდამ შიშის ძრწოლა ამიტანს ხოლმე, რადგან არ ვუწყვი ჩემში არავითარი შესაძლებლობა რაიმესადმი. ღვთისაკენ ვიწვდი ხელთ, რათა ჩამჭიდოს და გამამაგროს, რადგან ვითარცა ბუმბული, თავისუფალი

ყოველგვარ სიმძიმისაგან, ქარის სათამაშოდ ვარ მე ქცეული. რასაც კი ვჭვრეტ, მისი სრულყოფილი შემეცნება არ ძალმიძს, სანამ სხეულში ვცხოვრობ და ჩემი სული უხილველია, რადგან ორთავე ამ საგანშია ადამიანის არასრულყოფილება დაფუძნებული.

ბავშვობიდანვე, როდესაც ჩემი ძელები, ნერვები და ძარღვები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამაგრებულნი, გამუდმებით ვჭვრეტ ამ ხილვას ჩემს სულში დღევანდელ დღემდის, როდესაც უკვე სამოცდაათზე მეტი წლისა ვარ, ამ ხილვაში სული ჩემი, როგორც ეს ღმერთს სურს, მაღლდება ცის კამარაში და ჰაერის სხვადასხვა ფენაში და ვრცელდება სხვადასხვაგვარ ხალხს შორის, რომელნიც ჩემგან დაშორებულ მხარესა და ადგილებში არიან. და რადგან ამას ამდაგვარი გზით ჩემს სულში ვჭვრეტ, ამგვარადვე აღვიქვამ მე მას ღრუბელთა და სხვა ქმნრღებათა ცვალებადობის მიხედვით, მაგრამ ეს არ მესმის მე ჩემი გარეგანი ყურებით და არც შევიმეცნებ მას ჩემს გულთა ზრახვებში ანდა ჩემი ზუთი გრძნობის მონაწილეობით, არამედ მე მას ვჭვრეტ მხოლოდ ჩემს სულში, ღია თვალებით, ცხიზლად დღისითა და ღამით. და არასოდეს არ განმიცდია ამ დროს ექსტაზი. ჩემს სწეულებათაგან მუდმივ ვარ შევიწროებული და ხშირად ისეთ ტკივილებს განვიცდი, რომ სიკვდილი ძალზე მიახლოვდება, მაგრამ ღმერთმა შემიძინა ამ ფაქმაღე...

ამ სინათლის ფორმის შემეცნება არანაირი საშუალებით არ ძალმიძს, როგორც არ ძალმიძს სრულყოფილად დაინახო მზის დისკო. ამ სინათლეში დროადრო, არა ხშირად, მე ვხედავ კიდევ სხვა სინათლეს, რომელიც ჩემთვის როგორც „ცოცხალი სინათლე“ აღინიშნება, თუ როდის და რა გზით ვხედავ ამას, ამის შესახებ არაფერი ვიცი. მაგრამ სანამ მას ვხედავ, მთელი ჩემი მწუხარება და შაში მშორდება ისე, რომ მოზუცი ქალის ნაცვლად თითქოს ვიქცევი პატარა, უზრუნველ გოგონად. მუდმივი ავადმყოფობის გამო, რითაც ვიტანჯები, უსიამოვნო ხდება ჩემთვის იმ სიტყვათა და სახეთა გამოთქმა, რომელნიც მაშინ მევლინებიან, მაგრამ როდესაც სული ჩემი იმ სინათლეს შეყურებს და მისით ტკბება, მაშინ, როგორც ვთქვუ, იმდაგვარი განწყობილება მეუფლება, რომ ყოველ წ. დველსა და ტანჯვას ვიფიწყებ. და რასაც შემდეგ ამ ხილვაში ვჭვრეტ და ვისმენ, ჩემს სულს იგი ამოაქვს თითქოს წყაროს სათავიდან, რომელიც თავად სავეს და ამოუწურავი რჩება. იმ სინათლეს კი, რომელიც „ცოცხალი სინათლის“ ჩრდილად აღინიშნება, სული ჩემი ფლობს ყოველ საათს. მე ვხედავ მას, თითქოს ვჭვრეტდე კრიალა ღრუბელში ცის კამარას უფარსკვლავებოდ. იქ ვხედავ მე მას, რასაც ჩვეულებრივ ვამბობ ხოლმე და რასაც ვპასუზობ, როდესაც მეკითხებიან ამ „ცოცხალი სინათლის“ ბრწყინვალეების შესახებ.

წერილი ფილბერტ ვებლუელისადმი

### ელიზაბეთ შიონაული

შენ ითხოვ ჩემგან, ძმაო, და კიდევაც მიადწიე ამას, რათა მოვითხრო ღვთის სათნოების შესახებ, როდესაც მან, თავისი მადლის ნებით, ჩემში იწება ქმედობა. მე გადაწყვეტილი მაქვს, რომ შენს სიყვარულს საკადრისი მივუზლო, რადგან უკვე დიდი ხანია, რაც ჩემს სულს სურს, რომ მე შემთხვევა მომეცეს შენ ვესაუბრო ყველა ამ საგანზე და შენი აზრი მოვისმინო, მაგრამ, ვევედრები, ცოტათი შეყოვნდი და გაიაზრე შემფოთებანი ჩემი გულისა, რომელნიც იმაზე მეტად მა-

ვიწროებენ, ვიდრე ამის დაჯერება შეიძლება. თუკი ის ცნობა, რომელიც გვძენია, საჯაროდ განქვეყნდება როგორც ეს უკვე ვარკვეულად წინდაუხედავ ძმათა მეშვეობით მოხდა, თუცა ღმერთმა უწყის: ჩემი ნების საწინააღმდეგოდ!— რას იტყვიან ამის მერე ხალხში ჩემზე? ზოგიერთმა შეიძლება თქვას, რომ მე მაქვს რაიმე სიწმინდე და ღვთის მადლი ჩემს დამსახურებას მიაწვროს, ყალბად ეგონოს რა, რომ თითქოს მე რაიმეს წარმოვადგენდე, მაშინ, როდესაც არაარობა ვარ. მაგრამ სხვანი თავიანთთვის გაიფიქრებენ და იტყვიან: იგი ღვთის მსახური რომ ყოფილიყო, ყველა შემთხვევაში ამაზე ხმას არ ამოიღებდა და თავის საზღვს ამ ქვეყნად არ განადიდებდა. მაგრამ მათ არ უწყვიან, ყოველთვის თუ როგორ იბულებულს მხდიან სალაპარაკოდ. აგრეთვე, ისეთიც მოიპოვებინ, რომელნიც ყოველივეს, რასაც ჩემს შესახებ ისმენენ, დედაკაცის გამონაგონად ჩაივლიან ან, შესაძლოა, ეშმაკისაგან მოტყუებულად გამომაცხადონ. ამას, და ვინ იცის, კიდევ რას იტყვიან ჩემზე, უძვირფასესო. მაგრამ რამდენად შემეფერება ეს, რომ რომელიმე ადამიანისათვის ცნობილი გავხდე მე, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრების გატარება განდევნილობაში ვარჩიე და თავს უღირსად ვთვლი საიმი-სოდ, რომ ვინმემ თვალნი აღაღოს და შემომხედოს? აგრეთვე ისიც მიმატებს შემოთებას, რომ უფალმა აბატმა გადაწყვიტა ჩემი სიტყვები ჩაწერილ იქნენ განა რა ვარ მე ისეთი, რომ რაც ჩემს თავს ხდება შთამომავალთა მესხიერებას შევუწარჩუნოთ? განა არ შეიძლება, რომ ეს აღიარებულ იქნას როგორც კადნი-ერება?

მაგრამ რამდენიმე ბრძენმა კაცმა მითხრა, რომ ღმერთმა ეს საგნები არა მხოლოდ საჩემოდ მომივლინა, არამედ მან ამით წინასწარ იზრუნა აგრეთვე სხვა-თა დამოძღვრისათვის, რამდენადაც ეს შეეხება რწმენის გამაგრებას და აგრეთვე იმათ სანუგეშებლად, რომელნიც უფლისათვის მგლოვიარენი არიან გულით. აქედან გამოსულთ მათ სწამთ, რომ ღვთის ქმედობანი განქვეყნებული უნდა გავხდნენ. რომ ეს ნამდვილად ასეა, როგორც ისინი ამბობენ, ნაწილობრივ მწამს მე ეს. ახლა კი მინდა აგრეთვე მთავარი არგუმენტი მოგიყვანო საამისოდ. უკვე მრავალჯერ, როდესაც ჩემს გულში გადაწყვეტილი გავჩუშებულიყავი იმაზე, რასაც უფალი მიჩვენებდა, ისეთი ტკივილი ამიტყდებოდა შიგნეულობაში, რომ თავს სიკუდილის პირას ვთვლიდი. მაგრამ როგორც კი ჩემს ირგვლივ მყოფთ გაუუმჯღავნებდი იმას, რაც მე ვიხილე, იმწამსვე ტკივილთა გაყურებას ვიგრძნობდი. მართალი რომ ვაღიარო, ერთხელაც ვერ მოვიპოვე ამის გამო სრული დარწმუნებულობა საიმისოდ, თუ რა უნდა ვქმნა მე. რადგან, ერთი მხრივ, კარგად მესმის, თუ რა სახიფათოა ჩემთვის ღვთის დიდებული საქმეების დამალვა მაგრამ, მეორე მხრივ, ასევე შიში მიტანს, რომ უფრო სახიფათო გავხდებო ჩემთვის ამ თემაზე საუბარი. მე ვგრძნობ არასრულყოფილებას ჩემი განსხვავების უნარისას, რათა შევძლო იმის განსხვავება, თუ რა უნდა განქვეყნდეს და რა არა იმათთაგან, რაც მე გამომეცხადა. იხილე, ყველა შემთხვევაში ხიფათი არ მცდილდება, რომ ან ასე, ან ისე შევცდე. ამიტომ, საყვარელო ძმაო, ცრემლნი არა შორდებიან ჩემ თვალთა და სული ჩემი გამუდმებით შფოთავს ჩემში.

შენი ჩამოსვლის შემდეგ ნუგეში პოვა სულმა ჩემმა და დიდი სიმშვიდე დამე-უფლა კურთხეულ არს უფალი, რომელმაც შეიწყნარა და შეისმინა ლოცვა მისი მსახურისა, რითაც მას მრავალი დღის განმავლობაში ვევედრებოდი შენი სტუმრობისათვის. და ახლა, როდესაც ღვთის ნებამ ასე შორიდან შენ ჩემთან ჩამო-ცეყვანა, მსურს გადავიხსნა გული ჩემი და გაუწყო კეთილი და ბოროტი ჩემს შე-

სახებ. გადაწყვეტილება, რომელიც შემდეგ უნდა იქნეს გამოტანილი, შენსა და უფალი აბატის ხელთაა. მაღლობას კეტყვი უფალს, როგორც უმცირესი უბადრუკთა შორის, რომ იმ დღიდან მოყოლებული დღევანდლამდე, რადროსაც მე ორდენის კანონთა მიხედვით ვიწყე ცხოვრება, უფლის ხელი ისე საგრძნობი გახდა ჩემთვის, რომ ერთი წამიც არ ყოფილა ისეთი, რომ ჩემს სხეულს მისი ისრები არ ეტარებინოს. სხვადასხვაგვარაა, გამუდმებითა ავადმყოფობებმა არა მხოლოდ მე დამტანჯეს, არამედ აგრეთვე ყველა დაც ჩემს გარშემო. და, უფალმა მათ თავისი სიკეთე არ მოაკლოს, რადგან მათ მთელი სიმძიმე ჩემი უბედურებისა დედობრივი სიყვარულით ზიდეს. ისინი დროდადრო გამაჯანსაღებელ საშუალებებსაც მაძლევდნენ, მაგრამ ეს საშუალებანი კიდევ უფრო აღრმავებდნენ ჩემს ავადმყოფობას და ღამეულ ხილვაში მესმოდა ხმა ჩემდამი მომართული: „ხოლო ღმერთთან ჩუენმან ცათა შინა და ქუეყანასა ზედა ყოველივე, რაიცა უნდა, ქმნა“ (ფს. 113,3). აქედან მივიღე მე გაფრთხილება, რომ ჩემი სხეული არა აღამიანთა გამაჯანსაღებელი საშუალებებისათვის დამეთმო, არამედ — შემოქმედის ნებისათვის; და სწორედ ასე მოვიქეცი. ხშირად დამეუფლებოდა ისეთი დიდი სისუსტე, რომ გარდა ენისა, სხეულის ვერც ერთ ნაწილს ვერა ვძრავდი, მაგრამ მიუხედავად ამისა — დაე, ეს ითქვას ყოველგვარი მედიდურების გარეშე! — ფსალმუნთა წარმოთქმაში არანაკლებ თავგამოდებული დავრჩი. მაგრამ როდესაც დამბლამ ენაც გამიქვავა, მისი სამსახური სულმა გამიწია რა აუცილებელიც მაკლდა ჩემი ავადმყოფობისას, მათი ჩამოთვლა დიდხანს არსტანდა. შენ თავად უწყვი, რომ ჩვენი ოჯახის ქონება მცირეა და ისინი შორს არიან ჩემგან, ვისაც უნდა შევბრალეოდი. მაგრამ უფალი — მამა ობოლთა — ზრუნავს ჩემთვის, და მისი წყალობით მთელი ჩემი უბედურება ჩემს გულში იქცა დიდ სიხარულად. კურთხეულ იყოს ღმერთი, მორჩილთა მანუგეშებელი!

წერილი თავისი ძმის ეკბერტიხადმი.

### მესტილდ მაგლებურგელი

სანამ ამ წიგნის წერას შეეუდგებოდი, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, მე ვიყავი გულუბრყვილოზე გულუბრყვილო აღამიანი, რომელიც კი ყოფილა ოდესმე სულიერ ცხოვრებაში, თუმცა ღმერთი ზოგ თავის სიტყვას ჩემს სულში გამოსთქვამდა. ეშმაკის ბოროტების შესახებ არაფერი ვუწყოდი, ამ ქვეყნის სენი ჩემთვის უცნობი იყო, ყალბი სასულიერო პირნი ჯერ გაცნობილი არა მყავდნენ. ჩემს მეთორმეტე წელში, როდესაც მარტო ვიყავი, სულიწმიდას გრივალმა გადამიარა და ისე მძაფრად მომესალმა, რომ იმ დღიდან მოყოლებული არც ერთ ცომაკვიდინებელ ცოდვას არ მსურს დავნებდე. უსაყვარლესი მოსალმება ყოველდღე აღწევდა ჩემთან და უტკბილეს სევდას მგვრიდა სიყვარულისას. და მაინც იზრდება და გიზგიზებს ყოველდღე სიტკბოება და მშვენიერება მთელი სამყაროსი. ეს შემემთხვა მე, სანამ ოცდათერთმეტი წლის შევსრულდებოდი.

ღვთაების შესახებ, გარდა ჩვენი ქრისტიანული რწმენისა, არაფერი არ ვუწყოდი; მე ვცდილობდი ჩემი გულის განწმენდას. ღმერთი თავად დაამოწმებს, რომ ჩემი სურვილი და ნება არასოდეს იმ საგნებისაკენ არ ისწრაფვოდა, რომელთა შესახებაც ამ წიგნში დაწერე, და რომ მისთვის არასოდეს მითხოვია მათი ჩემთვის მოცემა. მე აგრეთვე არა მჯეროდა, რომ აღამიანებს შეეძლოთ ამღაგვარი რამის განცდა და იგი არც განმიცდია მანამ, სანამ ჩემს ნათესავებთან და მეგობ-

რებთან ვიმყოფებოდი, რომელთაც ძალზე უყვარდი. მაგრამ უკვე დიდი ხანი იყო, რაც ენატრობდი, რომ უდანაშაულოდ დამცირებულ ცყოფილიყავი...

როდესაც მე ჩემს სულიერ ცხოვრებას ვეზიარე და ამ ქვეყანას დავემშვიდობე, დავაკვირდი ჩემს სხეულს და ვპოვე იგი დიდ ბრძოლაში ჩემი საწყალი სულის წინააღმდეგ; და იყო ჩემი სხეული დიდი სისხვის, მაგარი აგებულებისა და აღსავსე ბუნების ძალით. და მე შევიმეცნე, რომ იგი მტერი იყო ჩემი და ესედავდი, თუ მსურდა მარადიულ სიკვდილს ავრიდებოდი, მაშინ საქმე ბრძოლაზე უნდა მიმეყვანა და თვით თავი ჩემი დამეთრგუნა. და მე ვხედავდი ჩემი სულის იარაღს: ჩვენი უფალი იესო ქრისტეს წმიდა ტანჯვასა და მე აღვიჭურვე მით. ამიერიდან მე გამუდმებით შიშსა და ძრწოლაში უნდა მეცხოვრა. ჩემი მტრები ბოროტად მოიწყვდნენ ჩემსკენ დარტყმებით და იყო ოხვრა, ტირილი, მარხულობა, სიფხზღე, სააღსარებოდ მისვლა, ჩემი გულის გამაშკარაება, მსხვერპლშეწირვა და ხილვა ღვთაებრივი სახისა. ესენი იყვნენ ჩემი სულის იარაღები, რითაც მე ჩემს სხეულს ვძლეავდი... ზოგიერთი დღე ჩემი ამქვეყნიური ცხოვრებისა მძიმე ავადმყოფობაში გავატარე. და დამეუფლა მძლავრი სიყვარული და ისე აღმაფრთოვანა თავისი სასწაულებით, რომ მე აღარ შემეძლო დადუმება. მაგრამ შიშმა შემიპყრო, როდესაც გავიხსენე ჩემი გულუბრყვილობა და ვთქვი: ღმობიერო უფალო, რისი მოვლინება გასურს სწორედ ჩემდამი? შენ ხომ უწყი, რომ მე უგუნური და უბადრუკთა შორის უბადრუკი ვარ სხეულითა და სულით. ეს საგნები შენ ბრძენ კაცთ უნდა მისცე, რის გამოც შენ შემდეგ განგადიდებენ. და რქუა ჩვენმა უფალმა: შენ ჩემი გამგონი უნდა იყო და უნდა შემომიძაკე მე. შენ დიდხანს უნდა იგვემო, მაგრამ მე მსურს შენი მოვლა და მსურს მოგცე ის, რაც გჭირდება სხეულისა და სულისათვის! და მივედი მე უბადრუკი მორჩილად და დარცხვენილი ჩემს მოძღვართან სააღსარებოდ და ვაუწყე მას ამ სიტყვების შესახებ და ვთხოვე ჩემი დამოძღვრა. მან სთქვა, რომ მე მხიარული გულით უნდა აღვასრულო ეს, რომ ღმერთმა ასე მომთხოვა მე და იგი მე დამიცავს. და მან მე მიბრძანა, — მე მრცხვენია ამის და ვტირივარ ამის გამო, — მე, უღირს დედაკაცს, მიბრძანა მან, — გულმა ჩემმა უწყის თუ რა უბადრუკი ვარ მე, — ღვთის გულიდან და ბავთაგან ეს წიგნი რომ დამეწერა. მაშასადამე, სიყვარულის ეს წიგნი ღვთისგანაა მოსული და იგი არ წარმოადგენს ადამიანური გულის ზმანებას.

ნარნარი შუქი ღვთაებისა IV/2.

### ჰაინრიხ სუზო

დასაწყისში მოხდა ისე, რომ წმინდა ანესას დღეს შევედი ქოროში\*, სწორედ მაშინ, როდესაც კონვენტმა\* სადილი დაასრულა. იქ მე ვიყავი მარტოდ-მარტო და ვიდექი მარჯვენა ქოროს სკამთა რიგში. ამ დროს განსაკუთრებული გაჭირვება მადგა დიდი ტანჯვისა. და როდესაც ამგვარად უნუგეშოდ ვიდექი მე იქ

\* ქორო (choros) ბერძ., — დას. სამონასტრო ეკლესიის ის მხარე, სადაც განლაგებულია საკურთხეველი („ზემო ქორო“) და ორი-სამი ხაფეზურით მის ქაბლა მდებარე ძირითადად სასულიერო პირთათვის განკუთვნილი ადგილი („ქვემო ქორო“), სადაც ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრივ სკამების რიგია ჩამწყობიებული. მთარგმნ. შენიშვნა.

\* კონვენტი (konvent) — ლათ., — მონასტრის წევრთა (ბერთა) შეკრებულობა. მთარგმნ. შენიშვნა.



და არაეინ არ იყო ჩემთან და ჩემს გარშემო. აღერთოვანდა სული ჩემი, სხეულში ან სხეულის მიღმა (მდრ. 2, კორ. 12, 2). აქ ვიხილევ და მესმა ისეთი რამ, რაც ყოველი ენიხათვის გამოუთქმელია იგი იყო უფორმო და მოწყვეტილი, ყოველგვარი ცდისულისაგან და მაინც ქონდა თავის თავში ყველა ფორმისა და ცდისუელი საშუალების სიხარულით აღსავსე ხადისი. გული იყო გაუმძღარი და მაინც დანაყრებული, სული მხიარული და კარგად განწყობილი, ნდობა ჩემი დამცხრალი და სურვილი გამქრალი. მე სხვა აღარაფერს ვაკეთებდი, გარდა იმისა, რომ გახევებული ჩავცქეროდი ბრწყინვალეობით აღსავსე ანარეკლს, რომელშიაც მოვიპოვე საკუთარი თავისა და ყველა საგანთა დავიწყება. დღე იყო ეს დამე, აღარ ვუწყოდი მე ეს. ეს იყო მარადიული სიცოცხლის ამოხეთქილი სიტკბოება, აწმყო გაჩერებულ, წყნარ შეგრძნებაში. და აქ ეთქვი მე: თუ ეს არ არის სასუფეველი ცისა, მაშინ აღარ ვუწყვი, თუ რა არის იგი, რადგან მთელ ამ ღანჯვას, რომლის გამოთქმაც კი სიტყვებით შეიძლება, სამართლიანობის მიხედვით არ შეუძლია, რომ სიხარული მოუპოვოს მას ახლა, როდესაც იგი საძრადისოდ უნდა ფლობდეს. ამ უზომო აღმაფრენამ გასტანა საათი ან ნახევარი. და როდესაც მე ჩემს თავს კვლავ დაუბრუნდი, მე ყოველი მხრივ ვკავდი იმ ადამიანს, რომელიც სხვა სამყაროდან იყო მოსული. ზეციურის გემო დიდხანს დამჩნა ამის შემდეგ და დამიტოვა ზეციური მონატრების სევეა ღვთისადმი.

სიცოცხლე, თავი მე-2.

## II. ბანდონილი ცხოვრება

მრავალი ადამიანის წარმოდგენაში მისტიკოსი არსებობს როგორც ცალმხრივად ღვთისაკენ მიმართული ადამიანი, რომელსაც ღვთისაკენ ამ მიმართებაში ყურადღების გარეშე რჩება სამყარო და ამ სამყაროს საგნები. ვის უნდა გაუკვირდეს ეს, თუკი ღმერთი ერთხელ უკვე აღიარეს, თუკი ღმერთი უსასრულოა მშვენიერებასა და სიმდიდრეში, რომ ადამიანმა, რომელმაც ოდესმე გახედა ამ უსასრულო ღმერთს, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე წუთიც კი განიცადა მისი სიუხვე — რომ ეს ადამიანი მთელი თავისი ძალებით ღვთისაკენ წარიმართოს, სულის ამ უსასრულო სამყაროსაკენ, სამყაროთა ამ ოკეანისკენ, ჰარმონიისა და სინამდვილეთა ამ განუმეორებელი სიმფონიისაკენ. მაგრამ არავითარი საშიშროება არ არსებობს იმისა, რომ იგი ამის გამო ამ ქვეყანას უყურადღებოდ დატოვებს. ისევე ნაკლებად, როგორც ღმერთი, სამყაროს შემოქმედი, სამყაროს მოძულე შეიძლება იყოს, ასევე არ შეიძლება, რომ მისტიკოსი იყოს მისი მოძულე, არამედ იგი, სწორედ როგორც ღვთისაკენ მიმართული ადამიანი, მოაპოვებს ღვთისური შეფასებისა და ღირებულების განმსაზღვრედ უნარს. და იგი უახლოვდება მოწონებით, როგორც თავისი ღმერთი, ყველა სინამდვილესა და მშვენიერებას, რომელიც კი ღმერთმა სამყაროში დააარსა. არც ერთს არ გააჩნია ისე დიდი სიხარული სამყაროსადმი, როგორც სწორედ ღვთისაგან მოსულ, ღვთის მხერას ზიარებულ ადამიანს.

მაგრამ ასევე ცხადია, რომ მისტიკოსი ამ ქვეყანაში შედის სკეფსისით აღსავსე, რადგან პირველადის მერე ცდუნებისადმი მიდრეკილება ღრმად ბევს ამქვეყნიურ საგნებში და, სამწუხაროდ, მისი საშიშროება აგრეთვე ღრმადაა დამარხული ადამიანის გულში. ამიტომ გონიერებაა ადამიანის მხრივ, თუ იგი სი-

ფრთხილით შედის ამ ქვეყანაში და, თუ იგი იქ უნდა გაჩერდეს, პირველივე შემთხვევაში კვლავ თავის ღმერთს მიმართავს, რადგან (ღვთის დაკარგვა აღმნიშვნელია ადამიანის უღრმესი არსის დაკარგვისა)

ეს ნამდვილად ქრისტიანული, დამშვიდებით ვთქვათ, ეს წმიდა ადამიანი, დასადგურებულია არა მხოლოდ წმიდა სფეროში, არამედ მის გარეთაც, სადაც ამქვეყნიური ცხოვრება თავისი გზით მიდის. ჭეშმარიტი წმიდანი მონაწილეა ყოველდღიურობისა და არ წარმოადგენს განსაკუთრებულ მოვლენას სადღესასწაულო და კვირა დღისა. წმიდანი ყოველდღიურ ცხოვრებაში დგას, მან უნდა გაამართლოს თავისი მოწოდება. იგი ისევე ბუნებრივად ატარებს მუშის ტანსაცმელსა და ჯარისკაცის ფორმას, როგორც ბერი — თავის ანაფორას. წმიდანი ისევე მოწოდებულია ფაბრიკის ვეებერთელა საამქროებში სამუშაოდ, როგორც სწავლულის განმარტოებულ კაბინეტში, სადაც ყოველი ხატი ღვთის შესახებ მეტყველებს.

ეს იდეალი წმიდანისა დიდი სურვილი იყო მისტიკოსთა. ისინი იყვნენ არა მხოლოდ „კითხვის ოსტატნი“, არამედ პირველ ყოვლისა აგრეთვე „ცხოვრების ოსტატნი“. ამიტომ შეუძლიათ მათ ჩვენთვისაც წარმოადგენდნენ ნიმუშსა და გახდნენ ჩვენთვის წინამძღოლნი.

## 1. ადამიანი ღვთის ნების შესაბამისად

### ჭეშმარიტი ადამიანის შესახებ

სულიწმიდა თავის მადლს სთავაზობს ადამიანის გულს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანს სურს მისი მიღება, იგი უხსნის ღმერთს თავის გულსა და თავის ნებას და ღებულობს ღვთის წყალობასა და ქმედობას მხიარული გუნება-განწყობით. მაგრამ მაშინ მყის გადალახავს ღვთის სიყვარული მასში მოუწესრიგებელ სიყვარულს ყველა ქმნილებისადმი, ოღონდ ასევე უცებ ვერ გადალახავს იგი ყველა მოუწესრიგებელ მიდრეკილებას და ბუნებრივ ნდომას. რადგან წმიდა ცხოვრება რაინდული სამსახურია, რომელსაც ბრძოლით უნდა ვაღწევდეთ. (თუ თქვენ, მამასადაბე, კეთილი ცხოვრების არა მხოლოდ დაწყება, არამედ მისი განგრძობა გასურთ, მაშინ თქვენ ყოველგვარი მოჩვენებითობის გარეშე ღმერთს უნდა აღიარებდეთ ყველაზე მაღლა და ყველაზე უფრო იგი უნდა გიყვარდეთ. თქვენი მიდრეკილება ყოველთვის მასთან მიგიყვანთ, რაც თქვენ გიყვართ. სიყვარულში თქვენ გააკეთებთ, თავს მოიცავთ და იქონიებთ იმას, რაც თქვენ გიყვართ. მასზე ავგებთ თქვენ მთელ თქვენს ცხოვრებას; თქვენს სიყვარულზე მუდამ ხალისით იზრუნებთ. ამნაირად, ყოველი ჩადრმავეებისას თქვენ იგრძნობთ ღვთის სიკეთესა და ჭაშნიკს აუღებთ მას.) ამიტომ, თქვენ უფალი ღმერთი სიწმიდებში გეყვარებათ მისი მარადიული დიდებისათვის, რათა შეძლოთ მისი სიყვარული სამარადილად.

ესაა ფესვები წმიდა სიცოცხლისა და ჭეშმარიტი, არასოდეს წარმავალი სიყვარულისა, რომელშიაც თქვენ გაბუდებებით, თქვენი თავგანწირვითა და თვითუარყოფით, უნდა იწაფებოდეთ... თქვენ უნდა გაიანზოთ: ყველაფერს, რისი ნატურაც შეგიძლიათ, და იმაზე გაცილებით მეტს თქვენ მოგცემთ სიყვარული თქვენი დახმარების გარეშე. რადგან, თუკი თქვენ ჭეშმარიტი ღვთაებრივი სიყვარული მოგუპოვებთ, მაშინ თქვენ გაქვთ ის, რისი ნატურაც შეგიძლიათ. ეს კი სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ გაბუდებთ და განუწყვეტლივ ღმერთი გიყვარდეთ, ამგვარად, თქვენ ყოველგვარ ეგოიზმს ჩამოიცილებთ და სი-

ყვარული გახდება თქვენი ცხოვრება. სიყვარული, რომელიც თქვენს ცნებას აღემატება, არის სული ჩვენი უფლისა. ამ სიყვარულისაკენ ამაღლდებით თქვენ, მასში განისვენებთ და იცხოვრებთ თქვენი გონებრივი მიხვედრილობის მიღმა ღმერთთან ერთიანობაში. (სიყვარული, რომელიც თქვენში სუფევს, ღვთის მადლია და თქვენი კეთილი ნება) მასში გაქვთ თქვენ მთელი თქვენი სიქველეთა სიმდიდრე და სისავსე! მასში ცოცხლობს და ცხოვრობს ღმერთი თქვენს სიღრმეში თავისი მადლითა და საბოძვრებით, და მათი ზრდა და მატება თქვენ შეგიძლიათ მის კმაყოფილებასთან ერთად.

იოანე რუისბრუკი: სარკე მარადიული ბედნიერებისა I/2.

მ ს ა ხ უ რ ი: უფალო, მრავალი ჩვევა არსებობს, სხვადასხვა ცხოვრების წესი, ერთი ასეთი, სხვანი ისეთნი; ბრძენნი მრავალნი არიან და სხვადასხვაგვარნი. უფალო, თხზულებები უსასრულოა, მოძღვრებები—დაუთვლელი. მარადიულო სიბრძნე, დამმოძღვრე მცირეოდენი სიტყვებით, თუ ყველა ამ საგნის უფსკრულიდან რას უნდა მოვიჭილო ყველაზე მეტად ჭეშმარიტი ცხოვრების გზაზე.

მარადიული სიბრძნის პასუხი: უჭეშმარიტესი, სასარგებლო და მარჯვე მოძღვრება, რომელიც კი შეიძლება ყველა თხზულებიდან გერგოს წილად, რომლითაც შენ მცირეოდენი სიტყვებით მთელ ჭეშმარიტებაში უხვად განისწავლები უმაღლეს სრულყოფილებამდე განწმენდილი ცხოვრებისა, არის შემდეგი: 1. გამართობით იყავი ყველა ადამიანისაგან; 2. თავისუფალი იყავი ყველა შემოსული სურათიდან\*; 3. განთავისუფლდი ყველაფრისაგან, რაც კი ზედსტი ტერითია, რაც ვეკვრის და რასაც მწუხარების მოტანა შეუძლია; 4. და ყოველთვის აღამაღლე სული შენი ფარულ ღვთაებრივ ჭვრეტაში, რომელშიაც შენნი თვალთახედვა მარად მატარებს და ჩემგან არასოდეს არ მიიქცევა. და ყველა სხვა დანარჩენი ჩვევანი, იქნება ეს სიღატაკე, მარხვა, სიფხიზლე და სხვა დანარჩენი თვითგვემანი, მომართე აქეთკენ, როგორც მათი მიზნისაკენ და იმდენად განამრავლე ისინი, რამდენადაც საამისოდ მათ შენთვის ხელის შეწყობა შეუძლიათ. უწყოდე, ამგვარად მოიპოვებ შენ უმაღლეს საბოლოო მიზანს სრულყოფილები-სას, რომელსაც ათას კაცში ერთიც ვერ წედება, რადგან ისინი თავიანთი საბოლოო მიზნით მხოლოდ სხვა ჩვევებს იცავენ და ამიტომ მრავალი წლის განმავლობაში მცდარად დადიან.

მ ს ა ხ უ რ ი: უფალო, ვის ძალუმს ყოველთვის შენი ღვთაებრივი ობიექტის მზერა განუწყვეტელი?

მარადიული სიბრძნის პასუხი: არავის, ვინც კი დღეს ცხოვრობს ამ დროში. ეს მხოლოდ იმიტომ ითქვა შენდამი, რათა შენ უწყოდე, თუ სად უნდა მიადწიო და რისადმი უნდა ისწრაფოდე და საით უნდა წარმართო შენი გული და სული. და თუ ჩამოგშორდება ამ მზერის უნარი, შენთვის ეს ისევე უნდა იყოს, თითქოს ჩამოგშორდა მარადიული ნეტარება და შენ უსწრაფესად კვლავ უნდა დაუბრუნდე მას, რათა კვლავ გახდეს იგი შენი საკუთრება და ამიერიდან შენი თავის მიმართ სიფხიზლე გმართებს. რადგან თუ მას დაკარგავ შენ, მაშინ შენ იქნები იმ მეზღვაურივით, რომელმაც დიდ ღელვაში საჭეს უშვა ხელი და აღარ უწყის, თუ საით მიაქანებს ზომადლი

\* ე. ი. ყველა სურათიდან, რომელნიც გარედან გრძნობათა აღქმის შედეგად „შემოსულნი“ არიან. გუნდოლვ ვიერათის შენიშვნა.

მას. მაგრამ თუ შენი მშერის მონაპოვარზე ჯერ არ ძალგვიძს რომ გაჩერდე, მაშინ შენმა გამუდმებითმა საკუთარ თავში ჩაღრმავებებმა და გულმოდგინე ცდებმა საამისოდ მღვრადობას უნდა მივაღწევინონ, რამდენადაც ეს შეიძლება. ისმინე, ისმინე, შეილო ჩემო, სანდო მოძღვრება შენი ერთგული მამისა, ზუსტად აღიქვი და დაიმარხე იგი შენი გულის ფსკერზე! გაიხსენე, თუ ვინ არის იგი, ვინც შენ ამას გასწავლის და რარიც მთელი გულით მოგმართავს შენ, თუ მეტი აღარ გსურს გულგრილად გახდომა, მაშინ ყოველთვის თვალინ გედვას ეს მოძღვრება. და სადაც უნდა იჯდე, იდგე თუ მიდიოდე, შენთვის უნდა იყოს ისე, რომ თითქოს ამჟამად გაფრთხილებდე და მოგმართავდე: შეილო ჩემო, იყავი შენს სულში ჩაღრმავებული, განწმენდილი, თავისუფალი და ამბულელებული! უწყოდე, მალე გაიგებ შენ ჩემს სიტყვებს, აგრეთვე ცნობილი გახდება შენთვის საუნჯე, რომელიც დაფარულია ჯერ კიდევ შენთვის.

მ ს ა ხ უ რ ი: ო, მარადიულო სიბრძნევე, სამარადისოდ იდიდე შენი ჩემო უფალო და ჩემო უერთგულესო მეგობარო, უამისოდ ამის გაკეთება რომც არა მსურდეს, შენ მაიძულებ, რომ ეს გავაკეთო შენი ტკბილი სიტყვებითა და შენი ნაზი სამიჯნურო სიყვარულით. უფალო, მე მსურს და უნდა მოვახმარო ამას მთელი ჩემი გულმოდგინება.

ჰაინრიხ ხუზო: წიგნი მარადიული სიბრძნისა, თავი 22.

### სიმშვიდე თვითუარყოფისა

კარგად დაიმახსოვრე: ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ადამიანს ამ ცხოვრებაში საკუთარ თავზე უარი ეთქვას იმდენად, რომ მას რაიმე დასათმობი ჯერ კიდევ არ დარჩენოდეს. მცირენი არიან ადამიანები, რომელნიც ამას მართლა ყურადღებას აქცევენ და მასში უდრეკობას იჩენენ. ესაა სამართლიანი გაცვლა-გამოცვლა და ვაჭრობა: რა შორსაც შენ გამოდიხარ საგნებიდან ყოველივე შენით, ასევე შორს, არც მეტი და არც ნაკლები, ღმერთი შემოდის შენში ყოველივე თავისით. ამით დაიწყე და იკუმე ყოველივე ის, რის მიღწევასაც კი შესძლებ. მკვარად ჰოვებ შენ ჭეშმარიტ მშვიდობას და არა სხვარკად.

ადამიანები ასე ბევრს არ უნდა ფიქრობდნენ იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ მათ, არამედ მათ უნდა გაიაზრონ ის, თუ თავად რას წარმოადგენენ. თავად ისინი თავიანთი გზებით კეთილნი რომ ყოფილიყვნენ, მათი საქმენიც დიდებულად გაბრწყინდებოდა არ იფიქრო, რომ სიწმინდის დაფუძნება რაიმეს კეთებაზე შეიძლება, პირიქით, სიწმინდე უნდა დაეფუძნოს ყოფიერებას. რადგან არა საქმენი გაგაწმინდანებენ ჩვენ, არამედ ჩვენ უნდა გავაწმინდანოთ საქმენი. როგორი წმიდაც უნდა იყვნენ საქმენი, ისინი სრულიად არ გაგაწმინდანებენ ჩვენ, რადგან ისინი არიან რაღაც ჩვენს მიერ ჩადენილნი; პირიქით, რამდენადაც ჩვენ მართალი ყოფიერება და არსი მოგვეპოვება, იმდენად გავაწმინდანებთ აგრეთვე ყველა ჩვენს მოქმედებას, იქნება ეს სადილობა, ძილი, სიფხიზლე თუ სხვა დანარჩენი, რომელთაც არ გააჩნიათ ამდაგვარი არსი, მათ რაც უნდა ქმნან, არაფერი არ გამოუვათ.

აქედან შეიმეცნე, რომ მთელი გულმოდგინება იმას უნდა მოახმარო, რათა კეთილი იყო და არა იმას, თუ რას აკეთებენ ან რა სახის არიან საქმენი, მაშასადამე, მთავარი საქმენი კი არაა, არამედ თუ როგორი საფუძველი აქვთ ამ საქმეთ.

მაისტერ ეკპარტი: სიტყვანი დარიგებისა, 4.

ღმერთი რომ ქმედობდეს ადამიანის ნება-სურვილში ისე, რომ ადამიანმა მთელი თავისი ნაკლი ჩამოიცილოს და უმაღლეს სათნობასა და სრულყოფილებას მიაღწიოს — ამის არსურებობა აღარმიღება უგუნურება იქნებოდა. მაგრამ მე უკეთესი რამ მოვიფიქრე. მე რომ შემძლებოდა ღმერთთან ჩემი ნდომისა და სურვილის თანხმობებაში მოყვანა, ასე ვიტყოდი: არა, უფალო, არა ჩემი წყალობანი, ან მადლი, ან ნება ჩემი, არამედ ვითარცა შენ გსურს, უფალო, ასე მსურს მეც ადგება ან ასე მნებავს მე ეს. მაგრამ თუ შენ ეს არ გსურს, მეც უარს ვიტყვი მასზე და გავიჭირებ შენი ნების შესაბამისად. — როდესაც ასე ფიქრობენ და სწორ სიმშვიდეში იკლებენ რასმეს, მაშინ აქვთ და ღებულობენ იმაზე მეტს, ვიდრე საკუთარი ნებით ახერხებენ ამას. ადამიანისათვის წარმოუდგენლად უფრო სასარგებლოა, რომ ნამდვილ სიმშვიდეში თავის ნების უარყოფასთან ერთად მან დათმოს ამავე სიმშვიდით, ხალისითა და თავმდაბლობით ყველაფერი ის, რაც კი მას საკუთარი სურვილის მიხედვით უნდა რომ ჰქონდეს, იქნება ეს ღმერთი თუ ქმნილება. და ამიტომაც ვაფასებ მე მართალ, მშვიდ ადამიანს მცირე საქმით და ნაკლები წარმოსადევობით უფრო მეტად, ვიდრე იმ ადამიანს, რომელიც საქმით, გარეგნობითა და სულაც ამაღლებული იდეებით დიდი იქნებოდა, მაგრამ ნაკლებად მშვიდი.

იოანე ტაულერი: მე-19 ქადაგება.

ღვთის გულისათვის საკუთარ თავზე უარის თქმა ნიშნავს: ყველაფერი ღმერთს მივანდოთ. მრავალი ადამიანი მართლაც ღმერთს მიენდობა, მაგრამ მათ არ სურთ, რომ ადამიანებს მიენდონ. ღმერთმა უნდა შეაეიწროვოს ისინი და არა ადამიანებმა, ასეთია მათი სურვილი. არა, საკუთარ ნებაზე უარი უნდა ეოქვათ, როგორც ეს ღმერთს სურს. და ვისაც სურს შენი არარაობის ჩვენება წინათვის, იგი მიიღე დიდი მადლიერებითა და დიდი სიყვარულით. რადგან სინამდვილეში მაშინ შეგასხენებენ შენ იმას, რაც შენა ხარ — არარაობა!

იოანე ტაულერი: 77-ე ქადაგება.

ესაა უმაღლესი განსწავლა და მისი ზელოვნება, მთლიანი, სრული უარყოფა თავისი თავისა, რომ ადამიანი სრულ განდგომილებაში იდგეს, როგორადაც ღმერთი ეჩვენება მას, განდგომილი საკუთარ თავში ან თავის ქმნილებებში, სიყვარულსა ან მწუხარებაში, რამდენადაც ძალუძს ამის მიღწევა ადამიანურ სისუსტეს, რათა მარტოოდენ ღვთის დიდებასა და პატივს უმზიროს.

ჰაინრიხ სუზო: სიცოცხლე, თავი მე-19.

გიხაროდეთ, უნდა უხაროდეს ყველა ტანჯულსა და მშვიდ ადამიანს, რადგან მათი მოთმინება დიდებულად უნდა დასაჩუქრდეს. ისინი ჩემთან ერთად გარდაიცვალნენ და ამიტომ ჩემთან ერთადვე უნდა აღსდგნენ მზიარულებით. სამი განსაკუთრებული საბოძვარი მსურს მივეცე მათ, რომელნიც ისეთი ღირსებისანი არიან, რომ მათი შეფასება არავის ძალუძს. პირველ ყოვლისა ნატყრათა შესრულების ქალა მსურს მივანიჭო მათ, როგორც ზეცაში, ისე ამ ქვეყნად, რომ რასაც კი ოდესმე ისურვებენ ისინი — ყველაფერი აზდეს. მეორე საბოძვარი იქნება ის, რომ მსურს მივანიჭო მათ ჩემი ღვთაებრივი მშვიდობა, რომლის წართმევასაც

მათგან ვერ შეიძლება ვერც ანგელოზი, ვერც ეშმაკი, ვერც ადამიანი და ვერც სხვა რამ ქმნილება. შესამე ის იქნება, რომ მათ ისეთნაირად მიველაერსები გუ-  
ლით და ისე მოვეხვევი ტრფიალებით, რომ მე მათ, ისინი მე და ჩვენ ერთავე  
ერთიან ერთად სამუდამოდ და სამარადისოდ უნდა დავრჩეთ.

ჰაინრიხ სუზო: სიცოცხლე, თავი 32

### შინაგანი მშვიდობა

მრავალი ადამიანი ხალისით იქნებოდა მშვიდობაში ღვთის მოწმე (შდრ. საქმე წმ. მოც. 1, 8), რომ ყველაფერი მათი სურვილისამებრ მიმდინარეობდეს და ხალისით გახდებოდა წმიდანი, რომ არ ეძნელებოდეს გარჯა და მუშაობა. ხალისით შეიგრძნობდნენ, იწამებდნენ და აღიარებდნენ ისინი, ოღონდ სიმწრის, გაჭირვებისა და დაძაბულობის გარეშე. მაგრამ თუკი მათ ეწვევათ მკაცრი განც-  
დანი და წყვდიადი დაეუფლებათ, თუკი ისინი ღმერთს ვერ იგრძნობენ და ვერც შეიგრძნობენ და როგორც შიგნიდან, ასევე გარედან მიტოვებული აღმოჩნდები-  
ან, მაშინ დაიხვეწენ ისინი კვლავ უკან და თავს გაამყდვენებენ ღვთის არა ჭეშმა-  
რიტ მოწმეებად. ყოველი ადამიანი ეძიებს მშვიდობას, ეძიებს ყველგან საქმესა  
და საშუალებაში. ეპ, რომ შეგვეძლოს მათ მოვწყდეთ და მშვიდობა განხეთქილე-  
ბაში ვეძიოთ — მხოლოდ მაშინ იშვება ჭეშმარიტი, წარუვალი და ხანგრძლივი  
ნმეიდობა; თუ სხვა რაიმეს ეძიებ შენ, შეკლომას უშვებ, თუნდაც იგი მშვიდო-  
ბად გვეჩვენებოდეს. სიხარულის ძიება მწუხარებაში, სიმშვიდისა — ცვალებადო-  
ბაში და ნუგეშისა — სიმწარეში, აი, ასე გაუხლებით ღვთის ჭეშმარიტი მოწმენი.  
თავის მოწაფეთ იგი მუდმივ აღუთქვამდა მშვიდობას — სიკვდილის წინ და აგრეთ-  
ვე თავისი ადღგომის შემდეგ. და მაინც არასოდეს არ მიუღიათ მათ გარეგანი მშვი-  
დობა, არამედ მშვიდობას იპოვებდნენ განხეთქილებაში, სიხარულს — ტანჯვაში  
სიკვდილში მოიპოვებდნენ ისინი სიცოცხლესა და მხიარულებით აღსავსე გა-  
მარჯვებას, როდესაც მათ ძალით მიჰკვირდნენ მსაჯულს, მსჯავრს დასდებდნენ  
და შეაჩვენებდნენ. ესენი იყვნენ ჭეშმარიტი მოწმენი ღვთისა.

მრავალი ადამიანი არსებობს, რომელნიც იმდაგვარად არიან სიტკბოებით  
გამსჭვალულნი სხეულსა და სულში, — მე ვიცნობდი ამნაირებს, — რომ იგი  
მთელ მათ არსებას მოიცავს. მაგრამ როდესაც მწუხარება და წყვდიადი მათ თავს  
დაატყდათ და გარედან და შიგნიდან მიტოვებული აღმოჩნდნენ, ისინი სრული-  
ად აარივნენ, სულ უკან ჩამორჩნენ და არღარა გამოვიდა მათგან არაფერი. რო-  
დესაც იწყება საშინელი ქარიშხალი, რომელიც შინაგან სიმშვიდეს ანგრევს,  
როდესაც გვეძალებიან ამქვეყნიური ცდუნებანი გარედან, ხორციდან და ბორო-  
ტი მტრიდან — ვინც კი მათ თავს დააღწევდა, იგი პოვებდა ნამდვილ მშვიდობას,  
რომლის წადებასაც მისგან ვერავინ შეიძლება. ვინც ამ გზას არ გაივილი, უკან  
დარჩება და ვერასდროს ვერ პოვებს ნამდვილ მშვიდობას. მაგრამ რომელთაც  
იგი გაიარეს — ქრისტეს ჭეშმარიტი მოწმენი არიან.

იოანე ტაულებრი: 21-ე ქადაგება.

მრავალი ამბობს, რომ მათ არ მოეპოვებათ მშვიდობა და სიწყნარე, რომ  
ისინი იმყოფებიან ისეთ უკუღმართობებსა და ჭიდილში, ისეთ უბედურებასა და  
ტანჯვაში, რომ არ უწყვიან, თუ როგორ უნდა დააღწიონ თავი მათ ვისაც ამის

ნამდვილი განჭვრეტა და გააზრება სურს, ის კარგად შეიმეცნებს, რომ ჭეშმარიტი მშვიდობა და ჭეშმარიტი სიწყნარე არ ძეგს ვარგვან საგნებში. ეს რომ არ ყოფილიყო, მაშინ ავრეთვე ბოროტ სულსაც ექნებოდა მშვიდობა, როდესაც იგი თავის ნება-სურვილს იკმაყოფილებს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში ასე არაა. ამიტომ ჩვენ უნდა ვაგვიზნოთ და აღვიქვათ მშვიდობა, რომელიც ქრისტემ თავის მოწაფეთ დაუტოვა, როდესაც მან სთქვა: „მშვიდობასა დაგიტევებ თქვენ, მშვიდობასა ჩემსა მოგცემ თქვენ“ (იოანე, 14, 27). ამ სიტყვებიდან კარგად შეიძლება იმის გაგება, რომ ქრისტე არ გულისხმობდა სხეულებრივსა და გარეგნულ მშვიდობას, რადგან ქრისტეს საყვარელი მოწაფენი და ყველა მისი მომხრე და მიმდევარი დასაწყისიდანვე დიდ მწუხარებას, დევნასა და წამებას განიცდიდა, როგორც ეს თვითონ ქრისტემ თქვა: „სოფელსა ამას ჭირი გაქუს“ (იოანე, 16, 33). ქრისტე გულისხმობს გულის ჭეშმარიტ შინაგან მშვიდობას, რომელიც აქ იწყება და იქ მარადიულად გრძელდება. ამიტომ სთქვა მან: „არა ვითარ სოფელმა მისცის“ (იოანე 14, 27), რადგან ეს ქვეყანა არის ყალბი და შეცდომაში შეჰყავს კაცი თავისი საბოძერებით. მრავალს აღგვითქვამს იგი, მაგრამ მცირეს ასრულებს. არც არავინაა ამ ქვეყნად, რომელსაც მუდამ სიწყნარე და მშვიდობა ექნებოდა მწუხარებისა და უკუღმართობის გარეშე და რომელსაც ყველაფერი უსრულდებოდა თავისი ნების შესაბამისად. ამ ქვეყნად, როგორც უნდა აბრუნო ეს, მუდამ იქნება ტანჯვა. და თუ ერთ ტანჯვას თავს დააღწევენ, შესაძლებელია ორი მოვიდეს მათ სანაცვლოდ. ამიტომ ხალხისთ დამორჩილდი ამ ტანჯვას და ეძიე მხოლოდ გულის ჭეშმარიტი მშვიდობა, რომელსაც შენ ვერვინ წარგტაცებს და რომლითაც ყველა სიმძილეს გადალახავ; ეძიე მშვიდობა, რომელიც გაარღვევს და განმსჭვალავს ყოველ მოძალეებასა და უკუღმართობას, უბედურებასა და ტანჯვას, სიღუბჭირესა და უნამუსობას, ანუ რაც მათდაგვარია, რათა მასში მხიარულებითა და მოთმინებით იყო, როგორც არიან ღვთის რჩეული მეგობრები და ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევარნი. იხილე და აღიქვი: ვინც სიყვარულით მთელ თავის მონღომებასა და გულმოდგინებას აქეთ წარმართავს, იგი მალე შეიმეცნებს ჭეშმარიტ, მარადიულ მშვიდობას, რომელიც თავად ღმერთია, რამდენადაც კი ეს ქნისილებისათვის შესაძლებელია. რაც მისთვის უწინ მწარე იყო, მას დაუტკბება, გული მისი მუდამ აუშფოთველი იქნება საგანთა მიმართ და ამ ცხოვრების შემდეგ იგი პოვებს მარადიულ მშვიდობას.

გერმანული თეოლოგია, თავი მე-12.

ჩვენ შეგვეძლო სიწყნარე და მშვიდობა გვექონოდა, თავს რომ არ ვიმტერევდეთ იმაზე, თუ რას ლაპარაკობენ და აკეთებენ სხვები და რაც ჩვენს გულს სრულიად არ ეკარება. არავის ძალუმს დიდხანს მშვიდობაში ცხოვრება, ვინც ასე ხალხისთ სხვის საქმეებში ერევა, ვინც ასე მრავალ ამაღლევებელ გარეგან შემთხვევას დაეძებს და თავის სიღრმეში მხოლოდ იმეფითად და წამიერად აკეთებს კონცენტრირებას. ნეტარ არიან ისინი, რომელნიც გულთ ნამდვილად უბრალონი არიან, რამეთუ მრავალ მშვიდობას დაიმკვიდრებენ. რამდენიმე წმიდანმა რატომ მიადრწია ასე წმიდა სრულყოფილებასა და ჭეშმარიტების ესოდენ ღრმა ჭვრეტას? რადგან ისინი ყოველგვარ ამქვეყნიურ ნდომათა ჩამოშორებისათვის იღწოვნენ. ამიტომ შეეძლოთ მათ მთელი თავიანთი გულის სიღრმით მარტოოდენ ღმერთს მიეკვდებოდნენ და თავისუფლებითა და შინაგანი თანხმობით თავი-

ანთსავე თავში დარჩენილიყვნენ. ჩვენა გვყავს ორი მტერი, რომელნიც გაერთიანებულად მოქმედებენ და იმაში არიან შეთანხმებულნი, რომ ჩვენ მშვიდობა დაგაკარგვინონ: ვნებანი, რომელნიც ჩვენს საწყალ გულს აშფოთებენ და წარმაჯალი საგნები ჩვენს ირგველივ, რომელნიც იმავე გულს მუდმივ მღელვარებაში ამყოფებენ და ერთი განცილიდან მეორისაკენ ერეკებიან. იშვიათად ვაღწევთ ჩვენ სრულყოფილ გამარჯვებას ერთადერთ ნაკლებად კი და ჩვენ საესებით გვაკლია წმინდა გულმოდგინება, რათა ყოველდღიურად უკეთესნი გავხდეთ. ამიტომ ვრჩებით ჩვენ მუდმივ ასე ნელთბილნი ან სულაც გულგრილნი.

ჩვენი ნდომანი რომ ჩაკვლიათ და ჩვენი სულის სიღრმენი და მიდრეკილება-ნი საესებით რომ ჩამოვაცილოთ ამქვეყნიურს, მაშინ ჩვენც შეგვეძლებოდა ღვი აებრივ საგანთა აღქმა და უკვე ამ ქვეყნად ზეციური ჭვრეტის ჭაშნიკის აღება. უდიდესი, ან უფრო უკეთ, ერთადერთი დაბრკოლება ამ გზაზე თვით ჩვენ ვართ. ჩვენ თავისუფალნი არა ვართ ვნებათა და სურვილისაგან და არ გავგაჩნია საკმარისი გამბედაობა, რომ წმიდანთა უმშვენიერეს ბილიკს გავყვეთ. საკმარისია მხოლოდ მცირეოდენმა ტანჯვამ მოგვიკაკუნოს კარებზე, რომ ჩვენ უკვე ვკარგავთ მთელ ჩვენს გაბედულებას და კვლავ ვეძიებთ ადამიანურ ნუგეშისცემას. ჩვენ რომ გექონდეს შეუპოვარი სიმამაცე, როგორცა აქვს გულად მეომარს ბრძოლის ველზე, მისი ვიხილავდით უფლის დახმარებას ზეციდან გარდმოსულს, რადგან ისევე დანამდვილებით, როგორც იგი დაეხმარება მათ, რომელნიც იბრძვიან და მის წყალობაზე არიან დანდობილნი, ასევე დანამდვილებით იგი მოგვანიჭებს ბრძოლის შემთხვევას, რათა ვისწავლოთ ჩვენ გამარჯვება. სიკეთეში წინსვლას თუ მხოლოდ გარეგნული წესების აღსრულებაზე დავამყარებთ, მაშინ ჩვენი ღვთისმოსაობა მალე პოვეს თავის აღსასრულს. თვით ფესვებთან უნდა დავეკრათ ცული, რათა უცებ განვთავისუფლდეთ მოუწესრიგებელ მიდრეკილებათაგან და შეეძლოთ მოპოვება წყნარი გუნებისა, აუმაღრეველი სულიერი მშვიდობისა.

ყოველ წელს მხოლოდ ერთი ნაკლიც რომ ამოგვეძირკვა, ჩვენ სწრაფად გავხდებოდით საესებით სრულყოფილნი. მაგრამ ამჟამად, არაიშვიათად, საპირისპიროს აქვს სწორედ ადგილი. ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ვაღიაროთ, რომ პირველ დღეებში ჩვენი მოქცევიდან\* უკეთესი და უფრო წმიდა ვიყავით, ვიდრე ახლა ვართ მრავალი წლის შემდეგ. გულმოდგინებას სიკეთეში და თავად სიკეთეს ყოველდღიურად უნდა ემატა ჩვენში, მაშინ როდესაც, უკვე ამჟამად, უდიდეს იშვიათობად ითვლება, თუკი ვინმემ ერთი ნაბერწკალიც კი შეინარჩუნა თავდაპირველი გულმოდგინებისა. დასაწყისში ჩვენი მიდრეკილებების დასაძლევად მხოლოდ ცოტათი რომ დაგვეტანებინა ჩვენს თავზე ძალა, მაშინ მოგვიანებით ყველაფრის ვაკეთებას მსუბუქად და სიხარულით შევძლებდით. ძნელია საკუთარ ქვეულებათა დათმობა, მაგრამ უფრო ძნელია ნება-სურვილის წინააღმდეგ სვლა. თუკი შენ მცირე და ადვილ დაბრკოლებებს ვერ გადალახავ, როგორ გაუსწორდები დიდსა და უმძიმეს დაბრკოლებათ? წინ აღუდექი შენს მიდრეკილებებს მათი აღმოცენებისთანავე და დროული მეცადინეობით ჩამოიშორე ყველა ბოროტი ჩვევა, რათა მცირე დათმობითაც არ გაიზარდონ ისინი და არ წაგლეკონ. ო, რომ შეგეძლოს იმის გაგება, თუ რა დიდ შინაგან მშვიდობას მოიპოვებდი და რა სიხარულს მიანიჭებდი სხვათაც, თუ მთელი გულით ისურვებდი კეთილად ყოფნას და

\* ბერული აღქმის მიღებიდან. მთარგმნ. შენიშვნა.



პართლის ქმნას. მაშინ დანამდვილებით მეტ გულმოდგინებას მოანდომებდი ახალ წინსკლებს სულიერ ცხოვრებაში!

ქრისტეს მიბაძვა I/11.

### ცხოვრების წესები

იყავი თავშეკავებული, სიტყვებითა და ქცევით ფიცხი ნუ იქნები.

ეცადე, რომ შენს საქმეებში ყველაფერს წინ უსწრებდეს გონება, რადგან ხა-  
დაც გრძნობანი ჩემულობენ პირველობას, იქ აღმოცენდება ყოველგვარი ბორო-  
ტება.

სიამოვნება უნდა ვეძიოთ არა გრძნობათაგან, არამედ — ჭეშმარიტებისაგან.  
ღმერთს ჩვენგან სიამოვნების წართმევა კი არა სურს, არამედ მას სურს მი-  
ხი მოცემა ჩვენთვის უსასრულოებაში.

უდიდეს დამდაბლებაში არის უმაღლესი აღდგომა.

ვისაც სურს ღრმა სულიერ ცხოვრებას ეწეოდეს, მან უნდა ჩამოიშოროს ყო-  
ველგვარი სხვადასხვაობა, მან უნდა უარყოს ყველაფერი, რაც ერთი არ არის.

თუ გსურს გამოადგე ყველა ქმნილებას, მათ ყველას ზურგი აქციე.

ეცადე, არ მოხდეს არავითარი ამოხეთქვა\*, რომელიც უთანასწორო იქნებო-  
და პირველსახისა.

შეძლება ყველა საგანზე მაღლა დგომისა ადამიანს ანიჭებს უფრო მეტ შეძ-  
ლებას, ვიდრე ყველა ამ საგანთა ქონებაა.

ერთ უწესრიგობას მოჰყვება დანარჩენი.

ყურადღება მიაქციე იმას, რომ ბუნებისეულმა არ იმძლავროს და გარეგანი  
ადამიანი შეესაბამებოდეს შინაგანს.

ვინც მიაღწია თავის შინაგან საუზნეს, მით უფრო უკეთ ქმნის ყველა საგანს.

ზოგიერთი ადამიანი ასე სმირად იმიტომ ვარდება ცოდვილ სამწუხარო  
მდგომარეობაში, რომ იგი თავის თავს ყოველთვის არ აღიქვამს სწორი გზით,  
რათა შესაბამის ჟამს აკრძალულ საგანთა წინაშე გაფრთხილდეს.

ვისი შინაგანი ცხოვრებაც აგრეთვე გარეგნულსაც დაიმორჩილებს და შინა-  
განი გარეგანად ექცევა, მისი შინაგანი ცხოვრება უფრო ღრმა გახდება, ვიდ-  
რე იმისი, ვისაც ცხოვრება მხოლოდ შინაგანად მიუღის.

მშვიდი ადამიანი თავის თავში არავითარ უბედურებას არ ამწიფებს.

ადამიანი რომ ჯერ კიდევ მოთქვამს და დამწუხრებულია, ყოველივე ეს მო-  
ლის ცოდვათაგან; ეს უნდა განვდევნოთ.

მშვიდი ადამიანი უნდა ჩამოშორდეს ქმნილებისეულს, წარმოიქმნას ქრისტეს-  
თან ერთად და გარდაიქმნას ღვთაებაში.

მშვიდი ადამიანი მუდამ იმას არ უნდა აქცევდეს ყურადღებას, თუ რა სჭირ-  
დება მას, არამედ მისი ყურადღება იქით უნდა იყოს მიქცეული, თუ რისი მო-  
კლება ძალუქს მას.

თუ სურს მშვიდ ადამიანს, რომ ჭეშმარიტებას დანებდეს, იგი უნდა ეცადოს,  
რომ თავიხი გრძნობანი აღკვეთოს, რადგან ღმერთი არის სული. შემდეგ მან უნ-  
და მიაქციოს ყურადღება იმას, რომ როგორღაც სომ არ მოუშადა თავის თავს  
დაბრკოლება, შემდეგ კიდევ იმას, რომ იგი თავისი თავით როგორღაც წინ სომ  
არ უსწრებს საკუთარ შეს. საბოლოოდ, საყოველთაო ღვთაებრივი არსების თან-  
დასწრების ნათელში მან თავის თავში უნდა დაინახოს, რომ იგი ღვთაებრივი  
არსების მხოლოდ იარაღია.

\* ვ.ი. არავითარი გრივალისებური გაცეცხლება. გუნდოლუ გიერათის შინაშენა.

რამდენადაც ადამიანი თავის თავსა და ყველა შექმნილ საგნებს ზურგს აქცევს, იმდენადვე პოვებს იგი კარმონიასა და ნეტარებას.

არაფერთან არ დარჩე, რაც ღმერთი არაა.

ვინც მუდამ თავის თავთან ცხოვრობს, იგი მოიპოვებს უმდიდრეს ქონებას.

გრძნობათა დიდი აღვირახსნილობა შიშის ძრწოლას გვრის ადამიანთა შიდა არსს ფრთხილად იყავი, რომ შინაგანი ცხოვრებისაგან მომწყვეტი საგნებით არ იყო შენ დაკავებული. თუ საგნები გეძიებენ შენ, დაეძალე მათ, მყის ჩაღრმავდი შენსავე თავში.

მშვიდი ადამიანი თავისი თავისაგან თავისუფალია, თითქოს მან საკუთარი თავის შესახებ არაფერი უწყოდეს, რადგან იმით, რომ ღმერთი არის, მისთვის ყველა საგანი დიდებულიადაა მოწყობილი.

რამდენადაც ეს ადამიანური სიძაბუნისათვის შესაძლებელია, იყავ უდრეკი და არასოდეს დაკმაყოფილდე, სანამ დროში მარადისობის ამყაშინდელ „ახლას“ ბრძოლით არ მოიპოვებ.

ჰაინრიხ სუზო: სიცოცხლე, თავი 49-ე.

## 2. კ ე თ ი ლ ი ს მ ყ ო ფ ე ლ ო ბ ა

### რწმენა

რა არის ეს: რწმენა? განა ყველა ქრისტიანი მორწმუნე არაა? უწყოდეთ, როგორც სასაფლაოზე ბევრი მკვდარი განისვენებს, ასევე წმიდა ეკლესიაში არის ადამიანთა რაოდენობა, რომელნიც ცოცხლად ჩანან, სინამდვილეში კი მკვდარნი არიან. რას წარმოადგენს ცოცხალი რწმენა? იგი სხვა არაფერია, თუ არა ცოცხალი მიდრეკილება ღვთისაკენ და ყოველივე იმისაკენ, რაც ღვთაებრივია. ადამიანი შეიძლება ისმენდეს საგნების შესახებ ან ხედავდეს მათ, რომელნიც რწმენას ეხებიან, იქნება ეს ღვთაებაზე, იესოს ადამიანურ ბუნებაზე, სამებასა თუ სხვაზე, მაგრამ როდესაც იგი ცოცხალ რწმენას გრძნობს თავის თავში, მას იგი უკეთ მოძღვრავს, თუ რა არის ღმერთი, რომელიც მასში უფრო ნათლადაა დასადგურებული, ვიდრე ყველა მოძღვარს მისი ამ მხრივ დამოძღვრა ძალუძს. ეს რწმენა ცოცხლობს და სუფევს უშინაგანეს სამეუფოში, სადაც ეს სიცოცხლე საკუთარი წყაროდან გადმოჩქეფს. სხვანი—სამწუხაროდ, ისინი ძალზე ბევრნი არიან, — თუმცა ასევე რწმენით ცხოვრობენ, მაგრამ ძალზე ადვილად წარმოიქმნება ღრუბლები. თითქოს მზის ბრწყინვალეობა ცოცხალი საგანი იყოს, რომელიც მოძრაობდა, როდესაც მას ღრუბლები დაფარავდა, სიცოცხლე ქრებოდა. ასე ადვილად ამოდის ცოდვის ღრუბლები და ასეთ ადამიანში სავსებით ფარავენ სიცოცხლეს და წარიღებენ მას მისგან, რადგან სუსტია ეს სიცოცხლე. ცოცხალი რწმენის ადამიანზე ცოდვის ღრუბელი თუკი ამოდის, რადგან მაინც უძლურია ყველა ადამიანი, მას გაარდევს და ისევე სწრაფად ამოვა მზე — სიცოცხლე რწმენისა, რადგან იქ რწმენის სიცოცხლემ ფესვები გაიღვა. ამიტომაც გამოჩნდება იგი კვლავ და განმსჭვალავს ღრუბლებს, რომელნიც ილტვიან მისგან. სხვები თუკი ეცემიან, ცოცხალი რწმენის ადამიანები ურყევად დგანან. იმ სხვებს არ შეუძლწევით თავიანთ სიღრმეში, მაგრამ მაინც თუ შეაღწევენ — ისინი იქ პოვენ მკვდარ ძალს, იგი საზიზღრად ყარს, გაათრეით შორს, იგი მკვდარია! გულგრილი, გამომხმარი, ცივი და მკვდარი ადამიანი მოუქნელია ყველაფრისადმი, რაც ღვთისაა და რაც ღმერთს განეკუთვნება. იგი ბედნიერი იქნებოდა, ოდნავადაც რომ რჩებოდეს რწმენის ცხოვრებაში: თუნდაც ყოფილიყო მისი კავშირი ამ ცხოვრებასთან ძალზე სუსტი — იგი გადარჩებოდა. ასეთ სულიერ განწყობილე-

ბაში რომ ეპოვათ იგი, საბოლოოდ მაინც დაიმკვიდრებდა ის სუსუფეველს, თუ-ცა დიდხანს უნდა ელოდა მას საამისოდ. მაგრამ ეს ადამიანები ძალზე ადვილად ჩამოშორდებიან ასეთ ცხოვრებას, რადგან მათ გზას და საშუალებას ისინი არ მიჰყავს თავიანთ სიღრმეში, ისინი გატაცებულნი არიან მხოლოდ გარეგანი საგნებით და თვით წარმოადგენენ ისეთ არარაობას, ისე არიან ამომშრალნი, რომ საკუთარი თავისთვისაც უცხო და შორეულნი რჩებიან. კეთილშობილი ადამიანები ცოცხალი რწმენისა კი ამნაირი ცხოვრებით ცხოვრობენ, ასეთ რწმენას თავიანთ შიდა არსში პოულობენ და უწყიან შინაგანი ცხოვრებისა და ჭეშმარიტების შესახებ. და თუკი შეხვდებიან ისინი თავიანთ გარეგან ცხოვრებაში რაიმე ღვთაებრივს, ეს გააღვიძებს მათში შინაგან ცხოვრებას მიდრეკილებით, სიყვარულითა და ისეთი სიხარულით, რომელიც მხოლოდ მათშია და სხვაგან — არსად. ისინი ცხოვრობენ შიდა სამეუფოში და მით ტკბებიან. მათთვის კი, ვინც იქ ვერ აღწევს, რჩება ეს დაფარულად.

იოანე ტაულერი: 69-ე ქადაგება.

ისინი არიან ჭეშმარიტად გლახაკნი სულითა, რომელთაც უარყვეს თავი თვისი და ყველაფერი და ღმერთს მიჰყვებიან, სადაც მას სურს, იქნება ეს დასვენება თუ გარჯა. ჭეშმარიტად, ახალგაზრდებმა დასაწყისიდანვე დიდი დრო უნდა დაუთმონ ღმერთს და თავიანთ შინაგან ცხოვრებას, სანამ ეს ცხოვრება მათ არსს არ განმსჭვალავს. რადგან ძალზე ადვილად შეეძლოთ მათ ისე შორს დაკარგულიყვნენ გარეთ, რომ გარეშე ცხოვრებას შერჩენოდნენ. თუკი არც ერთი ამ ადამიანისგან ღმერთს არა გრძნობს, მას არაფერს ბირდება და წინ ვერ მიიწევს, მაშინ იგი ამ ნაკლისაგან მხოლოდ უნდა დაიტანჯოს, რადგან მას ძალუძს უფრო ამაღლდეს და დიდი ვახდეს წამება-ტანჯვითა და იმის მეშვეობით, რომ თავი თვისი ზოლიანად ღმერთს მიანდოს; ხოლო ქმედობითა და ქონებით იგი დიდი ვერ ვახდება. ასეთი ადამიანი ძალზე მოკრძალებულად უნდა მისდევდეს თავის რწმენას.

იოანე ტაულერი: 70-ე ქადაგება.

ქრისტე, ერთადერთო მოძღვარო, შენ გვითხარი, რომ რწმენა ყოველთვის აუცილებელია ვისაც სურს მიადწიოს სიცოცხლის წყაროს, და რწმენის სიდიდის შესაბამისად მასში მატულობს ძალა ღვთაებრივი მადლისა. მხოლოდ ორ რამეს გკასწავლიდი, მაცხოვარო: რწმენას და სიყვარულს. რწმენის მეშვეობით ქრისტიანი მარადიულ სიტყვას აღწევს, სიყვარულის მეშვეობით კი მასთან ერთიანდება. რამდენადაც იგი უახლოვდება, მით უფრო მატულობს მისი ძალა, და რაც უფრო მეტად უყვარს, მით უფრო მკვიდრდება იგი ღვთაებრივ ნათელში. — ღვთის სიტყვა თავად მასშია დამარხული. თავის მიღმა არ უნდა ვეძიოთ იგი. შენს სიღრმეში პოვებ და რწმენის მეშვეობით მიუახლოვდები მას, და რომ მიუახლოვდე მას, ამას შეძლებ ღოცვის წყალობით.

მაღლობას აღვაველენ შენდამი, იესო, რომ შენი ნათელის წყალობით აქამომდე მივაღწიე. განა არსებობს ამაზე უფრო მოკლე და მოქმედი მოძღვრება, ვიდრე ესაა, მწყემსო კეთილო? შენ გსურს მხოლოდ რწმენა და ითხოვ მხოლოდ სიყვარულს. განა რა არის ღვთის რწმენაზე უფრო ადვილი? განა რა არის მის სიყვარულზე უფრო ტკბილი?

ნაიკოლოზ კუზანელი: ღვთის ხედვა, თავი 24-ე.

## სიყვარული

მთელი მონანიებითი ცხოვრება — მარხვა, სიფხიზლე, ლოცვა, მუხლთ მოყრა, თვითგვემა, უხეშ პერანგთა ტარება, მაგარი საწოლი და რაც ამდაგვარი არსებობს კიდევ, ყოველივე ეს იმის გამოა მოგონილი, რომ სხეული და ხორცი გამუდმებით სულის წინააღმდეგ ჯანყდებიან. სხეული სულისთვის ხშირად ძალზე მიძიმეა. მათ შორის გამუდმებით პირდაპირ ბრძოლა წარმოებს, მარადიული დავა. აქ, ამ ქვეყნად, სხეული გამბედავია და ძლიერი, რადგან იგი აქ თავის სამშობლოშია; ქვეყანა მას მხარს უჭერს, ეს დედამიწა მისი სამშობლოა, აქ ეხმარება მას ყველა მისი ნათესავი: საჭმელი, სასმელი, უზრუნველი ცხოვრება, — ყოველივე ეს სულის წინააღმდეგია. სული აქ ცხოვრობს, როგორც უცხოეთში — მისი ნათესავები და მთელი მისი მოდგმა ზეცაშია: როდესაც იგი იქით მიემართება, იქ უცებ პოვებს მეგობრებს და გაშინაურდება. სულს მისთვის ამ უცხოებაში რომ დავეხმაროთ და ხორცი ამ ბრძოლაში რამდენადმე დავასუსტოთ, ამოსდებენ ნას მონანიებითი ქმედობების ლაგამს და დათრგუნავენ, რათა მან სულზე ვერ გაიმარჯვოს და სულმა შეძლოს მისი მოგერიება. ამდაგვარად ეპყრობიან მას, მორჩილებაში რომ ჰყავდეთ, მაგრამ თუ გასურს მისი ათასჯერ უფრო მეტად შეზღუდვა და აღაგმვა, მაშინ ამოსდეს მას ლაგამი სიყვარულისა. სიყვარულით დასაძლევ მას სწრაფზე უსწრაფესად, სიყვარულითვე დაამძიმებ მას აგრეთვე ძლიერზე უძლიერესად. და ამიტომ ისე ძალუმაღ არ სურს ღმერთს ჩვენგან არაფერი, როგორც სიყვარული. (რადგან სიყვარული მსგავსია მეთევზის ანკესისა: მეთევზებს არ ძალუძს თევზის დაჭერა, თუ იგი არ ჩამოეკიდება ანკესს. თუკი ჩაყლაპა თევზმა ნემსკავი, იგი უკვე მეთევზისაა; როგორც უნდა დატრიალდეს და ამოტრიალდეს თევზი, მეთევზე დარწმუნებულია, რომ იგი მას ვერ გაეპქევა. ასევე ვიტყვი მე სიყვარულზე. ვისაც სიყვარული იპყრობს, იგი ატარებს უმძიმეს ზორკილებს და მაინც უტკბილეს ტვირთს. ვინაც იტვირთა ეს უტკბილესი ტვირთი, იგი ამით გაცილებით მეტს აღწევს და უფრო შორს მიდის, ვიდრე იმით, მთელი კაცობრიობის მონანიებითი ქმედობებისა და თვითგვემათა თავის თავზე აღება რომ შესძლებოდა, მას მხიარული გულითაც კი შეუძლია ყველაფერი იმის მოთმენა და ატანა, რაც მის თავს დატრიალდება და რასაც ღმერთი მიუვლენს, და მას ძალუძს სიკეთით ყველაფერი იმის პატიება, რასაც მას ზოროტს შეამთხვევენ. არაფერი არ დაგაახლოვებს ისე ღმერთს და ისე არ განაწყობს მას შენდამი, როგორც ეს კავშირი სიყვარულისა. თუ ვინმე პოვა ეს გზა, იგი სხვას ნუ ეძებს. ვინც ამ ანკესზე ჰკიდიდა, იგი ისეა დაჭერილი, რომ ხელი თუ ფეხი, ბაგე თუ თვალნი, გული და ყოველივე, რაც ადამიანისაა, ყველაფერი ღვთის საკუთრება უნდა გახდეს. და ამიტომ ამ მტრის, რათა შენ არ გავნოს, უკეთ დაძლევეს ვერაფრით შეიძლება, თუ არ სიყვარულით. ამიტომაცაა ნათქვამი: „ძლიერ არს ვილარცა სიკვდილი, სიყვარული, ფიცხელ ვითარცა ჯოჯოხეთი“ (ქება ქებათა, 8, 6). სიკვდილი სულს სხეულს ამორებს, სიყვარული კი სულს ყველა საგანს ჩამოაცილებს, რაც ღმერთი ან ღვთაებრივი არაა, იგი არ ითმენს არც ერთ წამს. ვინც ამ მახეში გაბმულია და ამ გზით მიდის, რაც უნდა გააკეთოს მან ან ვერ გააკეთოს, ეს სავესებით ერთი და იგივეა; ქმნის იგი რაიმეს თუ არა, ამას სრულიად არა აქვს მნიშვნელობა. და მაინც უმცირესი ქმნილება და უმცირესი ქმედობა ამდაგვარი ადამიანისა საკუთარი თავის და ყველა ადამიანისათვის გაცილებით უფრო სასარგებლო, ნაყოფის მომტანი და ღვთისათვის სასიამოვნოა, ვიდრე ქმედობანი ყველა იმ ადამიანისა.

რომელიც თუმცა მომაკვდინებელ ცოდვაში არ ცხოვრობენ, მაგრამ ამასთანავე ნაკლები სიყვარული მოეპოვებათ. მისი უსაქმოდ ყოფნა უფრო მეტი სარგებლობის მომტანია, ვიდრე სხვისი ქმედობა. ამიტომ თვალი გეჭიროს მხოლოდ ამ ანკესზე, მაშინ შენ ბედნიერად დაგიჭერენ, და რაც უფრო მეტად დაგიჭერენ, მით უფრო მეტად განთავისუფლდები.

მაისტერ ეკჰარტი: 59-ე ქადაგება.

(სიყვარულის სიდიადე სამ რამეს ეფუძნება: პირველი, რის გამოც ღიღია სიყვარული, ესაა თავისუფლება. სიყვარული არის სრულიად თავისუფალი ძალა, რომელიც თავს არავის დაატყვევებინებს, თუ არ იმ შემთხვევაში, როდესაც იგივე მისცემს თავის თავს დასატყვევებლად) ნამდვილი რაინდი თავს არ დაატყვევებინებს და აგრეთვე მნელად ხდება მისი დატყვევება, თუ არა იმ დროს, როდესაც თვით ბარდება ტყვედ. მაგრამ შემეცნებას არასოდეს ძალუძს თავის დაცვა, მას ატყვევებს ჭეშმარიტება. (ჭეშმარიტება ტყვედ იღვებს შემეცნებას, როგორც ხალხი იტყვის: უნდა ვაღიარო ჭეშმარიტება, მან დამატყვევა. თავისუფლება ძალზე სასარგებლოა სიყვარულისთვის, თუკი იგი სიბრძნის მიერ წარმართება. მაგრამ მას სიბრძნე თუ არა მართავს, იგი სულაც საზიანოა) ღვთის რაინდი არ უნდა მიიქცეს გარეგანი საგნებისაკენ, რომ მან უფრო უკეთ აღასრულოს ღვთის რაინდობა. რაინდმა რომ მოინდომოს ეჭურულ საქმეთა კეთება, ეს იქნებოდა მისთვის დიდი სირცხვილი. მან რაინდული საქმენი უნდა აღასრულოს.

(მეორე, რაზედაც სიყვარულის სიდიადე ძვეს, ისაა, რომ იგი ითხოვს მოპოვებას. სიყვარული მოიპოვებს ყოველივეს, რისი მოპოვებაც მას სურს. მისთვის არაფერი არაა ძვირი, არც ღირსება, არც ავლადიდება, არც არაფერი, რაც ზეცაშია, და არც თვით ღმერთი. სიყვარული გამოცდილი ვაჭარია. იგი მტრისაგან უფრო მეტს მოიპოვებს, ვიდრე მეგობრისაგან. რადგან მეგობარი ჩემი ჩემთან ახლოა, თუნდაც მიყვარდეს იგი სწორი გზით, მაინც ამცირებს მისი სიხალღოვე და საპასუხო სიყვარული ჩემს დამსახურებას. მაგრამ მტერი ჩემი ჩემგან შორსაა და სიყვარული ჩემი მას იქ უნდა მისწვდეს, გაიწელოს და დაიძაბოს.

მესამე, რაზედაც სიყვარულის სიდიადე ძვეს, ეს არის ის, რომ მან ყველაზე უკეთ უწყის ყოველივე კარგის ამორჩევა. სიყვარულს აქვს ძალმოსილება, რომ მიიქცეს ყოველივე კეთილისაკენ, ზურგი აქციოს ყოველგვარ ბოროტს და ღვთისაკენ ამაღლდეს. აქ იგი საქმით აღასტურებს საუკეთესო არჩევანს. წმიდა მოწამეთა სიყვარული ამდაგვარად მიიქცა შორს თავიანთი მტრებისაკენ, რადგან მათ არჩიეს სიკვდილი ღვთის გულიანათვის. სიკვდილს არ ირჩევენ, რადგან იგი ტკივალით აღსავსეა. მაგრამ მათ რომ მოიპოვონ ის, რაც თავს ურჩევნიათ, ამიტომ აირჩიეს მათ სიკვდილი.

გიზელპერ ზლატჰაიმელი: სამოთხე, გვ. 88.

ჩემო საყვარელო, ჩემო სიყვარულო, უსაყვარლესო და სიყვარულით აღსავსე უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო, ჩემო მაცხოვარო, რომელიც ჩვენი, ადამიანთა სიყვარულით შენს განკაცებაში ადამიანად იქექ და ჩვენი სიყვარულის გამო შენი წყალობით მოგვევლინე: შენ, რომელმაც ადამიანთა მიმართ უსაზოგო სიყვარულისაგან ჯვარზე სიკვდილი დაითმინე, შენ, რომელსაც თავად შენს თავზე გასურდა გამარჯვება სიყვარულის ბორკილებით, თუმცა კი საერთოდ დაუმარცხებელი ხარ: რა ღირსეული, რა სწორი და რა სამართლიანია შენი მოთხოვნა ჩე-

მი სიყვარულისა! ო, რომ შემეძლოს შენთვის არა მხოლოდ მხურვალე, არამედ უმხურვალესი, უხენაესი და უსრულყოფილესად მხურვალე სიყვარულის მოცემა! შენ ისე ძალზე გიყვარდი და ახლაც გიყვარვარ, მაგრამ რატომ არ მიყვარხარ მე? ო, მე გლახაკს, საბრალო ადამიანს, რატომ არ მიყვარს ჩემი გულის ყოველი ძეგრით ასე დიადი მოსიყვარულე? უფალო, რადგან ჯერ არ მიყვარდი, შენ პირველმა შემიყვარე მე, რათა არ მოსიყვარულე მოსიყვარულედ გარდაგექმნა. მადლობა შენ, უტკბილესო უფალო, მაგრამ გვედრები, მომიტევე, რომ შენს ყურადღებას ასევე ვერ ვპასუხობ და შენს მონღომებას თითქმის ვერ აყვები. რათა მიყვარდე, საჩუქრებით მიზიდავ და სასჯელებით მაკრთობ. მე რომ მქონდეს ჭეშმარიტი სიყვარული, სამუდამოდ ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ შენდამი სიყვარული რომ უგულებელყო, სამუდამოდ დავიღუპები. ეს ვიცი შენი წყალობით. და მაინც, ო, მე უბედური! სმენადახშული მივემართები ისე, რომ არ მადარდებს შენი სიყვარულისათვის აღთქმული ჯილდო; ასევე თუ არავითარი სიყვარული არ გააჩნია, ჯეროვნად ვერ ვაფასებ მოახლოებული საფრთხის საშიშროებას.

მიუხედავად ამისა, უფალო, შენ უწყი ჩემი წადილი და ჩემი არასრულყოფილება შენთვის უცნობი არაა. წმიტომ, ო, ღმერთო ჩემო, რომელიც თავად სიყვარული ხარ, სიყვარულს აფრქვევ და სიყვარულით აბედნიერებ, შემინწყალე მე! შენ ზომ არ გძულს არაფერი და არავინ, რაც შენ შექმენი; შენ მზე ამოგყავს როგორც კეთილზე, ასევე ბოროტზე, და წვიმას უგზავნი როგორც მართალს, ასევე უსამართლოს; შენ თავს არიდებ მხოლოდ მას, რომელსაც შენსკენ არავითარი ლტოლვა არ გააჩნია. შენი სიტყვითა და მაგალითით შენ გვასწავლე კანონი სიყვარულისა: გვედრები, შენს ორგულ მონას გულზე დამაწერე სიყვარულის ეს კანონი, გულზე, უმდაბლეს ცოდვილს, მაგრამ მაინც შენს სიკეთეს რომ უზომოდ ენდობა. გვედრები, სიყვარულის ეს კანონი გულზე დამაწერე წმიდა შუბის ტარით, რომელმაც შენ გვერდი განგიგმირა, და შენი ძვირფასი სისხლით, რომელიც შენ ჩვენი სიცოცხლისათვის დაღვარე, რათა ამ კანონს მე არა მხოლოდ ვიცნობდე, არამედ აგრეთვე მიეჭყვე მას და მისი აღსრულება შემეძლოს. და თუ ეს მოგეწონებოდა უფალო, ამ წერილის მეხსიერებაში უკეთ ჩაბეჭდვის მიზნით ამას დაუმატე წმიდა სამსჭვალნი, რომელთაც განმსჭვალეს შენი ხელნი და ფერხნი, და რძე, რომელსაც გაწვიდია ნეტარი მკერდი ქალწულებრივი დედისა. თუ ამას არ გააკეთებ, უფალო, მაშინ ამაოდ მიბრძანებ შიშისა და წყალობის კანონით, რომ მე უნდა მიყვარდე. თუკი ჩვენს გარჯას მხარს არ დაუჭერ, უფალო, იგი დარჩება ცარიელი და არაფრის მქნელი. უშენოდ არ არსებობს არაფერი მნიშვნელოვანი, არაფერი წმიდა და არავინ გახდება საკუთარი შეძლებით წმიდანი. მაგრამ მე ვუწყი, უფალო, რომ შენ უფრო მეტად ხარ მზად შენი მადლის გასაჩუქებლად, ვიდრე ჩვენ — ვაი ჩვენ! — მისი სურვებისა და მიღებისათვის.

დიონისე კარტიოზური, სიყვარულის სრულყოფილების შესახებ, თავი I.

### მორჩილება

ჭეშმარიტი და სრულყოფილი მორჩილება არის სათნობათა შორის უპირველესი სათნობა, და არავითარი დიდი საქმე თუ ქმნილება არ აღსრულდება ან არ შეიქმნება ამ სათნობის გარეშე; და რა მცირე და პატარაც არ უნდა იყოს საქმე, თუ იგი ჭეშმარიტ მორჩილებაშია შესრულებული — გაცილებით სასარ-

გებლოა. იქნება ეს წირვა-ლოცვის კითხვა თუ სმენა, ლოცვა, ჭერეტა და სხვა, რისი გააზრებაც შევიძლია, და წარმოიდგინე კვლავ რაიმეს კეთება, თვით უმცირესი რამისა: ჭეშმარიტი მორჩილება მას უფრო კეთილშობილსა და უკეთესს გახდის. მორჩილება ყოველთვის იწვევს ყველა საგანში ყოველფე საუკეთესოს. ჭეშმარიტად, მორჩილება არაიეს და არასოდეს ხელს არ უშლის და არ აბრკოლებს რაიმეს კეთებაში, თუ ის ჭეშმარიტი მორჩილებაა, რადგან მას კარგი არაფერი გამორჩება. მორჩილებას არ სჭირდება არასოდეს რაიმეზე ზრუნვა, რადგან მას არ აკლია არავითარი სიკეთე.

როდესაც ადამიანი მორჩილებაში თავისი თავიდან გამოდის, იქ აუცილებლად ღმერთი უნდა შევიდეს კვლავ; სახელდობრ, თუ ვინმეს თავისი თავისთვის არაფერი სურს, მაშინ მისთვის ღმერთმა უნდა ისურვოს იმდაგვარივე გზით, როგორც საკუთარი თავისთვის. თუკი მე საკუთარ ნება-სურვილზე უარი განვატყაბდე, მთლიანად დაუუმორჩილე იგი პრელატს\*, და ჩემთვის არაფერი მსურს, მაშინ ღმერთმა უნდა ისურვოს ჩემთვის, და თუ მე უგულუბელმყოფს, იგი თავის თავს უგულუბელყოფს. ასეა ყველა საგნის მიმართ, სადაც მე ჩემთვის არაფერი მსურს, იქ ღმერთს სურს ჩემთვის. ახლა ყურადღება მიაქციე ამას: რაღა სურს მას ჩემთვის, თუკი მე ჩემთვის არაფერი მსურს? როდესაც მას მივენდობი, მაშინ აუცილებლად უნდა ისურვოს მან ჩემთვის ყველაფერი ის, რაც მას თავისივე თავისთვის სურს, არც მეტი და არც ნაკლები, და იმდაგვარივე გზით, რა გზითაც ეს თავის თავისთვის უნდა. რომ არ აღასრულოს ეს ღმერთმა — ჭეშმარიტების სახელით, რომელიც თავად ღმერთია, — მაშინ აღარ იქნებოდა ღმერთი სამართლიანი და იგი ღმერთი არ იქნებოდა, და რაც მაინც მისი ბუნებრივი ყოფიერებაა.

ჭეშმარიტ მორჩილებაში არ შეიძლება იყოს „მე ასე მსურს ან ისე“ და „ის ან ეს მსურს“, არამედ უნდა იყოს მხოლოდ სრულყოფილი დათმობა შენი თავისა. ამიტომ ყველაზე საუკეთესო ლოცვაში, რომლის აღდგენაც კი ადამიანს ძალუძს, არ უნდა იყოს „მომეც მე ეს სიკეთე ან ეს გზა“, და არც „ჰე, უფალო, მომეც თავი შენი ან სამარადისო სიცოცხლე“, არამედ, მხოლოდ ეს: უფალო, მომეც ის რასაც შენ ისურვებ, და ჰქმენ, რაც და როგორც გსურს შენ ყოველნაირი გზით! ეს ლოცვა ზემოთქმულს აღემატება, როგორც ცა — დედამიწას, და როდესაც ლოცვას ამდაგვარად ასრულებენ, მაშინ სწორედ ილოცეს: თუკი ჭეშმარიტ მორჩილებაში თავი თვისი მთლიანად ღმერთს დაუთმეს. და როგორც ჭეშმარიტ მორჩილებაში არ შეიძლება იყოს „მე ასე მსურს“, ასევე არასოდეს არ უნდა ითქვას: „მე არა მსურს“, რადგან „მე არა მსურს“ ჭეშმარიტი შხამია ყოველი მორჩილებისათვის.

მაისტერ ეკპარტი: სიტყვანი დარიგებისა I.

#### თავმდაბლობა

განწმინდე გული შენი მის სიღრმეში, გარეთ კი იყავ თავმდაბალი და მაშინ იქნები ღმერთთან შეერთებული.

მესტილდ მაგდებურგელი: ნარნარი შუქი ღვთაებისა V/12.

დამდაბლებული გული სხვა არა არის რა, თუ არ ეს: შეიმეცნე შენი ნაკლი და სატკივარნი და ღმერთს ევედრე, რომ მან შეგიწყალოს, და სთქვი ამდაგვარად:

\* ბერად აღავეცის დროს, ბერული აღქმის მიცემისას. გუნდოლუ ვიერათის შენიშვნა

უფალო, მე შევიმეცნე ჩემი ნაკლი, შემიწყალე მე. და ვისაც ეს თავის თავში მოეპოვება, მას ღმერთი არასოდეს დატოვებს.

იოანე ფონ შტერნგასხენი (ციტირებულია „გერმანიაში“ III. 1858, გვ. 239).

აგრეთვე გაღმრთობილ ადამიანს ჰპართებს ჭეშმარიტი, ღრმა და ნამდვილი თავმდაბლობა, და სადაც ეს არაა, იქ არც გაღმრთობილი ადამიანია. ამას ასწავლიდა ქრისტე სიტყვებით, საქმით და თავისი ცხოვრებით, და ეს მომდინარეობს იქიდან, რომ ნამდვილ შუქში შეიცნობა, რაც ჭეშმარიტადაა: ყოფიერება, სიცოცხლე, ცოდნა და შემეცნება, შეძლება და რაც უნდა იყოს — ეს ყველაფერი ჭეშმარიტ ღმერთს ეკუთვნის და არა ქმნილებას, რადგან ცალკეულ ქმნილებას, როგორც ქმნილებას, არც ყოფიერება გააჩნია და არც სხვა რამ — საკუთარი თავიდან. და როდესაც იგი თავის ნებით და საქმით ჭეშმარიტ საუნჯეს ზურგს ატყვევს, მაშინ მასში აღარაფერი მოიპოვება, გარდა მართლოდენი ბოროტებისა. ამიტომისა ნამდვილად მართალი ის, რომ ქმნილებას, როგორც ქმნილებას, თავის თავში არავითარი ღირებულება არ გააჩნია და არაფერზე უფლება არა აქვს და მის მიმართ არავის არაფერი მართებს — არც ღმერთს და არც ქმნილებას, და რომ იგი სამართლიანად უნდა იყოს მთლიანად ღმერთზე მინდობილი ან მისი, ქვეშევრდომი. ესაა უდიდესი და უმნიშვნელოვანესი. ვისაც ღმერთზე ჰინდობა და მისი ქვეშევრდომობა სურს, იგი აგრეთვე ყველა ქმნილების ქვეშევრდომი უნდა გახდეს, და ეს, სახელდობრ, ტანჯვის ატანის გზით, თორემ ის იქნება ყალბი. აქედან მომდინარეობს ჭეშმარიტი თავმდაბლობა. და ეს რომ ნამდვილად ასე არ ყოფილიყო და რომ არ ყოფილიყო ეს ჭეშმარიტი ღვთაებრივი სამართლიანობის მიხედვით საუკეთესო, მაშინ ქრისტე ამას სიტყვებით არ ასწავლიდა და თავისი ცხოვრებით არ აღასრულებდა. ჭეშმარიტებაა გამოთქმული და ეს ნამდვილად ასეა. ღვთაებრივი ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის მიხედვით ეს ქმნილება ღვთისა და ყველა ქმნილების ქვეშევრდომი უნდა იყოს, მაგრამ მას არ უნდა ჰყავდეს ქვეშევრდომი და მორჩილი. ღმერთსა და ყოველ ქმნილებას მასზე და მის მიმართ უფლება აქვთ, მაგრამ მას არაფრის მიმართ და არავისზე არა აქვს ეს უფლება; იგი ყველა საგნის მოვალეა და მისი — არავინ, და ეს ყოველივე ხდება ტანჯვის ატანისა და ზოგჯერ აგრეთვე ქმედითი გზით. შემდეგ აქედან აღმოცენდა აგრეთვე სულიერი სიგლახაკე, რომელზედაც ქრისტემ სთქვა: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი“ (მათე 5, 3). ყოველივე ეს ქრისტემ სიტყვებით ასწავლა და სიცოცხლეში აღასრულა.

გერმანული თეოლოგია, თავი 33-ე.

### 3. ღმერთი ყოველდღიურობაში

#### შრომა და პროფესია

ადამიანი რომ განუწყვეტლივ ღმერთთან ერთიანობაში იყოს, ეს იქნება ზეციური აღმაფრენა, ყველა ამქვეყნიურ სიამოვნებაზე მაღლა მდგომი. როგორ უნდა მივიღოთ იგი? ისმინე! ჩვენმა ნდომამ არასოდეს არ უნდა დატოვოს ჩვენი საქმე და ჩვენ განუწყვეტლივ უნდა ვცდიდეთ ჩვენს საქმეს რწმენითა და ღვთაე-



ბრივი შეშეცნებით. მაშინ ყველა ჩვენი საქმით ვადიდებთ ღმერთს, ჩვენს უფალს, ყველა მის საქმეთა გამო, რომელიც მან ჩაიდინა ამ ქვეყნად ჩვენი სიყვარულით. ამ ქვეყნად, ამდაგვარად, ზეციური სიყვარულით ვართ მასთან და მის საქმეებთან გაერთიანებული. ამის შემდგომ სულიერად აღფრთოვანდებით და ვაქებთ და ვადიდებთ ჩვენს უფალსა და ღმერთს ყველა მისი საბოძერისთვის, რომელიც მას ოდესმე ჩვენთვის მოუცია — ჩვენი სხეულისა და ქონებისათვის, ჩვენი მეგობრებისა და ნათესაებისათვის, და ყველა ამქვეყნიური სიამოვნებისათვის, რისი ნდობაც კი შეგვიძლია. ამგვარად ვწირავთ მადლობას ღმერთს მისი კეთილმოსურნე ყველა საბოძერის გამო, რომელიც მას ამ ქვეყნად ოდესმე ჩვენთვის უბოძებია, ჩვენი სხეულისა და სულიისათვის, და ჩვენ კვლავ ვერთიანდებით მასთან, სიყვარულითა და თავდადრეკილი მადლიერებით, რადგან გულს ვუხსნით მის საბოძერს. და მაშინ მოედინება სიყვარული ჩვენს გულში, გრძნობანი აღარ არიან დახშულნი და სული ჩვენი ხდება ისეთი ნათელი, რომ ჩვენ ღვთაებრივ შეშეცნებაში ვიშვირებით, მსგავსად იმისა, როგორც კაცი უმზერს თავის პირისახეს კრიალა სარკეში. და ღვთის ნება შეგვიძლია ჩვენს საქმეებში შევიცნოთ, აუკი ვადიდებთ და გვეყვარება იგი როგორც ტანჯვათა მოვლენისას, ასევე ნუგეშისცემის დროს და გაუიხარებთ იმის გამო, რასაც მივიღებთ ცოდვის გარეშე. ცოდვებზე კი უნდა ვიტიროთ, ცოდვანი უნდა გვძულდეს, რადგან დაწყვედილნი არიან ისინი. ამდაგვარად გავერთიანდებით ჩვენ უკვე აქ. ამ ქვეყნად, წმიდანებთან სამოთხეში, რადგან სამოთხეში ნება ღვთისა არის მათი აღფრთოვანების გამოწვევი მიზეზი.

მეხტილდ მაგდებურგელი: ნარნარი შუქი ღვთაებისა I/39.

მე ვინობ ერთ კაცს, ღვთის უდიდეს მეგობარს, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ღვთის კაცი იყო ორმოც წელზე მეტ ხანს, და არის ახლაც. ერთხელ ჰკითხა მან უფალს: უნდა დატოვოს მან თავისი სამუშაო და მთლიანად ეკლესიისაკენ წარემართოს? მან ასეთი პასუხი მიიღო: არა, მან ეს არ უნდა ქმნას, მან თავისი ოფლით უნდა მოიპოვოს პური თვისი — უფლის ძვირფასი სისხლის პატივისცემად (აღამიანმა, თითოეულმა თავისი გზით დღისით ან ღამით ყოველთვის რამდენიმე დრო უნდა გამოიწიოს, რომლის განმავლობაში მას თავის ფსკერზე შეეძლება ჩაძირვა) კეთილშობილ ადამიანებს, რომელთაც სიწმინდეში, სურათებისა და ფორმების გარეშე ძალუძთ ღმერთში ჩაძირვა, ეს თავიანთი გზით შეუძლიათ. სხვები კი მოხერხებულ დროს, თავიანთი გზით უნდა იწაფებოდნენ ამაში, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია, რომ ყველა ჭვრეტას ვეძლეოდეთ. ამის შემდეგ მათ უნდა აღასრულონ თავიანთი კეთილი სამუშაო, როგორც ეს ღმერთმა დაუწესა მათ, სახელდობრ დიდ სიყვარულში, მშვიდობასა და კეთილად ყოფნაში — ღვთის ნებისამებრ, ვინც ღმერთს ემსახურება ღვთის ნებისამებრ, მას ღმერთი პასუხს მიაგებს ადამიანის ნებისამებრ. მაგრამ ვინც ღმერთს თავის საკუთარი ადამიანური ნებისამებრ ემსახურება, მას ღმერთი არ უპასუხებს ადამიანური ნებისამებრ, არამედ ღვთის ნებისამებრ.

საკუთარი ნების ამ დათმობისაგან იშვება და აღმოცენდება ძირითადი მშვიდობა, რომელიც კეთილისმყოფელობისაგან მოიპოვება და დარწმუნებული იყავით: ყოველი მშვიდობა, რომელიც კეთილისმყოფელობიდან არ მომდინარეობს — ყალბია. შინაგანად და გარეგანად უნდა განხორციელდეს კეთილისმყოფელობა. და შიგნიდან მომავალი მშვიდობის წარღება თქვენგან არავის ძალუძს.

იოანე ტაულერი: 47-ე ქადაგება.

უწყოდეთ: ამქვეყნად ცხოვრობს ვინმე დედაკაცი და ჰყავს ქმარი და ბავშვი; და ვინმე კაცი ზის და კერავს წაღებს, და ისინი თავიანთ შრომაში ღვთისაჲს ილტვიან და ცდილობენ თავისა და ბავშვების რჩენას. და ვინმე ღარიბი სოფლად ნაკელს დაატარებს და თავის მცირეოდენ ლუკმას მკაცრი, ძნელი შრომით იპოვებს... ამ ადამიანებს აქვთ შიში ღვთისა და გულალმართლად მიჰყვებიან ღვთის მოწოდებას. საბრალო, ბრმა, სულიერო ადამიანო, გაფრთხილდი, შენი სიღრმიდან აღიქვი შენი მოწოდება მთელი გულმოდგინებით. დააკვირდი, თუ რასურს შენგან ზეციურ მამას, მიჰყევ მას და არ დაიბნე მის გზაზე. ამ მოწოდების უზენაესი და უმაღლესი გზაა: ყოვლად სასიყვარულო ძის სასიყვარულო მაგალითის აღება, გარეგანად და შინაგანად, ქმედითი, ტანჯვითი და გამოსახულებითი გზით ან ყველა გამოსახულებაზე ამაღლებული მჭკრეტელობითი გზით. და ვინც ყველაფერს დასთმობს და ყოვლად განწმენდილი მას მიჰყვება, იგი მიაღწევს უმაღლეს და უზენაეს მიზანს.

იოანე ტაულერი: 65-ე ქადაგება.

#### ავადმყოფობა

როდესაც თქვენ თვითონ ხართ ავად, მაშინ თავი წარმოიდგინეთ ღარიბ უცხოელად, რომელიც ერთ უცხო სახლში მოათავსეს და ხალისით ისურვებდა თავის სამუდამო სამშობლოში დაბრუნებას. იყავით მომთმენნი, მზიარული გუნებაგანწყობის, აიტანეთ ყველაფერი და მადლობა შესწირეთ ღმერთს მის ნაბიძგართათვის. არაფერი არ აირჩიოთ და არ მოითხოვოთ, რაც ღმერთს არ სურს. ნუ იქნებით საკუთარ თავზე შეშფოთებული; კმაყოფილი იყავით ყველაფრით, რასაც თქვენ გიკეთებენ. დაუნდეთ ღმერთს, ნუ მოსთქვამთ თქვენს ავადმყოფობაზე, ნუ უჩივებართ ნუგეშისცემისა და ერთგულების ნაკლებობას ადამიანებში. თუ თქვენ არავინ გნახულობთ, შუბლს ნუ შევიჭმუხნით, არამედ მიიღეთ ყველაფერი ღვთის ხელიდან, რისი გამოგზავნაც მას თქვენთვის სურს. ჭამეთ და სვით, რასაც თქვენ მოგაწვდიან, რამდენადაც ეს თქვენ ძალგიძთ, როგორც ღარიბს. თუ საჭმელი მლაშეა, ჩამწვარი ან უგემური, ვაიხსენეთ, რომ ჩვენს უფალს, მისი უდიდესი წამების დროს, ასვეს და აჭამეს ძმარი და ნაღველი. და იგი მღუპარედ იყო და არ მოსთქვამდა. იყავით თქვენც ასევე ყველაფრით კმაყოფილი მისი გულმართვით.

თუ თქვენ გსურთ რაიმე, რაც თქვენ არა გაქვთ, მაგრამ გჭირდებათ, უთხარით ეს მათ, ვინც თქვენთან არიან. მოგცემენ თქვენ მას — მადლობა შესწირეთ ღმერთს. არ მიიღებთ — მაშინ აღიჭურვით მოთმინებით და ხელი აიღეთ მასზე ღვთის გულისათვის. თვით ღმერთი იქნება თქვენი საზღაური. დათნგუნეთ თქვენი სიზარბე და ნუ მოითხოვთ ყველაფერს მას, რაზედაც თქვენ ფიქრობთ, რაც თქვენ გინდათ: ამაღავარი ჩვევა აქვთ განებივრებულ მდიდრებს. ეს აჯავრებს მათ, რომელნიც ამ მოთხოვნას წყენით აღვსილნი უსმენენ. თუ თქვენ დაგივიწყეს და არ მოიღიან თქვენთან, როდესაც ამას თქვენ აუცილებლად მიიჩნევთ, მაშინ იყავით მომთმენნი და მშვიდობიანი, რადგან ქრისტეა მაშინ თქვენთან თავისი ანგელოზებითა და წმიდანებით. იყავით მუდამ მზიარული გუნებაგანწყობის, ნუ ღრტყინავთ და ნუ ბუზღუნებთ. გულში ღმერთი გჰკავდეთ და ბაგეზე — კეთილი სიტყვა. მაშინ ყოველთვის იმატებს თქვენი სათნოება და ყოველი, ვინც თქვენთან მოვა, თქვენი მეშვეობით უკეთესი გახდება.

იოანე რუისბრუკი: წიგნი შვიდი იღუმალების შესახებ,  
თავი მე-6.

სადაც რელიგია სუფევს, იქ ადამიანები უყვართ,  
უყვართ ცხოველებიც და მთელი სამყაროც.

ყოველი სიცოცხლე მოძრავი ტაძარია უსასრულოსი

შან კაული



ვედრება ღვთისა დიდი საქმეა,  
განმწმენდელია გულ-გონებისა,  
წამალი არის საუკეთესო,  
გულის ტკივილის, დაღონებისა.

ვაჟა-ფშაველა